ყოველკვირეული ჟურნალი. გამოდის ოთხშაბათობით ფასი: 1 ლარი

№39
25.IX–1.X
2013

სარკე

სანდრო კაკულიას ეკა დემეტრაძის ქმრისთვის ბოდიშის მოხდა უნდოდა

გვ.8

„ზონიდან შემომითვალეს, პატიმრის ცოლს თავი დაანებეო“

გვ.14

ციცინო კობიაშვილი: „ჯაბას ცოლმა ქმრის ფასი კარგად უნდა იცოდეს!“

თორნიკე: „სალომეს პირველი დანახვისას ისე დავიბენი, ვერაფრით დაველაპარაკე“

სალომე ჯუღელი: „თორნიკემ თავმდაბლობით მომხიბლა“

თორნიკე შენგელია

გვ.6

საყვარელი გოგონას ხათრით ცეკვა და სიმღერა ისწავლა

კალათბურთელის და მოდელის საიდუმლო სიყვარული საოცნებო ქორწილით დაგვირგვინდა

გვ.33

7 თვის ორსული თამუნა ლეკვეიშვილი ქმარს მძღოლობას უწევს

გვ.37

ეკა ნიქარაძე: „რა დროს ჩემი პირადი ცხოვრების დამთავრებაა!“

გვ.36

ოთო ნემსაძე უკრაინაში მიდის და შეყვარებულს საქართველოში ტოვებს

გვ.24

მაკა ცინცაძე: „ბარბარე რაფალიანცის საქმის გახსნას ველოდები, ის ჩემი შვილის ტოლი იყო!“

სარკე
+
„მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა“
მე-11 ტომი
ფასი ჟურნალთან ერთად
10 ლარი

ISSN 1987-9369
9 771987 936002

„ქმარს ვაპატიე, რომ ჩემმა დაქალმა მისგან ბავშვი გააჩინა“

გვ.13

myaccount.silknet.com

მართეთ თქვენი ანგარიში ონლაინ

გაიარეთ რეგისტრაცია მისამართზე* www.myaccount.silknet.com

- მართეთ პირადი ანგარიში
- შეამოწმეთ ბალანსი
- ნახეთ ანგარიშის კოდური სიტყვა, სილქტივის ვიდეოთეკის პინ კოდები
- ისარგებლეთ ანტივირუსით
- გაიაქტიურეთ ტურბო ღილაკი, რომელიც საშუალებას მოგცემთ ოპტიკური ქსელის მომხმარებლებს გააქტიურებიდან 2 საათის განმავლობაში ისარგებლოთ 100 მბ/წმ სიჩქარი ინტერნეტით სულ რაღაც 1,50 ლარად

*ამ ეტაპზე რეგისტრაციის გავლა მხოლოდ ინტერნეტის აბონენტებს შეუძლიათ.

2 100 100
www.silknet.com

სილქნეტი
SILKNET

ნომერში

ბედნიერების დღე

თორნიკე შენგელიამ საყვარელი გოგონას ხათრით ცეკვა და სიმღერა ისწავლა 6

ეკრანული ნყვილი

სანდრო კაკულიას ეკა დემეტრაძის ქრისთვის ბოდიშის მოხდა უნდოდა 8

კინოსამყარო

ქართველი გოგონების თავგადასავალი ბნელი 90-იანებიდან — ისტორია, რომელიც გერმანელი სპონსორებისთვის უნივერსალური აღმოჩნდა 9

მადლი

თამთა ლიპარტელიანის ოჯახს პატარა გოგონამ სიცოცხლე დაუბრუნა 11

გულახდილი საუბრები 12

დედა-შვილი

ციცინო კობიაშვილი: „ჯაბას ცოლმა ქმრის ფასი კარგად უნდა იცოდეს!“ 14

პოლიტიკა

სოსო ცინცაძე: „შესაძლოა მემკვიდრემ ივანიშვილს უღალატოს“ 16

ფარული საფრთხე

მინარეთი — რელიგიური აისბერგის წვერი საქართველოში 18

მეოთხე ხელისუფლება

ეკა კვესიტაძე და დავით პაიჭაძე „პირველი არხის“ დათმობას არ აპირებენ 21

ტელესახე

მაკა ცინცაძე: „ბარბარე რაფაელიანცის საქმის გახსნას ველოდები, ის ჩემი შვილის ტოლი იყო!“ 24

გალერეა

აკაკი კვანტალიანი — ღიმილიანი კაცის ტკივილიანი ცხოვრება 25

მოზარდები 28

ხელოვანი და დრო

- რატომ დაუპირისპირდა ნანა შონია ეკა კახიანს 30
- ზურა მანჯავიძე: „ყვარყვარიზმი ტელევიზიაშიც ფართოდ არის გავრცელებული“ 31

სცენის მიღმა

ტატო ჩახუნაშვილი: „მაკა ძაგანიამ ყველაზე ტკბილი და ბედნიერი წლები მაჩუქა“ 32

ავტომოყვარული

7 თვის ორსული თამუნა ლეკვეიშვილი ქმარს მძღოლობას უწევს 33

მწვავე თემა

ვის უჯერებენ მშობიარეები — ექიმებს თუ ასტროლოგებს? 34

ეტაპი

- ოთო ნემსაძე უკრაინაში მიდის და შეყვარებულს საქართველოში ტოვებს 36
- ეკა ნიჟარაძეს ბებიობა არ აკმაყოფილებს 37

სარკის წინ

ნინო ხომასურიძემ ალმადოვარის ფილმისთვის 34 კილო მოიმატა 38

ცხოვრება ჩემოდნებზე

ნუგზარ ერგეშლიძე ლონდონში ბერძენი მომღერალი ეგონათ 43

მეგზური

სევილია — სამხრეთ ესპანეთის ნიბლი 44

მარტოხელა

ბედის სიურპრიზი 46

მხოლოდ ქალებისთვის 48

დედიკოების სკოლა 49

შინ

რა კანონები დაუწესა გიორგი წერეთელმა ცოლს სახლში 50

ადამიანის ინსტიტუტი 52

ცოტ-ცოტა ყველაფერზე 53

ვის უჯერებენ მშობიარეები — ექიმებს თუ ასტროლოგებს?

რატომ გახდა საკეისრო კვეთის შეზღუდვა აუცილებელი საქართველოში

საქართველოში 2013 წლის 1 თებერვლიდან 1 სექტემბრამდე, ანუ შვიდ თვეში, 14 მშობიარე გარდაიცვალა. აქედან 9 მათგანს საკეისრო კვეთა ჩაუტარდა. ეს მონაცემი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ჯანდაცვის სამინისტროს განგაში აეტეხა და ამ ოპერაციაზე გარკვეული შეზღუდვები დაეწესებინა.

საკეისრო კვეთის რაოდენობის მიხედვით, საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა. ჯანმრთელობის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციების მიხედვით, საკეისრო კვეთის მაჩვენებელი ქვეყანაში 10-დან 15%-მდე უნდა მერყეობდეს. თუ 10%-ზე ნაკლებია, ითვლება, რომ არასაკმარისად ხდება რისკის იდენტიფიკაცია. თუ 15%-ს სცილდება — მაშინ გადაჭარბებულია. საქართველოში კი საკეისრო კვეთის რაოდენობა 38%-ზე მეტია (!).

დავით გაგუა: „ითხოვენ საკეისროს გაკეთებას, მაგალითად, ბებია-ბაბუის, და-ძმის თუ თავიანთ დაბადების დღეზე, ავრეთვე დღესასწაულებზე. მოსულან და უთქვამთ, ასტროლოგმა მისეულ ცაგარელმა მითხრა, რომ საკეისრო კვეთა ამა და ამ დროს უნდა გამიკეთოთო“.

იხ. 34-ე გვერდზე

შეშლილი, შეშლილი, შეშლილი მსოფლიო 54

სახალისო 56

იყავით ჯანმრთელი 58

კროსვორდები 60

ჭრელაჭრელა 62

სიცილის გვერდი 63

უცხოური დეტექტივი

ალან ალექსანდრ მილნი. წითელი სახლის საიდუმლოება 64

ქალური მოთხრობები

- თინათინ ბონი. ოცნების ძიებაში (გაგრძელება) 66
- ლელა ცუცქირიძე. საიდუმლო 68

SMS განცხადებები 70

წმინდანები

ცხოვრება ღირსისა მამის ჩვენისა ნეტარისა ავგუსტინესი იპონიის ეპისკოპოსისა 72

კითხვები მოძღვარს

„სიცოცხლის ბოლოს მოქცეულებსაც შეიწყალებს უფალი“ 73

გზა ტაძრისაკენ

კვიპროსზე ხუთ ტაძარში ქართული ლოცვა და გალობა ისმის 74

საბავშვო გვერდი 76

კულინარიული შედევრები 77

ხელსაქმე 78

№39(804) 25 სექტემბერი - 1 ოქტომბერი, 2013

ჟურნალი სტამბას დასაბეჭდად გადაეცა 23.09.2013, 21.00 სთ-ზე.

ცესკო-ში პრეზიდენტობის 23 კანდიდატი დარეგისტრირდა

ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადებით, რეგისტრაცია 23-მა საპრეზიდენტო კანდიდატმა გაიარა. 23 რეგისტრირებული კანდიდატიდან 10 პოლიტიკურმა პარტიამ წარადგინა, ხოლო 13 — საინიციატივო ჯგუფებმა.

რეგისტრირებული საპრეზიდენტო კანდიდატები არიან: მიხეილ სალუაშვილი, ნესტან კირთაძე, შალვა ნათელაშვილი, სერგო ჯავახიძე, გიორგი ლილუაშვილი, გიორგი მარგველაშვილი, ნინო ბურჯანაძე, ლევან ჩაჩუა, ავთანდილ მარგიანი, გიორგი თარგამაძე, კობა დავითაშვილი, დავით ბაქრაძე, ზურაბ ხარატიშვილი, თეიმურაზ მუჟავია, გიორგი ჩიხლაძე, ნუგზარ ავალიანი, აკაკი ასათიანი, ნინო ჭანიშვილი, თეიმურაზ ბობოხიძე, ქართლოს ღარიბაშვილი, მამუკა ჭოხონელიძე, თამაზ ბიბილური, მამუკა მელიქიშვილი.

როგორც ცესკო-ს პრესსპიკერმა ეკა აზარაშვილმა განაცხადა, საარჩევნო ადმინისტრაციას პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის მიზნით, საპრეზიდენტო კანდიდატად რეგისტრაციაზე სხვადასხვა სამართლებრივი ხარვეზის გამო კანდიდატობის 31 მსურველს ეთქვა უარი. მათ შორის — 12-ს იმის გამო, რომ მხარდამჭერთა სია განსაზღვრულ ვადაში არ წარადგინა.

— საპრეზიდენტო კანდიდატს კანდიდატურის მოხსნის უფლება აქვს არჩევნებამდე არაუგვიანეს 10 დღისა. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ ყველა დარჩენილი კანდიდატის სახელი და გვარი საარჩევნო ბიულეტენში მოხვდება, — განაცხადა აზარაშვილმა.

რეგისტრაციაზე მხარდამჭერთა სია განსაზღვრულ ვადაში არ წარადგინეს კანდიდატობის მსურველებმა: ნიკოლოზ გორგიჯანიძემ, მერაბ გორგაძემ, გია ჩხიკვაძემ, ბესიკ ადამიამ, უშანგი დონჯაშვილმა, შალვა ცერცვაძემ, დავით კაკაბაძემ, დავით ჩხეიძემ, იოსებ ბიბილეიშვილმა, გურამ მარხულიამ, ზურაბ ცხოვრებაშვილმა, ვახტანგ ჟორდანიამ.

7-ს რეგისტრაციაზე უარი ეთქვა პირადი განცხადების საფუძველზე. ესენი არიან: ნუგზარ ჩხაიძე, თენგიზ გაბიძაშვილი, ვლადიმერ გეგეჭკორი, როლანდ ლომინაძე, ვაჟა ჩხაიძე, კახა სუხიშვილი, თამაზ თავაძე; 5-ს — ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირად ყოფნის გამო, ესენი არიან: გიორგი გახოკია, ტარიელ ხვედელიძე, სალომე ზურაბიშვილი, ზურაბ წიწუაშვილი, მერაბ სულიაშვილი; რევაზ ფახურიძემ, ავთანდილ ფილაურმა და ნერსე ბაცაშმა არასრულყოფილი დოკუმენტაცია წარადგინეს; თამაზ ღუღუნიშვილს და ასმათ მაჭავარიანს უარი ეთქვათ, ვინაიდან არ გამოასწორეს ხარვეზი მხარდამჭერთა სიაში; ავთანდილ იოსელიანს უარი ეთქვა საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის გამო; ერთს — თორნიკე იზორიას — წარმოდგენილ მხარდამჭერთა სიებში კანონით განსაზღვრულ ოდენობაზე ნაკლები ხელმოწერების დადგენის გამო.

აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობას არ მიიღებენ

საქართველოში ჯერ კიდევ ღელავენ იმის გამო, რომ ჩვენი ქვეყანა სოჭის ოლიმპიადაში მიიღებს მონაწილეობას. ცოტა ხნის წინ ნაციონალებმა გაავრცელეს ცნობა, რომ სოჭის ოლიმპიადაში აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელი ქვეყნების სტატუსით მიიღებენ მონაწილეობას. პრემიერმინისტრის სპეციალური წარმომადგენლის რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში, ზურაბ აბაშიძის მტკიცებით, მსგავსი რამ არ მოხდება და ამის გარანტი არის რუსეთი. როგორც გაირკვა, წინასწარი ზომები ჩვენს ოლიმპიურ კომიტეტსაც მიუღია.

— ჩვენმა ოლიმპიურმა კომიტეტმა მსოფლიო ოლიმპიურ კომიტეტს მიმართა და ვფიქრობ, ეს კოლიზია მოიხსნება. ოლიმპიური კომიტეტის არც ერთ ვებგვერდზე აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი ცალკე სახელმწიფოებად არ არის მოხსენებული, — განაცხადა აბაშიძემ.

ამასთან დაკავშირებით განმარტება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით ჯალაღანიამაც გააკეთა.

— შეიძლება სახელის ზუსტი ციტირება ვერ მოვახდინო, მაგრამ სპორტული ჟურნალისტების ევროპული ასოციაციის, რომელიც ჟურნალისტების აკრედიტაციას ახორციელებს, ვებგვერდზე ჩამონათვალში ე.წ. სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად იყო მოხსენიებული. პირველ რიგში, ეს ოლიმპიური კომიტეტის საქმეა და ეს ხარვეზი მათ უნდა გამოასწორონ. მე რამდენადაც ვიცი, შესაბამისი მოთხოვნა გაგზავნილია, რომ ეს გასწორდეს. არც ერთ ოფიციალურ ვებგვერდზე, რომელიც საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ეხება, აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ რესპუბლიკებად არ არის მოხსენიებული. რა თქმა უნდა, თუ საჭირო იქნება, საქართველოს ყველა სტრუქტურა მზად არის, ამ თემაზე თავისი პრეტენზია განაცხადოს, მაგრამ, ქმედითობიდან გამომდინარე, უფრო ლოგიკური იქნება, ეს საკითხი ოლიმპიური მოძრაობის ფარგლებში მოგვარდეს, — განაცხადა დავით ჯალაღანიამ.

ლევან პირველი მიხეილ სააკაშვილს სასამართლოში უჩივლებს

10 წლიანი დევნილობის შემდეგ პარლამენტის ყოფილი დეპუტატი, ლევან პირველი, სამშობლოში დაბრუნდა. საქართველოდან ის ვარდების რევოლუციის მეორე დღეს წავიდა.

— 2003 წლის 24 ნოემბერს მე დავტოვე ქვეყანა, რადგან ამ ბანდის დაუძინებელი მტერი ვიყავი. ჩემთვის თავიდანვე ნათელი იყო, ეს ბანდა რა ხრიკებსაც იყენებდა, ამიტომ ჩემი აქ ერთი დღით დარჩენაც კი სახიფათო იყო, — განაცხადა სამშობლოში დაბრუნებულმა ლევან პირველმა.

ყოფილი დეპუტატი პოლიტიკურ აქტიურობასაც გეგმავს. მან უკვე აუწყა საზოგადოებას, რომ მისი პარტნიორები პარტია „მრეწველები“ იქნებიან. თავად ის ამ პარტიის ახალგაზრდული ფრთის გაძლიერებას აპირებს.

რაც შეეხება ნაციონალებთან ძველ ანგარიშებს, ლევან პირველი სასამართლოში აპირებს სარჩელის შეტანას.

— უკვე 3 წელია ერთ-ერთი მედიასაშუალების წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი მაქვს შეტანილი, მაგრამ დღემდე არ განხილულა. როგორც კი განხილვა დაიწყება, სააკაშვილის წინააღმდეგაც მაშინვე შევიტან სარჩელს, — განაცხადა ლევან პირველმა.

სარკე ჟურნალი გამოდის 1998 წლის 23 იანვრიდან

დამფუძნებელი
მთავარი რედაქტორი
კომერც. დირექტორი

ეპს „სარკე“
მედეა სანაია
ვაჟა ფენგელია

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. სტატიაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. ჟურნალისტის მიერ ჩაწერილი აუდიო მასალა ინახება 14 დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ სტატიის შესახებ პრეტენზიები არ მიიღება. „სარკეში“ გამოქვეყნებული ნაბეჭდი და ფოტომასალის გამოყენება რედაქციასთან შეუთანხმებლად აკრძალულია.

მთავარი რედაქტორის მოადგილეები – ირინე მჭედლიძე, ირმა გოგინაძე, ავთო ჩიტიძე.

პოლიტიკა – მანანა გეგია. საზოგადოება, სამართალი, შოუბიზნესი – ირინე მჭედლიძე, რუსუდან ალვაძე, ლანა კენჭაძე, სოფიო ბოჭორიძე, მანანა ნოდია, ავთო ჩიტიძე, ქეთი დინოშვილი, ეკა ლემონჯავა, თათია ბოჭორიძე. მედიცინა – ია გაგოშიძე, ნათია ტოტიკაშვილი. ფიზიკა – ქეთი ყირიმლიშვილი. მხატვარი – ქეთი ხარატიშვილი.

კომპიუტერული მომსახურება: დაკაბადონება – ირმა გოგინაძე, ნონა კანდელაკი. ოპერატორი – მარინა ჟღენტი, მია ფიფია. კორექტურა – ლანა გაბუნია, მია ფიფია. სარედაქციო სამსახური – მაჩუკა ბარბაქაძე; 599 975-699; e-mail: mgb7@mail.ru
მდივანი – ია ბარბაქაძე.

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ.№50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 296-75-43. ფაქსი: 296-75-43.
ელ.ფოსტა: SARKE@MAIL.RU ვებგვერდი: SANA.GE

Cyan Magenta Yellow Black

მავთულხლართების გავლებამ ამერიკაც შეაშფოთა

ბონფლიქტის ზონაში რუსი ოკუპანტები მავთულხლართების გავლებით არიან დაკავებული. მათი ქმედებები საქართველოს ხელისუფლებამ უკვე მრავალგზის გააპროტესტა, თუმცა მოსკოვს ყურიც არ შეუბერტყია და ტერიტორიის მითვისებას აგრძელებს. ქართული მიწა ნელ-ნელა გადადის ოკუპაციის ზოლში.

რუსების ქმედება ამერიკამაც დაგმო. აშშ ოკუპირებული აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ ხაზთან „საზღვრის“ გავლებით შეშფოთებულია.

„ძალზე შეშფოთებული ვართ რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ ხაზთან საზღვრის გავლების

პროცესით, რომელიც რამდენიმე წლის წინ დაიწყო. სოფლებთან — დიცსა და ხურვალეთთან საზღვრის აღმართვის პროცესი ინტენსიური გახდა. საზღვარი ოჯახებსა და მეზობლებს უფრო მეტად აშორებს და შესამჩნევად უარყოფით გავლენას ახდენს მოსახლეობის ცხოვრებასა და საქმიანობაზე ეკლიანი მავთულის ორივე მხარეს. ადგილობრივ მოსახლეობას ეჭრება გზა ნაკვეთებისკენ. ბავშვებს სასკოლო მეცადინეობაში ეშლებათ ხელი. შეუძლებელი ხდება სასაფლაოებზე მოხვედრა.

კვლავ მოვუწოდებთ რუსეთს, მოხსნას ბარიერები იმ პირობების შესაბამისად, რომელთა შესრულება მან 2008 წლის აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებით ითავა. მოვუწოდებთ რუსეთს, შეასრულოს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით გათვალისწინებული ვალდებულებები. მოწოდება გაგრძელდება აქ, საქართველოში და საერთაშორისო სარბიელზე, მათ შორის — ჟენევის საერთაშორისო დისკუსიისას.

მივესალმებით კონფლიქტების მოგვარებისადმი საქართველოს მთავრობის მშვიდობიან მიდგომას. მოვუწოდებთ ყველა მხარეს, ჩაერთონ აზრიან დიალოგში ვითარებიდან გამოსავლის საპოვნელად“, — ნათქვამია განცხადებაში, რომელიც საელჩომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის დავალებით გაავრცელა.

მავთულხლართების გავლების პროცესს საქართველოს პრეზიდენტიც გამოეხმაურა. მისი განცხადებით, ბოლო პერიოდში რუსებმა საქართველოს 400 ჰექტარზე მეტი მიწა მითვისეს.

— ბოლო კვირებში, თვეებში საქართველოს ტერიტორიაზე რუსებმა გადმოინაცვლეს და 400 ჰექტარზე მეტი ჩვენი მიწა კიდევ მითვისეს. რაღაც კომისიასავით გავაკეთეთ და დავთვალეთ. 400 ჰექტარი მიწა რომ წარმოიდგინოთ და 400 ჰექტარზე რომ ვაშლის ბაღი გააშენო, ვაშლზე საქართველოს მთელ მოთხოვნას გადაფარავს. ე.ი. ჩვენ საქართველოს სამყოფი ვაშლის ბაღი ისე წაგვართვეს, რომ ამის შესახებ თითქმის არავის გაუგია. ეს არის პირდაპირი პასუხი იმაზე, რასაც ჩვენ არაერთხელ ვამბობდით, რომ რაც უფრო მეტს დაუწვები, მით უფრო მეტად აგაცოცდება, მით უფრო მეტად ადვილად გადაგივლის. დაწოლითა და ჩექმების კოცნით საქმე რომ კეთდებოდეს მაგ სახელმწიფოსთან, აქამდე მთელი მსოფლიო დაუწვებოდა და გაკრიალებული ჩექმებით ივლიდა, მაგრამ არ გამოდის ასე. გამოდის მხოლოდ პრინციპული მიდგომით.

ივანიშვილმა თქვა, საქართველოს არავითარი რეგიონული ამბიციები არ უნდა ჰქონდესო. პრემიერმინისტრმა რამდენიმე დღის წინ ლატვიურ გამოცემას უთხრა, რომ ომი საქართველომ დაიწყო. თუ ომი საქართველოს ბრალი იყო, თუ რეგიონული ამბიციები არ უნდა გვქონდეს, მაშინ ვინ მოვა დასახმარებლად? ევროპულ გამოცემებს დღე და ღამე ზუსტად იმას უყვება, რასაც პუტინები და მედვედევები უყვებოდნენ, — განაცხადა სააკაშვილმა.

მავთულხლართების გავლების პროცესი, სამწუხაროდ, ისევ გრძელდება.

გივი თარგამაძემ არჩილ კბილაშვილის მოსკოვური ვოიაჟის გამო განგაში ატეხა

საქართველოს მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი მოსკოვში იმყოფებოდა. ამის შესახებ ინფორმაცია ნაციონალური მოძრაობის წევრებმა გავრცელეს. ისინი ამ ვიზიტს შემაშფოთებელს და საეჭვოს უწოდებენ.

ნაციონალი დეპუტატი გივი თარგამაძე არ გამორიცხავს, რომ კბილაშვილმა მოსკოვში ინსტრუქციები მიიღო იმ საქმეებთან დაკავშირებით, რომლებიც კრემლს ყველაზე მეტად აინტერესებს.

— კბილაშვილის ვიზიტი საფრთხის მატარებელია, რადგან მისი მოსკოვში ყოფნის შესახებ ინფორმაცია დამალული იყო და რომ არა ჟურნალისტები, საზოგადოებისთვის არც გახდებოდა ცნობილი. მინდა, გამოვეხმაურო მოულოდნელ, სამარცხვინო და საგანგაშო ახალ ამბავს, რომ ადამიანი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში საზოგადოებას ხან გადამდგარი ეგონა, ხან შვებულებაში მყოფი, საბოლოო ჯამში, რუსეთის დედაქალაქში აღმოჩნდა. გავრცელებული ინფორმაციით, მთავარი პროკურორი რაღაც გაურკვეველ პროკურორთა საერთაშორისო კონფერენციაზე იმყოფებოდა.

კბილაშვილი მოსკოვში თავს ისე გრძნობს, როგორც საკუთარ სახლში. ეს საგანგაშო მოვლენაა, რადგან მან რუსეთში ყოფნის დროს ალბათ ინსტრუქციები მიიღო იმ საქმეების წარმოებისთვის, რომლებიც კრემლს ყველაზე მეტად აინტერესებს. ეჭვი მაქვს, რომ მან მთელ მთავრობას ჩამოუტანა მითითებები და სურვილები მოსკოვიდან. ეს არის გაუგონარი ამბავი, როცა ამდენი ხნით რუსეთის დედაქალაქში მყოფმა მთავარმა პროკურორმა განმარტებების გაკეთებაც არ ისურვა! — განაცხადა გივი თარგამაძემ.

ოლეგ მელნიკოვს საქართველოში გაასამართლებენ

2012 წლის 7 დეკემბერს უკრაინაში, ქალაქ კიევში, უკრაინის სამართალდამცავმა ორგანოებმა საქართველოს ინტერპოლიდან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, შსს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი მაღალჩინოსანი, 1966 წელს დაბადებული ოლეგ მელნიკოვი დააკავეს. ეს პიროვნება სანდრო გირგვლიანის მკვლელობის გახმაურებულ საქმეში ფიგურირებს. მელნიკოვი, რომელიც დაპატიმრების და საქართველოში შემდგომი ექსტრადიციის მიზნით ინტერპოლის თბილისის ბიუროს მიერ საერთაშორისო ძებნაში 2012 წლის 5 დეკემბრიდან იმყოფებოდა, ათთვიანი და რამდენიმესაფეხურიანი სამართლებრივი პროცედურების გავლის შემდეგ უკვე საქართველოშია ექსტრადირებული.

ოლეგ მელნიკოვს ბრალად ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, რაც გულისხმობს მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას, რამაც ფიზიკური პირის უფლების არსებითი დარღვევა გამოიწვია ჩადენილი ძალადობით და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით.

გარდა ამისა, მიმდინარე წლის ივლისში ოლეგ მელნიკოვს ბრალი წაეყენა სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე სსსკ-ს 24-143-ე მუხლის პირველი ნაწილით და მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით (დახმარება თავისუფლების უკანონო აღკვეთაში, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ორი ან მეტი პირის მიმართ, სხვა დანაშაულის გაადვილების მიზნით).

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

თორნიკე შენგელიამ საყვარელი გოგონას ხათრით ცეკვა და სიმღერა ისწავლა

კალათბურთელის და მოდელის საიდუმლო სიყვარული საოცნებო ქორწილით დაგვირგვინდა

ენბიაი-ს ქართველი კალათბურთელი და საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ფავორიტი, თორნიკე შენგელია, სულ ცოტა ხნის წინ დაქორწინდა. პატარძალი ულამაზესი გოგონა, მოდელი სალომე ჯუღელი გახლავთ. ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ტოლები არიან — 22 წლის. მათი სიყვარულის ამბავი ხალხის თვალისა და ყურისგან დამალული იყო. ახალგაზრდებს არ სურდათ ზედმეტი ყურადღების მიქცევა და ამიტომ, სანამ ქორწილის დღე არ მოვიდა, ურთიერთობას ასაიდუმლოებდნენ. „სარკისთვის“ ერთი წლის წინ მიცემულ ინტერვიუებში ორივე ცალ-ცალკე ამბობდა, რომ შეყვარებულები იყვნენ, მაგრამ თავიანთი რჩეულების ვინაობას არ ასახელებდნენ.

თორნიკე: „სალომეს პირველი დანახვისას ისე დავობენი, ვერაფრით დაველაპარაკე“.

სალომე ჯუღელი: „თორნიკემ თავმდაბლობით მომხიბლა“.

მათ სიყვარულს 4 წლის წინ ცნობილ ქართველ კალათბურთელ ზაზა ფაჩულიას სახლში სტუმრობისას ჩაეყარა საფუძველი. სალომე ზაზას დეიდაშვილი გახლავთ. ასე შეხვდნენ ფაჩულიებთან ერთ-ერთ სუფრაზე მოდელი და კალათბურთელი ერთმანეთს. თორნიკე სალომეს პირველივე დანახვისას მოიხიბლა, სალომე კი პირველ პაემანზე მიხვდა, რომ ის „ის“ იყო.

22 სექტემბერს ჯვარი სვეტიცხოველში დაიწერეს, საქორწინო ცერემონიალიც მცხეთაში, ღია ცის ქვეშ გაიმართა. თორნიკემ საყვარელ ქალს ამ დღეს საოცნებო ქორწილი აჩუქა.

სალომე ჯუღელის სამოდელო კარიერა აქამდე ძირითადად პარიზით შემოიფარგლებოდა. გათხოვების შემდეგ კი ქმართან ერთად საცხოვრებლად ნიუ იორკში გადავა. იქაურ სამოდელო სააგენტოებთან უკვე თანამშრომლობს და ცოტა ხნის წინ ნიუ იორკის მოდის კვირეულზეც გამოჩნდა. მზად არის იმისთვისაც, რომ თუ ოჯახური ცხოვრება მოითხოვს, პოდიუმს თავი დაანებოს.

თორნიკე: „სალომეს ვეთხარი, ეს შენი ღღეა და მზად ვარ, ყველაფერი შევასრულო-მეთქი, მაგრამ ყველას გიჩვენთ, რომ ასეთი პრინცესა არსებობს ბედნიერ“.

„სარკე“ ულოცავს თორნიკეს და სალომეს დაქორწინებას და ახალგაზრდებს ოჯახურ ბედნიერებას უსურვებს, მკითხველებს კი სთავაზობს წყვილისგან ერთი წლის წინ შეპირებულ ექსკლუზიურ ინტერვიუს.

— სალომე და თორნიკე, სად გადაიკვეთა თქვენი ცხოვრების გზები?

თორნიკე: ერთმანეთი 3-4 წლის წინ აღმოვაჩინეთ, ზაზა ფაჩულიასთან სტუმრად ვნახე და ჩემი ყურადღება მაშინვე მიიქცია. მანამდე არ მქონია ის მომენტი, რომ გოგოსთან დალაპარაკება მომრიდებოდა, მაგრამ რატომღაც მასთან გასაუბრება და ცეკვის შეთავაზება ვერ მოვახერხე, აშკარად დაბნეული ვიყავი. იმ საღამოს, სალომეს გარდა, თითქმის ყველა გოგოს დავეკონტაქტე. ბევრს ვცეკვავდი.

სალომე: კარგად მახსოვს ის მომენტი, როდესაც თამადა ფეხზე წამოდგა და ახალგაზრდა, ძალიან პერსპექტიული ახალგაზრდა კალათბურთელის დახასიათება დაიწყო. როცა თორნიკე ფეხზე წამოდგა, გაკვირვებული დავრჩი, რადგან საოცრად თავმდაბალი ადამიანი დავინახე.

თორნიკე: შემდეგ ჩვენი ურთიერთობა სოციალური ქსელით გაგრძელდა. ვგრძნობდი, რომ ეს გოგო განსაკუთრებულად მაინტერესებდა, მაშინ სალი პარიზში ცხოვრობდა, მე — ბელგიაში. ძალიან ბევრ კითხვას ვუსვამდი და მიხაროდა, რომ ზუსტად ისეთ პასუხებს ვიღებდი, როგორიც მინდოდა, მომესმინა.

სალომე: ძალიან ბევრი საერთო აღმოგვაჩნდა, ბევრ საკითხზე ჩვენი აზრები ემთხვეოდა.

— რა გაინტერესებდათ, რისი მოსმენა გინდოდათ ერთმანეთისგან?

თორნიკე: ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ოჯახური ტრადიციები და ამიტომ გამიხარდა, რომ ოჯახის შესახებ ჩემს შეხედულებებს სალომეც იზიარებდა. მიუხედავად იმისა, რომ უკვე დიდი ხანია საზღვარგარეთ ვცხოვრობ, ყოველთვის ვიცოდი, რომ ქართველ გოგოსთან ერთად ქართულ ტრადიციულ ოჯახს შევქმნიდი.

სალომე: ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, მეპოვა ადამიანი, რომელიც ყველგან და ყველაფერში ჩემთან იქნებოდა. ძალიან მომწონს თორნიკეს თავმდაბლობა, ძალიან კეთილი, მზრუნველი და ყურადღებიანი ადამიანია.

— თქვენი პირველი პაემანი სად შედგა?

თორნიკე: კარგა ხანი ვერ ვახერხებდით თბილისში შეხვედრას, როცა მე ჩამოვდიოდი, ის მიდიოდა, ვერ ვემთხვეოდით დროში, მაგრამ ჩვენი პირველი პაემანი მაინც თბილისში შედგა.

სალომე: ჯერ კაფეში წავედით და შემდეგ კინოში. ეს ჩემი პირველი პაემანი იყო. მანამდე ბიჭს არასოდეს შევხვედრივარ. პირველივე პაემანზე მივხვდი, რომ ჩვენ შორის სერიოზული რაღაც დაიწყო.

თორნიკე: სიყვარულიც თბილისში ავუხსენი. მახსოვს, ერთ-ერთ ბარში დავპატიჟე და, ბუნებრივია, ძალიან ვლაღობდი. სალომე უცნაურად იქცეოდა, გაუთავებლად ლაპარაკობდა, ყველა თემას შეეხო — პოლიტიკიდან დაწყებული ეკონომიკით დამთავრებული. მე კი პაუზას ველოდი, რომ ჩემი სათქმელი მეთქვა. როცა მივხვდი, რომ სალომე გაჩუმებას არ აპირებდა, ვუთხარი, რაღაც მაქვს სათქმელი-მეთქი. როცა სიყვარული ავუხსენი, სალომემ დიდი პაუზა გააკეთა და ძალიან შემეშინდა, მაგრამ მერე გაიღიმა და მითხრა, მეც მიყვარხარო.

— თორნიკე, ცოლობა როდის სთხოვეთ საყვარელ გოგონას?

სალომე: სიყვარულის ახსნიდან 4 თვე იყო გასული. ამ პერიოდში დავრწმუნდით ერთმანეთის გრძნობებში.

თორნიკე: იმ პერიოდში მე უკვე ამერიკაში ვიყავი წასული და ძალიან მიჭირდა, რომ ჩვენი შეხვედრები სულ უფრო პრობლემური ხდებოდა. ამ დროს სალომეს ნიუ იორკიდან ჰქონდა შემოთავაზება. სააგენტოდან თავისი მონაცემები გააგზავნა, მაგრამ არ ეგონა, თუ აიყვანდნენ. 1300 გოგოდან 7 უნდა შეერჩიათ. ერთხელ ისიც კი მომწერა, ჩვენი სააგენტოდან ერთი გოგო უკვე აიყვანეს და მე აღარ დამირეკავენო, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ მიიწვევდნენ. კარგად მახსოვს, ვარჯიშზე შევდიოდი და სალომემ ტელეფონზე მითხრა, რომ იმედი აღარ ჰქონდა. ვარჯიშიდან რომ გამოვედი, ტელეფონზე სალომეს 50 მესიჯი დამხვდა, გული გამისკდა... ემოციებით სავსე მესიჯები იყო, ბოლოს კი ეწერა, რომ ნიუ იორკში მოდიოდა. მაშინ მივხვდი, რომ როგორც კი ნიუ იორკში ჩამოვიდოდა, მისთვის ცოლობა უნდა მეთხოვა.

სალომე: „თორნიკე ყველაფერში ამყვა, ტანგოც ჯერ-ჯერობით გამოუვიდა. ვინანე ჯიდეც, რომ ვალსი ვერ დავამატეთ. თორნიკე ავამღერე, ქორწილში ორი ინგლისურენოვანი სიმღერა შევასრულეთ“.

— და მაშინვე ქორწილისთვის მზადება დაიწყეთ?

სალომე: ცოლობა ზამთარში მთხოვა და მაშინვე დავიწყეთ ქორწილის ორგანიზებაზე ფიქრი. გვინდოდა, რომ წინა პერი-

Cyan Magenta Yellow Black

ოდი სამზადისით გადატვირთული არ ყოფილიყო და ეს დრო ერთმანეთისთვის დაგვეთმო, მაგრამ ქორწილის წინა დღესაც კი საოცრად დატვირთულ რეჟიმში აღმოვჩნდით. ძალიან გამიხარდა, რომ ჩვენი შეხედულებები ქორწილის შესახებ დაემთხვა.

თორნიკე: სალომეს ვუთხარი, ეს შენი დღეა და მზად ვარ, ყველაფერი შევასრულო-მეთქი, მაგრამ ყველას გირჩევთ, რომ ასეთი პირობა არასოდეს დადოთ!

— როგორც ჩანს, საპატარძლომ ძალიან ბევრი მოითხოვა თქვენგან. სალომე, როგორ ქორწილზე ოცნებობდით?

სალომე: ვფიქრობთ, რომ ძალიან ლამაზი ქორწილი გამოგვივიდა. თორნიკეც ყველაფერში ამყვა. თავიდან ძალიან გაუჭირდა იმასთან შეგუება, რომ ქართულის გარდა ტანგოს ცეკვაც მოუწევდა და მინდა, გითხრათ, რომ ძალიან კარგად გამოუვიდა. ვინანე კიდეც, ვალსი რატომ არ დავამატეთ. თორნიკე ავამღერე. ქორწილში ორი ინგლისურენოვანი სიმღერა შევასრულეთ, რა თქმა უნდა, ჩვენი შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

— საქორწილო ჩაცმულობა როგორ შეარჩიეთ?

სალომე: საქორწილო კაბა ნიუ იორკში შევარჩიე. ეს არის ელი სააბის კაბა. თავიდან მეგონა, რომ სულ სხვა სტილი მომიხდებოდა, მაგრამ არჩევანი ამ კაბაზე შევაჩერე. ვფიქრობ, უფრო მეტად მიხდება.

თორნიკე: ყოველთვის მინდოდა, ჩემს ქორწილში ჩოხა მცმოდა და შევიკერე. იმის გამო, რომ სალომემ ევროპული ცეკვებიც მოინდომა, ქართული ცეკვის შემდეგ სმოკინგი ჩავიცვი.

სალომე: დავიცავით ტრადიცია და ქორწილამდე ერთმანეთის სამოსი არ ვნახეთ, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი კაბა ნიუ იორკიდან თორნიკემ ჩამოიტანა.

— თქვენს სიყვარულს საგულდაგულოდ მალავდით, არავინ იცოდა, რომ ასეთ პოპულარულ კალათბურთელს შეყვარებული ჰყავდა. რატომ ასაიდუმლოებდით ამ ურთიერთობას?

თორნიკე: საერთოდ არ მიყვარს ჩემი პირადი ურთიერთობების აფიშირება. მთავარი იყო, რომ გრძნობებში თავად გავრკვეულიყავით. არ გვინდოდა, ზედმეტი ინტერესი გაჩენილიყო ჩვენ მიმართ. ასე უფრო კარგად წარიმართა ჩვენი ურთიერთობა. „სარკემ“ ერთ-ერთმა პირველმა შეიტყო ჩვენი სიყვარულის ამბავი, დიდი მადლობა, რომ გაითვალისწინეთ ჩვენი თხოვნა და ეს ამბავი მანამდე არ დაბეჭდეთ, სანამ ჩვენ თვითონ არ ავლაპარაკდებოდით.

— თქვენი სიყვარულის წინააღმდეგი ვინმე ან რამე ხომ არ ყოფილა?

სალომე: არა, არანაირი წინააღმდეგობა არ ყოფილა. ყველაფერი ჩვენზე იყო დამოკიდებული.

— თორნიკე, გათხოვების შემდეგ მოდელები, ქმრების მოთხოვნით, პოდიუმს თავს ანებებენ. თქვენს ცოლსაც ეგოცა ელის?

თორნიკე: არა, ასეთი აკრძალვები არ მაქვს. სალომეს საქმიანობას პატივს ვცემ. მან უკეთ იცის, რა დრო უნდა დაუთმოს კარიერას.

სალომე: ვიცი, რომ თორნიკეს კარიერის გამო ხშირად მოგვიწევს საცხოვრებელი ადგილის შეცვლა. მეც ვეცდები, ჩემი საქმიანობა სწორედ ამის მიხედვით ავაწყო. ჩემთვის პრიორიტეტი ყოველთვის ოჯახი იქნება და, თუკი ჩვენი სიყვარული რაღაც ეტაპზე ჩემგან მოდელობის მიტოვებას მოითხოვს, ამისთვისაც მზად ვარ.

— კალათბურთელების ცოლები ხშირად აღნიშნავენ, რომ საკმაოდ რთულია მათი ქმრების რეჟიმით ცხოვრება. სპორტსმენს დიდი ხელშეწყობა სჭირდება. ალბათ ესეც გაცნობიერებული გაქვთ.

სალომე: კი, როდესაც ადამიანი გიყვარს, მისთვის ყველაფერს ადვილად გააკეთებ და სასიამოვნოც კი იქნება მასზე ზრუნვა. ვერც იმაში ვხედავ პრობლემას, რომ თორნიკეს მატჩების გამო ხშირად მოგვიწევს განშორება, პირიქით, ეს კარგიც იქნება, უფრო მოგვენატრება ერთმანეთი.

თორნიკე: „ოცა სიყვარული ავუხსენი, საღომემ დიდი პაუზა გააკეთა და ძალიან შემეშინდა, მაგრამ მეხე გაიღიმა და მითხა, მეც მიყვარხარო“.

— თორნიკე, როგორ ატყობთ, სალომესგან როგორი ცოლი დადგება?

თორნიკე: ზუსტად ვიცი, სალომეს ვინმესგან იმის თქმა არ დასჭირდება, რა დროს რა გააკეთოს. თვითონაც ტრადიციული ოჯახიდან არის. სწორედ ის მომეწონა სალომეში, რომ თავისი თანატოლებისგანაც გამოირჩევა და მოდელებისგანაც. სალომე სულ სხვაა პოდიუმზე და სულ სხვაა ცხოვრებაში.

— სალომე, თორნიკეს გრძნობების რომანტიკულად გამოხატვა ახასიათებს?

სალომე: კი, ძალიან ყურადღებიანი და რომანტიკულია. მახსოვს, ერთ-ერთ დაბადების დღეზე იმხელა თაიგული გამომიგზავნა, რომ ხელში ვერ დავიჭირე. ერთხელ ჩემს დაბადების დღეზე კიევში იყო და გულის ფორმის ფრანი, რომელზეც ჩვენი სახელები ეწერა, ცაში გაუშვა, ამის ამსახველი ვიდეო კი მე გამომიგზავნა. მას კარგად გამოსდის ჩემი გაოცება.

— კალათბურთელებისა და მოდელების, ფეხბურთელებისა და მოდელების წყვილებს თქვენი სახით კიდევ ერთი წყვილი დაემატა. ეს უკვე ტენდენციად იქცა. თორნიკე, თავიდანვე გადაწყვეტილი გქონდათ მოდელ გოგოზე დაქორწინება თუ ასე თავისით გამოვიდა?

თორნიკე: ჩემთვის იდეაფიქსი არასდროს ყოფილა, ჩემი მეორე ნახევარი მოდელი ყოფილიყო, პირიქით. არ მინდა, სხვა მოდელებს შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ ყოველთვის მაღიზიანებდა მათი აზროვნება და არასერიოზულობა. სალი კი პირიქით არის. მასში ყველაზე მეტად იმან მომხიბლა, რომ საოცრად სერიოზული, განათლებული და მიზანდასახულია.

სალომე: ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ სპორტსმენი მამაკაცი შემიყვარდებოდა. კალათბურთელების მიმართ არასოდეს მქონია განსაკუთრებული ინტერესი, მაგრამ სიყვარულს რას გაუგებ.

— თორნიკე, თქვენი ტრავმის გამო წელს ევროპის ჩემპიონატში საქართველოს ნაკრებში ვერ ითამაშეთ და გუნდს აშკარად დააკლდით. ეს ალბათ თქვენც ივრძენით.

თორნიკე: მე და ზაზა ფაჩულია რომ ვყოფილიყავით მოედანზე, ალბათ ერთი-ორი მატჩის მოგებას შევძლებდით. ძალიან განვიცადე, რომ ბიჭების გვერდით არ ვიყავი.

სალომე: თორნიკემ ძალიან ინერვიულა, რომ მატჩებს ტელევიზორით უყურებდა და იქ არ იყო. კარგა ხანი ცდილობდა, მუხლზე ოპერაცია გადაედო, ვარჯიშობდა კიდეც, რომ ნაკრებში ყოფილიყო, მაგრამ ტრავმამ მაინც იჩინა თავი.

— თაფლობისთვეს სად გაატარებთ, საქორწინო მოგზაურობაში წახვალთ?

თორნიკე: ფეხზე გადატანილი ტრავმის გამო რეაბილიტაციას გავდივარ და დამატებითი ვარჯიშები მაქვს დანიშნული. ქორწილის შემდეგ პირდაპირ ნიუ იორკში გვიწევს გამგზავრება. სამწუხაროდ, თაფლობისთვე არ გამოგვივიდა, ცხოვრებასაც ნიუ იორკში ვაპირებთ.

სალომე: მეც ჯერჯერობით ამერიკულ სააგენტოებთან ვითანამშრომლებ, პარიზში აღარ ვიმუშავებ. გაზაფხულზე ნიუ იორკის ფეშენ ვიკში მივიღე მონაწილეობა. ქორწილის გამო ახლა უარის თქმა მომიწია მათთვის, მაგრამ ისევ ჩავერთვები.

✓ **ავთო ჩიტაძე**

სალომე: „ეს ჩემი პიჩეული პაემანი იყო. მანამდე ბიჭს ახასოდეს შევხვედჩივარ. პიჩე�d პაემანზე მივხვდი, ჩომ ჩვენ შოჩის სეჩიოზეული ჩაღაც დაინყო“.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით. წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65. ქალბატონი ქეთათო

Cyan Magenta Yellow Black

სანდრო კაკულიას ეკა დემეტრაძის ქმრისთვის ბოდიშის მოხდა უნდოდა

ეკა: „ნატაშკას ადგილზე სხვა კაცი მეც შემიყვარდებოდა და უფრო თამამადაც მოვიქცეოდი“

ესახიობები ეკა დემეტრაძე და სანდრო კაკულია, თავისი გმირების წყალობით, რომელთა სასიყვარულო ისტორია საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის მიუღებელი აღმოჩნდა, უცებ მოექცნენ ყურადღების ცენტრში და მათი ურთიერთობა განსჯის საგნად იქცა. ერთმანეთს პირველად სერიალ „ჩემი ცოლის დაქალების“ გადასაღებ მოედანზე შეხვდნენ. ეკა მუსკომედიის თეატრში თამაშობს, პროფესიონალი მსახიობია, სანდრო კი — არაპროფესიონალი, ამიტომ თავიდან სირთულეების ძალიან შეეშინდა, მაგრამ შიში ეკამ დააძლევინა. სანდროს უხერხულობას კიდევ ერთი რამ უქმნიდა — ის ეკას ქმრის, მსახიობ გიორგი ბოჭორიშვილის მეგობარია. ძმაკაცის ცოლთან სასიყვარულო სცენების თამაში კი არცთუ იოლი აღმოჩნდა მისთვის. როგორ დაიმსგავსა საკუთარი პერსონაჟი სანდრომ და რა ურთიერთობა ჩამოყალიბდა მასსა და ეკას შორის, ეკრანული წყვილი „სარკეს“ თავად უამბობს.

— როგორ დაიწყო სერიალის ახალი სეზონის გადაღებები?

სანდრო: ჩემთვის გადაღებები ჯერ არ დაწყებულა, რადგან ორი კვირით ეგვიპტეში მივდივარ დასასვენებლად. მთელი ზაფხული ვმუშაობდი და ერთი სული მაქვს, როდის დავისვენებ. სერიალში ოქტომბრის შუა რიცხვებამდე არ ვიქნები.

ეკა: იმედი მაქვს, რომ ახალ სეზონსაც იგივე და კიდევ მეტი წარმატება ექნება. ძალიან საინტერესოდ ვითარდება თითოეული პერსონაჟის ისტორია, მათ შორის — ჩემიც.

— გადასაღებ მოედანზე თქვენი პირველი შეხვედრა როგორი იყო?

სანდრო: ეკა ჩემი ძალიან ახლო მეგობრის ცოლია. მისი მეუღლე, გიორგი ბოჭორიშვილი, ჩემი ძმაკაცის ნათესავია და ჩვენც აქედან დავმეგობრდით. სანამ გიორგი ეკას მოიყვანდა ცოლად, ვიცოდი, რომ მის ცხოვრებაში ვიღაც გოგო იყო. მერე დაქორწინდა და ცოტა ხნით სამეგობროდან გაქრა. ეკა ჩემს წარმოდგენებში ამერიკელი გოგო იყო, რომელიც ჩემი საყვარელი მეგობრის ცოლი აღმოჩნდა.

ეკა: არ ვიცი, სანდროს წარმოსახვაში რა ხდებოდა, მაგრამ როცა მე და გიორგი დავქორწინდით, რაღაც პერიოდი ამერიკაში წავედით, შვილიც იქ გავაჩინე. დაახლოებით 6 თვე ამერიკაში ვცხოვრობდით. სანდრო აქ, გადასაღებ მოედანზე გავიცანი, მანამდე ერთმანეთს არ ვიცნობდით.

— როგორ გაიცანით ერთმანეთი?

სანდრო: დეტალებში არ მახსოვს. ეკა, შენ გახსოვს?

ეკა: კი, მახსოვს. ჩვენ სცენარს წინასწარ ვეცნობით და, როგორც ჩანს, სანდრომ სცენარი რომ წაიკითხა, დაიბნა, მსახიობი არ ვარ და ეს როლი სათამაშოდ რთულიაო. სწორედ მაშინ გავიცანი სანდროც.

სანდრო: მეგონა, რომ სასიყვარულო სცენის თამაში რთული იქნებოდა და მაგრად ვნერვიულობდი. ეკაც ჩემნაირად დაძაბული რომ ყოფილიყო, სერიალში მტრები ვიქნებოდით.

— სანდრო, ის ფაქტი, რომ ეკა თქვენი მეგობრის ცოლია, თამაშში გეხმარებათ თუ პირიქით, უხერხულობას გიქმნით?

სანდრო: თავიდან რაღაც მომენტებში მინდოდა, რომ გიორგისთვის ბოდიში მომეხადა. ახლა ეს განცდა აღარ მაქვს. ადრე ცოტა მერიდებოდა, მაგრამ, რადგან ეკა მსახიობია, ვიფიქრე, რომ ეს პრობლემა არ იქნებოდა, თან ქმარიც მსახიობი ჰყავს.

ეკა: სიმართლე გითხრათ, მუშაობის პროცესში ჩემთვის ახლობლობა, მეგობრობა არაფერს წყვეტს. მთავარია, ადამიანი საქმეს როგორ უდგება. ის ჩემი ქმრის ძმაკაცია თუ არა, ამას ნამდვილად არ აქვს მნიშვნელობა, რადგან ეს არაფერს ცვლის. მთავარია საქმისადმი დამოკიდებულება და პიროვნება რას როგორ აღიქვამს. სანდროსთვის ეს ყველაფერი უცხო იყო და შეიძლება რთულიც. ჩემთვის კი უხერხულობის მომენტი ნამდვილად არ ყოფილა. საინტერესოა, როცა სასიყვარულო ისტორიაა, ახალი პერსონაჟია, ახალ პარტნიორთან გიწევს მუშაობა. თან არამსახიობთან მუშაობის გამოცდილება არ მქონია, ამიტომ ეს ყველაფერი ძალიან საინტერესო აღმოჩნდა. სანდროსგან არც ერთ ეპიზოდში მიგრძვნია, რომ მსახიობი არ არის.

სანდრო: ეკა მოტივაციის ამაღლებაშიც ძალიან დამეხმარა. შეიძლებოდა რაღაცეები კარგად გამეკეთებინა, მაგრამ მე ვერ მივმხვდარიყავი, ეკა კი ამას მეუბნებოდა.

ეკა: „ბენებრივიც არის, რომ ჩემს გმირს სანდრიქსა შეუყვარდა, რადგან თავის ქმართან ნორმალური, ჯანსაღი ურთიერთობა არასოდეს ჰქონია. გამოჩნდა ადამიანი, რომელმაც აჩვენა და აგრძნობინა, რომ ქალია“.

სანდრო: „ბოლოს ჩემი გმირი ისეთი გახდა, როგორიც მე ვარ“.

შემდეგ გადაღებაზე უფრო თავისუფლად ვიყავი, რადგან ვიცოდი, თურმე რაღაცას სწორად ვაკეთებდი.

ასე მგონია, ეკას ძალიან დიდი ხანია ვიცნობ. კარგი ადამიანია და ვფიქრობ, რომ მის გარშემო ყველა ასე გრძნობს თავს. არაკომფორტულ ადამიანებს და სიტუაციებს ერიდება. ჩვენ დავმეგობრდით, რადგან მეც ასეთი ტიპაჟი ვარ, რაღაცეები ძალიან მძაბავს, რაღაცეები არ მესმის, ვერ ვიგებ და უცებ აღმოჩნდა, რომ ადამიანების და მოვლენების აღქმაში ერთნაირი აზრი გვაქვს.

ეკა: სანდროსთან ურთიერთობაში არანაირი დისკომფორტი არ მქონია. ძალიან ნიჭიერი ადამიანია, ჩემთვის აღმოჩენა იყო. საერთოდ მგონია, როცა ადამიანი ნიჭიერია, რასაც ხელს მოჰკიდებს, ყველაფერი გამოუვა. მიხარია, რომ ასეთი მეგობარი შევიძინე.

— სანდრო, ელოდით, რომ თქვენი გმირი საზოგადოებაში ასეთი ბოშულარული გახდებოდა და თქვენც სერიალში ამდენი ხანი დარჩებოდით?

სანდრო: არ ველოდი. მეგონა, რომ კინოს გადაღებები (ფილმი „ჩემი ცოლის დაქალის ქორწილი“) მხოლოდ ათი დღე იქნებოდა და ყველაფერი დამთავრდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ალბათ ჩვენი ისტორია ამ სეზონში დამთავრდება, თან ძალიან მაინტერესებს, როგორ. აქამდე ტექსტს რომ ვკითხულობდი, არ მაინტერესებდა, მოვლენები როგორ განვითარდებოდა, ახლა ასე აღარ არის. ვიღაცეებს არ სჯერათ, როცა ვეუბნები, რომ სცენარი წინასწარ არც მე ვიცი.

— რეალურ ცხოვრებაში თქვენი გმირის ადგილზე წარმოიდგენინათ თავი?

სანდრო: კი, რადგან ბოლოს ჩემი გმირი ისეთი გახდა, როგორიც მე ვარ. იმის გამო, რომ მსახიობი არ ვარ, შეიძლება რაღაცეებს ისე ვერ ვასრულებდი, როგორც თავიდან იყო ჩაფიქრებული, მერე ამ ყველაფრის ისე კეთება დავიწყე, როგორც ჩვეულებრივ შემთხვევაში მოვიქცეოდი. ამიტომ გმირიც შეიცვალა და ძალიან დამემსგავსა.

— კონკრეტულად ხომ ვერ გეუტყოდით, რითი დაიმსგავსეთ სანდრექსა?

სანდრო: რაღაცეების შეფასებებით, სიყვარულის ამბავშიც. ადრე, როცა მსგავსი ისტორიები ყოფილა, მეც ეგრე მოვქცეულვარ. ერთი სიტყვით, შეყვარებული ეგეთი ვარ. ამაზე ყველას ველაპარაკები და ყველგან განვიხილავ. მეგობრების აზრს რაც შეეხება, თუ საწინააღმდეგო აზრია, მნიშვნელოვანი არ არის, მაგრამ ვერ ვითმენ ხოლმე და სულ მინდა, მათ ველაპარაკო.

— ის თუ შეგიძლიათ დაუშვათ, რომ გათხოვილი ქალი შეგიყვარდეთ?

სანდრო: კი, რა პრობლემაა?! გათხოვილიც შეიძლება შეგიყვარდეს.

— ეკა, თქვენს გმირს, ნატაშკას, ქმარი ციხეში ჰყავს და სანდრექსასთან რომანი გააბა. თქვენთვის მისი საქციელი მისაღებია?

ეკა: ცხოვრებაში ყველაფერი ხდება, შეიძლება ნატაშკასნაირი ქმარი გყავდეს, მერე კი სხვა შეგიყვარდეს. ჩემი აზრით, ძალიან ბუნებრივიც არის, რომ სანდრექსა შეუყვარდა, რადგან თავის ქმართან ნორმალური, ჯანსაღი ურთიერთობა არასოდეს ჰქონია. გამოჩნდა ადამიანი, რომელმაც

Cyan Magenta Yellow Black

აჩვენა და აგრძნობინა, რომ ქალია... თუმცა რაც დრო გადის და ჩემი გმირის ისტორია ვითარდება, ჩემთვის უფრო და უფრო რთულდება თამაში, რადგან მსგავსი გამოცდილება არ მაქვს და წარმოდგენაც არ მინდა, ნატაშკასთვის ცხოვრება რამდენად რთულია. არ ვიცი, როგორ შეიძლება ადამიანმა ასეთ სიტუაციაში იარსებოს. ნატაშკა, საბოლოო ჯამში, ტრაგიკული პერსონაჟია.

საერთოდ, სხვის საქმეზე ლაპარაკი ყოველთვის მარტივია, მაგრამ როცა ასეთ სიტუაციაში ხარ, ორი შვილი გყავს, ბათუმში ცხოვრობ, დედა წასულია... ეს ყველაფერი მარტივი არ არის. თან

ეკა და სანდრო

ნატაშკამ სკოლა დაამთავრა თუ არა, მაშინვე გათხოვდა. რეალურად, ამ გოგოს თავისუფლების შეგრძნება ბევრად უფრო ნაკლებად აქვს, ვიდრე მე. გამიმართლა და ჩემს ცხოვრებაში უფრო მეტი ჯანსაღი ურთიერთობა მაქვს ნანახი, ვიდრე მას. ალბათ მისთვის ასეთი ნაბიჯების გადადგმა ისე ადვილი არ არის, როგორც ჩემთვის იქნებოდა.

— რეალურ ცხოვრებაში შეგხვედრიათ მოძალადე ქმრების მსხვერპლი ცოლები?

ეკა: უამრავი და მგონია, რომ პროცენტულად საქართველოში ეგეთი ოჯახები უფრო ბევრია, ვიდრე ჯანსაღი და ნორმალური ურთიერთობების მქონე. სხვათა შორის, ნატაშკას ქმარი რომ დაიჭირეს, ამან ძალიან დიდი აგრესია გამოიწვია ზუსტად იმიტომ, რომ ასეთები ძალიან ბევრნი არიან. ბევრი ნატაშკას ეთანხმება და ამბობს, დიახ, ასე უნდა მოიქცესო, ალბათ იმიტომ, რომ თავად განუცდიათ ეს ყველაფერი ან ვიღაც ძალიან ახლობელი ჰყავთ მსგავს სიტუაციაში. ბევრი ლანძღავს ნატაშკას, ფუ, ეს გათახსირებული, გარყვნილიო. ვინც ამას ამბობს, შეიძლება თვითონ არის იმავე სიტუაციაში, მსგავს ნაბიჯს ვერ დგამს და აგრესია უჩნდება.

სანდრო: ვინც ამბობს, რომ ასე არ უნდა იყოს, სინამდვილეში უნდა, რომ ასე მოიქცეს, მაგრამ ამის შესაძლებლობა არ აქვს. ამ დროს სწორი გამოსავალია სიტუაციიდან თავის დაღწევა და იმ ადამიანთან ერთად ყოფნა, ვისთანაც თავს კარგად იგრძნობ. ეს არის ის, რასაც წყალი არ გაუვა. უბრალოდ იმ გარემოში, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, ამის შესაძლებლობა არ არის. მოძალადე ცოლი რომ მყავდეს, მეც იგივენაირად მოვიქცეოდი, ქალს მოვძებნიდი, რომელთანაც უკეთესად ვიქნებოდი და ცოლს გავშორდებოდი.

— ფარულ რომანებზე რა აზრის ხართ? ეთანხმებით იმას, რომ სიყვარულს მალვა უნდა?

სანდრო: რაღაც ეტაპზე დამალული ურთიერთობები საინტერესოა.

— თქვენ დაგიმალავთ?

სანდრო: აბა, რა! რაღაცეები უნდა დამალო. ამ ქალაქში ასეა უკეთესი.

ეკა: ამ შემთხვევაში ნატაშკასაც და სანდრეასაც სხვა გამოსავალი არ აქვთ, უნდა დამალონ. საზოგადოების ნაწილი თუ ხარ, ის ნორმები უნდა მიიღო და დაიკმაყოფილო, რითიც ეს საზოგადოება ცხოვრობს.

— ეკა, ნატაშკა საუკეთესო დაქალებსაც უმალავს სანდრეასთან თავის ურთიერთობას. თქვენც გაგიკეთებიათ მსგავსი რამ?

ეკა: ყოველთვის დამიმალავს. მაგალითად, ჩემი გათხოვება ყველასთვის სიურპრიზი იყო, არავინ იცოდა, რომ ვინმეს ვხვდებოდი. გიორგისთან ურთიერთობას იმიტომ კი არ ვმალავდი,

სანდრო: „ზონიდან შემომითვალეს, პატიმრის ცოლს თავი დაანებე, „არ მოსულაო". თუ გიყვარს, რატომ არ მოსულა?! გინდ პატიმრის ცოლი იყოს, გინდ ინფინრის, რა მნიშვნელობა აქვს?! ახლა მე ქურდული წესების წინააღმდეგ ვილაშქრებ და ამას რომ წაიკითხავენ, ალბათ ჩამცხრილავენ".

რომ მრცხვენოდა ან დასამალი იყო, არა, უბრალოდ არ მინდოდა, ჩემი პირადი ყველას სცოდნოდა, დეტალურად მომეყოლა. დამალულ ურთიერთობას თავისი ხიბლი აქვს.

— ეკა, სერიალში თქვენი ქმარი გიორგიც არის დაკავებული ზაზას როლში. მის პერსონაჟსა და თავად მას შორის რაიმე მსგავსებას იჭერთ?

ეკა: არა, საერთოდ არაფერს, მათ შორის რადიკალური განსხვავებაა. ერთადერთი ეპიზოდი იყო — ტბაზე ძმაკაცები სათევზაოდ რომ წავიდნენ და ხურცილავას თავისი შვილი ჰყავდა წაყვანილი, მაშინ გიორგის ის ბავშვი ხელში რომ ეჭირა, იქ დავიჭირე ზაზასა და გიორგის შორის მსგავსება. გიორგი ძალიან კარგი მამაა, ის ბავშვსაც ისე და იმავე დოზით უვლიდა, როგორც მე.

— სანდრო, თქვენი მეუღლე თუ ეჭვიანობს სასიყვარულო სცენებზე? ის ხომ მსახიობი არ არის და შეიძლება რადაცეების გაგება გაუჭირდეს.

სანდრო: არა, საერთოდ არ ეჭვიანობს.

ეკა: სანდროს ცოლი და შვილი გადასაღებ მოედანზე გავიცანი.

— სანდრეასს მიმართ საზოგადოებისგან რა დამოკიდებულებას გრძნობთ?

სანდრო: სხვათა შორის, ზონიდან შემომითვალეს, პატიმრის ცოლს თავი დაანებე, „არ მოსულაო". ეს ალბათ ნახევრად ხუმრობით იყო, მაგრამ პატიმრის ცოლთან ურთიერთობა თურმე „არ მოსულა". თუ გიყვარს, რატომ არ მოსულა?! გინდ პატიმრის ცოლი იყოს და გინდ ინფინრის, რა მნიშვნელობა აქვს?! ახლა მე ქურდული წესების წინააღმდეგ ვილაშქრებ და ამას რომ წაიკითხავენ, ალბათ ჩამცხრილავენ.

— სანდრო, ეკა გადასაღები მოდენის გარეთ გისახავთ, მაგალითად, სპექტაკლში?

სანდრო: არა.

ეკა: ამ სეზონზე მოვა და ყველას ერთად ნახავს.

სანდრო: აბა, რა! ეკასთან სახლშიც დავიწყებ სიარულს და სპექტაკლებზეც.

✓ ეკა ლემონჯავა

ქართველი გოგონების თავგადასავალი ბნელი 90-იანებიდან — ისტორია, რომელიც გერმანელი სპონსორებისთვის უნივერსალური აღმოჩნდა

„გრძელი ნათელი დღეები" ოსკარზე წარდგენილი

ახალი ქართული ფილმი „გრძელი ნათელი დღეები" გასული საუკუნის 90-იანი წლების საქართველოს შავბნელ პერიოდს ეხება, რომელმაც სხვადასხვა ფორმით ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქის ცხოვრებაზე გარკვეული დაღი დატოვა. ქართველმა რეჟისორმა ნანა ექვთიმიშვილმა და მისმა გერმანელმა ქმარმა, რეჟისორმა სიმონ კროსმა, იმ წლების პრობლემები ორი თინეიჯერი გოგონას ბედში ასახეს. ეპოქა, რომელიც მათ ფილმშია გადმოცემული, თითქოს მარტო საქართველოში მცხოვრები ადამიანებისთვის უნდა ყოფილიყო გასაგები და ნაცნობი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ დანარჩენმა მსოფლიომაც გაითავისა და ადეკვატურად აღიქვა.

„გრძელი ნათელი დღეები" ბერლინის, ჰონგ კონგის, პარიზის და სხვა კინოფესტივალების გამარჯვებულია. პრიზების რაოდენობამ 20-ს გადააჭარბა. საქართველომ ეს ფილმი ოსკარზე ოფიციალურად წარადგინა და ინვარში გაირკვევა, ამერიკული კინოაკადემია საუკეთესო უცხოური ფილმის ნომინაციაში შეიყვანს თუ არა.

ნანა ექვთიმიშვილი გერმანიაში გასული საუკუნის 90-იანი წლების მიწურულს წავიდა. როგორც კი რეჟისორობა გადაწყვიტა, მაშინვე იცოდა, რომ პირველ ფილმს იმ პრობლემას მიუძღვნიდა, რაც მან თბილისში დატოვა. ფილ- →10

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

მის ბიუჯეტი 750 ათასი ევროა. მთავარი როლის შემსრულებლები ლიკა ბაბლუანი და მარიამ ბოკერია არიან. საერთაშორისო აღიარებებს მიჩვეული ფილმის რეჟისორი თბილისურ პრემიერაზე ყველაზე მეტად ნერვიულობდა. როდესაც დარბაზიდან ატირებული და გულდამძიმებული მაყურებელი გავიდა, რეჟისორმა ჩათვალა, რომ პრემიერამ წარმატებით ჩაიარა.

— ქალბატონო ნანა, წლებია გერმანიაში ცხოვრობთ. ალბათ იმ რეალობას გაექეცით, რაც მაშინ საქართველოში ხდებოდა.

— არაფერს გავქცევივარ, უბრალოდ მინდოდა, დამოუკიდებული ვყოფილიყავი. მაშინ ადამიანები დამოკიდებულნი იყვნენ იმ რეალობაზე, რომელშიც ცხოვრობდნენ.

— ემიგრაციაში ყოფნისას რა სიძნელეებს წააწყდით?

— საქართველოდან ისეთ პერიოდში წავედი, გერმანიაში არც სტუდენტობა გამიჭირდა და არც თავის შენახვა. ყველაზე დიდი გამოწვევა იყო, რომ ტოლერანტული გავმხდარიყავი. თუ ადამიანი შენგან განსხვავებულად ფიქრობს, არ ნიშნავს, რომ მასზე მეტი ან ნაკლები ხარ. ემიგრაციაში ამასთან გამკლავება გიწევს. საქართველოში ხშირ შემთხვევებში მასობრივი აზროვნების ნაწილი ხარ. მარტო ყოფნა და დამოუკიდებლობა დამეხმარა, ყველაფერი გვერდიდან დამენახა.

— როდის გავიჩნდათ იდეა, ფილმი გასული საუკუნის 90-იანი წლების ქართულ ყოფაზე გადაგეღოთ?

— სცენარის იდეა ჯერ კიდევ სწავლის პერიოდში გამიჩნდა. 2007 წელს კი საბოლოო სახე მივეცი და დაფინანსების და გადაღებების მომზადების ხანგრძლივი პროცესიც დაიწყო.

— ფილმის გმირები თქვენს შანაგან სამყაროსთან ახლოს არიან?

— ისინი გარეგნულად თუ ისტორიით ჩემთან ახლოს არიან. ორივე ჩემი ნაწილია, ორივესთან ვგრძნობ სიახლოვეს.

— ეს ფილმი გერმანულ-ქართული პროდუქტია. უცხოელები რატომ დაინტერესდნენ საქართველოს უახლოესი წარსულით?

— მათი ინტერესი სცენარმა გამოიწვია, რომლის სტრუქტურა გამართულია და ისტორიას კარგად გადმოსცემს. გერმანული მხარე მთავარი გმირების ისტორიით მოიხიბლა. ფილმი გერმანიის კულტურის ფონდმა დააფინანსა. ზოგადად ეს ფონდი მხოლოდ გერმანულ ენას და კულტურას აფინანსებს. ჩემი სცენარი არც გერმანულ ენაზე იყო და არც მათ კულტურაზე, მაგრამ ჩათვალეს, რომ ეს ამბავი, რომელიც ომიანობის პერიოდში სკოლის ორი მოსწავლის მეგობრობის ისტორიას მოგვითხრობს, უნივერსალურია. ამან განაპირობა, რომ სიმონ კროსს, გერმანელ რეჟისორს, ჩემთან თანამშრომლობის სურვილი გაუჩნდა. გერმანულმა და ფრანგულმა ფონდებმა ნდობა გამომიცხადეს.

— თინეიჯერ, გამოუცდელ გოგოსებთან მუშაობა რთული არ იყო? თანაც მათ ხომ ის წლები არ გამოუვლიათ.

— მსახიობებს დიდხანს ვეძებდით. მთავარი როლის შემსრულებელი, ლიკა ბაბლუანი, სკოლაში ვიპოვეთ, მარიამ ბოკერია — ქუჩაში.

არ არის აუცილებელი, მსახიობმა იმ პერიოდის ისტორია იცოდეს, რომელშიც მისი გმირი ცხოვრობს. მთავარია, საქმეზე იყოს კონცენტრირებული და მე ეს შევძელი. ორი თვის განმავლობაში ჩვენ ირგვლივ დრო გაჩერდა და 90-იან წლებში დავბრუნდით. მსახიობებს გარეგნობით და რაღაც კრიტერიუმით არ ვეძებდით, მთავარი მათი ბუნებრიობა იყო. მარიამს და ლიკას კი სწორედ ეს ჰქონდათ.

— როგორ გაიცანით მომავალი მეუღლე, რეჟისორი სიმონ კროსი?

— ჩემი და სიმონის საყვარულის ისტორია ბერლინში დაიწყო 2004 წელს. რამდენიმე წელია, რაც ოჯახი გვაქვს. შვილები არ გვყავს. სიმონი რომ გავიცანი, კინოაკადემიაში ვსწავლობდი, მას კი აკადემია ახალი დამთავრებული ჰქონდა. თავის სადებიუტო ფილმს აკეთებდა და ჩვენი პირველი თანამშრომლობა მაშინ შედგა. მე, სიმონმა და ჩვენმა მეგობარმა, შტეფან შტაბენოვმა, ერთად დავწერეთ სცენარი

■ ლიკა, ნანა და მარიამი

სიმონის სადებიუტო ფილმისთვის. სწორედ შტეფანმა დაამონტაჟა „გრძელი ნათელი დღეები“. მე და სიმონმა მოკლემეტრაჟიანი ფილმებიც გადავიღეთ ერთად და ასე მოვედით „გრძელ ნათელ დღეებამდე“. ფილმს ასევე ჰყავს რუმინელი ოპერატორი — ოლეგ მუტუ.

— ქმარს საქართველო როდის აჩვენეთ და რა შთაბეჭდილება დარჩა ჩვენს ქვეყანაზე?

— პირველად 2006 წელს ჩამოვიდა. საქართველოში მას ხიბლავს ადამიანები, ურთიერთობები, ქართველების დამოკიდებულება ცხოვრებისადმი. გადაღებების დროს თბილისში ბევრი ნაცნობი შეიძინა.

— ქართულადაც ხომ არ აალაპარაკეთ?

— ქართული ესმის, მაგრამ არ ლაპარაკობს.

— ორი რეჟისორი ერთ გადასაღებ მოედანზე — ეს არ ნიშნავს კამათს, უთანხმოებას?

— ჩვენ წინასწარ ვიცოდით, რა როგორ უნდა გადაგვეღო. ადამიანები მაშინ ჩხუბობენ, როცა პანიკური სიტუაციაა, რაღაც საკითხი იმ წუთში უნდა გადაჭრა და დიალოგისთვის დრო არ გაქვს. სიმონი კი გერმანული სიზუსტით გეგმავს ყველაფერს. მე, ჩემი ქართული ბუნებიდან გამომდინარე, ცოტა ქაოსური ვარ.

— 2014 წელს საქართველო თქვენი ფილმის წარდგენას აპირებს ოსკარზე. რისი მოლოდინი გაქვთ?

— იანვარში გადაწყდება, გავალთ თუ არა 5 ნომინირებულ ფილმში. ეს ძალიან ბევრ ფაქტორთანაა დაკავშირებული და ვნახოთ, რა იქნება.

— ელოდით ასეთ წარმატებას?

— გულწრფელად გეტყვით, რომ არ ველოდით. ბედს ნამდვილად არ ვუჩივით, რაც ჩავიფიქრეთ, ყველაფერი გამოვიდა.

❖ ❖ ❖

ქართველმა გოგონებმა, ლიკა ბაბლუანმა და მარიამ ბოკერიამ, ბევრი ქვეყანა მოიარეს რეჟისორთან ერთად და ბევრი პრიზიც აიღეს, მაგრამ ყველაზე მეტად საქართველოში გამართულ პრემიერაზე ღელავდნენ. ლიკა 14 წლის არის, მარიამი — 15-ის. გოგონებმა ფილმზე მუშაობით მიღებულ გამოცდილებაზე გვიამბეს.

მარიამ ბოკერია: როცა როლზე დამამატკიცეს, მივხვდი, რომ იმ დღიდან ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეიცვლებოდა. გადაღებები ძალიან საინტერესო და ამავე დროს შრომატევადი იყო. სანამ გადაღებები დაიწყებოდა, დიდი ხნის განმავლობაში ვემზადებოდით. ფილმმა დიდი წარმატება მოგვიტანა, ქუჩაში ხალხი გვცნობს.

— ლიკა, ცნობილ რეჟისორ თემურ ბაბლუანთან ნათესაური კავშირი ხომ არ გაქვთ?

ლიკა ბაბლუანი: ჩვენ ნათესავები ვართ, თემურ ბაბლუანი ბაბუაჩემის ბიძაშვილია. ჩემს სკოლაში ამ ფილმისთვის ეკას გმირს ეძებდნენ და მე ამირჩიეს. რომ დამირეკეს და მითხრეს, მთავარ როლზე აგიყვანეთო, ძალიან გამიხარდა. ჩემს ცხოვრებაშიც ბევრი რამ შეიცვალა.

— თქვენ და მარიამი ალბათ დამეგობრდით.

მარიამი: კი. ერთ-ერთ კასტინგზე ერთმანეთის გაცნობის სცენა უნდა გვეთამაშა. მერე როლები უნდა გაგვეცვალა, ის უნდა ყოფილიყო მარიამი და მე — ლიკა. ეს ყველაფერი იმდენად სახალისოდ მოხდა, რომ ადვილად დავმეგობრდით.

ლიკა: ყველა ქვეყნის კინოფესტივალიდან, სადაც ამ ფილმის პრემიერა შედგა, პრიზით წამოვედით. თბილისურ პრემიერაზე კი მაინც ყველაზე მეტად ვნერვიულობდით.

— იმ პერიოდზე, რომელიც ფილმშია ასახული, როგორი წარმოდგენა გქონდათ?

მარიამი: ისტორიიდან და მშობლებისგან ყველაფერი ვიცოდით. ოჯახის წევრები იმ პერიოდს კარგად არასდროს იხსენებენ. ყველა ქართველისთვის ის წლები მტკივნეულია. ამ ფილმით საშუალება მომეცა, გამეგო, რეალურად რა პირობებში უწევდა ხალხს ცხოვრება, ჩემი გმირი დგას პურის რიგში, გახდა მოტაცების მსხვერპლიც.

ლიკა: მაშინ სკოლის მოსწავლეს თუ მოიტაცებდნენ, ისინი თხოვდებოდნენ. დღეს სულ სხვა რეალობაა, ამ ასაკში ზუსტად ვიცი, რომ ოჯახს არავითარ შემთხვევაში არ შევქმნი.

— თქვენს პერსონაჟებთან საერთოს თუ ჰოულობთ?

მარიამი: ჩემი გმირი, ნათია, ძალიან თამამია, პრინციპში, მეც ასეთი ვარ. ის იმდენად გაბედულია, რომ შექმნა ოჯახი, მე კი ამ ასაკში ასეთ ნაბიჯს არ გადავდგამ. ჩემს გმირს ვადანაშაულებ, რომ მოტაცების შემდეგ იმ ბიჭთან დარჩა, გარკვეული შეხედულებების მსხვერპლი გახდა, სახელს და რეპუტაციას გაუფრთხილდა.

ნათიას ისტორია გულთან ძალიან ახლოს მივიტანე, მორალურად რაღაც გარდატეხა მოხდა ჩემში.

✓ ლანა კიკნაძე

Cyan Magenta Yellow Black

თამთა ლიპარტელიანის ოჯახს პატარა გოგონამ სიცოცხლე დაუბრუნა

„არ მეგონა, სხვისი ბავშვი თუ შეგვეგუებოდა, დედიკოს და მამიკოს დაგვიძახებდა“

■ ლეილა ასათიანი ნინოსთან ერთად

22 ივლისს ზუსტად 3 წელი გახდა, რაც ნორვეგიაში 32 წლის ტერორისტმა ანდრეს ბრეივიკმა 77 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. დაღუპულებში ქართველი გოგონა, 23 წლის თამთა ლიპარტელიანიც აღმოჩნდა.

ტრაგიკულად დაღუპული თამთას მშობლების ცხოვრებაში ერთადერთი შვილის დაკარგვიდან წელიწადნახევარში პატარა სხივი გაჩნდა. ქალბატონმა ლეილამ და ბატონმა ავთომ გოგონა, ნინო იშვილეს. ეს გადაწყვეტილება გულმოკლულმა მშობლებმა ბევრი თეთრად გათენებული ღამის და ცრემლიანი დღის გამოვლის შემდეგ მიიღეს. მათ ცხოვრებაში პატარა გოგონამ სწრაფად შეაბიჯა. 10 წლის ნინოს ბევრი არ უფიქრია, იმ დღესვე გაჰყვა ახალ მშობლებს. მას ახლა თამთას ოთახში სძინავს, მის ნივთებს იყენებს და დედ-მამას თავისდაუნებურად ეხმარება ტკივილის შემსუბუქებაში.

„სარკეს“ თამთას დედა, ლეილა ასათიანი ესაუბრა.

— ქალბატონო ლეილა, საკმაოდ გაბედული ნაბიჯი გადადგით, როცა შვილი აიყვანეთ. როგორ მიიღეთ ეს გადაწყვეტილება?

— მე და ჩემი მეუღლე სახლში სულ მარტოები დავრჩით. ვხედავდი, რომ ავთო ამას ვეღარ უძლებდა და შევთავაზე, ვინმე გვეშვილა. თურმე ის ჩემზე ნერვიულობდა. თუ ვინმეს მოვიყვანთ, ლეილა გულს გადააყოლებსო, ფიქრობდა და ამიტომაც დამთანხმდა.

ჩემს ბიძაშვილს ვთხოვე დახმარება. მას მეგობარი ჰყავს, რომელიც ლეჩხუმში სასწრაფო დახმარების სამსახურში ექთნად მუშაობს. ამ ქალს იმ წუთშივე უთქვამს, ერთი ოჯახი ვიცი, ბავშვებს დედა არ ჰყავთ, პატარა ძალიან გვეცოდება და, თუ ოჯახი დათანხმდება, მისთვისაც მადლი იქნებაო. ასე მარტივად მოხდა ეს ყველაფერი და დღეს ნინო გვყავს. ახლა 16 ოქტომბერს 11 წელი შეუსრულდება. ყველანაირად ძალიან კარგი ბავშვია. გვინდა, რომ ჩვენც კარგები ვიყოთ მისთვის და წელგამართული დავტოვოთო. ამისთვის ყველაფერს ვაკეთებთ და ვნახოთ.

პირველი წუთებიდან იმაზე ვფიქრობდი, თამთას სახელზე რაღაც ხომ უნდა გავაკეთოთ-მეთქი. შვილიშვილი ვერ გავზარდე, მე და ჩემი მეუღლე უფალმა ამას არ მოგვასწრო და ამას გავზრდით-მეთქი.

— 10 წელი არცთუ პატარა ასაკია. ამ დროს ბავშვს თითქმის ყველაფერი გაცნობიერებული აქვს, თავის გარემოს, ოჯახის წევრებს შეჩვეულია. თქვენთან ცხოვრებაზე როგორ დაითანხმეთ?

— ნინომ აქ წამოსვლის გადაწყვეტილება თავად მიიღო. პირველივე წუთებიდან, როცა ჩვენს ოჯახში შემოვიდა, არ დასტყობია, რომ უცხო იყო. თამთას სურათები დაათვალიერა, კითხვებიც დაგვისვა, არანაირი გაუცხოება არ უგრძვნია.

— თქვენთვის ეს ყველაფერი რთული არ იყო?

— კი, ჩვენთვის ძალიან რთული აღმოჩნდა. ეს ყველაფერი პირადად მე გაუცნობიერებლად გავაკეთე. როცა აზრზე მოვედი, ბავშვი უკვე სახლში იყო. როცა ნინოს სანახავად წავედი, მის პატრონს ვუთხარი, რომ თუ ბავშვს წავიყვანდით, ჩვენ უნდა გვეშვილა. ვთხოვე, გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ჩვენთვის დაერეკათ, მაგრამ ბავშვი მაშინვე წამოგვყვა. ნინო იმ დღესვე რომ არ წამოგვყოლოდა, სახლში რომ მივიდოდი და დავფიქრდებოდი, შეიძლებოდა ეს გადაწყვეტილება აღარ მიმეღო.

სხვათა შორის, ნინოს რომ ვეკითხები, ასე რატომ მოიქეცი, შენები რატომ დატოვე, ხომ იცოდი, რომ მათ დიდი ხნით ვერ ნახავდი-მეთქი, არ ვიცი, თქვენთან მინდოდაო, მეუბნება. შეიძლება იცის კიდეც, მაგრამ არ ამბობს.

— ნინოს ოჯახის წევრები როგორ შეხვდნენ ამ ფაქტს?

— ნინოს მამა, და-ძმა, მამიდა, ბიძა და მამიდაშვილები ჰყავს. მისი და მე-11 კლასშია, ძმა კი — მე-9-ში. თავიდან მამამ და ბიძამ უარი თქვეს, მაგრამ, რადგან თვითონ ბავშვს უნდოდა, გამოუშვეს. მამიდამ თქვა კიდეც, ნინოს რომ არ მოენდომებინა, ამას ჩვენ ვერ გავაკეთებდითო. ბავშვს ჩვენკენ გამოუწია გულმა.

— როგორი იყო პირველი დღე, როცა ნინომ თქვენს ცხოვრებაში შემოაბიჯა? ერთმანეთს ადვილად შეეჩვიეთ?

— კი, თავად ბავშვს არ ჰქონია პრობლემა. თვითონ დაგვასწრო ჩვენზე აწყობა, ვიდრე ჩვენ მასზე. პირველივე დღეს, როცა ვაჭამე, დავბანე, არ მორიდებია. პირადად მე თამთას შემდეგ ეს ყველაფერი გამიჭირდა და ჩემს მეუღლეს, ავთოსაც შეიძლება გაუჭირდა, მაგრამ არაფერს ამბობს.

როცა ნინო ვიშვილეთ, თამთა წელიწადნახევრის გარდაცვლილი მყავდა. ასეთ დროს ძალიან რთულია, სხვა ბავშვს უყურო, გაზარდო და ის მისცე, რაც თამთას სჭირდებოდა. ისე უნდა მოექცე, როგორც შვილს. ნინომ კი თავი ძალიან შეგვაყვარა, კარგი ბავშვია. სკოლიდან ათიანს რომ მოიტანს, იმ წუთშივე დღიურს მაჩვენებს, ძალიან უხარია. ისეთი ბავშვია, უკან გვიბრუნებს ენერგიას, რომელსაც მასზე ვხარჯავთ. ყველაზე მეტად ის მიხარია, რომ ზრდილობიანი და კეთილია. ჩემი შვილიც ასეთი იყო.

> „ისე არ გამიგოთ, რომ ნინო თამთას ჩრდილქვეშ იზრდება. თამთას თავისი ადგილი აქვს, ნინოს — თავისი“.

— თამთაზე უყვებით ხოლმე?

— თავიდან იცოდა ის, რაც ტელევიზიით გაშუქდა. ახლა კი თამთას ჩანაწერებს კითხულობს, რომელიც წიგნად გამოიცა, მის სურათებს ათვალიერებს. თამთას მეგობრები სახლში ხშირად მოდიან და მასზე უყვებიან. ჩვენც, რაც შეგვიძლია, ყველაფერს ვეუბნებით, მაგრამ ისე არ გამიგოთ, რომ ნინო თამთას ჩრდილქვეშ იზრდება. თამთას თავისი ადგილი აქვს, ნინოს — თავისი.

ნინო თამთას ორმა დაქალმა მონათლა. ჩემი შვილის საფლავზე ყოველდღე დავდივართ, იშვიათად, რომ დღე ჩავაგდოთ. ამ რიტმზე ვართ უკვე აწყობილი. ნინოს თუ ვერ წავიყვანთ, გული ძალიან სწყდება, მაგრამ სანთელს, საკმეველს უნთებს, ყველაფერს ხელიდან მაცლის, ლოცულობს კიდეც.

— თამთას ნივთებით სარგებლობს?

— თამთას სამკაულებს იკეთებს, ყველაფერს მოწიწებით ექცევა. ერთი სული აქვს, მისი ტანსაცმელი როდის მოერგება. მის ოთახში, მის საწოლზე სძინავს. თამთას მაგიდაზე უწყვია წიგნები, მისი კომპიუტერით სარგებლობს და ა.შ.

— ეს თქვენთვის გულის სიღრმეში მტკივნეული არაა?

— ერთი მხრივ, ეს მიხარია კიდეც, რადგან ზოგიერთ ბავშვს იმ ნივთებისთვის შეიძლება ხელი არც მოეკიდა. ამავე დროს სინანულის განცდაც მაქვს. ხომ შეიძლებოდა თამთაც მყოლოდა და ნინოც. თამთას ის მანამდეც სადმე რომ ენახა, გაჭირვებაში არ დატოვებდა. კარგი იქნებოდა, ორივე გვყოლოდა. მაინცდამაინც თამთა რომ უნდა მომკვდარიყო იმისათვის, რომ ნინო გვყოლოდა, ამას ვერ ვეგუები. ჩემი მეუღლეც ამბობს ხოლმე, ეს ბავშვი თამთას თვისებებს ამჟღავნებს, რაღაც აქვს მისეულიო. თუ რაიმე არსებობს, ასე მგონია, რომ ნინო თამთას მოყვანილია. სულ გვეფერება, გვკოცნის. მგონია, რომ თამთასგან არის. მართლა არ მეგონა, სხვისი ბავშვი თუ შეგვეგუებოდა, დედიკოს და მამიკოს დაგვიძახებდა და ჩვენც შვილივით მივილებდით და შევიყვარებდით.

— ალბათ ნინომ თქვენი ცხოვრება ცოტათი მაინც გაახალისა, არა?

— ეჰ, შვილო, ჩვენი ცხოვრება თამთასადმი დამოკიდებულებაში არ შეცვლილა, მაგრამ ახალი საზრუნავი გაგვიჩნდა. აქამდე თუ ვისხედით, ერთმანეთს ვუყურებდით და ვტიროდით, ახლა ასე აღარ არის. ბავშვთან ტირილს ვერიდებით. თუ ცრემლები წამსკდება, ნინო უცებ მოვა, კოცნას დამიწყებს, არ იტირო, თამთას არ გაუხარდებაო, მეტყვის ხოლმე.

— თამთას ბევრი რამ გაუკეთეთ, კარგი განათლება მიეცით, კარგად აღზარდეთ და დარწმუნებული ვარ, ნინოს შემთხვევაშიც ასე გამოგიყვათ, კარგი მოსწავლე ყოფილა.

— რაც თამთას შეეძლო, ამ ეტაპზე ნინოს იმას არ ვთხოვთ. ჩემმა შვილმა როგორც კი ენა აიდგა, იმ დღიდან „მასწავლე“-ს ამბობდა და ვასწავლიდით კიდეც. ნინოს კი წიგნთან მუშაობის ჩვევა არ ჰქონდა, ამ რეჟიმში არ იყო. თებერვლის შემდეგ რაც შევძელით, ის არის, რომ წიგნი შევაყვარეთ, რაღაც ხარვეზები, რაც ჰქონდა, გამოვასწორეთ. სხვათა შორის, ძალიან ნიჭიერი ბავშვია.

— თავიდანვე გოგოს აყვანა გინდოდათ?

— მე გოგო უფრო მინდოდა, რადგან გოგოს დედა ვიყავი. ჩემმა დისშვილმა თქვა, ერთხელ თამთას უთქვამს, რა იქნებოდა, ძმა რომ მყოლოდაო. ჩემს მეუღლესაც ბიჭი უნდოდა, მაგრამ მე გოგოს ვიყავი შეჩვეული და უარი ვთქვი, ამ სიბერეში ბიჭი სულ მთლად ახალი იქნება, ამას ვერ ვიზამ-მეთქი. ბიჭს მართლა ვერ აღვზრდიდი.

გვინდა, ნინო ძალიან წარმატებული და კარგი გოგო გაიზარდოს. ვნახოთ, შვილო, ამ სიბერეში რა გამოგვივა.

✓ ეკა ლემონჯავა

სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური პროგრამები. 2-დან 25 წლამდე!

3-5 სმ-ის მომატება კურსით. ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინების, ამინომჟავების კომპლექსით! ვარჯიშები, ზრდის ზონების გააქტიურებით. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს.

გახდომა-გასუქება თვეში 8-20 კგ-ით!

დიეტის და ვარჯიშის გარეშე მადის დარეგულირება, ცხიმების აქტიური წვა, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. მიღებული შედეგის შენარჩუნება მხოლოდ მცენარეული პრეპარატებით. შედეგები 100 %-იანია.

593-44-58-65. ექიმი. ჟალბატონი დეა

Cyan Magenta Yellow Black

„ინტერნეტით გაცნობილი კაცი, რომელმაც თავი შემაყვარა, ცოლშვილიანი აღმოჩნდა“

ვირტუალურ სამყაროს არ ენდოთ! იქ ადამიანები სულ სხვანაირები არიან. სოციალურმა ქსელებმა ბევრის რეალური სახე გამოაჩინა, ბევრს ახადა ნიღაბი, მაგრამ უმეტესობამ შესანიღბად კარგი საშუალება იპოვა.

დიდი ხანია ინტერნეტმომხმარებელი ვარ. ერთ დღეს კორპორატიული საღამო გვქონდა, ძალიან კარგი დრო ვატარეთ და იქ გადაღებული ფოტოები იმ დღესვე „ფეისბუქზე“ ავტვირთე. თანამშრომლები ერთმანეთს ვახსენებდით იმ წუთებს და ძალიან ვხალისობდით. მეორე დღეს უცნობმა მამაკაცმა ჩემი ფოტოები მოიწონა, მერე კი წერილიც გამომიგზავნა. უცნობების წერილებს არასოდეს ვპასუხობდი, მაგრამ მან ჩემს სამსახურზე მკითხა, მითხრა, ადრე მეც მან ვმუშაობდიო. ძველი თანამშრომლები დამისახელა, რომლებიც ზოგი კიდევ მუშაობდა, ზოგი — არა. მერე თავისი ისტორიები გაიხსენა, ბევრი სასაცილო რამ მომიყვა. ასე გავიცანი და სულ რამდენიმე დღეში კარგი მეგობრებივით ვლაპარაკობდით.

ის ადამიანი ყოველდღე მწერდა, ტელეფონით მირეკავდა. მერე კი შეხვედრებიც დავიწყეთ. თითქოს ჩემს ნაწილად იქცა, ძალიან შემიყვარდა. ერთ დღეს კი თვითონაც გამომიტყდა, რომ ვუყვარდი. ბედნიერებისგან მეცხრე ცაზე ვიყავი. მეგონა, ნამდვილი მეორე ნახევარი ვიპოვე. მეგობრები მეუბნებოდნენ, ასეთი გახარებული არასოდეს გვინახიხარო. ან სად მნახავდნენ, როცა პირველად შემიყვარდა, პირველად გამოვცადე ის ბედნიერება, რაც სიყვარულს მოაქვს?

ჩემი კოცნა რომ დააპირა, ავუხსენი, ჩემთან ვერ გაერთობოდა, მე ტრადიციულ ოჯახში ვიყავი გაზრდილი და ქორწინებამდე ურთიერთობები მიუღებლად მიმაჩნდა. მითხრა, შენზე სერიოზულად ვფიქრობ, ჩემი ქორწინების დროც მოვიდა და არც შენ ხარ პატარა, ამიტომ ოჯახის შექმნას წინ ვერაფერი აღუდგებაო. მის სიტყვებში ოდნავადაც არ შემპარვია ეჭვი. ახლაც არ ვიცი, ასე რამ დამაბრმავა, რატომ ვერ მივხვდი, რომ მატყუებდა.

მისი საყვარელი ისე გავხდი, ვერც გავაცნობიერე, რა ჩავიდინე. თავს მის საცოლედ ვთვლიდი და ეს დიდ დანაშაულად არც მიმაჩნდა. როცა ქორწილზე ჩამოვუგდე სიტყვა, ფულის არქონა მოიმიზეზა, რომ დედა ჰყავდა ავად და ჯერ მისთვის უნდა მიეხედა. ისეთ ისტორიებს თხზავდა, რომ მის სიტყვებში ეჭვი არ მეპარებოდა.

ერთ დღეს კაფეში ვისხედით, ვსაუბრობდით. უცებ ჩვენთან ვიღაც ქალი მოვიდა, ჩემი საყვარელი მამაკაცი გადაკოცნა და მოიკითხა, ცოლ-შვილი როგორ გყავსო. სახეზე აილეწა, ამ ქალს ხელი მოხვია და გვერდით გაიყვანა. არ ვიცი, რაზე ილაპარაკეს, მაგრამ ვხედავდი, როგორ იცინოდნენ. დაბრუნებისთანავე ვკითხე, რა ხდებოდა. მითხრა, არ მინდოდა, შენთვის მეთქვა, მე განქორწინებული ვარ, ყოფილ ცოლთან ორი შვილი მყავსო. შევახსენე, კარგად გავიგონე, იმ ქალმა ცოლ-შვილი რომ ახსენა და არა — ყოფილი ცოლი-მეთქი. მან კი თავდაჯერებულმა მითხრა, რა სისულელეა, მოგეჩვენაო. ყველა შეყვარებულს გონებაზე ბინდი აქვს გადაკრული და არც მე ვიყავი გამონაკლისი. ისევ დავიჯერე მისი ღამაზი ტყუილი. თუმცა ეჭვი გამიჩნდა, მერე თავში მისი საეჭვო საქციელი, ტელეფონზე ჩუმად ლაპარაკი ამომიტივტივდა და რაღაცეების გადამოწმება დავიწყე.

ერთ-ერთ თანამშრომელ გოგოს, რომელთანაც ძალიან ახლოს ვიყავი, ჩემი გასაჭირი გავუმხილე. გვერდით დამიდგა, ძველ თანამშრომელ მამაკაცს ჩემს საყვარელ კაცზე უთხრა, ხომ არ იცნობო. აღმოჩნდა, რომ ერთი პერიოდი ერთად მუშაობდნენ. მერე ჩემმა მეგობარმა შეპარვით ჰკითხა, როგორი კაცია, ერთ ჩემს ახლობელს ურიგებენ და მის შესახებ რაღაცეები მაინტერესებსო. ამ კაცს თურმე სახე შეეცვალა, ჰკითხა, როგორ თუ ურიგებენ, მას ცოლიც ჰყავს და შვილებიც, ამას წინათ ბავშვთა გასართობ ცენტრში ცოლ-შვილთან ერთად ვნახეო.

თანამშრომელი ჩემთან პირგამეხებული მოვიდა, ყველაფერი მიამბო. არავის ვურჩევ იმ სიმწარეს, რაც მაშინ განვიცადე. მგონია, რომ ჩემში რაღაც მოკვდა, აღარ არსებობს. აქამდე ვერ მოვიშორე შეგრძნება, რომ რაღაც მაკლია, თითქოს შიგნიდან გამოვცარიელდი. სიყვარული კი სიმართლის გაგებისთანავე, ერთ წამში გაქრა. ახლა მის მიმართ საშინელ სიძულვილს ვგრძნობ. თავს ვერ ვპატიობ, რომ ანკესს წამოვეგე და თავი მოვატყუებინე.

ვიცი, „სარკეს“ მთელი საქართველო კითხულობს. ოჯახი არ არის, სადაც თქვენს ჟურნალს ვერ ნახავ, ამიტომ მკითხველებს მივმართავ: ინტერნეტით გაცნობილ კაცებს ნუ მიენდობით! კარგად გაიცანით, მის სულს ჩასწვდით და მერე დაუახლოვდით. ნუ დაუყრით ღორებს მარგალიტებს!

„სარკის“ ერთგული მკითხველი

„შვილიშვილმა სახლიდან გამომაგდო“

ჩემმა რძალმა თავისნაირი შვილები გაზარდა — უგულო. თურმე მარტო იმაზე კი არ უნდა იფიქრო, როგორ შვილს ზრდი, როგორ ცოლს მოიყვანს, ეს ყოფილა მთავარი. კარგი რძალი შენს კარგ შვილს ცუდად აქცევს, ცუდ შვილს კი გამოასწორებს. ჩემი შვილის ცოლი კი საშინელი ადამიანი აღმოჩნდა. რაც ის შემოვიდა ჩვენს სახლში, ერთი წუთი არ ვყოფილვარ ბედნიერი. მიუხედავად იმისა, რომ სულ ჩემს გამწარებას ცდილობდა, მაინც ვუთმენდი. შვილიშვილები რომ გამიჩინა, მათზე გადავერთე. ორივეს თან ვყვებოდი, რას არ ვუკეთებდი, ისინი კი მაინც მეორე ბებიისკენ, დედის დედისკენ გარბოდნენ. არადა იმ ქალს წელიწადში ერთხელ თუ ნახავდნენ. ცივი ბებია იყო, შვილიშვილებისთვის არაფერი გაუკეთებია, მაგრამ ბავშვებს მაინც სულ მისი სახელი ეკარათ პირზე. ეს იმიტომ, რომ რძალი, დედაჩემი, დედაჩემიო, გაიძახოდა.

ოთხი წლის წინ ჩემს შვილს ინსულტი დაემართა, ამას დიაბეტი დაერთო და ფაქტობრივად ინვალიდია. მას არავინ არაფერს ეკითხება და მე დამიბრიყვეს. ჩემმა შვილიშვილმა ცოლი მოიყვანა და პატარძალმაც კი

ათვალწუნებით დამიწყო ცქერა. ერთხელ გამოპრანჭული მოვიდა, ჩანთა დადო თუ არა, საჭმლის კეთება დაიწყო. ვუთხარი, შვილო, ჯერ ტანსაცმელი გამოგეცვალა, სადილი რა საჭიროა-მეთქი. ეს რომ ვუთხარი, ისტერიკაში ჩავარდა, შენ ვინ გეკითხებაო. მერე ჩემი რძალიც გამოენთო, მე ხომ მომისპე ახალგაზრდობა, ახლა ჩემს რძალსაც არ დაგაბრიყვებინებო. არადა, გეფიცებით, ცუდი დედამთილი არასოდეს ვყოფილვარ, რძალზე ვიყავი გადაყო-

გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:
296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე
ან იზა ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.

თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:

1. **ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დაანკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაგეჭდეთ თქვენი ისტორია.**
2. **გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან.**
   1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.
3. **ელფოსტაზე:irmchedlidze@mail.ru**

ანონიმურობა დაცულია

Cyan Magenta Yellow Black

„მეგობარმა ჩემი ქმრისგან ბავშვი გააჩინა“

ასეთი ამბავი უნდა მოგიყვეთ, რომ გაოცდებით. მიხვდებით, რა უსაზღვროა ადამიანის ბოროტება. მეგობარმა, რომელიც საკუთარ დად მიმაჩნდა, მიღალატა. ჩემი ისტორიის მოყოლას ცოტა შორიდან დავიწყებ, რომ კარგად მიხვდეთ, როგორ ვიქეცი მსხვერპლად.

ერთი დაქალი მყავდა, რომელიც ბავშვობიდან ჩემ გვერდით იზრდებოდა. დედით ობოლი იყო, დედინაცვალი ზრდიდა, ამიტომ ჩემებს ძალიან ეცოდებოდათ და თბილად ექცეოდნენ. ზოგჯერ ჩვენთან რამდენიმე კვირაც დარჩენილა, გვერდიგვერდ საწოლში გვეძინა. მაშინ დედაჩემი მოსკოვში ხშირად დადიოდა მივლინებებზე და იქიდან უცხო რაღაცეები ჩამოჰქონდა. უყურადღებოდ არც ჩემს მეგობარს ტოვებდა, საჩუქრებს მისთვისაც ყიდულობდა. ამით იმის თქმა მინდა, რომ მისთვის ბევრი სიკეთე გვაქვს გაკეთებული.

ისე მოხდა, რომ მე შევქმენი ოჯახი, მან — ვერა. სწავლას, მერე მუშაობას გადაჰყვა და გაუთხოვარი დარჩა. მე კი ორი შვილი გავაჩინე. ის ოჯახის წევრივით მყავდა. ჩემი უფროსი ბიჭი ძალიან პატარა იყო, როცა ჩემს მეგობარს ეუბნებოდა, ნუ გეშინია, სიბერეში მე მოგივლიო. ამაზე ბევრს ვიცინოდით ხოლმე. ჩემს ქმართან მეგობრობდა, მეგონა, რომ და-ძმასავით იყვნენ, მაგრამ...

40 წელს რომ მიუკაკუნა, შევუჩნდი, თუ არ თხოვდები, შვილი მაინც გააჩინე, პატრონი გეყოლება-მეთქი. ერთ დღეს გამიმხილა, რომ ორსულად იყო. მამის ვინაობა რომ ვიკითხე, მითხრა, ჩემი თანამშრომელია, მასთან სულ რამდენჯერმე მქონდა კავშირი, ცოლშვილიანია და მის სახელს არასოდეს ვიტყვი, ჩემთვის მთავარი შვილი იყო და ის კაცი არ მაინტერესებსო. მისი ნათქვამი დამაჯერებლად ულერდა.

გვერდით ამოვუდექი, ოჯახის წევრებმა მისი გაკიცხვა რომ დაიწყეს, მფარველად დავუდექი. ყველასგან დავიცავი, ვამბობდი, ეს ყველაფერი შვილისთვის გაკეთა, თქვენ კი უფლება არ გაქვთ, ასე



განიკითხოთ-მეთქი. სამშობიაროდან რომ გამოვიდა, ჩემი შვილების ტანსაცმელი, ნივთები, საწოლიც კი მივუტანე. ახლა ამაზე მწარედ მეცინება...

ჩემი და მას ვერასოდეს იტანდა, რაღაცნაირად ათვალწუნებული ჰყავდა. მისი ორსულობის შესახებ რომ გაიგო, სულ გადაირია. მეკითხებოდა, ჩაეძიე, გაიგე, ბავშვს ვისგან ელოდებაო. დის ასეთი საქციელი ძალიან მაღიზიანებდა და სულ ვეჩხუბებოდი. მის ბავშვზე რომ დავიწყე ზრუნვა, ჩემი და სულ გაგიჟდა. ერთხელაც მეგობრის შვილის სახელი რომ ვახსენე, პირდაპირ მომახალა, დროა, თვალები გაახილო, მგონი, ეგ ბავშვი შენი ქმრის შვილიაო. მახსოვს, იმ მომენტში როგორ გავქვავდი. იმ შეგრძნებას, რაც მაშინ განვიცადე, ვერაფრით გადმოგცემთ! ჩემმა დამ დივანზე დამსვა და მითხრა, შენს ქმარს იმ ქალის სახლთან ხშირად ხედავენ, დიდი ხანია ეჭვი მაქვს, რომ საყვარლები არიანო. თითქოს გონება გამინათდა, ჩვენი ურთიერთობის ეპიზოდები სურათებივით ერთიმეორის მიყოლებით დალაგდა და მივხვდი, რომ სიმართლეს მეუბნებოდა.

ჩვენს ოჯახში დიდი სკანდალი მოხდა. ქმარს ვეუბნებოდი, რომ სახლიდან წასულიყო. იმ მომენტში მისი პატიება არ შემეძლო. მართლაც წავიდა, მაგრამ, საბედნიეროდ, დედასთან და არა — იმ ქალთან. ამით მაგრძნობინა, რომ მის ცხოვრებაში მთავარი ქალი და სიყვარული მე ვიყავი, ის კი ცდუნება და ერთი დიდი შეცდომა იყო. ქმარმა დამიმტკიცა, რომ ძალიან ვუყვარვარ. მას შეეძლო, როცა სახლიდან გავაგდე, საყვარელთან ეპოვა თავშესაფარი, მაგრამ ასე არ მოიქცა. გამოაცხადა, მთელი ცხოვრება რომ დამჭირდეს ლოდინი, დაგელოდები, შენ გარდა, არავინ მჭირდებაო.

ქმარს შევურიგდი. მეგობრის აჩრდილი მუდამ დაგვყვება, მაგრამ ამასაც თითქოს შევეჩვიე. მის ბავშვსაც ვნახულობთ, ჩემს დედამთილს მოჰყავს და მერე ისევ მიჰყავს ხოლმე. ჩემთვის ადვილი არ არის ამის გაკეთება, მაგრამ ისეც ვერ მოვიქცევი, რომ ჩემს შვილებს ძმასთან კავშირი არ ჰქონდეთ, ჩემმა ქმარმაც პასუხისმგებლობა უნდა იგრძნოს მის წინაშე. თანაც ბავშვს არაფერი დაუშავებია. ის რომ გაჩენილიყო, ამაში რაღაც წვლილი მეც შევიტანე, დედამისს მე ვაძალებდი, შვილზე ეფიქრა. ასე რომ, სხვა გზა არ მაქვს, ბედს უნდა შევეგუო.

დაბოლოს, მინდა, დიდი მადლობა გადაგიხადოთ იმისთვის, რომ ჩემი ისტორიის მოყოლის საშუალება მომეცით.

„სარკის“ ერთგული მკითხველი

გამოხმაურება

„მიჭერს ნუ მოერიდემი, უთხარი, რომ მათ მალე და ან ძმა ეყოლებათ“

„სარკის“ 38-ე ნომერში გამოქვეყნდა წერილი — „საცოლე შვილებს ვერ ვუმხელ, რომ ორსულად ვარ“. მის ავტორი მინდა, ვურჩიო, ამაში მოსარიდებელი არაფერია, გირჩევთ, ბიჭებს უთხრათ, რომ მათ მალე და ან ძმა ეყოლებათ. დარწმუნებული იყავით, რომ ძალიან გაუხარდებათ.

ჩემი ბიჭი 23 წლის იყო, როცა დავორსულდი. ამ ამბავს სიხარულით შეხვდა. ჩემი და ჩემი ქმრის ბედნიერება გაიზიარა. ასე რომ, თქვენს ბიჭებს ნამდვილად დიდ საჩუქარს უკეთებთ. მერწმუნეთ, ისეთ სიხარულს სხვა არაფერი განაცდევინებთ, როგორც დედმამიშვილის დაბადებაა.

„სარკის“ მკითხველი

ლილი, არაფერს ვაკლებდი. არ ვიცი, რატომ თვლის, რომ ცხოვრება გავუმწარე, ვფიქრობ, რომ მისთვის მხოლოდ სიკეთე ვაკეთე...

ჩემს შვილიშვილს დედამ და რძალმა ენა მიუტანეს, რომ თურმე მე საშინლად მოვიქეცი. ის კი დამეტაკა და გამომლანძღა. მერე მამიდამისს დაურეკა, მოდი და დედაშენი დააბი, ოჯახს მირევსო. ჩემი გოგონა მაშინვე მოვარდა და თავის ძმისშვილს უთხრა, ჯერ შენ დააბი დედაშენი, მერე ჩემს დედიკოს მივხედავო. ჩემმა ქალიშვილმა ჩანთები ჩამილაგა და თავის სახლში წამიყვანა. გზაში ბავშვივით ვტიროდი. იმის ღირსი ნამდვილად არ ვიყავი, რომ შვილიშვილს ძაღლივით გამოვეგდე.

ქალიშვილი და მის ქმარ-შვილი არაფერს მაკლებენ, ცალკე ოთახი გამომიყვეს, სადაც ჩემთვის ვარ, არავინ მაწუხებს, მხოლოდ მეფერებიან, მაგრამ ვერ ვისვენებ. ჩემი ნაწვალები სახლიდან რატომ უნდა გამოვეგდე ვინმეს? რატომ უნდა ვცხოვრობდე ჩემი მძახლების ნაყიდ სახლში? ქალიშვილისთვის მზითევიც კი არ მიმიცია, ყველაფერი ჩემი ვაჟისთვის და მისი ცოლ-შვილისთვის მინდოდა. ახლა კი ჩემს გოგონას დავაწვე სარჩენად? რატომ?

ამას წინათ ქალიშვილს გავეპარე და ჩემს სახლში დავბრუნდი. გამოვაცხადე, რადგან გამაგდეთ, რაღაცეების წასაღებად მოვედი-მეთქი. გამოვაღე კარადა და ვერცხლის დანა-ჩანგალი გამოვიღე, ვინც მომივლის, იმათ მივცემ-მეთქი. უფროსი შვილიშვილი დამეტაკა, ახლა იმდენს იზამ, მაგ ჩანგლებზე წამოგაგებ, შე მათხოვაროო. არ შევეპუებოდი, მაგრამ ჩემი შვილი შემეცოდა. კარგად ვერ ლაპარაკობს და რაღაცის ღმუილი დაიწყო. დავამშვიდე, ვუთხარი, ამ დღეში აღარ ჩაგაგდებ-მეთქი და გამოვეცალე.

ჩემს რძალს და მის პატარძალს ჯერ უხარიათ, მაგრამ ზუსტად ვიცი, ეს სიცილი პირზე შეახმებათ. ის უგულო ბიჭი არც კარგი ქმარი იქნება და არც — კარგი შვილი. ცოტა ხანში მათაც ისევე მოექცევა, როგორც მე მომექცა. ამას ღმერთი აუცილებლად მომასწრებს და მერე თვითონ გამოცდიან, ახლა მე რასაც ვგრძნობ.

თქვენი მკითხველი

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

ციცინო კობიაშვილი: „ჯაბას ცოლმა ქმრის ფასი კარგად უნდა იცოდეს!“

ჯაბა კილაძე რეჟისორ დედას როლებზე უარს ეუბნება

როცა მსახიობი ჯაბა კილაძე ახალ როლზე მუშაობს, რეჟისორი დედის, ციცინო კობიაშვილის აზრს ყველაზე მეტად ენდობა, თავის პერსონაჟს, მის ხასიათს დედასთან ერთად არჩევს. მაგრამ ერთი უცნაურობაც ახასიათებს — არასოდეს თანხმდება მის სპექტაკლებში მონაწილეობაზე და თავადაც ვერ აუხსნია, რატომ.

ციცინო კობიაშვილმა და მისმა მეუღლემ, მსახიობმა თემურ კილაძემ, ჯაბა თეატრის კულისებში გაზარდეს. პატარა იყო, როცა ჩოხაში გამოაწყვეს და სცენაზე უფლისწული ათამაშეს. მერე იყო ფეხბურთით გატაცება, მაგრამ საბოლოოდ მაინც თეატრს დაუბრუნდა. მსახიობობა ბედია და არა — პროფესიაო, გვითხრა ქალბატონმა ციცინომ. ამიტომ არ გაჰკვირვებია თავისი შვილის არჩევანი.

— ქალბატონო ციცინო, ჯაბა როგორი ბავშვი იყო, როგორ გაიარა მისმა გარდატეხის წლებმა?

ციცინო: არც გამიგია, იმ წლებმა ისე გაიარა. მასთან ურთიერთობაში დიდი სირთულეები არ შემხვედრია. მე და ჩემს ქმარს ჯაბა ყოველთვის ყურადღების ქვეშ გვყავდა. ისეთ უბანში გაიზარდა, რომ კონტროლი სჭირდებოდა. შვილს რაღაც მომენტში უნდა ენდო კიდეც, მით უმეტეს, ბიჭს. თუ ის

ციცინო: „ჰატარა ჯაბას ჯელისებიდან აჩვენებდნენ ჩემს თავს და ბღაოდა. მეხე ფეხი აიდგა და იჭერდნენ, სცენაზე რომ არ ამოვარდნილიყო“.

გრძნობს, რომ არ ენდობი, უარესს იზამს. ვერ გეტყვით, სკოლაში ფრიადებზე სწავლობდამეთქი, მაგრამ წიგნების კითხვა ყოველთვის უყვარდა. ტექნიკურ საგნებში მოიკოჭლებდა, მაგრამ მასწავლებლებს ძალიან უყვარდათ.

— მსახიობობა ბავშვობიდანვე გადაწყვიტა?

ციცინო: არა, მეათე კლასში იყო, როცა თქვა, მსახიობობა მინდაო. თეატრში გაიზარდა. თვეების იყო, როცა თეატრში ჩვენს კოლეგებს ხელში ეჭირათ, მე და თემური კი სცენაზე ვიდექით. ჯაბას კულისებიდან აჩვენებდნენ ჩემს თავს და ეს ბღაოდა. მერე ფეხი აიდგა და იჭერდნენ, სცენაზე რომ არ ამოვარდნილიყო. ცოტა რომ წამოიზარდა, მედიკო კუჭუხიძემ სპექტაკლში „საქართველოს უკანასკნელი დედოფალი“ უფლისწული ჯიბრაილი ათამაშა. ჩოხაში გამოწყობილი იდგა სცენაზე და ორ მეფურ სიტყვას ამბობდა. შემდეგ აღმოჩ-

ციცინო: „შვილის მიმართ ძალიან ობიექტური ვარ, ამიტომ ყველაზე მეტად ჩემი შიში აქვს. არ ახსებობს, ტყუილი ვუთხრა“.

ნდა, რომ თეატრი აღარ უნდოდა, ფეხბურთით იყო გატაცებული, მაგრამ მუხლზე ტრავმა მიიღო და ამის გამო გული აიცრუა.

— როცა გამოაცხადა, მსახიობობა მინდაო, სიხარულით შეხვდით მის გადაწყვეტილებას თუ პირიქით?

ციცინო: რა უნდა გვეთქვა? მის გადაწყვეტილებას ყოველთვის ანგარიშს ვუწევდით. ჯაბასთან მხოლოდ დედაშვილური დამოკიდებულება არასოდეს მქონია, მასთან ვმეგობრობ. ამის მიუხედავად, ზღვარი არასოდეს დაგვირღვევია. ყოველთვის იცოდა, რომ რაღაცის იქით ვერ წავიდოდა. პატარაობაში, როცა რაღაცას აფუჭებდა, ხშირად მეუბნებოდა, დედა, გეხვეწები, მამას არ უთხრაო, მე კი ვპასუხობდი, შანსი არ არის, აუცილებლად ვეტყვი-მეთქი. როგორც კი ქმარი მოვიდოდა, მაშინვე ვუყვებოდი, მერე ჯაბა გაჰყავდა და უჩემოდ გრძელდებოდა კაცური გარჩევა. ჯაბამ ყოველთვის კარგად იცის, რომ ქმარს არაფერს დავუმალავ და მის საიდუმლოს არ შევინახავ.

ჯაბას დღემდე აქვს ჩვენი რიდი. კარგი ადამიანი დადგა. მასთან ინტერვიუებს რომ ვკითხულობ, ვამბობ ხოლმე, ყველაფერი ღირდა იმად, რომ ასეთი შვილი გაგვეზარდა-მეთქი.

გარდატეხის ასაკი რომ ჰქონდა, ჩემს ქმარს, თემურს, ინგლისში მოუწია წასვლა. ამას ისე განვიცდიდი, ვერ გადმოგცემთ. ჯაბას უხაროდა, მამა ინგლისში რომ მიდიოდა, მაგრამ თემური იქ ვერ გაჩერდა და ერთ თვეში უკან ჩამოვიდა. ვიდრე დაბრუნდებოდა, ფაქტობრივად დავბერდი, ისეთ დღეში ვიყავი.

— ჯაბა, ფეხბურთისთვის თავის დანებების შემდეგ აღმოაჩინეთ, რომ მსახიობობა გინდოდათ თუ მანამდეც ფიქრობდით ამაზე?

ჯაბა: ადამიანზე ძალიან მოქმედებს ატმოსფერო. მე კი გავიზარდე სახლში, სადაც, თეატრის გარდა, არაფერზე საუბრობდნენ. სულ ვხედავდი, რომ ან ერთი ემზადებოდა სპექტაკლისთვის, ან მეორე. დედასთან სულ აბიტურიენტები მოდიოდნენ. მშობლები ვერავისთან რომ ვერ მტოვებდნენ, მეც თეატრში მივყავდი. როგორ შეიძლებოდა ამ ფაქტს ჩემზე არ ემოქმედა და მსახიობობა არ მომდომებოდა? ფეხბურთი კი მიყვარდა, მაგრამ იმ დონეზე ვერ ვთამაშობდი, რომ გუნდში ვყოფილიყავი. მე კი საკუთარი თავის მიმართ კრიტიკული ვარ. მირჩევნია, ყოველთვის ის ვაკეთო, რაც გამომდის.

— ქალბატონო ციცინო, შვილიშვილმა — ჯაბას ვოვონამ რომ გითხრათ, მსახიობი უნდა გამოვიდეო, რა რეაქცია გექნებათ?

ციცინო: ამაზე ასე გიპასუხებთ: მსახიობობა ბედია და არა — პროფესია.

ჯაბა: შვილს არჩევანი არასოდეს უნდა შეუზღუდო. შეიძლება აუხსნა, ინფორმაცია მიაწოდო, მაგრამ უხეშად არ უნდა ჩაერიო. ბევრჯერ მსმენია, მშობლებმა დამღუპეს და სადღაც ჩამაბარებინესო. დედაჩემსაც ჩააბარებინეს მუსიკალურ სასწავლებელში, მაგრამ გამოიპარა და ჩუმად თეატრალურში ჩააბარა. ასეთი დესპოტური აღზრდის მეთოდები კომუნისტების დროიდანაა შემორჩენილი. ჩემმა შვილმა, ლიზამ, თეატრალურში სწავლა რომ მოინდომოს, მაქსიმალურ ინფორმაციას მივაწვდი და არჩევანი თავად გააკეთოს.

ციცინო: ლიზა არტისტული, საინტერესო ადამიანია.

ჯაბა: მსახიობობა დაუფასებელი პროფესიაა, მიუხედავად ამისა, თეატრალური ქვეყანა ვართ და ვერ ვიტყვი, რომ სადმე სხვაგან ამ დონეზე უყვართ და ესმით თეატრი. ბევრი ევროპული სპექტაკლი მაქვს ნანახი, მათ ჰგონიათ, რომ ყველაზე მაგარია, მაგრამ ქართული სპექტაკლები საზღვარგარეთ დიდ წარმატებას აღწევს.

კარგი იქნება, თუ ამ პროფესიას ცოტა მეტად დააფასებენ. ზოგ მსახიობს იქამდე ვერ ცნობს ხალხი, ვიდრე სერიალში არ გადაიღებენ. ზოგს კატეგორიულად არ უნდა სერიალებში თამაში და ასეთები გარშემოც მყავს. ძალიან ბევრ რამეზე მეც უარს ვიტყოდი, უბრალოდ თეატრში არ არის იმხელა ხელფასი, რომელიც მეყოფა, ამიტომ იძულებული ვარ, ათას სისულელეს დავთანხმდე.

ციცინო: შენ სისულელეებს არ თანხმდები!

ჯაბა: რამდენ სისულელეზე ვარ დათანხმებული, არ ჩამოვთვლი. ჩემი თაობა ვალდებულია, რაღაცეები უკეთესობისკენ

ჯაბა: „ზოგ მსახიობს იქამდე ვერ ცნობს ხალხი, ვიდრე სერიალში არ გადაიღებენ. ძალიან ბევრ რამეზე მეც უარს ვიტყოდი, უბრალოდ თეატრში არ არის იმხელა ხელფასი, რომელიც მეყოფა, ამიტომ იძულებული ვარ, ათას სისულელეს დავთანხმდე“.

შეცვალოს. ჯერ კიდევ ჩვენი პრეზიდენტი ჩარეცხილებს, ინტელიგენციას რომ დაერია, ძირითადი დარტყმა თეატრალურმა სამყარომ მიიღო. მის კრახში ამან ძალიან დიდი როლი ითამაშა. ის იმ ხალხის წინააღმდეგ წავიდა, ვის წინააღმდეგაც არ უნდა წასულიყო. მიშას მთავრობის უმეტესი ნაწილი თეატრში არ იყო ნამყოფი და რა უნდა ელაპარაკო ასეთ ხალხს! არ მინდა, ისე გამოვიდეს, რომ ვიღაცას ვაფეტიშებ, მაგრამ ბიძინა ივანიშვილი აფასებს ამ სფეროს. ის მსახიობებს ყოველთვის ეხმარებოდა.

— მისი ფონდიდან ხელფასს თქვენც იღებდით?

ჯაბა: კი და ამას თეატრალური დახმარება ჰქვია. ამ ადამიანმა აღადგინა და გაარემონტა თეატრები და ისეთი აპარატურა შეიტანა, რომ გულს უხარია.

ციცინო: ადრე კი სცენას მხოლოდ ორი ნათურა ანათებდა.

ჯაბა: სამწუხაროდ, ბევრი ისეთი თე-

Cyan Magenta Yellow Black

ალექსიშვილის კლინიკა

ხერხემლისა და სახსრების დაავადებების მკურნალობა უსწრაფესი ეფექტით

ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის თიაქარი) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები) პოდაგრა, სქოლიოზი – აი, იმ დაავადებების არასრული სია, რომლებსაც ექიმი მანანა ალექსიშვილი უსწრაფესი ეფექტით მკურნალობს. მას მკურნალობის საკუთარი, უნიკალური მეთოდი აქვს, რომლითაც მინიმალურ ვადებში იღებს საოცარ ეფექტს და უამრავ იმედგადაწურულ ავადმყოფს უბრუნებს სიცოცხლის ხალისს.

რეზო ხარშილაძე, *54 წლის (ეკონომისტი. თბილისი).*

დიაგნოზი: დისკოგენური (L4-5 – S1) იშიო-რადიკულიტი. შარშან სიმძიმის აწევისას დამეწყო წელის ძლიერი ტკივილი. ექიმთან ვიმკურნალე და მალე გამიარა. წელს ისევ დავიტვირთე და გამიმეორა, ოღონდ, ფეხიც ჩაითრია და არანაირმა მკურნალობამ აღარ მიშველა. შემდეგ გამიშვეს კომპიუტერულ გამოკვლევაზე. 2 დისკის ამოვარდნა დამიდგინდა და ოპერაცია მირჩიეს. ამ კლინიკაში ნათესავმა მომიყვანა მწვავე ტკივილებით...

ბევრი რომ არ ვილაპარაკო, იქიდან გამოსულმა უკვე შვება ვიგრძენი. ღამითაც კარგად მეძინა და დილითაც უკეთ ავდექი. 3 დღეში ტკივილები მომეხსნა. მკურნალობას განვაგრძობ – ძალიან კმაყოფილი ვარ.

ნანა თოლორაია, *52 წლის (პედაგოგი. თბილისი).*

დიაგნოზი: მარჯვენა გონართროზი – II-III ხარისხის. რამდენიმე წლის წინ ავარიაში მოვყევი, მუხლი დავიზიანე და ოპერაცია დამჭირდა... შემდეგ ტკივილმა ნელ-ნელა მიმატა და მოძრაობა შემეზღუდა. 6-7 თვეა, ხელჯოხით დავდივარ, რადგან, ვერანაირი მკურნალობით ვერ მოვიხსენი ტკივილი, სად აღარ ვიყავი...

თქვენი ჟურნალის მეშვეობით მოვაგენი „ალექსიშვილის კლინიკას.“ პირველივე პროცედურაზე არნახული შედეგი მივიღე: მეორე დღესვე გადავაგდე ჯოხი (რაც ასე მთრგუნავდა), შესიება დაცხრა, თავისუფლად გავიმართე. მადლობა – ვის? „ალექსიშვილის კლინიკას“ *(იცინის).* ღმერთმა დაგლოცოთ!

ბუასილი მარტივად იკურნება

მტკივნეული კვანძები, წვა, ქავილი, სისხლდენა, ნაპრალი, კოლიტი, დისბაქტერიოზი – ეს ის პრობლემებია, როდესაც პაციენტი უხერხულობის გამო ექიმთან მისვლას ერიდება, დაავადება კი უფრო მძიმდება და საქმე ქირურგიულ ჩარევამდე მიდის. გამოსავალი არსებობს – ბუასილი იკურნება ალექსიშვილის კლინიკაში, თანაც, მარტივად, სწრაფად და ყოველგვარი ქირურგიული ჩარევის გარეშე!

თამაზ მინდაძე *(45 წლის. თბილისი).* რვა წელი ვიტანჯებოდი ამ დაავადებით. ხელოსანი კაცი ვარ, დურგალი. ბოლოს ისე გამამწარა, მუშაობაც აღარ შემეძლო. დიდი ხანია, მაწუხებდა კუჭ-ნაწლავის პრობლემები, ქოლეცისტიტი, გასტრიტი, შეკრულობა. ამან გამოინვია ნახეთქის (ნაპრალის) გაჩენა (ეს გასინჯვით დამიდგინდა). საშინელი ტკივილებით მოვედი მანანა ექიმთან, გამაყუჩებლებიც აღარ მშველოდა. ასევე, მქონდა სისხლდენაც. ნავიღე მალამოები და... სასწაულის ტოლფასი იყო ის, რაც მოხდა – ტკივილები იმავე საღამოს გამიჩერდა. პირველმა კურსმა ყველა ჩივილი მომიხსნა, კუჭ-ნაწლავიც გამომისწორდა. ახლა ეს თაიგული ქალბატონ მანანას მოვართვი *(იცინის)* მადლიერების ნიშნად – ამისთვის შემოვირბინე.

სვეტა მარშანია *(57 წლის. ზუგდიდი).* ჩემმა ექიმმა გაიხაროს, მაინცდამაინც. მისი ოჯახი აშენდა! საოპერაციოდ მამზადებდნენ. მქონდა დიდი ზომის კვანძები, დისბაქტერიოზი, ტკივილები, წვა, ქავილი და რა ვიცი... საჭმელს აღარ ვჭამდი შიშით. ღომი რა არის, ღომი და, იმასაც ვეღარ ვინელებდი. ეს ბოლო იმედი იყო და გაამართლა. 2 კურსი მიმთავრდება ხვალ. საათივით მუშაობს ჩემი კუჭ-ნაწლავი, არანაირი ტკივილი და სისხლდენა, ყველაფერს გეახლებით, ღომსაც და... აჯიკასაც. უღრმესი მადლობა კლინიკის ყველა თანამშრომელს!

მისამართი: მეტრო „ნაძალადევთან“, ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა); კაბინეტი №18, №19. მიღება 11-დან 16 საათამდე, წინასწარი ჩაწერით. ტელეფონები: 599-10-06-36; 599-57-16-99.

ატრალური „მოღვაწე“ გვყავს, ვისაც თეატრში არ შევუშვებდი. ისინი ამ საქმეს დიდ ზიანს აყენებენ. ყველაზე ჭკვიანური შექსპირმა თქვა, საფლავის ქვაზე ცუდი წარწერა გერჩივნოს სიცოცხლეში არტისტების გადაკიდებასო.

— ქალბატონო ციცინო, რამდენად ობიექტური ხართ ჯაბას შეფასებისას?

ციცინო: შვილის მიმართ ძალიან ობიექტური ვარ, ამიტომ ყველაზე მეტად ჩემი შიში აქვს. არ არსებობს, ტყუილი ვუთხრა. როცა ახალ როლზე მუშაობს, არასოდეს ვერევი. ბოლოს თავად მოდის და მეუბნება, დავსხდეთ და ვილაპარაკოთო. მის გმირს ერთად ვარჩევთ. პიესას, სადაც ჯაბა ან ჩემი ქმარი თამაშობენ, ყოველთვის ვკითხულობ და მერე მათთან ერთად ვარჩევ. მსჯელობასა და კამათში რაღაც დასკვნებამდე მივდივართ.

— რეჟისორებს დიდად არ უყვართ ოჯახის წევრებთან მუშაობა. ამის მაგალითად თემურ ჩხეიძე შემიძლია მოგიყვანო. რა არის ამის მიზეზი?

ციცინო: თემური მართლა რეჟისორია. მან იცის, რომ მსახიობს დათვური სამსახური არ უნდა გაუწიო და არ დააკავო იქ, სადაც მისი ადგილი არ არის. ეკა — თემურის შვილი, მამის სპექტაკლებში არის იქ, სადაც უნდა იყოს. ჩვენს პროფესიაში მიკერძოება არ შეიძლება. ისეთი კარგი მსახიობი მყავს ქმარი, რომ მისი არგამოყენება არ შეიძლება. თემური ჩემს ბევრ სპექტაკლში თამაშობს და ყველგან ერთმანეთზე უკეთესია. მადლობელი ვარ, რომ ის ჩემთან მუშაობს. თემური მუშაობაში ძალიან რთული ადამიანია, მაგრამ მე ვუძლებ, რადგან ვიცი, შედეგი როგორი იქნება. ჯაბას კი ძალიან უჭირს ჩემთან მუშაობა.

— რატომ გიჭირთ, ჯაბა?

ჯაბა: სისულელე იქნება, ვთქვა, როცა დედასთან ვმუშაობ, მას მხოლოდ რეჟისორად აღვიქვამ და დედად ვერა-მეთქი. რატომ მიჭირს დედასთან მუშაობა, ეს რომ აგიხსნათ, აუცილებლად ამ პროფესიის წარმომადგენელი უნდა იყოთ. თქვენ ხომ რესპონდენტთან შეხვედრამდე ინტერვიუსთვის ემზადებით და თქვენი მუშაობის სტილი გაქვთ, ასე ვართ მსახიობებიც, ჩვენც ჩვენი სტილი გვაქვს. დედასთან მუშაობა ძალიან მიჭირს, ამას ვერ ავხსნი, ვერ გადმოგცემთ, უბრალოდ მიჭირს.

ციცინო: არ მაქვს პრეტენზია, რომ აუცილებლად ჩემთან უნდა ითამაშოს. მთავარია, როგორც მსახიობი, ვინმესთან დაკავებული იყოს, რომ პროფესიონალურად

ციცინო: „ისეთი ჯიჯგი მსახიობი მყავს ქმარი, რომ მისი არგამოყენება არ შეიძლება. თემური ძალიან ხთული ადამიანია, მაგრამ მე ვუძლებ, ხადგან ვიცი, შედეგი როგორი იქნება. ჯაბას ჯი ძალიან უჭირს ჩემთან მუშაობა".

გაიზარდოს. თუ იქნება ისეთი საინტერესო როლი, რომელიც ჩემი გადასახედიდან მას მოუხდება, აუცილებლად შევთავაზებ.

ჯაბა: დიდ თანხას თუ გადამიხდი, დაგთანხმდები.

— ქალბატონო ციცინო, ლიზა რითი ჰგავს მამას?

ციცინო: გარეგნობით გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ჯაბას, ხასიათით კი — მე. მე და ლიზა კარგად ვეწყობით ერთმანეთს. მთელი ცხოვრება ვმღერი, ვღიღინებ, ახალგაზრდობაში სულ გიტარა მეჭირა ხელში. ჩემი შვილიშვილიც ყოველდღე სიმღერით იღვიძებს და ღიღინით იძინებს, სულ ვკისკისებთ. მთელი ზაფხული ჩემთან, სოფელში, იყო. იქ დიდი აივანი გვაქვს, სადაც თოჯინებით სპექტაკლებს ვდგამდით. უნდა გენახათ, ბილეთებს რომ ყიდდა. მეზობლებს დაუძახებდა ხოლმე, მოდით, სპექტაკლი იწყებაო და ერთი ამბავი გვქონდა. ლიზას ჩემნაირად უყვარს ცხოველები, პატარა კვატი ვუყიდე. ფისოც გვყავს, ძაღლიც და მოლაპარაკე თუთიყუშიც, რომელიც მეძახის — „ციცინო უსინდისო“. თუთიყუშს ჯაბა ძალიან უყვარს, რადგან სულ ეთამაშება. ამათი თამაში ვიდეოთიც კი მაქვს გადაღებული.

— იცით, ჯაბას პირად ცხოვრებაში რა ხდება?

ციცინო: რა თქმა უნდა.

— ახლა რა ხდება?

ჯაბა: ჩემს პირად ცხოვრებაში სიმშვიდეა.

ციცინო: მეც ასე ვიცი. ჯაბას გვერდით შეგნებულ ადამიანს ვინატრებდი, რომელსაც ეცოდინება მშობლების, მეუღლის, ოჯახის ფასი. ოჯახის დანგრევა ყველაზე დიდი კატასტროფაა. მინდა, ისეთი ცოლი ჰყავდეს, რომ ქმრის ფასი კარგად იცოდეს. დანარჩენი ყველაფერი წარმავალია ამქვეყანაზე. თუ ისეთი ადამიანი გიდგას გვერდით, ვინც შენს სამყაროს იზიარებს, მაშინ ყველაფერი კარგადაა. ჯერჯერობით ჯაბა საერთოდ არ ფიქრობს ცოლის მოყვანაზე.

ჯაბა: ცოლი არა!..

✓ ქეთი დინოშვილი

Cyan Magenta Yellow Black

სოსო ცინცაძე: „შესაძლოა მემკვიდრემ ივანიშვილს უღალატოს“

„ხელისუფლებამ არჩევნები თუ არ გააუქმა, მარგველაშვილი ვერ გაიმარჯვებს“

საქართველოს ახალი კონსტიტუციით, მომავალი პრეზიდენტი სახელმწიფოში მნიშვნელოვანი ფიგურა აღარ იქნება. ამის მიუხედავად, ეს პოსტი მაინც თვალისმომჭრელია და მის დასაკავებლად 26 კანდიდატი იბრძვის. რამდენად ნორმალურია ჩვენისთანა პატარა ქვეყნისთვის კანდიდატების ასეთი სიუხვე, მივა თუ არა საქმე მეორე ტურამდე, რატომ აწყობთ მეოცნებეებს მეორე ადგილზე დავით ბაქრაძის გასვლა, რაზე გაურიგდნენ ერთმანეთს უმრავლესობა და უმცირესობა, უნდა ენდოს თუ არა ბიძინა ივანიშვილი ბოლომდე თავის მემკვიდრეს... კითხვებზე, რომლებიც არჩევნებამდე ტრიალებს საზოგადოებაში, „სარკეში“ პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე უპასუხებს.



— ბატონო სოსო, საპრეზიდენტო არჩევნებში 26 კანდიდატი მონაწილეობს. კანდიდატების ასეთი სიმრავლე რისი მანიშნებელია?

— 26 კანდიდატს მისცეს არჩევნებში მონაწილეობის უფლება, თორემ მსურველი გაცილებით მეტი იყო. 60-მდე ადამიანმა შეიტანა ცესკო-ში განცხადება. კანდიდატების ასეთი სიუხვე პოლიტიკური კულტურის სფეროში კატასტროფულ მდგომარეობაზე მეტყველებს. ეს ამბავი ქართველი ადამიანის

„ჩვენ ძალიან ხშირად გადავდივართ კლოუნადის ზღვარს ეს მარტო პოლიტიკაში არ ხდება. ქართველები სოლიდურობასა და თავშეკავებულობაში სერიოზულად მოვიკოჭლებთ“.

უკიდეგანო ამბიციებზეც მიანიშნებს. სამწუხაროა, რომ ჩვენ ძალიან ხშირად გადავდივართ კლოუნადის ზღვარს და ეს მარტო პოლიტიკაში არ ხდება. კლოუნადის ზღვარზე გადასვლა ბევრ რამეში გამოიხატება. ქართველები სოლიდურობასა და თავშეკავებულობაში სერიოზულად მოვიკოჭლებთ.

— როგორ ფიქრობთ, ეს საპრეზიდენტო არჩევნებიც კლოუნადად ხომ არ იქნება?

— არჩევნები ნამდვილად არ იქნება კლოუნადა. აქ დიდი და სერიოზული ბრძოლა წავა. მმართველ გუნდი შესაძლოა არჩევნების გაყალბებაზეც კი წავიდეს. თუ ეს მართლა მოხდა, მხოლოდ ერთი ადამიანის დამსახურება იქნება. ბიძინა ივანიშვილმა ერთპიროვნულად დანიშნა საპრეზიდენტო კანდიდატად ფიგურა, რომელსაც არჩევნების მოგების არანაირი შანსი არ აქვს. ასეთ შემთხვევაში „ქართულმა ოცნებამ“ ან დამარცხება უნდა აღიაროს, ანდა კანდიდატის გასასვლელად არჩევნები გააყალბოს.

— თქვენ უკვე ორჯერ ახსენეთ არჩევნების გაყალბება. რატომ გგონიათ, რომ გაყალბების გარეშე ვერ მოიგებენ? შეიძლება გიორგი მარგველაშვილი არ მოსწონდეთ, მაგრამ იყანიშვილის ხათრით მისცეს ხმა.

— გადით ქუჩაში და ჩაატარეთ მარტივი გამოკითხვა. გამოკითხული 10 კაციდან 8 გეტყვით, რომ ხმას აძლევს ნინო ბურჯანაძეს, დანარჩენი 2 კი — დავით ბაქრაძეს. არავინ გეტყვით, ხმას მარგველაშვილს ვაძლევთო. ჩვენი საზოგადოებისთვის მარგველაშვილი არაფერს წარმოადგენს. ამის ნათელი მაგალითი ის თავყრილობა გახლდათ, რომელიც 19 სექტემბერს სპორტის სასახლეში გაიმართა. ის ღონისძიება მარგველაშვილის მხარდასაჭერად გაიმართა. გამომსვლელებს კი ის ფაქტობრივად არ გახსენებიათ. ყველა ბიძინა ივანიშვილზე ლაპარაკობდა. იქ ბევრი რამ მოვისმინეთ. განსაკუთრებული ყურადღება ნინელი ჭანკვეტაძის გამოსვლამ მიიპყრო.

— მისმა ერთმა განცხადებამ — ქართველი ხალხი იყანიშვილთან ყალში ყართო, ხალხის დიდი გაღიზიანება გამოიწვია. თქვენ როგორ შეაფასებდით ამ გამოსვლას?

— ივანიშვილთან ქართველი ერი გარკვეული გაგებით მართლაც ვალშია. მან ძალიან დიდი საქმე გაგვიკეთა. თუმცა ის, რომ სააკაშვილი დაამარცხა, ქვეყანაში არსებულ ყველა პრობლემას ვერ მოაგვარებს. მე მახსოვს 20 წლის წინ გაკეთებული განცხადება, როცა ერთმა ცნობილმა პოლიტიკოსმა ხალხი დააჩოქა შევარდნაძის ფანჯარასთან. მაშინ იმ ადამიანმა განაცხადა, ჩვენ ვალში ვართ შევარდნაძესთან, მთელი ქვეყანა მაგის პურს ჭამსო. თითქოს ამერიკა მისი ხათრით გვაძლევდა ხორბალს. ასეთი განცხადებები ღირსებას არც ადრესატს მატებს და არც განცხადების ავტორს. ნინელი ჭანკვეტაძე ამ განცხადებით ფეოდალური ეპოქის მეხოტბის დონემდე დავიდა. ივანიშვილის ღირსებებზე აუცილებლად უნდა ვისაუბროთ, მაგრამ სოლიდურობა უნდა შევინარჩუნოთ.

არის ასეთი ცნება — საერთო სახალხო პროფესია. ძველად ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებისთვის საერთო სახალხო პროფესია იყო აბრაგობა. რასაც თავისი მიზეზები ჰქონდა. აქ მწირი ნიადაგი იყო და ეს ხალხი იძულებული იყო, სარჩო ასეთი გზით მოეპოვებინა. ჩვენთან საერთო სახალხო პროფესიად იქცა პოლიტიკა. ამასთან — ჩვენთან მასაც პოლიტიზირებულია, რაც ძალიან საშიშია. ასეთი მასა ყოველთვის ფეთქებადია. ასეთ ვითარებაში ძალიან სახიფათოა, პრემიერი შანტაჟზე რომ მიდის.

— შანტაჟში რას გულისხმობთ?

— პრემიერმა ცოტა ხნის წინ გვითხრა, თუ მარგველაშვილს არ აირჩევთ, ჩემი თავი მე მეკუთვნის და წავალო. ივანიშვილს გარშემო უამრავი ხალხი ახვევია, მათ შორის არიან მრჩევლებიც. ძალიან მიკვირს, რატომ არავინ აუხსნა, რომ ასეთი განცხადებების გაკეთება არ შეიძლება. მას შემდეგ, რაც ივანიშვილი პრემიერი გახდა, თავის თავს აღარ ეკუთვნის. ის ახლა უკვე ხალხის მიერ დაქირავებული მენეჯერია. ასეთი განცხადება რომელიმე პოლიტიკოსს რომ გაეკეთებინა დასავლეთში, ძალიან დიდი ამბები ატყდებოდა. ჩვენმა საზოგადოებამ კი ეს განცხადება „გაატარა“. არადა ამ განცხადების უკან ძალიან დიდი პრობლემა იმალება.

— კერძოდ, რა პრობლემა?

— ნათელია, რომ მარგველაშვილის დამარცხება „ოცნებისთვის“ დიდი ტრაგედია იქნება. როცა მმართველი პარტია საკუთარი კანდიდატის წარუმატებლობას კატასტროფად მიიჩნევს, ის არჩევნები თავისუფალი და სამართლიანი ვერასდროს იქნება.

— თქვენი აზრით, არჩევნების წაგება კატასტროფა არ არის?

— რა თქმა უნდა, არა. რა არის არჩევნები? მოგება და წაგება. მე არც ის მესმის, რატომ თვლის სააკაშვილი, რომ პრეზიდენტის პოსტის დატოვება მისთვის კატასტროფა იქნება. ჩვენ ძალიან დიდი გზა გვაქვს გასავლელი, რომ დემოკრატიულ ქვეყნებს დავეწიოთ. გასული საუკუნის 20-იან წლებში საფრანგეთში იყო ასეთი პოლიტიკოსი — არისტიდ ბრიანი, რომელიც ქვეყნის პრემიერმინისტრი 12-ჯერ გახდა. 22-ჯერ ეკავა სხვადასხვა მინისტრის პორტფელი. მან და მისმა გუნდმა 12-ჯერ წააგო არჩევნები. მას რომ ყველა ეს მარცხი კატასტროფად აღექვა, ან საგიჟეთში მოხვდებოდა, ან ინსულტი მოუღებდა ბოლოს, მაგრამ სულაც არა, ეს ადამიანი ჯანმრთელობას არ უჩიოდა და 88 წლის ასაკში გარდაიცვალა. აი, რა განსხვავებაა ქართველ და ევროპელ პოლიტიკოსებს შორის. არ დაგვავიწყდეს, რომ ეს ერთი საუკუნით ადრე ხდებოდა. ჩვენ ამ დონემდე როდის მივალთ?

„გადით ქუჩაში და ჩაატარეთ მარტივი გამოკითხვა. გამოკითხული 10 კაციდან 8 გეტყვით, რომ ხმას აძლევს ნინო ბურჯანაძეს, დანარჩენი 2 კი — დავით ბაქრაძეს. არავინ გეტყვით, ხმას მარგველაშვილს ვაძლევთო“.

— არის ასეთი ვერსია, რომ მარგველაშვილი სპეციალურად შეარჩიეს და ივანიშვილს სურს, ეს არჩევნები „ოცნებამ“ წააგოს. იმასაც ამბობენ, ბაქრაძეს ამზადებენ საპრეზიდენტოდო. თქვენ რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?

— ეს არის ზღაპარი და ჭორი! ამ ჭორებს კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრები ავრცელებენ. ბაქრაძის გამარჯვება ნამდვილად არ სურთ. სამაგიეროდ ძალიან უნდათ და აწყობთ, რომ ნაციონალების კანდიდატი მეორე ადგილზე გავიდეს.

— რაში აწყობთ?

Cyan Magenta Yellow Black

— საამისოდ აქვთ მიზეზები. არის იმის დიდი ალბათობა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების გამოსავლენად მეორე ტურის ჩატარება გახდება საჭირო. ასეთ ვითარებაში ბაქრაძე აწყობთ კონკურენტად. რადგან მეორე ტურში მისი დამარცხება უფრო იოლი იქნება, ვიდრე ბურჯანაძის. მეორე ტურში თუ ბურჯანაძე გავიდა, ჩათვალეთ, რომ არჩევნები უკვე მას აქვს მოგებული. ბაქრაძის მეორე ადგილზე გასვლა სხვა მიზეზითაც აწყობთ. ასეთ შემთხვევაში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დღის

„ჰიმიეჰმა ცოტა ხნის წინ გვითხრა, თუ მიგვეცაშვილს ან აირჩევთ, ჩემი თავი მე მეკეთვნის და წავალო. ძალიან მიკვირს, იტომ ანავინ აუხსნა, იომ ასეთი განცხადებების გაკეთება ან შეიძლება. მას შემდეგ, იაც ივანიშვილი ჰიმიეჰი გახდა, თავის თავს აღარ ეკეთვნის. ასეთი განცხადება იომეელიმე პოლიტიკოსს იომ გაეკეთებინა დასავლეთში, ძალიან დიდი ამბები ატყდებოდა. ჩვენმა საზოგადოებამ კი ეს განცხადება „გაატარა".

წესრიგში აღარ დადგება. მსოფლიოში არ მინახავს პარლამენტი, სადაც ვადამდელ არჩევნებს უმრავლესობაც და უმცირესობაც ისე გააფთრებით ეწინააღმდეგებოდეს, როგორც ეს საქართველოშია. ყველა ნორმალურ ქვეყანაში საპარლამენტო ოპოზიციას აქვს იმის იმედი, რომ გაიმარჯვებს.

— ნაციონალების პოზიცია გასაგებია, მაგრამ მეოცნებეები რატომ უნდა იყვნენ ამის წინააღმდეგი?

— იმიტომ არიან წინააღმდეგი, რომ ვადამდელი არჩევნების შემთხვევაში, ნაციონალების მსგავსად, ისინიც კრახს განიცდიან. ამიტომაც არის, ასე მწარედ რომ ეწინააღმდეგებიან რიგგარეშე არჩევნებს. სწორედ ამიტომ უმცირესობა და უმრავლესობა ერთმანეთის მოკავშირეები გახდნენ. ისინი ერთმანეთს შეეკრნენ, რომ საკუთარი კეთილდღეობა შეინარჩუნონ. ეს არის ყველაზე უარესი, რაც საქართველოში შეიძლება მომხდარიყო.

— გვპირდებიან, რომ ეს კოალიციაა 27 ოქტომბერს დასრულდება. ამის არავის სჯერა, უბრალოდ, ხალხს ახლა ის აინტერესებს, რას იტყვიან 27 ოქტომბრის შემდეგ.

— მარგველაშვილი „მამაო ჩვენოსავით" გვიმეორებს, რომ 27 ოქტომბერს დამთავრდება კოალიტაცია. მერე რა იქნება, ეს გვითხრან ერთი! ვინმეს ჰგონია, რომ დამნაშავე ჩინოსნების დაჭერები დაიწყება. გამორიცხულია. ბოლო პრესკონფერენციაზე ივანიშვილმა პირდაპირ თქვა, დასავლეთი ვერ გაგვიგებს და ამიტომ ყოფილი ჩინოსნების დაჭერები არ იქნებაო.

— ივანიშვილი და მარგველაშვილი პოზიციებს ვერ ათანხმებენ?

— პოზიციები შეთანხმებული აქვთ, მარგველაშვილი ამ განცხადებას განცხადებისთვის აკეთებს მხოლოდ. ასეთი განსხვავებული პოზიციები ნორმალური ქვეყნის პირობებში საკმარისი იქნებოდა საიმისოდ, რომ მარგველაშვილი არჩევნებში ბოლო ადგილზე გასულიყო. სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოება ფიქრის და განსჯის მოყვარული არ არის. ჩვენ ეგზოტიკა და სკანდალი გვასაზრდოებს, ფიქრი კი არ გვინდა. ამიტომაც არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ არჩევნები სამართლიანად არ ჩატარდება.

— თუ არჩევნები სამართლიანად არ ჩატარდა, გამოდის, რომ ქვეყანაში არაფერი შეცვლილა.

— როგორ არ შეიცვალა! სიტუაცია აშკარად სხვაა. ხალხს თავისი აზრის დაფიქსირების აღარ ეშინია. ყველა ღიად საუბრობს იმაზე, რასაც ფიქრობს. უჩვეულო და განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. რაც იყო შევარდნაძის დროს, იქ დავბრუნდით ახლა. მაშინაც ყველა ყველაფერს ლაპარაკობდა და არავინ არაფერზე რეაგირებდა. მაშინაც საშინელებები იწერებოდა სახელმწიფო მოხელეების საქმიანობაზე, მაგრამ რეაგირება იყო ნული. ახლაც იგივე ხდება. იმ დღეს მედიაში მინისტრ დარახველიძეზე ათასი საშინელება ეწერა. არც მინისტრმა იჩივლა და არც სათანადო ორგანოები დაინტერესებულან ამ პიროვნებით. როცა ასეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, იქ სამართლიან არჩევნებზე პრეტენზია ვერ გექნება. იმ დღეს გამოვიდა მარგველაშვილი და თქვა, ლაღი არჩევნები იქნებაო. მე გავოცდი. ბუნებაში ლაღი არჩევნები არ არსებობს და ამან საიდან მოიტანა?! ლაღი შესაძლოა გასეირნება და პიკნიკი იყოს. არჩევნების სილაღისა რა გითხრათ, მაგრამ ახალარჩეულ პრეზიდენტს ნამდვილად ლაღი ცხოვრება ექნება.

— რატომ ექნება ლაღი ცხოვრება?

— კანონმდებლობით, მომავალ პრეზიდენტს ბევრი არაფერი ეკითხება, თუ თვითონ პიროვნება არ იქნება ძლიერი. მხოლოდ ლაღი ცხოვრება ექნება. მაქსიმალურ ყოფით პრივილეგიებს მიიღებს მინიმალური პასუხისმგებლობის ფონზე. ასეთ თანამდებობაზე ევროპაში პენსიაზე გასული პოლიტიკოსები ოცნებობენ. იმისათვის, რომ პრეზიდენტის პოსტი მნიშვნელოვანი გახდეს, ისეთი კანდიდატი უნდა ავირჩიოთ, ვისაც პიროვნული თვისებები აქვს. გიორგი მარგველაშვილი ასეთი ნამდვილად არ არის.

— იქნებ პრეზიდენტად არჩევის შემდეგ შეიცვალოს.

— ეს გამორიცხულია, თუნდაც იმიტომ, რომ ის პოლიტიკური ფიგურა არ არის. მისი არჩევის შემთხვევაში საქართველოში ერთპარტიული დიქტატურა დამყარდება. მერე რა, რომ მარგველაშვილი არ არის პარტია „ქართული ოცნების" წევრი, ის ყველაზე დიდი მეოცნებეა, რადგან იდეალისტ-ლიბერალი გახლავთ, ეგენი კი დიდი მეოცნებეები არიან.

— მოდით, პრემიერის მემკვიდრეზეც ვისაუბროთ. მართალია, წინ საპრეზიდენტო არჩევნები გვაქვს, მაგრამ ყველას ის გვაინტერესებს, ვინ ჩაანაცვლებს ივანიშვილს.

— გვაინტერესებს და თანაც როგორ! ახლა მთელი ერი ამაზე მკითხაობს, ვინ იქნება ივანიშვილის შემცვლელი. ყველა სიკეთესთან ერთად ქართველები მარჩიელობის მოყვარული ერიც ვართ. მკითხავები პოლიტიკაზე ექსპერტებივით საუბრობენ. ერთი ცნობილი მკითხავი ქალი, იმასაც კი მაბრალებდა, სოსო ცინცაძე მე მპარავს იდეებსო.

— იმ ქალს ნუ „მოპარავთ" იდეას და ისე გვითხარით, თქვენი აზრით, ვის დატოვებს ივანიშვილი თავის პოსტზე?

— ვინ იქნება, არ ვიცი, მაგრამ ვიცი, რა კრიტერიუმითაც იქნება დანიშნული. ვისაც ივანიშვილი ყველაზე მეტად ენდობა, ის გახდება საქართველოს პრემიერი. სხვა დანარჩენი მეორეხარისხოვანია.

— პრემიერად არჩევის შემდეგ მემკვიდრე ისევ ივანიშვილის ერთგული დარჩება? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ ჩვენი პოლიტიკა ერთგულობით სამდვილად ვერ დაიკვეხნის.

— მემკვიდრეს გააჩნია. ის შესაძლოა აღმოჩნდეს ხორკლიანი. ერთხელ შეიძლება დაუჯეროს ივანიშვილს, მეორედაც, მესამედ კი იტყვის, შენ კი ამირჩიე, მაგრამ დღეს მე ვარ პრემიერიო. გავითვალისწინოთ ისიც, რომ მემკვიდრეობის ყველა შესაძლო კანდიდატი ივანიშვილზე ბევრად ახალგაზრდაა. ასაკზე კი ბევრი რამ არის დამოკიდებული. ამიტომ არ გამოვრიცხავ, რომ შესაძლოა მემკვიდრემ ივანიშვილს უღალატოს.

— თქვენ ივანიშვილს მრჩეველები დაუწუნეთ. პირადად თქვენ რას ურჩევდით მას?

— ის მიდის სამოქალაქო საზოგადოებაში, სადაც აუცილებლად შეარჩევს მრჩევლებს და კონსულტანტებს. აიყვანოს ისეთი ხალხი, ვინც ხელფასის გარეშე იმუშავებს მასთან. ისეთი ადამიანები შეარჩიოს, ვისთვისაც ის კეთილდღეობის წყარო არ გახდება, თორემ ხომ ვხედავთ, რას დაემსგავსნენ ივანიშვილის გარემოცვის წევრები?

— რა გაქვთ მხედველობაში?

— მათი გარეგნობა. კაცები ჟირინოვსკივით საყელოზე ღილს ვერ იკრავენ, ჰალსტუხი რომ გაიკეთონ. გამომეტყველებაც კი შეეცვალათ, გაზულუქდნენ. ოპოზიციაში ყოფნის დროს ტანწერწეტები იყვნენ,

„იაც იყო შევარდნაძის დროს, იქ დავბრუნდით ახლა. მაშინაც ყველა ყველაფერს ლაპარაკობდა და არავინ არაფერზე რეაგირებდა".

ახლა ტანსაცმელსა და კანში ვეღარ ეტევიან. ამიტომაც ვურჩევ, გარს უანგარო ხალხი შემოიკრიბოს... სამწუხაროდ, ვერც მან დაიღწია იმ შეცდომას თავი, რაც თავის დროზე გამსახურდიამ, შევარდნაძემ და სააკაშვილმა დაუშვეს. ისიც ვერ ხვდება, რომ თანამერძოლები თანამოაზრეებით უნდა ჩაანაცვლოს. ხელისუფლებაში მოსვლამდე თანამებრძოლებია საჭირო, მაგრამ მერე უკვე თანამოაზრეები უნდა გყავდეს გვერდით.

— თანამებრძოლებს რა უყოს? ამაგი ხომ უნდა დაუფასოს?

— აუცილებლად უნდა დაუფასო კაცს ამაგი, მაგრამ აუცილებელი არ არის, პოლიტიკურ თანამდებობებზე დანიშნო.

✓ **შორენა მარსაგიშვილი**

OXFORD HOUSE

დარეგისტრირდი OXFORD HOUSE-ში

30 სექტემბრამდე ზოგადი ინგლისურის კურსზე და ისარგებლე 45%-იანი ფასდაკლებით, გადაიხადე თვეში 55 ლარი!

სწავლება მიმდინარეობს საერთაშორისო New English File პროგრამით. აღნიშნული კურსები მაქსიმალურად ორიენტირებულია 4 ძირითადი უნარის – მეტყველების, მოსმენის, წერისა და კითხვის – გაუმჯობესებაზე. ასევე გთავაზობთ TOEFL, IELTS, FCE, ბიზნესინგლისურის და აბიტურიენტის მოსამზადებელ პროგრამას.

იყავი წარმატებული ოქსფორდელი და გაეცანი ერთ-ერთ Williams College-ში.

მის.: თბილისი, რ. თაბუკაშვილის №1.
ტელ.: 0790-115-115; (+995 32) 2-99-56-76.
Oxfordhousecentre@gmail.com
www.oxford.ge
https://www.facebook.com/oxford.ge

Cyan Magenta Yellow Black

მინარეთი — რელიგიური აისბერგის წვერი საქართველოში

„საქართველო არ არის მართლმადიდებელი ქვეყანა! ეს ყველამ ამოიღეთ გონებიდან!“

ერთი წლის წინ საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ მართლმადიდებლებისა და მაჰმადიანების ჰარმონიული თანაცხოვრება რამდენიმე ხმაურიანმა ინციდენტმა აამღვრია. მკითხველს ეხსომება ნიგვზიანის, წინწყაროსა და სამთაწყაროს შემთხვევები. ახლახან კი ადიგენის რაიონის სოფელი ჭელა იქცა რელიგიური დაპირისპირების კერად, სადაც მაჰმადიანთა სალოცავის ერთ-ერთი ატრიბუტის, მინარეთის დემონტაჟმა გამოიწვია დიდი ვნებათაღელვა. ჯერ მუსლიმანები აჯანყდნენ და საპროტესტო აქციები გამართეს, შემდეგ მართლმადიდებლებმა გამოთქვეს მძაფრი პროტესტი... პრობლემა დღემდე არ არის ამოწურული.

ამ ყველაფერმა ცხადი გახადა, რომ რელიგიის საკითხში ჩვენს სახელმწიფოს არ აქვს მკვეთრად გამოხატული არც პოზიცია, არც კანონი, ხოლო შეთანხმებას, რაც სახელმწიფოსა და ძირითადი რელიგიის წარმომადგენლის — ეკლესიას შორის არის გაფორმებული, კანონის ძალა არ აქვს და მას მუსლიმანური მოსახლეობა, როგორც აღმოჩნდა, არ იზიარებს. ეს ვითარება კი სათავისოდ შეიძლება გამოიყენონ საქართველოს არაკეთილმოსურნე ძალებმა.

■ მეჩეთი და მინარეთი ჭელაში დემონტაჟამდე

მინარეთი მეჩეთის კოშკია, საიდანაც მუეძინი მუსლიმანებს სალოცავად მოუწოდებს. სოფელ ჭელაში მეჩეთი 2007 წელს ააშენეს. სალოცავს მინარეთი არ ჰქონდა, მაგრამ იქ მაინც ყოველდღიურად ლოცულობდნენ. ადგილობრივმა მუსლიმებმა მინარეთის ასაწყობი კონსტრუქცია 14 ივლისს თურქეთიდან შემოიტანეს, მისი დემონტაჟი კი 26 აგვისტოს მოხდა ადგილობრივი ხელისუფლების განკარგულებით. საკრებულომ მინარეთის უკანონოდ დადგმისათვის მუსლიმანებს 200 ლარიანი ჯარიმაც დააკისრა. შემდგომ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის განმარტებაც გავრცელდა, რომ მინარეთის რკინის კონსტრუქციის იმპორტირებისას საბაჟო პროცედურები იყო დარღვეული — საბუთებში სხვა რამ იყო გაფორმებული და სულ სხვა შემოიტანეს.

— მინარეთი უკანონოდ იყო მიდგმული. ჩვენ დემონტაჟის შესახებ გადაწყვეტილება გამოვიტანეთ, ბრძანებაც გავეცით და დროც მივეცით, მაგრამ დემონტაჟი საბაჟომ განახორციელა, რადგან საბაჟოზე დარღვევით შემოვიდა. წესრიგი კი პოლიციამ უზრუნველყო. ამის შემდეგ მინარეთი ექსპერტიზაზე წაიღეს, — უთხრა ჟურნალისტებს ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებელმა სიმონ პარუნაშვილმა, რომელიც ნაციონალური მოძრაობის წევრი გახლავთ. მოგვიანებით ის სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით დააპატიმრეს, ოღონდ ამ დაპატიმრებას საერთო არაფერი აქვს ჭელაში მომხდარ ამბავთან.

❖ ❖ ❖

რელიგიურ დაპირისპირებაში საქართველოს ეკლესიის მამებმა მესამე, მაპროვოცირებელი ძალის ხელი დაინახეს და აქტიური ზომების მიღება არ დააყოვნეს.

„რაღაც ძალები ცდილობენ, მუსლიმანი და მართლმადიდებელი მრევლი ერთმანეთს დააპირისპირონ. ჩვენ შევთანხმდით, რომ ქრისტიანმა და მუსლიმანმა იერარქებმა არ დავუშვათ მსგავსი შემთხვევები. შეიქმნა ერთობლივი საბჭო, რათა თავიდან ავიცილოთ მსგავსი სიტუაციები. ორივე მხარე ისევ აღელვებულია, მაგრამ უნდა შეეცადონ, მაქსიმალურად დააწყნარონ მრევლი“, — განაცხადა პატრიარქის ქორეპისკოპოსმა, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა თეოდორე ჭუაძემ.

2013 წლის 28 აგვისტოს მართლმადიდებელი ეკლესიის და მუსლიმანთა სამმართველოს ხელმძღვანელობას შორის გამართულ შეხვედრაზე გადაწყდა, რომ მინარეთი სოფელ ჭელაში ნეიტრალურ ადგილზე დასაწყობდეს, დაილუქოს და იყოს დაცული სახელმწიფოს მიერ. სანამ არ მოწესრიგდება საკანონმდებლო ბაზა და არ შედგება მოლაპარაკება საქართველოს საპატრიარქოსა და მუსლიმანთა სამმართველოს შორის, არსად აღიმართოს. ასეთი იყო საქართველოს საპატრიარქოს ოფიციალური განცხადება მუსლიმანთა ლიდერებთან შეხვედრის შემდეგ. მინარეთი ამჟამად ჭელადან 2 კილომეტრის მაშორებით არის დალუქული და დაცვის პოლიცია იცავს.

❖ ❖ ❖

„სარკე“ ქართველ მუსლიმანთა კავშირის ხელმძღვანელს, ტარიელ ნაკაიძეს ესაუბრა, რომელიც ამბობს, რომ ქართველ მაჰმადიანებს არც საბაჟოს წესი დაურღვევიათ და არც კანონდარღვევით აუშენებიათ თავიანთი სალოცავი.

— ბატონო ტარიელ, რამ გამოიწვია მინარეთის დადგმის აუცილებლობა სოფელში, სადაც ის აქამდე არ იყო?

— მინარეთიდან მორწმუნეებს სალოცავად მოუხმობენ. ყველა მეჩეთს უნდა ჰქონდეს მინარეთი, რადგან ეს ჩვენი სალოცავის აუცილებელი ატრიბუტია, მინარეთის არსებობა ჩვეულებრივი მოვლენაა. ჭელაში ადგილობრივი მრევლი წლების განმავლობაში აგროვებდა მინარეთისთვის ფულს. რადგან საქართველოში ასეთი კონსტრუქციის შეძენა შეუძლებელია, ერთ-ერთ თურქულ კომპანიაში შეიძინეს და საქართველოში შემოიტანეს.

— განბაჟების წესი დაურღვევიათ.

— ჩვეულებრივ რეჟიმში განბაჟდა. დღეს კი გვეუბნებიან, რომ არასწორად არის განბაჟებული და ეს აბსოლუტურად თითიდან გამოწოვილი მიზეზია, რომელიც რეალობასთან ახლოს არ არის. რომც ყოფილიყო მსგავსი რამ და სხვა ფორმით ყოფილიყო ამ ყველაფრის განბაჟება საჭირო, ეს არ იძლეოდა მინარეთის დემონტაჟის საფუძველს. შემოიტანეს და განათავსეს აღნიშნულ ადგილზე, რამაც მართლმადიდებელი მრევლის არაადეკვატური თითიდან დამოკიდებულება გამოიწვია. სამწუხარო ის არის, რომ აღნიშნულ ფაქტში მონაწილეობა მიიღეს სასულიერო პირებმა, პროვოცირება მოახდინეს იმისა, რომ მინარეთი ამ ადგილას არ დამდგარიყო. თქვეს, ამას არ მოვითმენთ, საქართველო ქრისტიანული ქვეყანაა და არ შეიძლება საქართველოში ასეთი რამის გაკეთებაო. საქართველოს ხელისუფლებამ მათ ანგარიში გაუწია და მინარეთის დემონტაჟი მოახდინეს. ჩვენი დასკვნით, საქართველოს ხელისუფლებამ დათრგუნა და შეურაცხყო მუსლიმანთა უფლებები და გაითვალისწინა ის, რომ თითქოსდა უკანონოდ მიმდინარეობდა მინარეთის მშენებლობა. დემონტაჟის დროს კი ამ მშენებლობის უკანონობაზე არაფერი უთქვამთ. მიზეზად არასწორი განბაჟება დაასახელეს.

საქართველოში მსგავსი პრობლემა პირველი არ არის. უკვე სამარცხვინო გზა გვაქვს გავლილი — ნიგზიანის, სამთაწყაროს და სხვა მოვლენები. ციხისძირში მართლმადიდებლობის სახელით 7 ადამიანს მიაყენეს შეურაცხყოფა მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ჯვრები არ ჰქონდათ. ეს პოლიციელებმა მოიმოქმედეს და ისინი ჯერაც არ არიან დასჯილი. ხელისუფლება არ დგამს ადეკვატურ ნაბიჯებს სამართლის დამრღვევთა მიმართ, თუმცა ვინც მინარეთის დემონტაჟს აღუდგა წინ, მათ მიმართ მაშინვე იქნა მიღებული გადაწყვეტილება — ისინი 400-400 ლარით დააჯარიმეს და სისხლის სამართლის პასუხისგებაშიც მისცეს მხოლოდ იმიტომ, რომ ამ უკანონო გადაწყვეტილებას შეეწინააღმდეგნენ.

— საპატრიარქოში შეხვედრა გქონდათ. ხომ შეთანხმდით, როგორ მოიქცეოდით?

— არასამთავრობოები და სხვა ორგანიზაციები ამბობენ, რომ ასეთი საკითხები საპატრიარქოში არ უნდა წყდებოდეს და ამას ვეთანხმები. საპატრიარქოში ერთადერთი მიზნით მივედით, გვეთქვა მათთვის, რომ ვიცოდით, რა იყო ამ ყველაფრის წყარო. ჩვენ მხოლოდ კეთილი განწყობა გვამოძრავებს მართლმადიდებლების მიმართ, მათ არ ვებრძვით. გვინდოდა, გვეთქვა, რომ ამ საქმეში მონაწილეობდა ადგილობრივი სამღვდელოება და ეს საკითხი მუსლიმანთა და მართლმადიდებელთა დაპირისპირების მიზეზი არ გამხდარიყო. სამწუხაროდ, საპატრიარქომ ისეთი განცხადება გააკეთა, თითქოს ჩვენ იმისთვის მივედით, რომ მათგან მინარეთის მშენებლობის ნებართვა აგვეღო. მან აღუთქვა თავის მრევლს, რომ მინარეთი არ აღიმართება. ეს მისი საქმე არ არის. ეს ჩვენსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობაა. ჩვენ ყველა ღონეს ვიხმართ, რომ იქ მინარეთი აღიმართოს.

სამწუხაროდ, სახელმწიფო ვერ ასრულებს თავის მოვალეობას. ჩვენ ვთქვით, რომ სიტუაციის განმუხტვა გვინდოდა. მუსლიმანი მრევლი სამართლიანად იყო აღელვებული და ვცდილობდით, რადიკალური ნაბიჯები აგვეცილებინა. გვითხრეს, რომ მინარეთს მეჩეთის ახლოს, ეზოში ჩაიტანდნენ, მაგრამ სოფლის შესასვლელში წაიღეს. რკინის კონსტრუქციას უამრავს გავაკეთებთ და ვაჩუქებთ, მაგრამ თავად ეს სიმბოლოა ჩვენთვის მნიშვნელოვანი. მღელვარება არ ჩამქრალა და შემოგვყურებენ, თუ რა იქნება ჩვენი მომდევნო ნაბიჯები. ჩვენ კი ვპირდებით, რომ დაუყოვნებლივ აღვადგენთ მინარეთს და ამას არავის შევუთანხმებთ. სახელმწიფომ შეცდომა დაუშვა და ამას სამართლებრივი რეაგირება უნდა მოჰყვეს. საქართველოს ისტორიაში არ მეგულება მსგავსი მასშტაბური სპეცოპერაცია, რომელიც მთავრობამ მინარეთის დემონტაჟისას განახორციელა. ამის გამო აუცილებლად უნდა დასაჯონ ის ადამიანები, ვინც ეს არასწორი ბრძანება გასცა.

— ჭელა როგორი სოფელია, რომელი აღმსარებლობის და რამდენი ადამიანი ცხოვრობს იქ?

— ჭელაში 56 ოჯახი ცხოვრობს. აქედან 12

Cyan Magenta Yellow Black

მართლმადიდებელია, დანარჩენი — მაჰმადიანი. ადრე მუსლიმანი მესხებიც ცხოვრობდნენ, რომლებიც მერე გადაასახლეს. გასული საუკუნის 80-იან წლებში აჭარიდან და რაჭიდან ჩაასახლეს იქ ხალხი, ძირითადად ხულოს რაიონიდან. ესენი არიან ქართველი მაჰმადიანები.

— მეჩეთი როდის აშენდა?

— 2007 წელს და მას შემდეგ ფუნქციონირებს.

— მინარეთის გარეშე?

— დიახ. მინარეთისთვის აუცილებელი იყო ფული და როცა ადგილობრივმა მოსახლეობამ შეაგროვა, იყიდეს და შემოიტანეს.

— და იქიდან ყოველდღიურად ლოცვისთვის უნდა მოგეწოდებინათ მუსლიმანებისთვის. ეს იქ მცხოვრები მართლმადიდებლების უფლებების დარღვევად არ ითვლება?

— მინარეთის დანიშნულება კი ეს არის, მაგრამ საქართველოში ხმამაღლა, მიკროფონებით მორწმუნეთა მოხმობის ფაქტები არ არსებობს. ვფიქრობ, ეს ჩვენი შეცდომაა. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, სხვა აღმსარებლობის ადამიანები არ შევაწუხოთ. არც ერთი მეჩეთიდან, რომლის ახლოსაც ქრისტიანები ცხოვრობენ, არ გაისმის ხმამაღალი მოწოდება. ლოცვის დრო ყველამ ისედაც იცის. ამ შემთხვევაში მინარეთი ჩვეულებრივი ატრიბუტია. ხალხი უნდა მიხვდეს, რომ ამ ადგილზე მეჩეთი დგას და არა — სახლი. თუ ჩვენ ხმამაღალი მოწოდება გვინდა, ამისთვის სულაც არ არის საჭირო მინარეთი. შეიძლება მეჩეთის კედელზეც განვათავსოთ მიკროფონები და იქიდან გაისმას ხმამაღალი მოწოდება. ასეთ რამეს არც ბათუმში ვაკეთებთ და არც თბილისში. არადა, ჩვენი სრული უფლებაა, მოვუწოდოთ მლოცველს, მოვიდეს მეჩეთში და ილოცოს. როგორც სამრეკლოა მართლმადიდებლური ტაძრის განმასხვავებელი, ასეთივეა ჩვენთვის მინარეთი.

აქვე მინდა გითხრათ, რომ ხულოს ერთ სოფელში, სადაც 98% მუსლიმი ცხოვრობს, მართლმადიდებელ ეკლესიაში თავისუფლად რეკავენ ზარს და არავინ გამოთქვამს პრეტენზიას, რატომ ირეკება დილაუთენია ეს ზარები.

— ეს ხომ საქართველოა, მრავალსაუკუნოვანი მართლმადიდებელი ქვეყანა. ალბათ რთულია დავასახელოთ ისეთი მუსლიმანური აღმსარებლობის ქვეყანა, სადაც ქრისტიანები ცხოვრობენ და იქ ტაძრის ზარის რეკვის ხმა გაისმის.

— საქართველო არ არის მართლმადიდებელი ქვეყანა! ეს ყველამ ამოიღეთ გონებიდან! საქართველო დემოკრატიული ქვეყანაა როგორც მართლმადიდებლებისთვის, ისე მაჰმადიანებისთვის. ასეთი ცნება საქართველოს კანონმდებლობაში არ არსებობს.

— სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონკორდატია გაფორმებული, სადაც გარკვევით წერია, რომ უპირატესობა ამ აღმსარებლობას აქვს.

— სამართლებრივად ასეთი ქვეყანა არ გვაქვს. თურქეთიც არ არის მუსლიმანური ქვეყანა. შესაბამისად, იქაც შეგიძლიათ მოისმინოთ ქრისტიანული ტაძრის ზარის რეკვის ხმა. თურქეთის ქალაქ ვანში შეგიძლიათ მოისმინოთ სომხური ტაძრის ზარების ხმა. ასეთი განმარტება — მუსლიმანურ-ქრისტიანული — ცუდად აისახება ზოგადად მოსახლეობაზე. საქართველოში მართლმადიდებელი მრევლი ბევრი ცხოვრობს გასაგები მიზეზების გამო, მაგრამ კატეგორიულად ვაფიქსირებ, რომ ეს არ არის მართლმადიდებელი ქვეყანა. ეს არის სეკულარული, დემოკრატიული ქვეყანა და არც ერთ საკანონმდებლო სივრცესა თუ აქტში არ არის მითითებული, რომ მართლმადიდებლურია.

— აქამდე მეგონა, მართლმადიდებლურ, ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში ვცხოვრობდი.

— არასწორად გეგონათ!

— რამდენი მაჰმადიანი ცხოვრობს საქართველოში?

— ოფიციალური მონაცემებით 10%-მდეა, მაგრამ ჩვენი მონაცემებით საქართველოში მოსახლეობის 17% მაჰმადიანია. მართლმადიდებლების შემდეგ მუსლიმანები არიან.

— ჭელაში თავიდან მართლმადიდებელმა მოსახლეობამ გამოთქვა პროტესტი. თქვენი აზრით, რატომ?

— არა. იქ მოსახლეობა შეხმატკბილებულად ცხოვრობს. ისინი ადგილობრივმა სამღვდელოებამ წააქეზა და ამას მოჰყვა ის, რომ მოსახლეობამ ხელმოწერების შეგროვება დაიწყო. ბევრი მართლმადიდებელი მოვიდა ჩვენთან და გვითხრა, თქვენ გვერდით ვართო. ეს არ არის ისლამისტებისა და მართლმადიდებლების პრობლემა. ეს რამდენიმე პროვოკატორის ბრალია. საპატრიარქოში ჩვენი ჩასვლის მიზეზიც სწორედ ეს იყო, რომ გვეთქვა, რას აკეთებდნენ მათი წარმომადგენლები.

— ბატონო ტარიელ, უკვე ღიად ამბობენ, რომ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები ცდილობენ ამ სოფელში სიტუაციის დაძაბვას.

— ვინც უნდა ცდილობდეს, სახელმწიფო რას ნიშნავს?! არ უნდა ჩაიდინონ ისეთი რამ, რაც პროვოკაციას გამოიწვევს. ნაციონალებს არ ჩამოუყვანიათ იქ სპეცრაზმელები და ვერც მინარეთის დემონტაჟის ბრძანებას გასცემდნენ. პოლიტიკურ ჭრილში ამის გადატანის უფლებას არავის მივცემთ!

— როგორ მოხდა მინარეთის დემონტაჟი?

— ასობით პოლიციელი და სპეცრაზმელი მოვიდა. სოფელში შესასვლელი გზები გადათხარეს, რომ ხულოდან ხალხი არ ჩასულიყო. ფეხით მისასვლელ გზებზე კი სპეცრაზმელები დაეყენებინა. საქონელი ვერ მიიყვანა ხალხმა სახლში, რადგან მთავრობას ეგონა, ის ხალხი ძროხებისთვის კი არა, მინარეთის დასაცავად მიდიოდა. ამ ყველაფერს ციდან ვერტმფრენი აკონტროლებდა. ეს ხომ სირცხვილია?! ამწეკრანები და კიდევ 50-მდე ტექნიკა შეიყვანეს. არ შეუშვეს ჟურნალისტები და მხოლოდ ტელეფონით გადაღებული კადრები გავრცელდა, სადაც კარგად ჩანს, როგორ სცემდნენ ადამიანებს. მოხუცი კაცი ფეხქვეშ გაიგდეს და უამრავი ვინმე სცემეს. შედეგად კი დაპატიმრებული მინარეთი მივიღეთ. მინარეთი უნდა აღიმართოს, რადგან ეს მუსლიმანების სინდისი და ნამუსი იქნება. ამ ქვეყანაში არავის მივცემთ უფლებას, დემოკრატიას და ჩვენი ქვეყნის განვითარებას საფრთხე შეუქმნას. ყველას ჩავაყენებთ საქმის კურსში და ჩვენი ყველა ნაბიჯი სამართლიანი და კანონიერი იქნება.

— ჭელაში არის მართლმადიდებლური ტაძარი?

— შენდება.

❖ ❖ ❖

ფინანსთა სამინისტროში ამბობენ, რომ შემოსავლების სამსახურს სპეცრაზმი არ ჰყავს. შესაბამისად, არც სპეცრაზმელები ყოფილან ჭელაში და იქ საბაჟო სამსახურის თანამშრომლებს მხოლოდ სამხარეო პოლიცია ეხმარებოდა ექსცესების თავიდან ასაცილებლად.

მამუკა არეშიძე:

„ვისი, ვინ დახეჯა საბაჟოზე და ვინ შემოატანინა ეს მინარეთი ასეთი დახოვევით... ხომ ვთქვა, უახყოფს და სასამართლოში თუ მიჩივლა, მომიგებს. გეტყვით იმას, ხომ ნაციონალია".

ხატია მოისწრაფიშვილი, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის დეპარტამენტის უფროსი:

— მინარეთი მოხსნეს და წამოიღეს, რადგან, როგორც ყველა სხვა ნივთი, განბაჟებას ექვემდებარება. ექსპერტიზა ჩატარდა, განისაზღვრა კოდი და მინარეთი იმ ადგილზე დაებრუნეს, რომელზეც საპატრიარქოსთან შეთანხმდნენ. მინარეთს კოდი არ ჰქონდა მინიჭებული და ამიტომ ბევრად ნაკლები თანხა ჰქონდა დარიცხული. ამ კოდის მიხედვით კი განბაჟდება და დაერიცხებათ გარკვეული თანხა.

რაც შეეხება იმას, რომ მინარეთი პოლიციის თანხლებით მოიხსნა, ეს ექსცესების გარეშე არ ჩაივლიდა და რამე რომ არ მომხდარიყო, შსს-ს სამხარეო პოლიციამ უზრუნველყო მინარეთის გამოტანა. სპეცრაზმი ჩვენს სამსახურს არ ჰყავს და სპეცრაზმელებიც იქ არ ყოფილან.

— სხვა ფორმით არ შეიძლებოდა ამ საკითხის გადაწყვეტა?

— 8 აგვისტოს ჩაბარდათ შეტყობინება, რომ საჭირო იყო შემოწმების ჩატარება. შემოსავლების სამსახური 10 სამუშაო დღეში ითხოვდა რაიმე საბუთის წარმოდგენას. არც საბუთი წარმოადგინეს და არც კონტაქტზე გამოვიდნენ. სასაქონლო ექსპერტიზა რომ ჩატარდეს, ნიმუში უნდა აიღო. ნიმუშს კი დემონტაჟის გარეშე ვერ აიღებდნენ. თავის დროზე რომ წარმოედგინათ საბუთები, ეს საქმე აქამდე არ მივიდოდა. რაც არ ჰქონდათ, როგორ წარმოადგენდნენ?!

— ზარი ან მართლმადიდებლური ეკლესიის სხვა ატრიბუტი განბაჟებას ექვემდებარება?

— რა თქმა უნდა. რაც შემოდის და განბაჟებას ექვემდებარება, უნდა განბაჟდეს.

❖ ❖ ❖

ამ ამ შემდეგ, რაც ტარიელ ნაკაიძემ ინტერვიუში დარწმუნებით განაცხადა, არც ერთი კანონით საქართველო მართლმადიდებელ ქვეყნად გამოცხადებული არ არისო, ამ ინფორმაციის სიზუსტის შემოწმება პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიასთან გადავწყვიტეთ. ქალბატონი ეკა განმარტავს, რომ საქართველო მართლმადიდებელი ქვეყანაა და ამას სწორედ რომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის გაფორმებული კონკორდატი ანუ საკონსტიტუციო შეთანხმება განსაზღვრავს.

ეკა ბესელია:

— საქართველოს კონსტიტუცია და ევროპის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა კონვენცია, რომელიც სავალდებულო აქტია, ყველა რელიგიისა და აღმსარებლობის თავისუფლებას აღიარებს. არ შეიძლება

→20

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

უკანონოდ ჩარევა და ხელის შეშლა რელიგიური მსახურებისთვის. ამ საკითხში ცალსახა პოზიცია გვაქვს — მაქსიმალურად უნდა იყოს დაცული ყველა რელიგიის უფლება, მაგრამ თუ საქმე ეხება კანონის დარღვევას, კანონზე მაღლა არც ერთი რელიგია არ დგას. ამ დროს სამართლებრივი რეაგირებაა საჭირო და ეს უნდა გამოიძიონ შესაბამისმა ორგანოებმა. ასევე უნდა გამოიძიონ ამ დემონტაჟის დროს ხომ არ დაირღვა ადამიანის უფლებები. თუ ვინმეს მიაყენეს შეურაცხყოფა და ასეთი განცხადებები გაკეთდა, უნდა შევისწავლოთ. მიმაჩნია, რომ გენერალურმა ინსპექციამ უნდა შეისწავლოს საკითხი და შესაბამისად იმოქმედოს.

— ქართველი მაჰმადიანები ამბობენ, რომ არ არსებობს საკანონმდებლო აქტი, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველო მართლმადიდებელი ქვეყანაა.

— გვიწერია! არსებობს კონკორდატი — კონსტიტუციური შეთანხმება სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის, სადაც ნათქვამია მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლისა და მნიშვნელობის შესახებ. თან, ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელთა უმეტესობა მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლია. ამის გათვალისწინებით გაფორმდა კონსტიტუციური შეთანხმება, რაც ძალიან მნიშვნელოვანი აქტია. თუ ვინმე საპირისპიროს ამბობს, ეს მისი პირადი შეხედულებაა. საქართველო რომ მართლმადიდებელური ქვეყანაა, ყველასთვის ცნობილია. არის ფაქტები, რომლებსაც მტკიცება არ სჭირდება, თუმცა, ვიმეორებ, ამ ქვეყანაში ყველას აქვს რელიგიური მსახურების უფლება. ყველას თავისი წესი აქვს და ამ წესებს პატივი უნდა ვცეთ. რელიგიის თავისუფლება არ ნიშნავს იმას, რომ სხვათა უფლებები იყოს შელახული.

ვიცი ერთი შემთხვევა, როცა ერთ-ერთ რეგიონში ადგილობრივმა მაჰმადიანებმა ჩვენი ეკლესიის ერთ-ერთ მაღალი რანგის სასულიერო პირს არ მისცეს წირვის ჩატარების უფლება. არ ვაკონკრეტებ, სად და ვის, რადგან ეს პირად საუბარში მითხრეს, რაც ასევე წარმოუდგენელი რამ გახლავთ. ამ პატარა საქართველოში 200-ზე მეტი მეჩეთია, აქვთ სკოლები და ა.შ. მგონი, ამით ყველაფერია ნათქვამი. ასეთი პატარა ქვეყნისთვის ეს საკმაოდ დიდი მაჩვენებელია.

— საქართველოში ხელისუფლების ცვლილების შემდეგ რელიგიურ ნიადაგზე კონფლიქტების გახშირება რას უნდა დაეკუთვნოთ?

— ვფიქრობ, რომ ასეთი თემების პროვოცირებით სააკაშვილი და მისი გუნდია დაინტერესებული. პრეზიდენტმა პროვოკაციული და უპასუხისმგებლო განცხადება გააკეთა, როცა რელიგიასთან დაკავშირებულ კონფლიქტებზე ილაპარაკა. რელიგიური თემა ძალიან სათუთია და სიფრთხილე და კორექტულობაა საჭირო.

❖ ❖ ❖

ჭელაში მომხდარ ამბებს საქართველოს პრემიერმინისტრი, ბიძინა ივანიშვილი გამოეხმაურა: „ჩვენ ყოველთვის ვიამაყებთ საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ტრადიციით, სხვადასხვა რელიგიის აღმსარებლობის ადამიანთა მშვიდობიანი თანაცხოვრებით...ღრმად მწამს, ეს ტრადიცია არსად გამქრალა და ჩვენი ხალხისთვის მშვიდობიანი თანაცხოვრება სრულიად ბუნებრივია... სოფელ ჭელაში მომხდარ ინციდენტს არაფერი აქვს საერთო რელიგიურ შეუწყნარებლობასთან. მინარეთი კანონდარღვევით აშენდა. თვითნებობასა და უკანონობაზე კი ხელისუფლება თვალს ვერ დახუჭავს. თუ სოფელ ჭელაში მინარეთის დემონტაჟის პროცესში აქციის მონაწილეთა მიმართ კანონი დაირღვა ან გამოყენებული იყო გადამეტებული ძალა, ფაქტებს შევისწავლით და სათანადო რეაგირება მოჰყვება“.

❖ ❖ ❖

ექსპერტი კავკასიის საკითხებში, მამუკა არეშიძე, მინარეთის გამო შექმნილი რელიგიური დაპირისპირების უკან ნაციონალურ მოძრაობას ხედავს. პუბლიცისტი ირაკლი კაკაბაძე კი მიიჩნევს, რომ ამ მოვლენების უკან უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია იმალება, რომელიც ადამიანებს იდენტობის მიხედვით ანაწილებს, რათა მათ შორის კონფლიქტი გამოიწვიოს და ეს ყველაფერი ხელისუფლებას დაბრალდეს: „მთავარმა პროკურატურამ ამ საქმესთან დაკავშირებით გამოძიება უნდა დაიწყოს. მით უმეტეს, არსებობს გარკვეული ჩვენებები, პირდაპირი მტკიცებულებები, რომ „თავისუფლების ინსტიტუტი“ და ნაციონალური მოძრაობა ამ კონფლიქტის გაღვივებას ცდილობს. ამ ყველაფრის უკან დგანან დიდი პროვოკატორები: გიგა ბოკერია და ლევან რამიშვილი“.

ეკა ბესელია: „ამ პატარა საქართველოში 200-ზე მეტი მეჩეთია, აქვთ სკოლები და ა.შ. მგონი, ამით ყველაფერია ნათქვამი. ასეთი პატარა ქვეყნისთვის ეს საკმაოდ დიდი მაჩვენებელია“.

მამუკა არეშიძე:

— პრესაში პერიოდულად იწერება, რომ მიხეილ სააკაშვილი ბათუმში ჩადის და იქაურ მუსლიმანებსა და ქართველებს შორის სიტუაციის დაძაბვას ცდილობს. შეიძლება მთლად ასე არ არის, მაგრამ კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება. ასევე არსებობს სხვადასხვა ტიპის კულუალური ინფორმაციები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ნაციონალები ამ საქმეში აქტიურად არიან ჩართული. ადგილობრივ მოსახლეობას ვხვდები და ისინიც ამას ადასტურებენ. სადაც სიტუაცია იძაბება, ხშირად ერთი და იგივე, ნაციონალურ მოძრაობასთან და „თავისუფლების ინსტიტუტთან“ დაახლოებული სახეები ჩნდებიან. ძირითადად დაპირისპირება მხოლოდ იმ სოფლებში ხდება, სადაც ქართველი მუსლიმანები და ქრისტიანები ცხოვრობენ. ნაციონალური მოძრაობა დაინტერესებულია რელიგიურ ფორმატში დაძაბოს სიტუაცია, რომ ხელისუფლებას დისკომფორტი შეუქმნას.

■ მინარეთის დემონტაჟი

— ჭელას ინციდენტს როგორ ახსნით?

— ჭელაში მინარეთის მონტაჟიც უკანონოდ მოხდა და დემონტაჟიც. დემონტაჟში სამართლებრივ მხარეს არ ვგულისხმობ, ფორმაზე მოგახსენებთ — ამისათვის ჯარი ჩაიყვანეს. ადიგენის რაიონი თითქმის ერთადერთია საქართველოში, სადაც ხელისუფლებაში ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები შემორჩნენ. საკრებულოც ნაციონალია, გამგებელიც და მაჟორიტარი დეპუტატიც. საკრებულომ მინარეთის დემონტაჟის გადაწყვეტილება გამოიტანა, რაც საინტერესო ფაქტია. მათ მხოლოდ გადაწყვეტილება გამოიტანეს და კანონის ფორმა მისცეს. საკრებულოს დანაშაული ერთია და ფინანსთა სამინისტროსი — მეორე. საკრებულო შეგნებულად მოიქცა ასე, რადგან დავალება ჰქონდა ასეთი. თანაც ვიცი, ვინ დარეკა საბაჟოზე და ვინ შემოატანინა ეს მინარეთი ასეთი დარღვევით.

— ვინ?

— მაგის თქმას არ ვაპირებ. რომ ვთქვა, უარყოფს და სასამართლოში თუ მიჩივლა, მომიგებს. გეტყვით იმას, რომ ნაციონალია.

— ვინდათ თქვათ, რომ ნაციონალები საბაჟოზე რეკავენ და, მათი ბრძანებით, მეჩეთები უკანონოდ ატარებენ ტვირთს?

— ჩვენ ხომ კოაბიტაციის რეჟიმში ვართ, ძალოვან სტრუქტურებში იგივე ხალხია. განუბაჟებლად კი არ გამოატარეს, პროდუქციას სახელი შეუცვალეს, რის გამოც სახელმწიფომ ზარალი მიიღო. ეს სამართლებრივი მხარეა და ბევრს ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ის, რაც ხდება, ცეცხლთან თამაშია, რაც ცუდად შემოუტრიალდება ქვეყანას. როგორც წინა, დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკაც ძალიან ცუდია ისლამთან დაკავშირებით.

ასეთი დაძაბული კერების შექმნა კიდევ უფრო გაართულებს ყველაფერს. ეს ყველაფერი ჩვენს მეზობელ ქვეყნებს აძლევს საშუალებას, მუსლიმანების შევიწროებაზე ილაპარაკონ. ჯერ ყველა საბუთი არ მაქვს ხელთ, მაგრამ ვიცი, როგორ მონაწილეობდა მთელ ამ პროცესში ერთ-ერთი ჩვენი მეზობელი სახელმწიფოს სპეცსამსახური. მასალების სიმცირის გამო ვერც ქვეყანას დავასახელებ და ვერც იმ ფაქტებს, თუ როგორი ფორმით ხდებოდა ეს ყველაფერი.

საქართველოში არ არსებობს კანონი, რომელიც განსაზღვრავს, ვინ უნდა ააშენოს საკულტო ნაგებობა, როგორ უნდა ააშენოს და ვინ ვის უნდა მიმართოს. ეკლესიების შემთხვევაში კონკორდატის მუხლი მუშაობს, მეჩეთების დროს — არა. კანონი ბუნდოვანია, რაც სპეციალურად შექმნეს ნაციონალებმა, რომ ვერ გარკვეულიყვნენ, ვინ როგორ უნდა მოქცეულიყო. საქართველოს კანონმდებლობა, რომელიც ისედაც არ ვარგა, სასულიერო სივრცეში საერთოდ არ მუშაობს.

— ბატონო მამუკა, თქვენ როგორ იცით, მართლმადიდებლურ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის დადებული ხელშეკრულების მახედვით მართლმადიდებელი ქვეყანა გვქვია?

— თვალთმაქცობასთან გვაქვს საქმე. როცა მოსახლეობის 80% მართლმადიდებელია, რასაკვირველია, დომინანტური ეს ეკლესიაა, მით უმეტეს, საკონსტიტუციო შეთანხმებითაც ასეა. მეორე მხრივ, საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, საქართველო როგორც ქრისტიანული, ისე მუსლიმანური ქვეყანაა. თუ მოინდომა, საქართველოს თავისუფლად შეუძლია საერთაშორისო ისლამური კონფერენციის წევრი გახდეს. საქართველოში არ არსებობს დახვეწილი კანონი რელიგიის შესახებ და ვისაც რა უნდა, იმას ლაპარაკობს.

❖ ❖ ❖

„ედა ღვთისმშობელი არ დაუშვებს, რომ მის წილხვედრ ქვეყანაში მართლმადიდებელი იჩაგრებოდეს. დამიჯერეთ, თითოეული თქვენგანი ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის შვილია. მინდა გითხრათ, რომ თქვენმა აქ ყოფნამ ძალიან ბევრად განაპირობა ის გადაწყვეტილება, რაც ჩვენ მივიღეთ — არ აღიმართება ეს მინარეთი და მინდა გითხრათ, რომ თქვენი იმედი გვაქვს ყოველთვის“, — უთხრა მინარეთის არაღდგენის მოთხოვნით შეკრებილ მართლმადიდებლებს პატრიარქის ქორეპისკოპოსმა, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა თეოდორე ჭუთაძემ.

✓ **რუსუდან ადვაძე**

Cyan Magenta Yellow Black

ეკა კვესიტაძე და დავით პაიჭაძე „პირველი არხის“ დათმობას არ აპირებენ

„დიდ ამბავს ავტეხავთ!“

საზოგადოებრივ მაუწყებელში ისევ და უკვე მერამდენედ დიდი არეულობაა. ტელეკომპანიის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა არხის სახეები, რომლებსაც წინა, ნაციონალური ხელისუფლების ღია მომხრეებად მიიჩნევდა — ჟურნალისტები ეკა კვესიტაძე და დავით პაიჭაძე, ტოქ შოუების წამყვანად აღარ მიეწვია. ამ უკანასკნელებმა სკანდალი ატეხეს, მედიაში განცხადებები აკეთეს, მათ მხარი დაუჭირეს „პირველი არხის“ სამეურვეო საბჭოს წევრებმა, რომლებიც ასევე ნაციონალების მხარდამჭერებად მოიაზრებიან. ისინი ყველაფერს აკეთებენ, რათა კვესიტაძე და პაიჭაძე არხის ეთერში დარჩნენ... დაპირისპირება ტელევიზიის შენობის გარეთ არასამთავრობოთა აქციით გაგრძელდა და საქმე იქამდე მივიდა, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელს ფუნა ესროლეს.

ეკა კვესიტაძე და დავით პაიჭაძე უკვე წლებია „პირველი არხის“ პოლიტიკური ტოქ შოუების წამყვანები არიან. ირწმუნებიან, მიკერძოებულები არასოდეს ვყოფილვართო, მაგრამ ამავე დროს ადასტურებენ, რომ ნაციონალური მთავრობა ტელეკომპანიებს და მათ შორის „პირველ არხს“ სრულად აკონტროლებდა.

ეკა კვესიტაძეს წინა ხელისუფლებასთან პირდაპირი „ოჯახური კავშირი“ ჰქონდა და აქვს — შსს-ს საინფორმაციო და ანალიტიკური დეპარტამენტის აწ უკვე ყოფილი ხელმძღვანელი, შოთა უტიაშვილი, მისი ქმარი გახლავთ. ჟურნალისტი ირწმუნება, რომ ეს მომენტი უხერხულობას ყოველთვის უქნიდა, მაგრამ მის პროფესიულ მუშაობაზე გავლენა არასოდეს მოუხდენია.

დავით პაიჭაძე, რომელიც საზოგადოებრივი მაუწყებლის ტელეეთერიდან გაათავისუფლეს, ამ არხის რადიოწამყვანად დღემდე რჩება. უკვირს, რომ რადიოში მუშაობას ისევ აგრძელებს, რადგან, მისი თქმით, რადიოშიც ზუსტად იმავეს აკეთებს, რასაც ეკრანზე.

ეკა კვესიტაძე: „არც მე მომწონს ჩემი აგრესიულობა. ემოციურობა ჩემთვის ყველაზე დიდი ნაკლია. როცა ვბრაზდები, მაშინ ვხდები ძალიან ემოციური. თუ არ მაბრაზებენ, აბსოლუტურად სხვანაირი, საყვარელი ვარ“.

როგორია მათი დღემდე გამოვლილი გზა, შეხედულებები ჟურნალისტურ მოვალეობებზე და საკუთარ ნამოღვაწეობაზე, მკითხველმა მათთან ინტერვიუდან განსაჯოს, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ. აქვე აღვნიშნავთ, რომ აქამდე ეკა კვესიტაძე „სარკესთან“ საუბრის წინააღმდეგი იყო. ასეთი ერთი შემთხვევა გვახსოვს, როცა ინტერვიუს ჩაწერა შევთავაზეთ და ცივი უარი მივიღეთ. ახლა რატომ შეიცვალა აზრი, ამასაც ქვემოთ შეიტყობთ.

— ეკა, „პირველ არხამდე“ სად მუშაობდით, რას საქმიანობდით?

ეკა: საერთაშორისო ჟურნალისტიკის ფაკულტეტი დავამთავრე. ერთი წელი გერმანიაში ვიყავი. მერე ვმუშაობდი გაზეთ „7 დღეში“. თავიდან ლიტერატურაზე წერა დავიწყე. 21 წლის ვიყავი, როცა ყურადღების ცენტრში მოვექეცი, რადგან თამაზ წივნივაძესთან ორწლიანი ეპისტოლარული მიმოწერა მქონდა. გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, რომლის რედაქტორიც წივნივაძე იყო, რომ გადავშალე, ისეთი ფაშიზმი და ქსენოფობია მძვინვარებდა იქ, რომ ჩავთვალე, ამაზე უნდა დამეწერა. 21 წლის გოგომ გავბედე ის, რაც ბევრმა ვერ გააკეთა.

1999 წლიდან აქტიურად დავიწყე წერა პოლიტიკაზე. რამდენჯერმე პარლამენტში მოვხვდი და დავინტერესდი. გაზეთ „24 საათის“ დაარსების დღიდან იქ ვიყავი. შემდეგ ამერიკაში წავედი. ვმუშაობდი „24 საათის“ ვაშინგტონის კორესპონდენტად. ასევე სიუჟეტებს ვაკეთებდი „რუსთავი 2“-ისთვის. რომ დავბრუნდი, ეროსი კიწმარიშვილმა შემომთავაზა „რუსთავი 2“-ზე გადასვლა. ჯერ დილის გადაცემაში ვიყავი, სადაც ვერ ვიპოვე ჩემი ადგილი და მე და ნინო ჯაფიაშვილმა ერთობლივი გადაცემა გავაკეთეთ. მაშინდელმა ხელისუფლებამ კი გადაწყვიტა, რომ აღარ იყო საჭირო პოლიტიკური ტემპერატურის აწევა და პოლიტიკური ტოქ შოუები გაქრა ტელეეკრანებიდან.

— ნაციონალების ხელისუფლების დროზე საუბრობთ?

ეკა: დიახ. ჩემი აზრით, ეს მაშინდელი ხელისუფლების ერთ-ერთი დიდი შეცდომა იყო. ხელოვნურად გადაწყვიტეს პოლიტიკური ტემპერატურის დაწევა და მომიწია „რუსთავი 2“-დან წამოსვლა. მაშინ უკვე ნიკა ტაბატაძე იყო არხის გენერალური დირექტორი. მითხრეს, რომ ჩემი ადგილი „რუსთავი 2“-ში არ იყო. ბუღალტერმა დამირეკა, შტატში აღარ ხარო, რაც ძალიან შეურაცხმყოფელი იყო. მინდა, ეს მათ გასაგონადაც ვთქვა, ვინც ფიქრობს, რომ ნაციონალური მოძრაობა ამ ხნის განმავლობაში წითელ ხალიჩაზე მატარებდა.

— იგივე პროცესი მომხდარა, რაც ახლა, მაგრამ მაშინ პროტესტის ამ ფორმისთვის არ მიგიმართავთ, ხმა არ ამოგიღიათ.

ეკა: ხმა ამოვიღე, მაგრამ ჩემი ხმა არსად გაისმა. შემდეგ სოროსის ფონდთან ერთად მედიაეთიკის საბჭო გავაკეთე. გვინდოდა, შეგვექმნა მარეგულირებელი ორგანო, რომელიც მედიაში ეთიკის საკითხებს გააკონტროლებდა, მაგრამ ქართული მედია ამისთვის მზად არ აღმოჩნდა, ამიტომ პროექტმა ვერ იმუშავა. ისევ მათთვის ვიტყვი, ვინც ნაციონალების მხარდამჭერ ჟურნალისტად მიმიჩნევს, რომ ჩემთვის ტელევიზიაში ყველა კარი დახურული იყო. ჩემი ქმარი 2004 წლიდან იყო შსს-ს მაღალჩინოსანი. მე კი რადიო „უცნობში“ ვმუშაობდი. მერე ინგლისში წავედი ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული პროგრამით. ედინბურგის უნივერსიტეტში ვსწავლობდი. შემდეგ „ბიბისი“-ზე გავიარე სტაჟირება. 2005 წელს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის გადაწყვეტილებით, მე ამირჩიეს საქართველოს ჟურნალისტებიდან, რომელსაც ინტერვიუ უნდა ჩაეწერა ჯორჯ ბუშთან. ეს ჩემთვის ძალიან დიდი სიხარული იყო. ჟურნალისტები განებივრებულები არ ვართ ასეთი შესაძლებლობებით.

2007 წელს ისევ მივედი „რუსთავი 2“-ში და მაშინდელ დირექტორს ვთხოვე, რომ აღედგინათ ჩემი და ნინო ჯაფიაშვილის გადაცემა. მაშინ გენერალური დირექტორი ირაკლი ჩიქოვანი იყო. მას ეს იდეა მოეწონა და აღგვადგინეს. 2008 წლის ომის შემდეგ კი საზოგადოებრივ არხზე ვარ. შემომთავაზეს და დავთანხმდი, რადგან ცალკე საავტორო პროგრამა ჩემთვის გამოწვევა იყო. 5 წელია ეთერში ვარ და ძალიან მძიმე იყო ეს წლები. 7 თვის ფეხმძიმე ვიყავი, როცა საზოგადოებრივი მაუწყებლის წინ იმართებოდა მუდმივი აქციები, იყო სირცხვილის დერეფნები. როცა მე მოვდიოდი, უკვე აღარ იყო ეს დერეფნები, მაგრამ მაინც დიდი სტრესი გახლდათ. მძიმე კრიზისების გადატანა მომიწია, მაგრამ, პროფესიული თვალსაზრისით, ძალიან გავიზარდე.

— ანუ საკუთარი თავით კმაყოფილი ხართ.

ეკა: არა, ყოველთვის მაქვს შენიშვნები ჩემს თავთან. ჰარდ ტოქის (ინგლ. მძიმე საუბარი. — რედ.) რეჟიმი რთული ფორმატია. სულ მძიმე კითხვები უნდა დასვა და მუდმივ სტრესში გყავდეს სტუმარი. ყოველ ღამით ფიქრობ, ეს კითხვა ასე კი არა, ისე უნდა დაგესვა და ა.შ. მუდმივი განსჯისა და ფიქრის პროცესია.

— ეკა, „პირველი არხი“ ხალხის ფულით ფინანსდება. როგორ ფიქრობთ, რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს გადაცემა, რომელიც არცთუ ისე დიდი რეიტინგით გამოირჩეოდა?

ეკა: როგორ არ გამოირჩევა?! როცა გადაცემა თავის თავს ამოწურავს, ამ შემთხვევაში შეიძლება შეცვალო. ჩემი გადაცემა ყველაზე მაღალრეიტინგული იყო „პირველ არხზე“. სააკაშვილის, ივანიშვილის, წულუკიანის, კბილაშვილის ინტერვიუებს ჰქონდა დიდი რეზონანსი. რა თქმა უნდა, ურთიერთსაწინააღმდეგო შეფასებებიც იყო. ჰილარი კლინტონთანაც მქონდა ინტერვიუს შესაძლებლობა. ამერიკის ელჩმა პირადად გადაწყვიტა, რომ მე მომცემოდა ამის შესაძლებლობა.

— როცა სტრესში გყავდათ სტუმარი მძიმე კითხვებით, ეს სტუმარი არანაციონალების ბანაკიდან იყო თუ სახელისუფლები სახეებსაც წნეხში ატარებდით?

ეკა: გინახავთ ჩემი ინტერვიუები გოკა გაბაშვილთან, ბოლოს ჩაწერილი ინტერვიუ პრეზიდენტ სააკაშვილთან?! შეადარეთ და ნახავთ, რომ ზუსტად ერთნაირად მკაცრი ვარ ყველასთან! გოკა გაბაშვილის ინტერ-

→22

ვიუს შემდეგ მთელი ნაციონალური

გახდომა 5-დან 20 კგ-მდე თვეში
გასუქება 2-დან 5 კგ-მდე თვეში

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე, შეინარჩუნებთ სტაბილურად შედეგს და საბოლაოდ დაივიწყებთ ამ პრობლემას.

სიმაღლეში ზრდის უახლესი პროგრამები:

სწრაფი და ეფექტიური ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსით 3-5სმ-ის მომატებით. ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა-დანიშნულებით. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. შედეგები 100%-იანია. ქ-ნი ქეთევანი.

☎ 577-29-37-41, 247-58-83

Cyan Magenta Yellow Black

მოძრაობა აბობოქრებული, გამწარებული იყო ჩემზე, პრეზიდენტის ჩათვლით. მე არ ვიცი, მიკერძოება რას ნიშნავს. მე მაქვს ჩემი ღირებულებები, რაც ეფუძნება ლიბერალური დემოკრატიის პრინციპებს. ძალიან მყარი პოზიცია მაქვს საქართველოს საგარეო კურსთან დაკავშირებით და ასევე სხვა თემებთან და, რა თქმა უნდა, ამ ღირებულებების დამცველი ვარ. ჩემი ღირებულებებიდან გამომდინარე, ყოველთვის ყველაფერს გადაწონის ქვეყნის უსაფრთხოება. ნათია მიქიაშვილი, რომელიც დღეს ჭკუას გვარიგებს და „ანატომიებს“ აკეთებს, სამების ეკლესიიდან ტყუილ ინფორმაციას ავრცელებდა, რომ თითქოს სპეცრაზმი სამებაში შესვლას აპირებდა. ეს იყო სამოქალაქო ომისკენ წაქეზება.

დავით პაიჭაძე: „არ მაინტერესებს, ადამიანები როგორ ჩხუბობენ. არ ვცდილობ, მაყურებლის გული ამით მოვიგო... მე არ ვარ რეიტინგებს გამოკიდებული. მახსოვს, რა მოთხოვნები აქვს წაყენებული საზოგადოებრივ მაუწყებელს კანონით. მაყურებელს ტვინს არ ვურეცხავ. მე ვარ გამტარი, მედიუმი მაყურებელსა და რესპონდენტს შორის“.

ჩემი პოზიციებიდან გამომდინარე, ვეკამათები მათ. ვერ ვიქნები რბილი და დამთმობი იმ ადამიანების მიმართ, ვინც ფიქრობს, რომ საქართველო ევრაზიულ კავშირში უნდა შევიდეს. ასეთებთან ჩემი კითხვები გაცილებით უფრო მძაფრი იქნება, ვიდრე მათთან, ვინც ამბობენ, რომ ჩვენი სტრატეგიული ამოცანაა ევროპასთან და ამერიკასთან ურთიერთობა.

— თქვენ აღწევდით წარმატებას და იყავით ტოქ შოუს წამყვანი მაშინ, როცა სხვა პოპულარული ჟურნალისტები — ინგა გრიგოლია, ეკა ბერიძე და სხვები ამ სფეროდან, შეიძლება ითქვას, განდევნილი იყვნენ თავიანთი დამოუკიდებელი პოზიციის გამო. ეს თქვენთვის არაფრისმთქმელია?

ეკა: როცა ტოქ შოუები შეჩერდა, „რუსთავი 2“-დან მეც გამომაგდეს. ეკა ბერიძემ მაშინ ჩემზე რამე თქვა?! მერე კი უამრავი ტოქ შოუ არსებობდა. მე და ინგა გრიგოლიას „პირველ არხზე“ ერთ დროს გვქონდა გადაცემა. მერე ინგა, თავისივე გადაწყვეტილებით, საკრებულოში წავიდა. მისი გადაცემა არავის დაუხურავს. მაშინ ეკა ხოფერიაც „პირველ არხზე“ იყო, ნინო ქაჯაიაც. ერთი წლის წინ დახურეს მათი გადაცემები.

— დავით, თქვენ რამდენი წელია, რაც „პირველ არხზე“ მუშაობთ?

დავითი: 2009 წლის შემოდგომიდან ვარ საზოგადოებრივ ტელევიზიაში, როგორც ტელეჟურნალისტი. რადიოწამყვანად კი 2006 წლის აპრილიდან ვმუშაობ. რადიოში ისევ ვრჩები და ცალკე თემაა, თუ ტელევიზიაში არ ვარ მისაღები, რადიოში სხვა რამეს ვამბობ?! თამაზ ტყემალაძემ თქვა, რადიოში პოლიტიკური გადაცემა არ აქვსო. როგორ არ მაქვს?! კვირაში ხუთჯერ ვარ ეთერში და, მართალია, სულ პოლიტიკაზე არ ვლაპარაკობ, მაგრამ მაინც მიწევს. ტელევიზიაშიც, ხანდახან პოლიტიკა ძალიან მოსაწყენი იყო და ამიტომ სხვა თემებსაც ვეხებოდი. ჩვენს ეთერში ყველაფერი გადიოდა.

პოლიტიკა ეკას საქმე უფროა, ვიდრე ჩემი. კანონშემოქმედებით პროცესებზე ვსაუბრობდი, ასევე, მაგალითად, წიგნიერების საკითხებზე და ა.შ. მხოლოდ ბიძინა ივანიშვილი არ არის საინტერესო. მოქალაქეები იმსახურებენ იმას, რომ მათ მრავალფეროვანი თემატიკა შესთავაზო.

— პირდაპირ და გულწრფელად შეგიძლიათ თქვათ, წინა ხელისუფლების დროს მედია იყო თუ არა თავისუფალი?

ეკა: იმაზე, რომ მედია არ იყო თავისუფალი და ნაციონალური მოძრაობის გავლენის ქვეშ არსებობდა სამი არხი, ყოველთვის ვლაპარაკობდი. ვერ დამისახელებთ ჟურნალისტების უფლებების დარღვევის ფაქტს, რომელზეც რეაგირება არ მომიხდენია. ახლაც გავიმეორებ, რაც „იმედში“ მოხდა, ეს ფორმა ჩემთვის ამაზრზენი და მიუღებელი იყო. ვინც ამ ფორმით გადაწყვიტა ტელევიზიაში შესვლა, უნდა დასჯილიყო, მაგრამ დღესაც არ მეშინია იმის თქმის, რომ იმ დღეს სასწორზე იდგა ქვეყნის უსაფრთხოება და თავისუფალი მედია.

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი საბედისწერო შეცდომა სწორედ ტელეკომპანიების გაკონტროლება და პროპაგანდის იარაღად გამოყენება იყო. ეს რომ სხვა დიდ შეცდომებთან ერთად სააკაშვილის ყველაზე დიდი შეცდომა იყო, ყოველთვის ვამბობდი და ახლაც ვამბობ. სააკაშვილთან ინტერვიუში ეს კითხვები საკმაოდ მწავედ დავსვი.

— დავით, თქვენ რას ფიქრობთ, ოთხწლიანი ტოქ შოუ, რომელიც მაყურებლების დიდი რაოდენობით არ გამოირჩეოდა, რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს იმ არხზე, რომელიც სწორედ მაყურებლების ანუ ქვეყნის მოსახლეობის ფულით ფინანსდება?

დავითი: ჩვენი პროტესტი იმან გამოიწვია, რომ მე და ეკას არ მოგვისმენია არანაირი კრიტიკული აზრი იმ პირთაგან, ვინც ჩვენი პროდუქციის ხარისხზე არიან პასუხისმგებელი. პროფესიულად თუ რამეს მიწუნებს, არხის ხელმძღვანელობამ უნდა მითხრას. ეს არ ნიშნავს სარედაქციო დამოუკიდებლობაში ჩარევას. არც იმას გვეუბნებოდნენ, კარგი იყო თუ ცუდი.

■ დავით პაიჭაძე და ეკა კვესიტაძე

ეკა: გიორგი ჭანტურია რომ იყო ტელევიზიის ხელმძღვანელი, ზოგიერთი გადაცემის მერე მირეკავდა და მეუბნებოდა, ძალიან კარგი იყოო. გიორგი ბარათაშვილი, რაც დაინიშნა, თვალით არ მინახავს. ერთადერთხელ ვნახე საგრიმიოროში შემთხვევით. ისე დამთავრდა სეზონი და ისე იწყებოდა ახალი, რომ ჩემთან შეხვედრა არ მოუნდომებია.

დავითი: არც მე და არც ეკას 1 ოქტომბრამდე და არც მერე არავისგან არანაირი მოთხოვნა არ მიგვიღია. მითები იყო, რომ ვიღაცასთან კითხვებს ვათანხმებდით.

ეკა: ისიც თქვეს, რომ ბიძინასთან ინტერვიუს დროს ყურში „მეჯდა“ სააკაშვილი, არადა წლების განმავლობაში თვალით არ მყავდა ნანახი. ერთ ბრიფინგზეც კი არ დავუპატიჟებივარ. 2008 წელს, ომის წინ, მქონდა მასთან ინტერვიუ და მას მერე ახლა, არჩევნების შემდეგ ვნახე. გავუგზავნე ჰარდ ტოქზე მოთხოვნა. მან მიიღო და დამთანხმდა. ეს იყო ჩემი მასთან ბოლო შეხვედრა. იმედი მაქვს, კიდევ მომეცემა შესაძლებლობა, რომ პრეზიდენტობიდან წასვლის შემდეგ ჩავწერო. აბსოლუტური თავისუფლება გვქონდა სარედაქციო კუთხით.

დავითი: პროფესიული კრიტიკა, არგუმენტირებული დაწუნება, რომ ჩვენ არ ვვარგოდით, ტელევიზიის შიგნით არ მოგვისმენია. ბატონი ტყემალაძე, თუ არ ვცდები, მარტიდან მუშაობდა გენერალური დირექტორის პირველ მოადგილედ. შეეძლო, ჩვენთვის თავისი პრეტენზიები პირდაპირ ეთქვა. არათუ უთქვამს, თვალითაც არ გვინახავს.

ეკა: კორკოტაშვილთან და კაკაბაძესთან ერთად მოვკარი თვალი. ერთი საათი გამონახა დრო, რომ ვინმე კორკოტაშვილს და ვინმე კაკაბაძეს შეხვედროდა. ვინ არიან ეს ადამიანები? კორკოტაშვილი „ჩუნგა-ჩანგას“ სიმღერით გავიცანით. ალბათ ისიც გინახავთ, როგორ ჩაძვრა სხვის საფულეში. კაკაბაძე ხომ საერთოდ ვინ არის?!..

— ეს ადამიანები ამბობენ, რომ საზოგადოების აზრს გამოხატავენ. თქვენ მიმართ დიდი აგრესია აქვს სოციალური ქსელებიდანაც ჩანს. როგორ ფიქრობთ, რამ გამოიწვია ასეთი განწყობა?

ეკა: ასევე მოდის ძალიან დიდი სიყვარული და მხარდაჭერა. 400 ლაიქი მაქვს ჩემს სტატუსზე — „გმადლობთ მხარდაჭერისთვის“.

— გეთანხმებით, რომ მხარდამჭერებიც გყავთ, მაგრამ ნეგატივი გაცილებით დიდია. სპეციალური გვერდიც შეუქმნიათ, მოგვაშორეთ კვესიტაძეო. არადა ობიექტური ჟურნალისტები ხალხს, როგორც წესი, ძალიან უყვარს და ამის არაერთი მაგალითი გვაქვს. თქვენს შემთხვევაში რატომ არ არის ასე?

დავითი: სოციალური ქსელი რატომ გგონიათ აბსოლუტური ინდიკატორი? რას გვავალდებულებს იქ დაფიქსირებული განწყობები? არსებითი ის არის, მე რას განვიცდი და ჩემი სინდისი რას მკარნახობს. ეს ადამიანები იქცევიან ისე, რაც ნიშნავს სხვისი ღირსების შეურაცხყოფას და არაადეკვატურ საქციელს.

ეკა: კორკოტაშვილის და კაკაბაძის აზრი ჩემთვის საინტერესო არ არის. მაინტერესებს პროფესიონალების აზრი! ჩემთვის ამოსავალი წერტილია ეთიკის და პროფესიული სტანდარტებით მუშაობა. თუ ვინმე ამ თვალსაზრისით წარმომიდგენს არგუმენტებს, რომ აქ დაირღვა ეთიკა, პროფესიული სტანდარტი, რომ ვიყავი მოუმზადებელი, რომ როცა კითხვა დავსვი, ის კითხვა ვერ გავამყარე, ან მოვიტყუე...

— ბევრს თქვენი ტონი აღიზიანებს.

ეკა: ბევრს კი გადაცემა ზუსტად ამ ტონის გამო მოსწონს. ინგა გრიგოლიაც აგრესიული იყო და რა მერე?! ასევე აგრესიულად, მწავედ სვამდა კითხვებს. დათო აგრესიული არ არის. ისეთი გაწონასწორებული ადამიანია, ხანდახან მინდა, ამის გამო რაღაც ჩავცხო. ზოგი დათოს იმიტომაც არ უყურებს, რომ ის ზედმეტად მშვიდია. ზოგს მე არ მოვწონვარ იმის გამო, რომ ასეთი ენერგიული თუ აგრესიული ვარ.

— ცხოვრებაშიც ასეთი ხართ?

ეკა: არა, ცხოვრებაში არ ვარ ასეთი. ახლაც მუშაობის პროცესში ვარ, როცა ინტერვიუს ვიძლევი. აი, მეგობრებთან ძალიან რბილი და საყვარელი ვარ. შვილებთან ძალიან რბილი დედა ვარ და ამის გამო მაკრიტიკებენ კიდეც.

— ქმარი გაკრიტიკებთ?

ეკა: ჩემი და მაკრიტიკებს, რომელიც თვლის, რომ ბავშვებს ვათამამებ და ბევრი რამის უფლებას ვაძლევ.

— ეთერში რატომ ხართ აგრესიული?

ეკა: ჩემთვის ეს არის საქმიანობის ნაწილი, რომ ვიყო მკაფიო და მომთხოვნი რესპონდენტების მიმართ. არც მე მომწონს ჩემი აგრესიულობა. ემოციურობა ჩემთვის ყველაზე დიდი ნაკლია. როცა ვბრაზდები, მაშინ ვხდები ძალიან ემოციური. თუ არ მაბრაზებენ, აბსოლუტურად სხვანაირი, საყვარელი ვარ.

Cyan Magenta Yellow Black

ეკა კვესიტაძე: „გაიხსენეთ ეკა ბერიძის ინტერვიუ ბიძინა ივანიშვილთან, რომელიც ეძღვნებოდა ძუძუთი კვების აუცილებლობას, ფსიქოლოგიას და მერე ნახეთ ჩემი ინტერვიუ პრეზიდენტ სააკაშვილთან. შეგიძლიათ შეაფასოთ, რომელი უფრო კრიტიკულ კითხვებს სვამდა“.

ეკა კვესიტაძე: „კორკოტაშვილი „ჩუნგა-ჩანგას“ სიმღერით გავიცანით. ალბათ ისიც გინახავთ, როგორ ჩაძვრა სხვის საფულეში. კაკაბაძე ხომ საერთოდ ვინ არის?!..“

დავითი: ეკას გადაცემა აქვს ასეთი. აქცენტები მკაფიოდ უნდა დასვას. ჩემსას ჰქვია „დიალოგი“, რომელიც უნდა იყოს მშვიდი. ნახეთ ჩემი ინტერვიუ კახი კალაძესთან. 50 წუთი ვლაპარაკობთ და კონფრონტაციის ნასახი არ არის. მინდოდა, გამერკვია, ფეხბურთიდან მოსულმა მინისტრმა რა კომპეტენციის შეძენა მოასწრო. ვისმენდი პასუხებს და ამ ერთი გადაცემის ფარგლებში ცუდი შთაბეჭდილება არ დატოვა. ბევრს ჯობდა თავისი კომპეტენციით. ეთერში მყავდა დევნილთა მინისტრი, დავით დარახველიძე, რომელმაც თქვა, რომ მილიარდს ისესხებს იმისთვის, რომ დევნილები საცხოვრებლით დააკმაყოფილოს. ეს რომ დაუდეს ხადურს წინ, თვალები შუბლზე აუვიდა, რეებს ამბობსო.

ეკა: თეა წულუკიანთან ინტერვიუს დროს რომელი უფრო კონფრონტაციული ვიყავით — მე თუ ის ?

— მგონი, ერთმანეთზე მეტად კონფრონტაციულები იყავით. ჩემი აზრით, წულუკიანი ის ერთადერთი რესპონდენტი იყო, ვინც პოლემიკაში მოგიგოთ. ძალიან განერვიულდით. მერე „ფეისბუქში“ წერდით, ეთერის გარეთ უარესი იყოთ. რა გაკკეთა ასეთი?

ეკა: ძალიან ცუდად მოიქცა. ყველა რესპონდენტთან ვცდილობ ადამიანურად დალაპარაკებას ეთერის დაწყების წინ. არჩილ კბილაშვილთანაც, ვისთანაც ერთ-ერთი საინტერესო ინტერვიუ გამომივიდა, მშვიდობიანად დავიწყეთ და ასევე დავამთავრეთ. იმდენად მშვიდობიანად, რომ ბატონმა კბილაშვილმა გადაცემის ბოლოს ჩემთან ლიტერატურაზე საუბარი მოინდომა. მუდამ ვცდილობ, ეთერში სხვა ვიყო და მის გარეთ — სხვა. ბევრთან მეგობრობა მაკავშირებს — თინა ხიდაშელთან, გიგა ბოკერიასთან, დავით გამყრელიძესთან... თინა ხიდაშელთან წლების განმავლობაში ვმეგობრობდი და ერთად ვიბრძოდით რაღაცეებისთვის. დღესაც ნორმალური ურთიერთობა გვაქვს. ვერავინ ივჯერებს, რომ მძიმე ეთერის შემდეგ შეგვიძლია ბავშვებზე ვილაპარაკოთ.

დავითი: მე არასოდეს ვცდილობ, რესპონდენტები ერთმანეთზე წავაქეზო და პირველი არასოდეს ვამწვავებ ურთიერთობას. არ მაინტერესებს, ადამიანები როგორ ჩხუბობენ. არ ვცდილობ, მაყურებლის გული ამით მოვიგო.

— თუმცა ასეთი ჩხუბი გადაცემის რეიტინგს ზრდის.

დავითი: მე არ ვარ რეიტინგებს გამოკიდებული. მახსოვს, რა მოთხოვნები აქვს წაყენებული საზოგადოებრივ მაუწყებელს კანონით. მან უნდა წარმოაჩინოს საზოგადოების მრავალფეროვანი ინტერესები. მაყურებელს ტვინს არ ვურეცხავ. მე ვარ გამტარი, მედიუმი მაყურებელსა და რესპონდენტს შორის.

ეკა: ნინო ჯაფიაშვილი, რომელიც ჩემი ყველაზე ახლო მეგობარია, მაკრიტიკებს ხოლმე. მედიამონიტორინგის ფარგლებში გამოკითხვის მიხედვით მითხრა, რომ ნინო ბურჯანაძესთან ინტერვიუს დროს მე ვიყავი ზედმეტად ემოციური და მეც დავეთანხმე. ობიექტური კრიტიკა მისაღებია, მაგრამ დასაბუთებული უნდა იყოს. რადგან ეკრანიდან აღარ მქონდა ამის საშუალება, პრეზიდენტი „ფეისბუქით“ გავაკრიტიკე, რადგან ვთვლი, რომ ის სპეკულირებდა, როცა ამბობდა, ახალი ხელისუფლება ოთხი მინარეთის მშენებლობას აპირებსო. ვინც მუსლიმები დაჩაგრა, მათ მხარეზე ვერასოდეს ვიქნები. ეს არის ჩემი ღირებულებები და ამის დამალვას არ ვაპირებ. ჩემი სიმპათიები კი ყოველთვის იმ პოლიტიკური ლიდერის მხარეს იქნება, რომელიც ამ პრინციპებს ერგება.

— ეკა, როცა მეგობარიც კი ვერ მალავს, რომ ხართ აგრესიული, რატომ უნდა გისმინოთ კიდეც საზოგადოებრივი არხის მაყურებელმა?

ეკა: ჩემი გადაცემა ყველაზე რეიტინგული იყო. ამ არხს ყველაზე დაბალი რეიტინგი აქვს და მის გადაცემებს შორის ჩემი ყველაზე რეიტინგული. დათოს გადაცემასაც დიდი გამოხმაურება აქვს. ასე რომ, ჩვენ ვქმნიდით პოლიტიკურ ამინდს ამ არხზე. რას ნიშნავს თქვენი, ირაკლი კაკაბაძის თუ კორკოტაშვილის მიერ გამოთქმული აზრი, რომ საზოგადოებას ეს არ სურს?! თუ საზოგადოებას ეს არ სურს, არც ჩემს გადაცემას უყურებდა. როგორც წესი, ბადიდან ხსნიან იმ გადაცემებს, რომლებსაც არ აქვთ რეიტინგი. საზოგადოებრივ მაუწყებელზე ეს განსხვავებულია, ის არ არის რეიტინგებზე ორიენტირებული და მას აქვს თავისი ამოცანები. ხალხით აპელირება არის ყველაზე ბრიყვული რამ, რაც ამ წლების განმავლობაში მომისმენია. ყველა განვითარებულ ქვეყანაში ჟურნალისტები ბერდებიან იმ არხებზე.

ჩვენ პრეტენზია არ გვაქვს, რომ მხოლოდ ჩვენ წავიყვანოთ ამ არხზე ტოქ შოუები. რა თქმა უნდა, სხვებიც უნდა იყვნენ, რომლებსაც სხვა პოზიციები აქვთ და ამ შემთხვევაში იქნებოდა საზოგადოებრივი არხი იდეალურთან მიახლოებული.

დავითი: ინგა გრიგოლია რომ მოვიდა და ეთერში უნდა გასულიყო, კვირაში სამიდან ორ გადაცემამდე შემიმცირეს. ხმა არ ამომიღია, მაგრამ ინგას გადაცემას საშველი არ დაადგა.

ეკა: ეგეც პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო, რომ ინგა ეთერში არ გაეშვათ. მე, პირადად, ძალიან მინდოდა, ინგა ყოფილიყო. ჩვენ მიბმული ვართ ერთმანეთის რეიტინგზე და ეს ზოლი რაც უფრო რეიტინგული, მით უფრო რეიტინგულია ჩვენი გადაცემებიც.

არანაირი პრეტენზია არ გამომითქვამს არც ეკა ბერიძის მოსვლასთან დაკავშირებით. კი, ბატონო, მოვიდეს! თქვენი აზრით, საქართველოს ტელესივრცეში ნეიტრალური ჟურნალისტი რომელია? თუ ეკა ბერიძეზე შეგიძლიათ თქვათ, რომ ობიექტური იყო... პრემიერმინისტრის კუთვნილ არხზე მხოლოდ „ოცნების“ წარმომადგენლებს ესაუბრებოდა, არ სვამდა კითხვებს და მონოლოგის რეჟიმში აძლევდა „ოცნების“ წარმომადგენლებს საუბრის საშუალებას და ხშირად გამოთქვამდა თავის აზრს. ეს არის ჟურნალისტიკა?! გაიხსენეთ მისი ინტერვიუ ბიძინა ივანიშვილთან, რომელიც ეძღვნებოდა ძუძუთი კვების აუცილებლობას, ფსიქოლოგიას და მერე ნახეთ ჩემი ინტერვიუ პრეზიდენტ სააკაშვილთან. შეგიძლიათ შეაფასოთ, რომელი უფრო კრიტიკულ კითხვებს სვამდა. არ მაქვს პრეტენზია იმის მიმართ, რომ ბერიძეც იყოს საზოგადოებრივ მაუწყებელზე, მაგრამ პრეტენზია მექნება, თუ ის იქნება არხის ერთადერთი წამყვანი.

— ეკა, ქართულ სინამდვილეში რამდენად შეიძლება ნეიტრალური ყოფილიყო ჟურნალისტი, რომლის მეუღლეც იყო შსს-ს მაღალჩინოსანი, როგორც თქვენს შემთხვევაში თქვენი ქმარი შოთა უტიაშვილი?

ეკა: ეს არ იყო ინტერესთა კონფლიქტი, კანონში არ იყო გაწერილი, მაგრამ ეთიკური დილემა არსებობდა. ამაზე ხშირად მიფიქრია და მინერვიულია. ხშირად ისიც კი მიფიქრია, სანამ შოთა ასეთ თანამდებობაზე იყო, წავსულიყავი ჟურნალისტიკიდან, მაგრამ რომ დამენახა სხვა ჟურნალისტები, რომლებიც ჩემზე უფრო კრიტიკულ კითხვას დასვამდნენ იმ მთავრობის მიმართ, რომლის წარმომადგენელიც ჩემი ქმარი იყო, ამას გავაკეთებდი.

— ქმარი რას გეუბნებოდათ?

ეკა: არასოდეს არაფერს მეუბნებოდა ამ საკითხზე. ჩემი კრიტიკული დამოკიდებულება ნაციონალური მოძრაობის ზოგიერთ გადწყვეტილებასთან დაკავშირებით არასოდეს ყოფილა ჩვენ შორის გასარჩევი თემა.

— თუ საზოგადოებრივ მაუწყებელზე თქვენი დაბრუნების საკითხი დადებითად არ გადაწყდა, რას აპირებთ?

ეკა: დიდი ამბის ატეხას. სასამართლოში ჩივილიდან დაწყებული, ყველა ფორმას მივმართავთ. უკვე შევატყობინეთ საელჩოებს, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს.

— ეკა, თქვენზე თქვეს, „რუსთავი 2“-ის ეთერს დაუთმობენ სიამოვნებით, წავიდეს და იქ იმუშაოსო.

ეკა: ან დამითმობენ, ან — არა. „რუსთავი 2“-ის დირექტორის გადასაწყვეტია, ვის დაუთმობს ეთერს. სულაც არ არის ისე, რომ სიხარულით მიმიღებენ ყველგან. რომ ნდომებოდათ, ვიქნებოდი ამ არხზე. ჩემთვის მნიშვნელოვანია თავისუფლება, რომელიც მე მქონდა „პირველ არხზე“. ამიტომაც დავრჩი ამ არხზე, სადაც ბევრად უფრო დაბალი ხელფასი მაქვს, ვიდრე კერძო არხებზე ჩემზე დაბალი კვალიფიკაციის ჟურნალისტს. 3.000 ლარია ჩემი ხელფასი, მაგრამ ჩემი თავისუფლება მიღირდა ამად.

— ეკა, ნაციონალები, იშვიათი გამონაკლისს გარდა, როცა ხელისუფლებაში იყვნენ, დამოუკიდებელ პრესასთან არ ურთიერთობდნენ, საკუთარი ფავორიტები ჰყავდათ. ახლა ბევრმა შეცვალა პოზიცია და უფრო გახსნილები გახდნენ. თქვენც იყავით წინადადადგი „სარკისთვის“ ინტერვიუს მიცემაზე. ახლა კი, როცა პრობლემა შეგექმნათ, მოულოდნელად დაგვთანხმდით. როგორ ახსნით ამას?

ეკა: არ ვარ შოუბიზნესის წარმომადგენელი და ის ადამიანი, რომლის მიზანია, იყოს ცნობადი, პოპულარული და ა.შ.

— თქვენი აზრით, ტოქ შოუს წამყვანს პოპულარობა არ სჭირდება?

ეკა: ჩემი ტოქ შოუ მაძლევს მაგ პლატფორმას. მე ვსვამ კითხვებს, დანარჩენი — პირად ცხოვრებაზე საუბარი თუ სხვა რამ, არასოდეს შედიოდა ჩემს გეგმებში. არ მიყვარს ყვითელი პრესა და რა ვქნა?!

— ანუ „სარკე“ ახლა „ყვითელი პრესა“ აღარ ყართ?

ეკა: ახლა სათქმელი მაქვს და ამიტომაც დაგთანხმდით ინტერვიუზე.

✓ **რუსუდან ადვაძე**

ნათელმხილველი
ხელინა
მკითხაობს ტარო
კარტზე და ყავაზე
აკეთებს თილისმებს
და ხსნის ჯადოს
230-68-19
599-37-59-58

Cyan Magenta Yellow Black

მაკა ცინცაძე: „ბარბარე რაფალიანცის საქმის გახსნას ველოდები, ის ჩემი შვილის ტოლი იყო!“

ტელეწამყვანი მაკა ცინცაძე „მაესტროში“ რომ მივიდა სამუშაოდ, მაშინ მის ამ ნაბიჯს ბევრი სკეპტიკურად უყურებდა, მაგრამ თავად თვლის, რომ ამ გადაწყვეტილების სისწორე დრომ დაამტკიცა. 30 წლის ტელესახე დღეს თამამად აცხადებს, რომ მისი ჟურნალისტური კარიერა სუფთაა და მაყურებელი არასოდეს მოუტყუებია, რაც მთავარია, საკუთარი ადგილი იპოვა. დაძაბული სიტუაციები, რაც „მაესტროს“ გარშემო პერიოდულად ვითარდება, პოლიტიკური მოვლენების ცენტრში ყოფნა, საინფორმაციო სამსახურისთვის დამახასიათებელი ქაოსი მისთვის დოპინგივითაა, რაზეც უარის თქმას არ აპირებს, პირიქით, წინ დიდი გეგმები აქვს.

— მაკა, სამი წელია, რაც „მაესტროში“ საინფორმაციო გადაცემის წამყვანი ხართ. ამ ხნის განმავლობაში ამ ტელეკომპანიამ რთული ეტაპები გამოიარა. როგორ შეაფასებდით თქვენი მუშაობის პერიოდს?

— „მაესტრომდე“ ვმუშაობდი რადიო „უცნობში“, „პირველ რადიოში“. აქ რომ მოვედი, საწყის ეტაპზე განსაკუთრებული პირობები არ მქონია. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან ყველამ იცის, „მაესტრო“ როგორ ზეწოლასაც განიცდიდა. არც ისეთი ანაზღაურება იყო და არც ისეთი პირობები, როგორიც სხვა ტელეკომპანიებში. ამიტომ ჩემს გადაწყვეტილებას ბევრი სკეპტიკურად უყურებდა, მაგრამ დღეს შექმნილი რეალობა მარწმუნებს, რომ აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება მივიღე, ჩემი ბეგრაუნდი სუფთაა.

— უფრო კონკრეტულად გვითხარით, რას გულისხმობთ.

— ეს იმას ნიშნავს, რომ არასდროს არავის დავალებას არ ვასრულებ. ძალიან ხმამაღალი განაცხადია? მგონია, რომ მაყურებელი ამ ყველაფერს ძალიან კარგად ხედავდა. ჩვენ ბიუჯეტზე მიბმული არასდროს ვყოფილვართ, არც ჯიბის ტელევიზიად ვქცეულვართ. სხვა არხის ჟურნალისტებთან შედარებით, ჩვენი ანაზღაურება ყოველთვის ნაკლები იყო, მაგრამ, ამის მიუხედავად, მაყურებლამდე ობიექტური ინფორმაცია მიგვქონდა. ხალხს ვეუბნებოდით იმას, რაც ქვეყანაში ხდებოდა, შეფასებებს კი არ ვაკეთებდით, დასკვნების გამოტანას მაყურებელს ვანდობდით. ასე ხდება ყველა დემოკრატიული სახელმწიფოს ობიექტურ ტელევიზიაში.

— „მაესტროს“ გარშემო ხშირად არის ხმაური, სკანდალი, სხვადასხვა პრობლემა. ასეთ დაძაბულ ვითარებაში მუშაობა ჟურნალისტებზე არ მოქმედებს, მათთვის ხელისშემშლელი არ არის?

— არხმა მართლაც უამრავ ქარტეხილს გაუძლო. თანამშრომლებმა არასდროს ვიცოდით, მეორე დღეს რა მოხდებოდა. იგივე — ეროსი კიწმარიშვილის დაპირისპირება, ხელისუფლების მხრიდან მუდმივი ზეწოლა... ამ ყველაფრის მიუხედავად, ჩვენ არხი დღემდე მოვიტანეთ. საერთოდ, ქაოსი ყოველთვის არის იმ ტელეკომპანიაში, რომელიც დაუმორჩილებელია. როცა ხელისუფლება ვერ გიმორჩილებს, მისთვის ზედმეტი ხდები. ბუნებრივია, ისინი ყველა გზით ცდილობდნენ არხის დაბლოკვას. კარგად გვახსოვს ის პერიოდი, როცა კომპანიები უარს ამბობდნენ ჩვენთან თანამშრომლობაზე. მახსოვს ერთ-ერთი გადაცემა, როცა შალვა რამიშვილი სხვადასხვა კომპანიას უფასო რეკლამებს სთავაზობდა, მაგრამ ისინი უარს ამბობდნენ. როცა უფასო რეკლამაზე ამბობ უარს, ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი ჩნდება...

ბევრი სირთულის მიუხედავად, არხი ყოველთვის წინ დგამს ნაბიჯებს. ეს კი ხელმძღვანელების დამსახურებაა, მათ შექმნეს ის გარემო, რაც „მაესტროში“ არსებობს.

— ახალ სატელევიზიო სეზონზე მორიგი დარტყმა არხიდან წამყვანი თანამშრომლების წასვლა იყო. დანარჩენებმა როგორ აღიქვით კოლეგების საქციელი?

— რამდენადაც ვიცი, ჩვენს ტელეკომპანიას აქცენტი გაკეთებული აქვს ახალ ტოქ შოუებზე და ახალ წამყვანებზე. კონკრეტულ თემებზე სპიკერობას ვერ გაგიწევთ, რადგან ეს ჩემი ფუნქცია არ არის, თუმცა იმას კი გეტყვით, რომ უახლოეს პერიოდში ძალიან საინტერესო ტოქ შოუები იქნება საინტერესო სტუმრებით და ანალიზით.

ცვლილებები ნამდვილად განაპირობა ჩვენი თანამშრომლების და ტოქ შოუს წამყვანის, თეა სიჭინავას „მაესტროდან“ წასვლამ, მაგრამ, ამის მიუხედავად, თეასთან დღემდე ყველას ძალიან

„ჩემი ბეგრაუნდი სუფთაა. ეს იმას ნიშნავს, რომ არასდროს არავის დავალებას არ ვასრულებ... ჩვენ ბიუჯეტზე მიბმული არასდროს ვყოფილვართ, არც ჯიბის ტელევიზიად ვქცეულვართ. სხვა არხის ჟურნალისტებთან შედარებით, ჩვენი ანაზღაურება ყოველთვის ნაკლები იყო, მაგრამ, ამის მიუხედავად, მაყურებლამდე ობიექტური ინფორმაცია მიგვქონდა“.

კარგი ურთიერთობა გვაქვს. ეს არის ადგილი, სადაც არ გაქვს განცდა, რომ სამსახურში მოდიხარ. ერთი დიდი ოჯახია, სადაც შეგიძლია ნებისმიერ თემაზე ნებისმიერ თანამშრომელს ესაუბრო. შიდა კონკურენცია, რასაკვირველია, არსებობს, მაგრამ ზღვარს არ სცილდება.

— გეტყობათ, რომ ძალიან გიყვართ თქვენი სამსახური.

— ჩემს კარიერაში „მაესტრომ“ გარდატეხა მოახდინა, საინფორმაციო გამოშვება პირველად აქ წავიყვანე. დრომ თავისი გააკეთა, გამოცდილება დამიგროვდა და ერთ წერტილზე გაჩერებას არ ვაპირებ.

— რა ხიბლი აქვს პირდაპირ ეთერში მუშაობას?

— ვიდრე საინფორმაციო გამოშვების წამყვანი გავხდებოდი, გასართობი გადაცემა მიმყავდა. ამიტომ ყველას გაუჩნდა კითხვა, ფუშფუშა კაბებიდან პიჯაკებზე რატომ გადახვედიო. იმიტომ, რომ სიახლისკენ მაქვს სწრაფვა და მეორეც, ყოველთვის მაინტერესებდა პოლიტიკა. საინფორმაციო სამსახურში მუდმივი ქაოსია, ეს საქმე ძალიან დამღლელი, მაგრამ ამავდროულად საინტერესოა. ეს არის ადგილი, სადაც ბოლომდე ვიხარჯები. მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირ ეთერში მუშაობის გამოცდილება მაქვს, გადაცემის დაწყებამდე ძალიან ვნერვიულობ, როგორც კი კამერა ირთვება, გული მიჩქარდება. ეს არის ის დოპინგი, რაც ყოველთვის გენატრება. ორკვირიანი შვებულება რომ მიმთავრდება, ერთი სული მაქვს, კამერას როდის დავინახავდა სტუდიის სუნს როდის შევიგრძნობ.

— ხელმძღვანელობა რა სახის შეცდომებს პატიობს წამყვანს და რას — არა?

— მომინევს შიდა სამზარეულოს გამჟღავნება — შიდა სანქციები არსებობს შეცდომებისთვის, ხელფასის ჩამოჭრა და სხვა. გაჩნია შეცდომას. შეიძლება სიტყვიერად გითხრან, ჯობდა, ასე გაგეკეთებინაო.

— თქვენ თუ დაგიშვიათ ისეთი შეცდომა, რის გამოც გისაყვედურეს ან დაგაჯარიმეს?

— რა თქმა უნდა, შეცდომები დამიშვია, დღესაც ვუშვებ და ამისგან დაზღვეული არც მომავალში ვარ. თუმცა ხელმძღვანელობასთან ამ თემაზე უხერხული საუბარი არ მქონია. როცა პირდაპირ ეთერში ვმუშაობ და რაღაც მეშლება, ეს მაშინვე ჩემს სახესა და განწყობაზე აისახება ხოლმე.

— ტელევიზიის მიღმა როგორია თქვენი ცხოვრება?

— ბევრი ამბობს, რომ რთულია საქმეშიც აქტიური იყო და ოჯახშიც, მაგრამ მე ყველაფერს ვასწრებ. ის დრო, რაც სამსახურში ვარ, ჩემს შვილს აკლდება, მაგრამ ეს ყველაფერი მისი მომავლისთვის კეთდება. კესო უკვე ორი წლისაა. ვცდილობ, მეგობრებისთვისაც გამოვნახო დრო. ამაში „მაესტროც“ მიწყობს ხელს და ოჯახიც.

— შვილის გაჩენის შემდეგ საეკრანო ფორმაში ჩადგომა ადვილად შეძელით?

— მშობიარობიდან ერთ კვირაში დავიბრუნე ძველი წონა, მაგრამ მერე ავურიე. გურმანი ვარ და გაჩნდა წონის პრობლემა. ახლა ვცდილობ, ისევ ძველ წონას დავუბრუნდე. დიეტა უკვე დავიწყე, 2 კვირის შემდეგ მინუს 10 კილოგრამი უნდა ვიყო. ძალიან გამხდარი რომ ვარ, ყველაზე კომფორტულად მაშინ ვგრძნობ თავს.

კესოს დაბადების შემდეგ ჰიპერაქტიური გავხდი. სოციალურ ქსელში ვკითხულობ და ვეცნობი ყველაფერს, რაც ბავშვებს შეეხება. აქვე უნდა ვთქვა, რომ მოუთმენლად ველოდები, როდის გაიხსნება ბარბარე რაფალიანცის საქმე, ის ჩემი შვილის ტოლი იყო. მის ამბავს დღემდე ძალიან განვიცდი. ეს ის საკითხია, რომელსაც ემოციის გარეშე ვერ ვიხსენებ. ძალიან გამიჭირდა ამ ამბის პირდაპირ ეთერში გაჟღერება. ვიცი, რომ ამ საქმეში ბევრი ახალი გარემოებაა და დიდი იმედი მაქვს, მალე ყველაფერი ნათელი გახდება.

— 30 წელი ქალისთვის გარდამტეხი ასაკია — ახლა როგორ უკლით თავს?

— ეს ასაკი მართლაც გარდამტეხია. უკვე ჩამოყალიბებული ვარ, ვიცი, რა მინდა. მიზნის მისაღწევად საქმის ნაწილი გაკეთებული მაქვს, ნათლად ვხედავ მომავალს. 28 წლის ვიყავი, დედა რომ გავხდი და ამ ორმა წელმა სხვა ადამიანად მაქცია, მაგრამ, არ ვიცი, ეს შვილის ბრალია თუ წლების მატების. ეს ისეთი ასაკია, როგორც ახლა მოუვლი თავს, ისეთი იქნები 50 წლის ასაკში. აქამდე მოშვებული ვიყავი, მაგრამ ახლა გაორმაგებული ძალებით ვაპირებ თავის მოვლას.

— მეორე შვილის გაჩენა ახლო მომავლის გეგმებში არ გაქვთ?

— ამ ეტაპზე — არა. ტყუილი იქნება, ვთქვა, შვილის გაჩენას იმიტომ არ ვაპირებ, ჩემს კარიერულ წინსვლას შეაფერხებს-მეთქი. ის ოჯახი, სადაც ბევრი შვილია, ძალიან ბედნიერია.

✓ ლანა კიკნაძე

Cyan Magenta Yellow Black

აკაკი კვანტალიანი — ღიმილიანი კაცის ტკივილიანი ცხოვრება

ყველაფერი სამტრედიიდან, კიბის ქვეშ მოწყობილი „თეატრიდან“ დაიწყო. პატარა ბიჭი ოთხ დედმამიშვილთან და მეზობლის ბავშვებთან ერთად სპექტაკლებს დგამდა, როლების განაწილებისას კი თავისთვის ყოველთვის კომედიურ გმირებს ირჩევდა. აპლოდისმენტებს სწორედ მაშინ გაუგო გემო. შემდეგ იყო კოტე მარჯანიშვილის სახელოსნო და დიდი თეატრის სცენები, როლები კინოსა და თეატრში, რომლებმაც ის ნამდვილ ვარსკვლავად აქცია. სხვა დროსა და სხვა ქვეყანაში რომ დაბადებულიყო, აკაკი კვანტალიანს მსოფლიო აღიარებდა დიდ კომიკოსად.

როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ამ სასაცილო ნიღბის უკან დარდიანი კაცი იმალებოდა. მსახიობს ცხოვრებაში ბევრი ტკივილი ჰქონდა გადატანილი, არც თავის საქმეში ყოფილა განებივრებული. იყო ბევრი წყენა, რამაც მისი ჯანმრთელობა შეარყია. ის ჯერ კიდევ ახალგაზრდა, 59 წლის ასაკში გარდაიცვალა.

აკაკი კვანტალიანის კადრმიღმა ცხოვრების შესახებ „სარკეს“ მისმა შვილებმა, გელა და ქეთევან კვანტალიანებმა უამბეს.

❖ ❖ ❖

გელა კვანტალიანი: ძალიან მწყდება გული, როდესაც მამაზე საუბრობენ და მხოლოდ იმას ამბობენ, რომ ერთი სათლი კიტრი შეჭამა ან ბევრი ღვინო დალია. რატომღაც იმას არ ამბობენ, იმ სუფრასთან რაზე იყო ლაპარაკი ან კამათი. მამა ერუდირებული პიროვნება გახლდათ. ყველაფერს კითხულობდა, ყველაფერი აინტერესებდა.

არაჩვეულებრივი თამადა იყო და ბევრსაც სვამდა. ღვინის სმა გვიან დაიწყო. მეორე მსოფლიო ომის დროს მუცლის ტიფი დაემართა. ექიმებმა ხელი ჩაიქნიეს. ბიძაჩემი მის სანახავად საავადმყოფოში რომ მივიდა, პალატაში აღარ დახვდა, მომაკვდავებთან გადაეყვანათ. ბიძაჩემმა ისეთი ჩხუბი ატეხა, ექიმებმა მამა პალატაში დააბრუნეს, ყურადღება მიაქციეს და გამოჯანმრთელდა. საავადმყოფოდან რომ გამოვიდა, მაშინ დაიწყო სმა.

ძალიან მძიმე ცხოვრება ჰქონდა გავლილი. ბევრი სანერვიულო შეხვდა, რის გამოც დიაბეტი დაემართა, ჯანმრთელობა შეერყა. გულის შეტევა პირველად თბილისში მოუვიდა, მეორედ — ქუთაისში, მესამედ კი წყნეთში დაემართა...

— მის ბავშვობაზე გვიამბეთ, როგორ გარემოში იზრდებოდა, მშობლები ვინ იყვნენ.

გელა: მამა სამტრედიაში დაიბადა. მამამისი, სიმონ კვანტალიანი, მდიდარი გლეხი იყო. მისი მეუღლე, ანეტა ტორონჯაძე, მღვდლის შვილი გახლდათ. მღვდელმა თავის სიძეს სოფელ კულაშში მიწის ნაკვეთი მისცა, სადაც ბაბუამ სახლი აიშენა. ბაბუა ისეთი მდიდარი კაცი იყო, რომ სახლისთვის კრამიტი მარსელიდან ჩამოიტანა. საქართველოს გასაბჭოების დროს ბიძაჩემი, რაჟდენი, თბილისში სამუშაოდ იყო ჩამოსული და სოფელში მამამისს მისწერა, ხელისუფლებისთვის ყველაფერი ნებით ჩაებარებინა. ბაბუამ ვერაფრით გაიგო, რატომ უნდა ჩაებარებინა მთელი თავისი ქონება სხვისთვის. ისე ინერვიულა, რომ დარდს გადაჰყვა. ოჯახს მარჩენალი აღარ დარჩა, ბებიას გაუჭირდა 5 ბავშვის შენახვა, მაგრამ მერე შვილები ამოუდგნენ მხარში.

— როდის და როგორ გამოაჩნდა მამათქვენს მსახიობური ნიჭი?

გელა: მამას ბავშვობიდანვე აღმოაჩნდა სამსახიობო ნიჭი და კარგადაც მღეროდა, არაჩვეულებრივი ხმა ჰქონდა. სიმინდის ფუჩეჩით ულვაშებს იკეთებდა და ძმებთან ერთად ოჯახის წევრებისა და მეზობლებისთვის თავის მოგონილ სპექტაკლებს დგამდა სახლის კიბის ქვეშ. როლებსაც თავად ანაწილებდა, თავისთვის მხოლოდ კომედიურ როლებს იტოვებდა, რომლებსაც ისე ოსტატურად თამაშობდა, რომ ყველას გულიანად ეცინებოდა.

■ პატარა აკაკი მშობლებთან და და-ძმებთან ერთად

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ თბილისში კონსერვატორიაში ჩასაბარებლად ჩამოვიდა, მაგრამ გაცივდა და ვეღარ ჩააბარა. მერე საბუთები უნივერსიტეტში შეიტანა და ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. პარალელურად ნაძალადევის რაიონში არსებულ მუშათა სამოყვარულო თეატრში მუშაობდა. უნივერსიტეტში მეორე კურსი რომ დახურა, კოტე მარჯანიშვილის თეატრალურ სტუდიაში მოხვდა. მერე ფილარმონიაშიც დაიწყო მუშაობა. საშა გომელაურის და მამას საესტრადო დუეტი ძალიან ცნობილი იყო. როგორც მსახიობს და მომღერალს, მთელი საქართველო ფეხით ჰქონდა მოვლილი. მერე კინოშიც მიიწვიეს. მისი პირველი ფილმი „უკანასკნელი ჯვაროსნები“ იყო, სადაც გელას როლი შეასრულა.

ქეთევანი: კოტე მარჯანიშვილი თბილისიდან რომ წავიდა, ქუთაისში შექმნა თეატრი და მამაც მას გაჰყვა. ქუთაისიდან მოხვდნენ მარჯანიშვილთან გრიშა (გრიგოლ) კოსტავა, გიორგი შავგულიძე და სხვა კორიფეები.

გელა: გრიშა კოსტავა მამაჩემის განუყრელი მეგობარი იყო. მე 1945 წლის მარტში დავიბადე. მეორე დილით გრიშამ დედაჩემი სამშობიაროში მოინახულა. როდესაც ჩემი თავი აჩვენეს, თურმე ქიმიური ფანქრით გიორგი დამაწერა, მაგრამ მამამ გელა დამარქვა, რადგან მის პირველ კინოგმირს ასე ერქვა.

გრიშა კოსტავა ჩემი ნათლია უნდა ყოფილიყო, მაგრამ იმავე საღამოს დაიჭირეს. მაშინდელმა „ტროიკამ“ 15 წლით გადასახლება მიუსაჯა. იმ პერიოდში გრიშა მსახიობ მედეა ჯაფარიძის ქმარი იყო. მამამ ჩეკისტებს სთხოვა და სასამართლოდან გამოსული გრიშა მედეას შეახვედრა. ცოლ-ქმარმა ძალიან მცირე ხნით ისაუბრეს, იტირეს და დაშორდნენ.

გრიშა ბიძია 17 წლის მერე დაბრუნდა საქართველოში. თბილისში რომ ჩამოვიდა, ერთი ღამე ჩვენთან, სხვენში გაატარა. ის და მამა პატარა სუფრასთან დილამდე ისხდნენ და საუბრობდნენ. მერე ძია გრიშა გორის თეატრში მოაწყვეს სამუშაოდ. სხვათა შორის, მასთან ერთად მისი

→26

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

■ მაია ჭიპაშვილი — აკაკი კვანტალიანის ცოლი

ძმაც, ვანო კოსტავაც — მერაბ კოსტავას (საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი. რედ.) მამა დააპატიმრეს მხოლოდ იმიტომ, რომ გრიშას ძმა იყო. ვანოს მეუღლე, ქალბატონი ოლღა, ყოველ დილით ჩვენთან მოდიოდა, მერაბს ჩვენს სახლში ტოვებდა, თავად კი მამაჩემთან

გელა: „მაგდანას ლურჯა“ რომ ეკრანებზე გავიდა, მამას ბაზარში ერთმა გლეხმა პროდუქტი არ მიჰყიდა, უთხრა, შენ ის კაცი ხარ, საწყალი ქალი რომ დაჩაგრეო“.

ერთად პროკურატურაში მიდიოდა. ვანოც რომ გადაასახლეს, ოლღა შვილთან ერთად გაჰყვა გადასახლებაში.

ერთ დღეს მამა სახლში გახარებული მოვიდა და დედაჩემს უთხრა, ვანო კოსტავა ჩამოვიდა და სუფრა გააწყვეო. იმ საღამოს მთელი ოჯახი მოიპატიჟა. მაშინ მუსიკაზე დავდიოდი, მაგრამ პიანინოზე დაკვრა არ მიყვარდა. უფროსებმა მერაბს სთხოვეს, პიანინოზე დაუკარიო. მერაბიც დაჯდა და დაუკრა. სტუმრები რომ წავიდნენ, მამამ მისაყვედურა, ბავშვი გადასახლებაში იყო,

■ მარცხნიდან: აკაკი კვანტალიანი, მარინა თბილელი და გიორგი შაგულიძე

საჭმელ-სასმელი არ ჰქონდა და მაინც მეცადინეობდა, შენ კი არაფერი გაკლია, მაგრამ სწავლა არ გინდაო.

— ბოლოს მაინც მოგნათლათ გრიშა კოსტავამ?

გელა: არა, მაგრამ მთელი ცხოვრება ვიცოდი, რომ ჩემი ნათლია გრიშა კოსტავა იყო. მამა რომ გარდაიცვალა, დილის 6 საათზე ჩუმად მოიყვანეს მღვდელი და მე და ქეთინო მოგვნათლეს.

ქეთევანი: ჩემი ნათლია ცნობილი მომღერალი მერი შილდელი იყო, გელასი კი — მსახიობი მარინე თბილელი. მარინე თბილელი, მერი შილდელი და სესილია თაყაიშვილი მამაჩემის განუყრელი მეგობრები იყვნენ.

■ მსახიობი ახალგაზრდობაში

— მშობლების საყვარულის ისტორია თქვენთვის ცნობილია?

გელა: დედაჩემი, მაია ჭიპაშვილი, მამამ მარჯანიშვილის თეატრში გაიცნო. დედას ძალიან უნდოდა მსახიობობა, მაგრამ ქართულად მეტყველება უჭირდა, რადგან რუსული სკოლა ჰქონდა დამთავრებული. ბიძამ თეატრში მიიყვანა სამუშაოდ, რომ მეტყველება გამოსწორებოდა. მამას დანახვისთანავე მოეწონა, დიდხანს აღარ უყოყმანია და ცოლად შეირთო. მაშინ დედა 18 წლის იყო, მამა კი — 37 წლის. სასიძედ მამას სახლში მიუვარდა, ეჩხუბა, ააწიოკა, მაგრამ ბოლოს შეურიგდა.

მიუხედავად იმისა, რომ ცოლ-ქმარი იყვნენ, დიდი ხნის განმავლობაში არ ჰქონდათ ხელი მოწერილი. სკოლაში რომ შემიყვანეს, მაშინ მოაწერეს ხელი. დედა რომ გათხოვდა, თეატრზე ფიქრს თავი დაანება და ცხოვრება ოჯახს მიუძღვნა. მუშაობა მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ დაიწყო. მარჯანიშვილის თეატრში მუზეუმს ხელმძღვანელობდა.

ქეთევანი: დედას და მამას საოცარი ურთიერთობა ჰქონდათ. ყველაფერს ერთად აკეთებდნენ. მამა გასტროლებზე რომ მიდიოდა, დედას ყოველთვის ატყობინებდა, მაია, აქ ვართო. მეგობრები დასცინოდნენ, რომელი მსახიობი აბარებს ცოლს ანგარიშსო.

— ამბობენ, რომ აკაკი კვანტალიანი ახალგაზრდობაში ქალებში ძალიან პოპულარული იყო.

გელა: მის სასიყვარულო ამბებზე ჩვენ არაფერი ვიცით. როცა წამოვიზარდე, მაშინ გავიგე, რომ მამას მეგობრებს ძალიან აინტერესებდათ, ცოლს რომ მოიყვანდა, მაშინაც ივლიდა თუ არა ქალებში, მაგრამ მამას აღარავისკენ გაუხედავს. დაოჯახებამდე კი მისი სახლი (პლეხანოვზე ოროთახიანი ბინა ჰქონდა) თავშეყრის ადგილი იყო. მარტოხელა კაცი რომ იყო, ხან ვის მიჰყავდა ქალები და ხან ვის.

— მსახიობის ცხოვრებას, რაც უნდა წარმატებული იყოს, თან სდევს იმედგაცრუებები. მამათქვენი კმაყოფილი იყო თავისი კარიერით თუ თვლიდა, რომ როლები დააკლდა?

გელა: მამას ცხოვრებაში იყო ისეთი მომენტები, როდესაც ეუბნებოდნენ, როლზე აგიყვანთო, მაგრამ ბოლოს სხვას აძლევდნენ. რეზო ჩხეიძე ჩვენს სახლში სამი თვის განმავლობაში მოდიოდა და სულიკო ჟღენტის სცენარს ამუშავებდნენ. მამას მთავარი როლი უნდა შეესრულებინა ფილმში „ჯარისკაცის მამა“. სამი თვის განმავლობაში დღე და ღამე ფილმის სცენარზე იყო კამათი და მუშაობა. ბოლოს რეზო ჩხეიძე ჩვენგან ღამის 3 საათზე წავიდა და მამას დაუბარა, ხვალ დილით კინოსტუდიაში სამხატვრო საბჭოს სხდომა ტარდება და როლზე უნდა დაგამტკიცოო. სინჯებიც კი არ გადაუღეს, რადგან „მაგდანას ლურჯაში“ მიტუას როლი რომ განასახიერა, ზუსტად ისეთი გრიმი უნდა ჰქონოდა. სამწუხაროდ, მეორე დღეს მამამ გაიგო, რომ მახარაშვილის როლზე სერგო ზაქარიაძე დაამტკიცეს. ამ ფაქტმა ისე ააღელვა, ისე ინერვიულა, რომ გულის შეტევა დაემართა. რეზო ჩხეიძეზე ძალიან იყო ნაწყენი.

ქეთევანი: ამ თემაზე საუბარი საერთოდ არ მიყვარს... რეზო ჩხეიძემ მამას მაშინ დაურეკა, როდესაც უკვე გადაღებებზე მიფრინავდა. ასე უთხრა, შეიძლება მთელი ცხოვრება ვინანო, ასეთი რამ რომ ჩავიდინე, მაგრამ სხვა გამოსავალი არ მქონდაო.

■ მსახიობთა ჯგუფი ფილმიდან „უდიპლომო სასიძო“

ბოდიში მოუხადა და ყურმილი დაუკიდა. მერე კი ისეთი რაღაცეები გაირკვა, რისთვის გააკეთა რეზომ ასე, რომ თქმაც არ ღირს.

გელა: რეზო ჩხეიძე ახალი ჩამოსული რომ იყო მოსკოვიდან, მან და თენგიზ აბულაძემ გადაიღეს „მაგდანას ლურჯა“. მამა ახალგაზრდა რეჟისორებს ისე დაუახლოვდა, რომ რეზოს კინოსტუდიაში დაჰყვებოდა და ყველაფერს აცნობდა, ყველაფერს უხსნიდა.

იყო ასეთი შემთხვევაც, როდესაც თენგიზ აბულაძემ მამას უთხრა, ფილმში „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ ილარიონის როლს გათამაშებო. ჩვენს სახლში ნოდარ დუმბაძე და თენგიზ აბულაძე საათობით ისხდნენ და საუბრობდნენ, მაგრამ მერე ილარიონის როლზე გრიგოლ ტყაბლაძე დაამტკიცეს.

ქეთევანი: ერთხელ ელდარ შენგელაია მამას შეპირდა, ეპიზოდურ როლში გათამა-

Cyan Magenta Yellow Black

■ გელა კვანტალიანი

■ ქეთევან კვანტალიანი

ბაზე შესვენება რომ გამოცხადდა, მამამ რეჟისორს უთხრა, მანქანა მათხოვე, სახლში ვისადილებ და დავბრუნდებიო. მანქანიდან რომ გადმოვიდა, მეზობელს ჰკითხა, კვანტალიანები სად ცხოვრობენო. მეზობელს გაუკვიდა, შენ კვანტალიანებთან რა საქმე გაქვსო. დედაჩემმაც კი ვერ იცნო და კარი ცხვირწინ მიუკეტა, სახლში არ შეუშვა. მერე დედა იგონებდა, რომ იმ დღეს მთელი ეზო ლაპარაკობდა, კვანტალიანებთან ვიღაც მაჯლაჯუნა მივიდაო.

ერთხელ მამამ მეც შემაშინა. ფილმ „ცისკარას“ რომ იღებდნენ, თავისი როლისთვის სპეციალურად დაამზადებინა ეშვებიანი პროთეზი. სახლში რომ მოვიდა და კარი გავუღე, ეშვები დამანახა. ისე შემეშინდა, რომ გული შემიწუხდა.

„მაგდანას ლურჯა“ რომ ეკრანებზე გავიდა, მამას ბაზარში ერთმა გლეხმა პროდუქტი არ მიჰყიდა, უთხრა, შენ ის კაცი ხარ, საწყალი ქალი რომ დაჩაგრეო. ყველამ

გელა: „უდიპლომო სასიძოს“ სცენარი სახლში რომ მოიტანა, დედამ ჰკითხა, ფილმი რაზეაო, მამამ ჩემზე ანიშნა, ამისთანა უსაქმურზეო“.

■ სიცოცხლის ბოლო წლებში

ეებს არავის პატიობდა და მამას დაემუქრა. კრება რომ დამთავრდა, ეგონათ, მამას დაიჭერდნენ, მაგრამ გადარჩა, რადგან იმ საღამოს სტალინმა ბერიას დაურეკა და სასწრაფოდ მოსკოვში ჩასვლა უბრძანა. მამა დილით თეატრში რომ მივიდა, ყველას გაუკვირდა. ზოგმა ცერად დაუწყო ყურება, ხომ არ გადაიბირესო, მაგრამ მერე ყველაფერი გაირკვა.

გელა: მამა გულით კეთილი კაცი იყო. ყველას ეხმარებოდა, ძმისშვილები მისი გაზრდილები არიან. დედაჩემის დებიც მან გაზარდა, რადგან მამა დაჭერილი ჰყავდათ. თუ თავისუფალი დრო ჰქონდა, ხალხს ცკ-შიც მიჰყვებოდა დასახმარებლად. ერთხელ ცკ-ის ერთმა მდივანმა უთხრა, თქვენს საქმეზე როდისღა მოხვალთო.

— შვილებიდან არც ერთი გაჰყვეყით მამის გზას?

გელა: არა. მე ფიზიკოსი ვარ, ქეთინო — ბიოლოგი. ამჟამად ორივენი პენსიონერები ვართ. სკოლაში ზარმაცი ვიყავი, ქეთინო კი ბეჯითი გახლდათ. „უდიპლომო სასიძოს“ სცენარი სახლში რომ მოიტანა, დედამ ჰკითხა, ფილმი რაზეაო, მამამ ჩემზე ანიშნა, ამისთანა უსაქმურზეო. მამა სულ მსაყვედურობდა, ერთი სპეციალობა მაინც გქონდეს, დიპლომი აიღე და მერე, თუ გინდა, ცირკში ჯამბაზად წადიო. რადგან ტექნიკური საგნები მიყვარდა, ფიზიკოსი გავხდი.

— მამათქვენი შვილიშვილებს ვერ მოესწრო?

ქეთევანი: 59 წლის ასაკში წავიდა ჩვენგან. მაშინ მე 20 წლის ვიყავი, გელა კი — 22 წლის.

გელა: მე 38 წლისა დავოჯახდი, ჩემი მეუღლეც 15 წლით უმცროსია ჩემზე. ორი შვილი გვყავს, ჩემს ბიჭს ბაბუის პატივსაცემად აკაკი ჰქვია. სამწუხაროდ, ქეთინომ ოჯახი ვერ შექმნა.

1967 წლის 27 ივლისი იყო, მშობლები წყნეთის აგარაკზე იყვნენ. მე თბილისში დავრჩი. საღამოს დამირეკეს და მითხრეს, რომ მამა ცუდად იყო. იქ რომ ავედი, გარდაცვლილი დამხვდა.

ქეთევანი: მამამ იმ საღამოს ფეხბურთს უყურა, თავს შეუძლოდ გრძნობდა, მეორე სართულზე, თავის ოთახში რომ ავიდა, დედაჩემს უთხრა, ცუდად ვარო. დედამ წამლები მისცა, სასწრაფო დახმარებაც გამოიძახეს, მაგრამ...

დედამ ძალიან განიცადა ქმრის გარდაცვალება. ეს ტკივილი მამაჩემის მეგობრებმა გადაატანინეს. დედა 2001 წელს გარდაიცვალა.

✓ ლია ოსაძე

■ ბატონი აკაკი ბაზარში მიდის

Cyan Magenta Yellow Black

„სამი შინაბერა მაიძულებს, უსიყვარულოდ გავთხოვდე"



თქვენთან ხშირად წერენ ადამიანები, რომლებიც ჭორების მსხვერპლნი გახდნენ. მეც ერთ-ერთი მათგანი ვარ. ამას წინათ ერთი გოგონა წერდა, მეზობლის ქალი მითვალთვალებს, ჩემი ყველაფერი აინტერესებსო. ეს ამბავი ძალიან მეცნო, რადგან იგივენაირ სიტუაციაში ვარ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ერთი კი არა, სამი ქალი მითვალთვალებს.

ჩემს მეზობლად ორი შინაბერა და ცხოვრობს. თავიანთ ოჯახებს რომ ვერ ეღირსნენ, სხვების ცხოვრებაში ყოფენ ცხვირს. დეტალურად აინტერესებთ, ვინ სად მიდის, ვინ როგორ ცხოვრობს, უფრო მეტიც, ვის სახლში რა კერძი იხარშება, ისიც კი იციან. მათ გვერდით ერთი ქალი ცხოვრობს, მათზე ცოტა ახალგაზრდა, მაგრამ ისიც შინაბერა. მათ არამარტო ხასიათით, გარეგნობითაც კი ჰგავს, რომ შეხედოთ, დები გეგონებათ.

ეს სამი შინაბერა ოთხ სადარბაზოს იკლებს. მარტო იქ მცხოვრებთა ოჯახების ამბები კი არ იციან, მათ სანათესაოზეც ყველაფერს მოგიყვებიან. ახალგაზრდებმა მათ „ფეისბუქი" შევარქვით. რა გინდათ, რომ არ იცოდნენ, ერთ წუთში უამრავ „ფაილს ამოგიყრიან". ძალიან ხშირად მათზე გვეცინება, მაგრამ ზოგჯერ ისეთ ბოროტებას ჩადიან, რომ სასაცილო ნამდვილად არ არის.

ამ სამ შინაბერას ყველასი შურს, ვის გვერდითაც მამაკაცს ნახავენ. იმ ახლომახლო ტერიტორიაზე მათი მოსაწონი არც რძალი შემოსულა და არც სიძე, ყველას კილავენ. თუ გაიგეს, რომ ვინმე შეყვარებულია, სიმწრით სახე ეკრუნჩხებათ.

მე 17 წლის ვარ. შეყვარებული არასოდეს ვყოფილვარ. სკოლაში საუკეთესო მოსწავლე ვარ, მინდა, უმაღლესში ჩავაბარო, სპეციალობაც არჩეული მაქვს. ერთი სიტყვით, სიყვარულისთვის ჯერ არ მცალია. წინა სასწავლო წელს ჩემი კლასელის ბიძაშვილი გავიცანი და იმ ბიჭს შევუყვარდი. მეუბნება, რომ მისი ცოლი უნდა გავხდე, რაც არ მინდა. ჯერ ერთი, არ მიყვარს და მეორეც როგორც გითხარით, სხვა რაღაცეებზე ვფიქრობ.

ეს ბიჭი თავს არ მანებებს, სულ უკან დამყვება, სახლამდე მაცილებს. ჩემი შინაბერა მეზობლების შეუმჩნეველი რა დარჩებოდა და სალაპარაკო თემაც გაუჩნდათ. მანამდე სულ აინტერესებდათ, შეყვარებული მყავდა თუ არა. მეკითხებოდნენ, ასეთ ლამაზ გოგოს როგორ არავინ გიყვარსო. აღბათ ერთი სული ჰქონდათ, თავიანთ საკბილო ამბავს როდის გაიგებდნენ და იმ ბიჭმა ტკბილი ლუკმაც ჩაუდო პირში.

ერთ დღეს მეგობრისგან მოვდიოდი და ის ბიჭი ამეკიდა. ცოტა ნასვამი იყო. მე ჩქარი ნაბიჯით წამოვედი და თან ვეჩხუბებოდი, თავი დამანებე-მეთქი. ამან ძალიან გააღიზიანა. სადარბაზოში რომ უნდა შევსულიყავი, ხელი მომკიდა, ძალით მიმიზიდა თავისკენ და ტუჩებში მაკოცა. ბედი არ გინდა? ზუსტად ამ დროს ისინი შემეჩეხნენ, თანაც სამივე ერთად! იმ წუთში ყველა მეზობელმა გაიგო, რომ ბიჭებს მეზობლების თვალწინ უსირცხვილოდ ვკოცნი.

სამივე დედაკაცი იმ საღამოს ჩემთან, სახლში მოვიდა. ჩემს მშობლებს უთხრეს, აუცილებლად უნდა გაგაფრთხილოთ, შვილი გელუპებათ, ქვეყნის სალაპარაკო გახდითო. მამაჩემი გადაირია. დამეტაკა, ხელი გამარტყა, დაჭრილი ნადირივით ღრიალებდა. ვუხსნიდი, რომ იმ ბიჭმა ძალით მაკოცა, ამაზე კი უარესი რაღაცეები გააკეთა. ამ სცენას ჩემი ბიძაშვილი გოგო ესწრებოდა. იმ დედაკაცებს უთხრა, ალბათ როგორ ოცნებობთ, ვინმემ ძალით მაინც გაკოცოთ, მაგრამ საკუთარი ნებით გველებს თავს ვინ დაგაგესლინებთო. ამ სიტყვებზე ერთი ვითომ ცუდად გახდა... მოკლედ, მთელი სამეზობლო შეყარეს.

ეს ამბავი ამით არ დასრულებულა. უამრავი კუდი მოაბეს, ხალხმაც ყველაფერი ისე აიტაცა, გაოცებული ვარ. ისე გამომიყვანეს, თითქოს ბიჭებს ქუჩა-ქუჩა დავდევ და ვკოცნი. სახელი ისე შემირცხვინეს, იძულებული ვარ, იმ ბიჭს ცოლად გავყვე. არ მიყვარს, მაგრამ რა ვქნა? სახლშიც კი ყველა აგრესიულად მექცევა, დედა საჭმელსაც კი მამადლის, მეუბნება, არაფრის ღირსი ხარო. ამ დღეში კი სამი ბოროტი ქალის გამო აღმოვჩნდი. არც კი იციან, სული რამხელა ცოდვით დაიმძიმეს. ალბათ ამ წერილსაც წაიკითხავენ და იქნებ ცოტათი მაინც მიხვდნენ, რას ჩადიან.

თქვენი ერთგული მკითხველი

„ჩემმა კლასელმა რესტორანში მიმღერალ მამაჩემს დასცინეს"

15 წლის გოგო ვარ და ერთ-ერთ რაიონში ვცხოვრობ. მამაჩემი რესტორანში მღერის. პროფესიით ინჟინერია, მაგრამ უმუშევარი რომ დარჩა, რესტორანში სიმღერა დაიწყო. სულაც არ ვთვლი, რომ ეს სასირცხვილოა, პირიქით, ის ძალიან კარგი მამაა და, სხვათა შორის, უამრავ ადამიანს უყვარს. ბევრი მეუბნება, შენ კიდევ არ იცი, რა კარგი მამის შვილი ხარო. ის ძალიან კეთილია, აქვს თუ არა საშუალება, სულ ცდილობს, ყველას დაეხმაროს.

არდადეგები სანამ დაიწყებოდა, კლასელები რესტორანში წავედით საქეიფოდ. სწავლის დასრულება ასე აღვნიშნეთ. იქ მამაჩემიც იყო. ჩვენ პატივსაცემად ბევრი რამ გააკეთა, არც პურმარილი მოგვაკლო და არც მუსიკა, კარგი დრო გვატარებინა. ამიტომაც ვერ ვიფიქრებდი, რომ ჩემი კლასელები ამ სიკეთეს ვერ დაინახავდნენ და დასცინებდნენ. რაღაცეები მაშინვე არ მესიამოვნა, მაგრამ ყურადღება არ მივაქციე, ვიფიქრე, რომ არასწორად გავიგე. ახლა კი მივხვდი, რომ თურმე იმ საღამოსაც დასცინოდნენ.

მთელი ზაფხულის განმავლობაში კლასელებთან კონტაქტი არ მქონია, დედას სოფელში ვიყავი, ბებიასთან. სექტემბერში სკოლაში რომ მივედი, ბავშვებმა მაშინვე ის საღამო გაიხსენეს და მამაჩემის დაცინვა დაიწყეს, ასე მღეროდაო. ერთი მერხზე ავიდა, ვითომ მამაჩემის სახე მიიღო და სიმღერა დაიწყო. სხვები კი სიცილით იატაკზე დაწვნენ.

სახტად დავრჩი. ვერ წარმოვიდგინე, რომ მამაჩემს დასცინოდნენ. მერე მოვითხოვე, აეხსნათ, ასე რატომ იქცეოდნენ. დავაყვედრე, მადლობის მაგიერია-მეთქი. ერთმა გოგომ, რომელიც ვერასოდეს მიტანდა, მითხრა, იმ გოიმური სიმღერების გამო მადლობა რატომ უნდა გადაგიხადოთ, ყურები გამოგვიჭედაო. გული ისე შემეკუმშა, ვეღარ ვსუნთქავდი.

რა თქმა უნდა, ყველას საკადრისი პასუხი გავეცი, მაგრამ ეს არაფერს ცვლის. მათი დანახვა, მათთან ურთიერთობა აღარ მინდა. სხვა სკოლაში გადასვლაზე ვოცნებობ, მაგრამ მშობლებს ვერ ვეუბნები. მამას ვერაფრით ვეტყვი, ჩემი კლასელები დაგცინიან, ამიტომ მათ გვერდით ყოფნა არ მინდა-მეთქი. ეს რომ გაიგოს, გული ეტკინება. მე კი ის ძალიან მიყვარს!

„სარკის" მკითხველი

გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:
296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე
ან ია ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.
თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:
1. ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დააწკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ" და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.
2. გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან.
1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.
3. ელფოსტაზე: irmchedlidze@mail.ru
ანონიმურობა დაცულია

Cyan Magenta Yellow Black

„გოგოსაკ ვატკუებ და თავსაკ ვიტკუებ"

ინდა მოგწეროთ ის, რაც ძალიან მაწუხებს. ერთ გოგოსთან მაქვს ურთიერთობა, რომელსაც ვეუბნები, რომ მიყვარს. მას მართლა შევუყვარდი, მე კი არ მიყვარს. სიმართლეს ვერ ვეუბნები. რამდენჯერმე ვცადე დაშორება, მაგრამ არაფერი გამომივიდა.

არ მინდა, გული ვატკინო და პირდაპირ ვუთხრა, რომ არ მიყვარს. ვფიქრობ, მისი ცხოვრებიდან გავქრე, გავიქცე, მაგრამ ისიც არ მინდა, არაკაცივით მოვიქცე. აღარ ვიცი, რა გავაკეთო, ძალიან დაბნეული ვარ.

თქვენი მკითხველი, 18 წლის

„მეგობარმა გული მატკინა"

12 წლის გოგო ვარ. მეგობარმა გული ძალიან მატკინა. ერთ დღეს მშობლებმა სუპერმარკეტში გამაგზავნეს. დაქალს ვთხოვე, გამომყოლოდა, მან კი უარი მითხრა, რაღაცეები მოიმიზეზა. მარტო წავედი და ყველაფერი ვიყიდე, რაც მშობლებმა დამავალეს.

უკან რომ ვბრუნდებოდი, დავინახე, მეგობარი სხვა გოგოს მისდევდა, რომელსაც ყური უნდა გაეხვრიტა. ძალიან მეწყინა, მას თუ არ უთხრა უარი გაყოლაზე, მე რატომ მომექცა ასე? შეეძლო მაშინვე სიმართლე ეთქვა და გავუგებდი. მან კი დამიმალა, რომ სხვას მიჰყვებოდა...

თქვენი მკითხველი

„ჩემი დაქალი ორ ბიჭს ატყუებს"

ერთი დაქალი მყავს, რომელიც კარგი გოგოა, მაგრამ ერთი ნაკლი აქვს, ბიჭების მოტყუება უყვარს. ის ძალიან ლამაზია და ბევრი თაყვანისმცემელიც ჰყავს, ამიტომ გათამამებულია. ჰგონია, რომ ყველაფრის უფლება აქვს.



ახლა ორ ბიჭს ხვდება ერთდროულად, თანაც არც ერთი უყვარს და არც მეორე. ვეუბნები, რომ ეს ძალიან ცუდი საქციელია და ღმერთი ამის გამო დასჯის, მაგრამ არ მიჯერებს. მიბრაზდება, შენი საქმე არ არის, ნუ ერევიო. ორივე კარგი ბიჭია და ამას არ იმსახურებენ. მათ მართლა უყვართ. ისეთ სიურპრიზებს უკეთებენ, ყველა გოგო რომ იოცნებებს. ჩემი მეგობარი კი ამდენს ვერ ხვდება და უსამართლოდ იქცევა.

ტყუილებში მეც გამრია. ერთს რომ ხვდება, მეორეს ეუბნება, რომ ვითომ ჩემთან არის. პაემანზე რომ მიდის, მშობლებს ატყუებს, ვითომ ჩემთან მოდის. ძალიან ვნერვიულობ, ვერ ვხვდები, მის გამო ტყუილი რატომ უნდა ვთქვა. არადა მეგობრის დაკარგვაც არ მინდა. ზოგჯერ იმასაც კი ვფიქრობ, რომ იქნებ ასეთ გოგოსთან ურთიერთობა არც ღირს. თუ ბიჭებს ატყუებს, ხომ შეიძლება ერთ დღეს მეც გამწიროს.

თქვენი ერთგული მკითხველი

„დაქალი სასიყვარულო წერილებს მწერდა"

ერასოდეს ვიფიქრებდი, დაქალი ასე თუ მომექცეოდა. ყველას ვურჩევ, მეგობრები დაკვირვებით შეარჩიეთ, თორემ შეიძლება გული საშინლად გატკინონ.

ორი წლის წინ ზღვაზე ერთი გოგო გავიცანი, ერთ სახლში ვისვენებდით. მაშინ ორივე 15 წლის ვიყავით, მოგვწონდა ერთნაირი მუსიკა, ტანსაცმელი, საჭმელებიც კი. ერთიმეორის ხასიათში ბევრი საერთო ვიპოვეთ. თბილისში რომ ჩამოვედით, მეგობრობა აქაც გავაგრძელეთ, ერთმანეთის ოჯახებში მივდიოდით, ვრჩებოდით. ისე მოხდა, რომ ბავშვობის მეგობრებიც კი დამავიწყდა. მათთან კავშირი თითქმის გავწყვიტე და სულ ახალშეძენილ მეგობართან ვიყავი.

ერთი ბიჭი მომეწონა და ეს ჩემს მეგობარსაც გავუმხილე. ერთ დღეს მესიჯი მივიღე, უცხო ნომრიდან მწერდა ვიღაც, თქვენი გაცნობა მინდაო. მერე კი მომწერა, მე ესა და ეს ბიჭი ვარო. მახსოვს, ჩემს მეგობარს გაგიჟებულმა როგორ დავურეკე, ის ბიჭი, რომელიც მიყვარს, მესიჯებს მწერს-მეთქი. მან გაიკვირვა, მომილოცა... ახლა ვფიქრობ, როგორ შეეძლო, ასე ეთვალთმაქცა, მას ხომ ძალიან ვენდობოდი.

„საყვარელ ბიჭთან" მიმოწერა მთელი ზაფხული გაგრძელდა. ზოგჯერ მირეკავდა კიდეც, თურმე თავის ბიძაშვილს არეკვინებდა. მე კი ნამდვილი სულელივით მაშინვე მეგობარს ვურეკავდი და „იმ ბიჭის" ნათქვამს სიტყვასიტყვა ვეუბნებოდი. საკუთარ თავს ვერ ვპატიობ, რომ ასე ვიქცეოდი. ისიც იმდენად უგულო აღმოჩნდა, რომ ეს თამაში გააგრძელა. იცოდა, რომ შემიყვარდა, მასზე ფიქრით ღამეებს ვათენებდი, ის კი ჩემს გაგიჟებას განაგრძობდა.

ერთ დღეს ჩემთან მოვიდა სტუმრად. უცებ გასვლა მოუხდა, სიჩქარეში ერთი ტელეფონი დარჩა. არ გავკიდებივარ, რადგან ისევ ჩემთან უნდა მოსულიყო, თანაც ის ტელეფონი, რომელიც დარჩა, სხვა ქსელში ჰქონდა ჩართული და ვიცოდი, რომ თითქმის არ იყენებდა. ამასობაში ჩემი ტელეფონი ვეღარ ვიპოვე, დაქალის ტელეფონი ავიღე და დავრეკე, რომ ზარის ხმით მივმხვდარიყავი, სად იდო. ჩემს ტელეფონს რომ დავხედე, თვალებს არ დავუჯერე, იმ ბიჭის ნომერი დაფიქსირდა. დაქალის ტელეფონიდან ისტერიკულად ვაგზავნიდი მესიჯებს და გამოშტერებული დავჩერებოდი ჩემი ტელეფონის ეკრანს, სადაც ჩემი საყვარელი ბიჭის სახელი ეწერა...

დაქალი მალე მოვარდა და მაშინვე ტელეფონს დაუწყო ძებნა. მე იმ „ბიჭის" სიმბარათი მეჭირა ხელში, ვუთხარი, ამას ხომ არ ეძებ-მეთქი. ყველაფერს მიხვდა და თავისმართლება დაიწყო, ეს იმიტომ გავაკეთე, რომ იტანჯებოდი, მე კი შენი გამხიარულება მინდოდაო. რა თქმა უნდა, მას დავშორდი და გამოვუცხადე, რომ გზაში არსად გადამყოფოდა.

ახლა მის საყურადღებოდ მინდა, ერთი რამ დავწერო. ძალა მოვიკრიბე და იმ ბიჭს მივწერე, რომ მის მიმართ გულგრილი არ ვიყავი. სხვათა შორის, მეგობრის მუხანათობაზეც ვუამბე და ძალიან შეწუხდა. ერთმანეთს შევხვდით და ვილაპარაკეთ. მას არ მოვუტყუებივარ, მითხრა, რომ ჩემ მიმართ სიმპათიით კი იყო განწყობილი, მაგრამ ჯერჯერობით რაიმე გრძნობაზე ლაპარაკი ნაადრევად მიაჩნდა. ის კარგი მეგობარი აღმოჩნდა, ხშირად მირეკავს, მესიჯებსაც მწერს და ჩემთან გულახდილია.

„სარკის" ერთგული მკითხველი

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

გამოხმაურება

„შეყვარებულის საქციელს იუმორით შეხედე"

ურნალ „სარკის" 38-ე ნომერში გამოქვეყნდა წერილი — „ძაღლი გამომეკიდა, საყვარელმა ბიჭმა კი დაცინვა დამიწყო". ამ ისტორიაში ვერაფერს ვხედავ ისეთს, რომ გაბრაზდე. მეც შენი ტოლი გოგო ვარ და ასეთი რამ რომ დამმართნოდა, ნამდვილად არ გავბრაზდებოდი, შეყვარებულის საქციელსაც იუმორით შეხედავდი. გირჩევ, შენც ასე მოიქცე.

მკითხველი

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ

Cyan Magenta Yellow Black

რატომ დაუპირისპირდა ნანა შონია ეკა კახიანს

„ხელფასი არ მენიშნებოდა იმიტომ, რომ ოპოზიციაში ვიყავი“

18 სექტემბერს ერთ-ერთ ტოქ შოუში, რომლის თემაც გახლდათ პოლიტიკური კონფორმიზმი, თავი ისევ იჩინა წინა ხელისუფლების მიერ გავლებულმა „მავთულხლართმა“ მისთვის სასურველ და არასასურველ ხელოვანთა შორის. მომღერალმა და მსახიობმა ეკა კახიანმა აღნიშნა, რომ სააკაშვილისა და მისი ხელისუფლების მხარდამჭერ კონცერტებში ჰონორარების გამო მონაწილეობდა. ამ ნათქვამმა მსახიობ ნანა შონიას მკვეთრი რეაქცია გამოიწვია. ამ უკანასკნელს თავისი ოპოზიციური შეხედულებების გამო ნაციონალების რეჟიმი არ სწყალობდა და არც თავად ჰქონდა მათთან თანამშრომლობის სურვილი. როცა შოუში კოლეგა კახიანს უთხრა, ჩვენც გვიჭირდა, მაგრამ ფულის გამო დათმობებზე არ წავსულვართო, კახიანმა პასუხად შეაგება, თქვენ გმირები ხართო.

ამ შელაპარაკებამ უკვე მერამდენედ ისევ წინ წამოსწია საზოგადოებაში ისეთი საჭირბოროტო საკითხი, როგორიცაა სახელისუფლებო და არასახელისუფლებო ბანაკებად დაყოფილი ხელოვანები. მსახიობ ნანა შონიას ამ თემაზე სასაუბროდ ვეწვიეთ.

— ქალბატონო ნანა, გადაცემაში, სადაც სტუმრად იყავით მიწვეული, საუბრობდნენ იმაზე, როგორ კარგავენ მეგობრები ერთმანეთს პოლიტიკის გამო. თქვენ ეს პრობლემა შეგეხოთ?

— ჩემთვის ეს მართლა ძალიან მტკივნეული თემაა. ამის მწარე გამოცდილება გვაქვს, როცა ზვიად გამსახურდიას მომხრეები და ოპოზიციურად განწყობილი ადამიანები ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ, ამის გამო ოჯახებიც ინგრეოდა. მე, პირადად, ყოველთვის ვცდილობდი, რომ ეს არ დამეშვა. ჩემი ცხოვრების დევიზია „წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო“. რა თქმა უნდა, არ არის კარგი, როცა მეგობარს თუ ახლობელს შენგან მკვეთრად განსხვავებული აზრი აქვს. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ტაქტიანი, თავშეკავებული ადამიანი ვარ, ხანდახან ისე ავდუღდები ხოლმე, მეგობრებთანაც სერიოზულ პოლემიკაში შევდივარ, მაგრამ ეს ძალიან იშვიათად ხდება. შეიძლება ის ადამიანი გარკვეული პერიოდი ნაწყენიც კი იყოს, მაგრამ მე ყოველთვის იმას ვამბობ, რასაც ვფიქრობ. სიმართლის ართქმა მიუღებლად მიმაჩნია. ხანდახან არის მომენტები, როცა არ შეიძლება გაჩუმდე.

— წინა ხელისუფლებაზე საუბრისას ახსენებენ ე.წ. შავ სიებს, რომლებითაც გარკვეულ მომღერლებს ბლოკავდნენ. მსახიობებსაც ხომ არ უდგენდნენ ასეთ სიებს?

— რა თქმა უნდა. პირადად მე ვგრძნობდი, რომ თავს იკავებდნენ შემოთავაზებებისგან, ეს იქნებოდა სერიალი თუ რომელიმე გადაცემაში ჩემი მონაწილეობა. მაგრამ ეს თეატრს არ ეხება. რამაც გადამარჩინა, ეს იყო თეატრი. წლების განმავლობაში რომ არ ითამაშო სცენაზე, კვალიფიკაციას დაკარგავ, თეატრი სულ ფორმაში გამყოფებს. ძალიან მერიდებოდა მეთქვა, იცით, მე მბლოკავენ-მეთქი... ხანდახან იმაზეც ფიქრობ, შეიძლება რეჟისორს მართლა სხვა უნდა როლზე და პოლიტიკური ნიშნით დაბლოკვა არაფერ შუაშია, მაგრამ ბევრჯერ მათ უარს პოლიტიკური ელფერი დაჰკრავდა. ეს სიმახინჯე და საშინელება იყო. მსახიობს რა პოლიტიკური ხედვა აქვს, ეს არ უნდა გაინტერესებდეს.

ცუდია, როცა პოლიტიკა ხელოვნებას ეხება, მაგრამ თეატრი პოლიტიკური მოვლენაცაა. სცენაზე გრძნობების გარდა, შენს პოზიციაზეც ლაპარაკობ. მსახიობის ნათქვამს ფასი აქვს, ამიტომ ვთვლი, რომ პოზიციის ქონა აუცილებელია. უფრო კარგად გრძნობთავს, როცა მართალი ხარ. სამწუხაროდ, ეს თვისება იშვიათია. თუკი შენში აღმოაჩინე ეს თვისება, უნდა გაუფრთხილდე. არჩევნების მერე ერთმა მითხრა, როგორ დაშოშმინდითო. კი არ დავშოშმინდი, ჯერ ერთი, დიდხანს გასტანა იმ შოკმა, რომ ხელისუფლება შეიცვალა, მეორეც, ჯერ არ ვთვლი საჭიროდ, რამეს გამოვეკიდო. გარდამავალი პერიოდია და ყველაფერი დალაგდება. რა თქმა უნდა, იქნება შეცდომებიც, მაგრამ ეს პროცესია. ისეთ ნამსხვრევებზე მოვიდა ახალი ხელისუფლება, რომ მათ ალაგებას დიდი დრო უნდა.

> **„ახჩევნების მეხე ეთმა მითხხა, ოგორ დაშოშმინდითო. ჯი ახ დავშოშმინდი, ჯეჰ ეთი, დიდხანს გასტანა იმ შოკმა, ომ ხელისუფლება შეიცვალა, მეოხეც, ჯეჰ ახ ვთვლი საჭიროდ, ომ ამ ამოვეკიდო. ისეთ ნამსხვრევებზე მოვიდა ახალი ხელისუფლება, ომ მათ ალაგებას დიდი დრო უნდა".**

— ეკა კახიანმა გადაცემაში აღნიშნა, რომ ისევ დგება სიები. თქვენ არ გსმენიათ ამის შესახებ?

— ტყუილია! არავითარი სიები არ დგება.

— რატომ გამორიცხავთ, რომ შოუბიზნესის ის სახეები, ვინც წინა ხელისუფლების ფავორიტები იყვნენ, დღეს უკანა პლანზე გადასწიოს ვინმემ?

— არა მგონია. ახლა ისეთი სიტუაციაა, რომ კონცერტები არსად იმართება. მითხარით, სად ტარდება კონცერტები და ვინ დაიბლოკა? იგივე ეკა კახიანი სად არ ჩასვეს? ასე ლაპარაკი ადვილია. გამიკვირდა, ეკამ რომ ეს თქვა. მან ასევე თქვა, რომ სხვა შემოსავალი არ ჰქონდა და იმიტომ მიდიოდა წინა ხელისუფლების მოწყობილ კონცერტებზე. გასაგებია, მაგრამ ჩვენც არ გვქონდა სხვა შემოსავალი. მე, მაგალითად, როგორ უნდა გამჭირვებოდა ისე, რომ 2008 წლის 9 აგვისტოს გამართულ უზარმაზარ კონცერტზე გავსულიყავი და მემღერა?! ბიჭები იღუპებოდნენ... ეს ნაბიჯი გაუმართლებელი იყო. 26 მაისს, როცა ხალხი ჩაიხოცა და მეორე დღეს კონცერტი გამართეს, იქ მონაწილეობას რა გამართლება აქვს?! რამდენი უნდა გადაეხადათ, რომ იქ გავსულიყავი! მერე როგორ უნდა მეცხოვრა? სიმართლე ერთია. ვიღაც შეიძლება არ გეთანხმებოდეს, მაგრამ ამ სიმართლეს მაინც პატივს სცემს.

> **„26 მაისს, ოცა ხალხი ჩაიხოცა და მეოხე დღეს ჯონცერტი გამახოთეს, იქ მონაწილეობას ხა გამახოლება აქვს?! ხამდენი უნდა გადაეხადათ, ომ იქ გავსულიყავი!".**

— რა ურთიერთობა გაქვთ ეკა კახიანთან?

— ეკასთან გადასარევი ურთიერთობა მაქვს. ჩემი კოლეგაა და ძალიან მიყვარს. ჩვენ ბევრი რამ გვაკავშირებს. გადაცემაში ჩემი პოზიცია დავაფიქსირე. როცა ადამიანს არ ვეთანხმები, ეს უნდა ვთქვა.

— გადაცემაშიც და ინტერვიუშიც ახსენეთ: „ჩვენც გვიჭირდა“. რა იგულისხმება ამ წინადადებაში?

— მსახიობი თუ როლზე არ დაგაკავეს, სხვა არანაირი ანაზღაურება არ გექნება. თუ გბლოკავენ, უმუშევარი რჩები. თეატრში ვთამაშობდი, მაგრამ ხელფასი არ მენიშნებოდა, რადგან ოპოზიციაში ვიყავი. თეატრის დირექტორი ჩემი მეგობარია, მაგრამ მას არაფერი შეეძლო. ეს კულტურის სამინისტროს უნდა დაეშვა.

— ბიძინა ივანიშვილის მიერ მსახიობებისთვის დანიშნული ხელფასი არ გქონდათ?

— როცა ხელფასი არ გაქვს, დახმარებასაც ვერ იღებ, რადგან არსად ირიცხები და არავინ იცის, იმ თეატრში ხარ თუ არა. სანამ ხელფასს მომცემდნენ, მანამდე მაინც დამენიშნა ივანიშვილის დახმარება, რომელმაც გადამარჩინა.

— ახალი ხელისუფლების მიმართ არანაირი კრიტიკული შენიშვნა არ გაქვთ, თავალდახუჭულად გჯერათ მისი?

— ამას უფრო გლობალურად ვუყურებ. ვთვლი, რომ დასკვნების გაკეთება ჯერ ადრეა. ჯერ ყველაფერს ვაკვირდები. ძალიან მომწონს პრეზიდენტობის კანდიდატი, გიორგი მარგველაშვილი — განათლებული, სერიოზული, კულტურული, იუმორით სავსე ადამიანია. დარწმუნებული ვარ, გიორგი თავის თანამდებობას არასწორად არასოდეს გამოიყენებს. ვერავინ გადამარწმუნებს, რომ ასე არ იქნება, რადგან გიორგის კარგად ვიცნობ.

— თუ გახსოვთ, მისეულ სააკაშვილით როგორი ერთსულოვანი აღფრთოვანება იყო, როცა ის სათავეში მოდიოდა? მის მიმართაც ივიკე დამოკიდებულება ჰქონდა უმრავლესობას, როგორიც თქვენ დღეს მარგველაშვილის მიმართ გაქვთ. იქნებ სწორედ აქ არის საზოგადოების შეცდომა?

— მეც მომწონდა სააკაშვილი და მხარს ვუჭერდი, მაგრამ მას ასე კარგად არ ვიცნობდი. ვერ წარმოვიდგენდი, რომ იმ დიდ ბედნიერებას, რასაც ხალხის ნდობა და სიყვარული ჰქვია, ეს კაცი რამეში გაცვლიდა. წინა ხელისუფლებაში მომხვეჭელობის დიდი სურვილი არ მომწონდა.

— „შეცხრე არხზე“ თქვენი საავტორო გადაცემა გქონდათ — „რაც დარჩა სათქმელი“. როგორ აფასებთ ამ არხის დახურვას?

— რადგან ამ არხის დახურვის გამო ჩემი გადაცემა დასრულდა, სუბიექტური ვერ ვიქნები. ეს მაშინ მოხდა, როცა ედინბურგში ვიყავი ფესტივალზე. ტელევიზიის დახურვაში კატასტროფას ვერ ვხედავ. ალბათ ასე იყო საჭირო.

✓ მანანა ნოდია

Cyan Magenta Yellow Black

ზურა მანჯავიძე: „ყვარყვარიზმი ტელევიზიაშიც ფართოდ არის გავრცელებული“

„კულტურის სამინისტროში, ერთ-ერთ სეიფში, იპოვეს კიდეც შავი სია“

ჟურნალისტი ზურა მანჯავიძე და ჯგუფი „ფორტე“ ისევ არ ჩანან აქტიურად. ახალ სიმღერებს კი წერენ, მაგრამ ჯერ მსმენელამდე ვერ მიაქვთ. შავი სია და პოლიტიკურად მიუღებლის იარლიყი, მართალია, „ფორტეს“ აღარ ემუქრება, მაგრამ ქართულ შოუბიზნესში უძრაობის ხანა გრძელდება. ზურა მანჯავიძე ამბობს, რომ პოლიტიკური წნეხი მოიხსნა და ახლა ყველაფერი მომღერლების მარიფათზეა დამოკიდებული.

ზურას წინა სატელევიზიო სეზონზე ტელეკომპანია „იმედში“ გადაცემა „შუადღე“ მიჰყავდა. იმედი ჰქონდა, რომ ახალ სეზონზეც მიიწვევდნენ, მაგრამ გადაცემა ეთერში მის გარეშე დაბრუნდა. არის თუ არა ეს მისთვის დიდი დანაკლისი, ამ და სხვა თემებზე მომღერალმა „სარკესთან“ ისაუბრა.

— ზურა, წინა ხელისუფლების პერიოდში „ფორტეს“ დაბლოკვის ამბავი მთელი ერის განსილვის საგნად იქცა. მთავრობა შეიცვალა, მაგრამ მაინც არ ჩანხართ. ახლა რა არის მიზეზი?

— „ფორტეს“ ახლა აღარ ბლოკავენ, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ბევრი კონცერტი ტარდება და ამას თავისი მიზეზები აქვს. აღარ მსმენია, რომ ვინმე ამოჩემებული ჰყავდეთ და პირველი პირების დონეზე ბლოკავდნენ ვიღაცეებს, რაც ამ წლების განმავლობაში ნამდვილად იყო და ხელისუფლების სათავეში მყოფ პირებთან შეთანხმებული შავი სიები არსებობდა. შემიძლია ჩემს სიტყვებზე პასუხიც ვაგო. სხვათა შორის, კულტურის სამინისტროში, ერთ-ერთ სეიფში, იპოვეს კიდეც ეს შავი სია.

— მათ შორის „ფორტეც“ იყო?

— მათ შორის კი არა, ერთ-ერთი პირველები ვიყავით! იმედია, ასე აღარ იქნება, მაგრამ არც იმათ უნდა დასწყდეთ გული, ვინც ადრე იმის გამო ხვდებოდნენ ღონისძიებებზე, რომ იმ რეჟიმის მომხრეები იყვნენ. თუ ახლა რაღაც კონცერტში არ ჩასვეს, ამას მარტო პოლიტიკას ნუ დააბრალებენ. იქნებ თვითონ ვერ აკმაყოფილებენ დამკვეთის თუ ორგანიზატორის მოთხოვნებს და დონეს? დღესაც ხდება, რომ ჩვენ სადღაც არ გვეძახიან, მაგრამ ამას პოლიტიკურ სარჩულს ნამდვილად არ ვუდებთ. ესა თუ ის კონცერტი ან ჩვენი სტილი არ არის, ან იმ ორგანიზატორს არ მოსწონს ჩვენი სიმღერები. ესეც ხომ შეიძლება?

— იქნებ თქვენმა კოლეგებმაც იგივე გითხრან, მაშინ იმიტომ არ გამღერებდნენ, რომ ორგანიზატორების გემოვნებას არ აკმაყოფილებდით და პოლიტიკა არაფერ შუაში იყოო.

— ასეც გვპასუხობდნენ, მაგრამ იმ შავ სიებს რა ვუყოთ? იმ გაუქმებულ კონცერტებს, ჩამოხეულ აფიშებს? პირდაპირ გვეუბნებოდნენ, ესა და ეს მოვიდა, სიაში თქვენ რომ გნახათ, ამოგიღოთო. ახალ წელს დაგეგმილი, კონტრაქტზე ხელმოწერილი კონცერტი გაგვიუქმეს, რადგან ერთ-ერთი თანამდებობის პირი უნდა მოსულიყო... დღეს ის მომღერლები, რომლებიც იმ მთავრობასთან კარგად იყვნენ, ძალიან ხშირად ჩნდებიან და კონცერტებს ატარებენ. რამდენიმე კონცერტი ერთადაც კი გვქონდა და ამაზე პრობლემა არავის ჰქონია. მათთვის არავის წამოუძახებია, რომ იმ რეჟიმის დროს მღეროდნენ.

„ის რეჟიმი ბოლომდე არ შეცვლილა. თავიანთი კუდები ყველგან აქვთ დატოვებული და, სამწუხაროდ, მხოლოდ ჩვენს სფეროში არაა ასე, ტელევიზიაშიც იგივე ხდება. ხანდახან გასაკვირიც არის, როგორ ახერხებენ ქამელეონივით ფერის შეცვლას“.

„დღეს ის მომღერლები, რომლებიც იმ მთავრობასთან კარგად იყვნენ, ძალიან ხშირად ჩნდებიან და კონცერტებს ატარებენ. რამდენიმე კონცერტი ერთადაც კი გვქონდა და მათთვის არავის წამოუძახებია, რომ იმ რეჟიმის დროს მღეროდნენ“.

— ქვეყანაში ახალი პოლიტიკური რეალობაა. დაიწყო თუ არა შოუბიზნესში ის ძვრები, რასაც თქვენც ელოდით და საზოგადოებაც?

— ის რეჟიმი ბოლომდე არ შეცვლილა. თავიანთი კუდები ყველგან აქვთ დატოვებული და, სამწუხაროდ, მხოლოდ ჩვენს სფეროში არაა ასე, ტელევიზიაშიც იგივე ხდება. ხანდახან გასაკვირიც არის, როგორ ახერხებენ ქამელეონივით ფერის შეცვლას. ყვარყვარიზმი ფართოდ არის გავრცელებული.

ჩვენთან რომ შოუბიზნესით ვინმე დიდ ფულს იშოვის, წარმოუდგენელია. საქართველო პატარა ქვეყანაა და პატარა ბაზარი გვაქვს. ხალხის მატერიალური მდგომარეობა ძალიან მძიმეა და ამ დროს ფულის შოვნაზე საუბარი ცოტა უხერხულიც კი არის. ჩვენი ღვინო თუ ქვეყნის ფარგლებგარეთ არ გაიტანე, ფულს ვერ იშოვი, ასეა შოუბიზნესიც. სანამ ისეთ პროდუქტს არ შექმნი, რომ საზღვარგარეთ გაიტანო, არაფერი გამოვა.

ეკონომიკური მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს, ხელფასები, შემოსავლები გაიზარდოს, რომ ხალხს ბილეთში 10 და 15 ლარის გადახდა არ დაენანოს. დღეს კი ეს წარმოუდგენელია. თან ხალხი წინასაარჩევნოდ უფასო კონცერტებს მიეჩვია. რატომ უნდა გადაიხაოდს ფული, როცა ღია ცის ქვეშ იგივე მომღერალი უფასოდ უმღერებს? ეს და საერთოდ, ძალიან ბევრი საკითხია დასარეგულირებელი.

— ანუ სასაკეთო ძვრები ამ სფეროში არ შეინიშნება?

— ყოველ შემთხვევაში, ის ვიცი, რომ პოლიტიკურად ხელისშემშლელი ფაქტორები აღარ არის, დანარჩენი უკვე ჩვენს მარიფათსა და ნიჭიერებაზეა დამოკიდებული. ბევრია ისეთი, ვინც შეიძლება ამ სფეროში ფული ჩადოს და, იმედია, ასეც მოხდება. ჯერჯერობით კი რაღაც სასწაულ ძვრებს არ უნდა ველოდოთ.

— რა გეგმები აქვს „ფორტეს“?

— ახალი სიმღერები ჩავწერეთ. თუ მოვახერხებთ, სოლო კონცერტის ჩატარებაც გვინდა და კლიპების გადაღებაც. ჩვენ მომზადებულები ვართ, მთავარია, ფინანსები მოვიძიოთ, რომ რაღაც ღირებული გავაკეთოთ. ერთ-ორ სოლო კონცერტზე უარი ვთქვით, რადგან ეს ჩვეულებრივი იქნებოდა და არა — ახლის მთქმელი. გვირჩევნია, ცოტა მოვითმინოთ და საინტერესო, ღირებული გავაკეთოთ. კარგი იდეები გვაქვს, მთავარია, მისი განხორციელება როგორ გამოგვივა.

— წინა სატელევიზიო სეზონზე ტელეკომპანია „იმედში“ შუადღის გადაცემა მიგეყვანთ. ახლა კი გადაცემა თქვენ გარეშე დაბრუნდა ეთერში. აგიხსნეს, ასე რატომ მოხდა?

— ეს გადაცემა ახალი ფორმატით და ჩემ გარეშე გადის ეთერში. წამყვანი რომ არ ვიქნებოდი, რეკლამებიდან გავიგე.

— გული დაგწყდათ?

— რა თქმა უნდა, მაგრამ ეს ქვეყნის დასასრული არ არის, ყოველთვის ყველაფერი უკეთესობისკენ მიდის.

— რამდენადაც ვიცი, ის გადაცემა დაბალი რეიტინგის გამო დაიხურა.

— არ ვიცი, შეიძლება ასეც იყო. ალბათ იმ გადაცემამ თავისი საქმე გააკეთა და ახლა მეტის გაკეთება უნდათ. შეიძლება მოლოდინიც მეტი იყო, არ ვიცი. ყველაფერი წინ უნდა წავიდეს, მეტი მაყურებელი უნდა ჰყავდეს. კარგია, რომ მაქსიმალური მოთხოვნები აქვთ.

ჩემი მხრიდან იმ გადაცემისთვის არაფერი დამიკლია. ყოველთვის მაქსიმუმს ვაკეთებ და, როგორც შემიძლია, ვიხარჯები. გადაცემის წაყვანამ ბევრი რამ მომცა, გამოცდილება შემმატა, კარგი და საინტერესო ხალხი გავიცანი. სიმართლე გითხრათ, ტელევიზორს დიდად არ ვუყურებ, უფრო სწორად, ვერ ვუყურებ, იქ კი იძულებული ვიყავი, იმ თემებს გავცნობოდი, რომლებსაც განვიხილავდით, ბევრი საკითხი ახლებულად დავინახე. სამუშაო პროცესიც საინტერესო იყო, მეტყველების გაკვეთილებიც.

— წამყვანის ამპლუაში პირველად იყავით?

— ამ ფორმატის გადაცემაში პირველად გახლდით, მაგრამ მანამდე ტელეკომპანია „ობიექტივში“ ტოქ შოუ მიმყავდა, უფრო ადრე კი — „იმედის ტალღა“. ასე რომ, ამ სფეროში პატარა გამოცდილება მქონდა.

— ამ გადაცემის შემდეგ სხვა ტელეკომპანიებიდან შემოთავაზებები არ გქონიათ?

— მქონდა, მაგრამ უარი ვთქვი, რადგან საცხოვრებლად თბილისიდან წასვლა მომიწევდა.

✓ ეკა ლემონჯავა

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძის გაწმენდა, ფუნქციის ადგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება. საჭირო გამოკვლევები უფასოა! ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება 0. ძ-ნი ძეთევანი.

☎ 599-90-54-78. 234-02-38

Cyan Magenta Yellow Black

ტატო ჩახუნაშვილი: „მაკა ძაგანიამ ყველაზე ტკბილი და ბედნიერი წლები მაჩუქა“

ქასახიობ ტატო ჩახუნაშვილს ცხოვრებაში ბევრი საქმე აქვს მოსინჯული, სასწრაფოს მძღოლადაც კი უმუშავია, მაგრამ თეატრი მის ცხოვრებაში ყოველთვის პრიორიტეტი იყო. ყველა სირთულის გადალახვაშიც თეატრი დაეხმარა. როცა ექვსწლიანი ურთიერთობის შემდეგ მსახიობ მაკა ძაგანიას დაშორდა, მაშინაც საქმე აღმოჩნდა მისი მშველელი. ახლა იმ წლებზე მხოლოდ კარგი მოგონებები აქვს და ყოფილი შეყვარებულის მადლიერია.

ტატო მუსკომედიის თეატრის მსახიობია. ახლახან კი ახალ კომედიურ სერიალში „ჩვენი ამბავი“ გამოჩნდა ახალგაზრდა მწერალი კაცის როლით. ეს პერსონაჟი, მიუხედავად მისი უცნაურობისა, ტატოს ესიმპათიურება და ხასიათის გარკვეული შტრიხებით საკუთარ თავსაც ამსგავსებს. ჩვეულებრივი ქართველი ბიჭია, ისეთი, როგორიც მეო, გვითხრა.

„ჩვენს სიყვარულს არც მე გავუფრთხილდი და არც — ის“

— ტატო, მსახიობობა თქვენი ცხოვრების მთავარი ოცნება იყო თუ სხვა პროფესიებზეც გიფიქრიათ?

— ბევრ რაღაცაში მოვსინჯე ბედი, მაგრამ ისე მოხდა, რომ მაინც ამ სფეროში დავრჩი. სასწრაფო მანქანის მძღოლად მაქვს ნამუშევარი, ავადმყოფისთვის ექიმობაც გამიწევია, იყო პერიოდი, როცა მშენებლობაზეც ვიმუშავე. სახლში ჩემი ხელით რემონტიც გავაკეთე, რასაც კი ხელი მოვკიდე, ყველაფერი გამომივიდა. მივხვდი, რომ ბევრი რამ მეხერხება, მაგრამ თეატრიდან წასვლაზე არასოდეს მიფიქრია. სხვა საქმეს რომ ვაკეთებდი, მაინც ამაზე მეფიქრებოდა. ჩემი ცხოვრების მთავარი საქმე სწორედ თეატრია.

— ყველაზე საყვარელი როლი რომელია?

— ყველა, რადგან თითოეულში ბევრს ვდებ. თეატრი ძალიან შრომატევადია. ჩემს ყველა გმირზე ბევრს ვფიქრობ, ამიტომ გამიჭირდება მხოლოდ ერთის გამოყოფა.

— ქალის როლიც გაქვთ ნათამაშევი. კაბაში როგორ გრძნობდით თავს?

— თავიდან — ცოტა უხერხულად. კაცისთვის ძნელია ქალის როლის მორგება, მისი მიმიკები, მანერები... როცა დამჭირდა და ქალებს დავაკვირდი, ცოტა უხერხულად ვიგრძენი თავი. საკმაოდ რთული ყოფილა. რაც შეეხება კოსტიუმებს, ფანტასტიკური კაბები გვეცვა, თუმცა ძალიან უხერხული დასაჯდომი იყო. რეპეტიციები რომ დავიწყეთ, ცოტა დაძაბულები ვიყავით, ჩვენს მიმიკებზე ძალიან ვხალისობდით.

— თქვენი თავისუფალი დრო რას ეთმობა?

— მთელ ჩემს თავისუფალ დროს მეგობრებთან ვატარებ. ზოგჯერ ერთად მივდივართ სათევზაოდ. ვცდილობ, ის სიყვარული, რასაც მათგან ვიღებ, უკან დავუბრუნო. ოჯახის წევრებსაც სულ ვენატრები, სახლში პატარა ძმისშვილები მყავს. უფროსი წელს მივიდა სკოლაში. სკოლაში წავიყვანე და ძალიან გაუკვირდა, რადგან მის წაყვანას ვერასოდეს ვერსად ვახერხებ. ორივე ძალიან გახარებული ვიყავით. მოკლედ, ჩემი თავისუფალი დრო ეთმობა ოჯახს, მეგობრებს, თევზაობას.

— პირადი ცხოვრება რატომ არ ახსენეთ, მაგისთვის არ გაქვთ დრო?

— პირადი ცხოვრებისთვისაც ვნახულობ დროს, დატვირთული ვარ, მაგრამ რაღაცეებს მაინც ვახერხებ.

— არც ისე დიდხანს წინ თქვენ და მსახიობი მაკა ძაგანია „სარკეს“ ინტერვიუს აძლევდით, როგორც შეყვარებული წყვილი. ახლა კი ცალ-ცალკე ხართ. რამ გამოიწვია თქვენი დაშორება?

— ყველაფერი ისე წავიდა, რომ ჩვენი ურთიერთობა დამთავრდა. რომ ვიცოდეთ, რატომ მოხდა და რისი ბრალი იყო, აუცილებლად მივხედავდით ან მე, ან ის და დღეს ერთად ვიქნებოდით.

— მაკამ ჩვენთან ინტერვიუში თქვა, ყველა მამაკაცს ჩემი შეცვლა უნდოდაო...

— მისი შეცვლა რომ მდომებოდა, ჩვენ ალბათ არც გვექნებოდა ურთიერთობა.

— ამ სიყვარულმა სინანულის განცდა არ დაგიტოვათ?

— რა თქმა უნდა, 6 წელი ვიყავით ერთად. ამ დროში ნივთსაც კი მიეჩვევი, არათუ ადამიანს. ურთიერთობის დამთავრება ადვილი არ არის. მერე ხვდები, რომ ძალიან გაკლია ის ადამიანი.

— არ სცადეთ მასთან შერიგება?

— ალბათ ჯობდა, არც მეცადა.

— მტკივნეული იყო დაშორება?

— ჩვენი დაშორება ურთიერთობის დაწყებიდან პირველი ან მეორე წლის თავზე რომ მომხდარიყო, მაშინ შეიძლებოდა ტირილი და რაღაცეები ყოფილიყო, მაგრამ ჩვენი ურთიერთობა უკან-უკან წავიდა, ამიტომ ბოლოს დავილაპარაკეთ და ვთქვით, რომ უნდა დაგვესრულებინა. ორივე ამ დასკვნამდე მივედით. ჩვენი დაშორება მხოლოდ ერთი მიზეზის გამო არ მომხდარა, ნელ-ნელა ყველაფერი გროვდება და ბოლოს სრულდება.

— მაკამ მითხრა, დაშორების შემდეგ არც კი შეეხვედრიავართო. როგორი იქნება თქვენი შეხვედრა?

— თბილისში ამდენ ხანს ადამიანს რომ ვერ შეხვდები, ძალიან უცნაურია, მით უმეტეს, ერთი პროფესია გვაქვს, ერთი წრე გვყავს... ჩვენი შეხვედრა ალბათ ჩვეულებრივი იქნება, გამარჯობის თქმით შემოვიფარგლებით. როგორც სხვა ნაცნობებს, მაკასაც ისე შევხვდები.

— ამ 6 წლიანმა ურთიერთობამ რა გამოცდილება შეგძინათ, რასაც სხვა ურთიერთობებში გაითვალისწინებთ?

— თუ სერიოზული ურთიერთობა მექნება, ჩემს გრძნობას იქამდე არ მივიყვან, რომ ბოლოს დამთავრდეს. ჩვენს სიყვარულს ალბათ არც მე გავუფრთხილდი და არც — მაკა. ჩვენი გრძნობა ისე მივუშვით, რომ ბოლოს დამთავრდა.

— პირად ურთიერთობებში მომთხოვნი ხართ?

— არა. რასაც ადამიანისგან იღებ და რასაც შენ გაძლევენ, ისაა შენი წილი და მორჩა!

— მაკასთან ურთიერთობამ რა მოგცათ?

— საკმაოდ ბევრი მომცა, ამით ძალიან ბედნიერი ვარ, მაჩუქა ის სამი ყველაზე ტკბილი და ბედნიერი წელი, როცა მე და მაკა ყველაზე კარგად ვიყავით. მისი მადლობელი ვარ, რა უნდა მოხდეს, რომ ეს დამავიწყდეს, მაგრამ მაინც დამთავრდა, აღარ არის.

— მოდით, ახლა იმ ახალ როლზე ვისაუბროთ, რომლითაც ტელემაყურებელმა კომედიურ სერიალში „ჩვენი ამბავი“ გიხილათ. კმაყოფილი ხართ ახალი ამპლუათ?

— სერიალში სხვა დროსაც მითამაშია, მაგრამ აქ სხვანაირი სიტუაციაა, ჩაწერებს მაყურებელი ესწრება, რაც ჩემთვის ძალიან უცხოა. ამ ფაქტმა დამაინტერესა, თან კომედიური ჟანრია და რატომაც არ უნდა მეცადა ბედი?! თეატრში დიდხანს ვემზადებით პრემიერისთვის, აქ კი ყოველ-კვირა პრემიერაა. ჩაწერების დროს მაყურებლის რეაქცია ძალიან საინტერესოა, სტიმულიც კია.

— თქვენს გმირზე რა შეგვიძლიათ გვითხრათ, როგორი ადამიანია?

— საინტერესო ტიპია. ერთი პერიოდი წარმატებული იყო და მერე უცებ ყველაფერი დაკარგა. ვეღარც წიგნს წერს, ვეღარც ცოლთან ალაგებს ურთიერთობას, შვილი ჰყავს, რომელიც ენატრება, მაგრამ არ აჩვენებენ. ჩემი გმირი იმითაცაა საინტერესო, რომ ყოველ ჯერზე ყველაფრის თავიდან დაწყებას ცდილობს, თუმცა არ გამოსდის. ამითაც ბედნიერია, იცის, რომ მისი ბრალი არაფერია, უბრალოდ არავინ უჯერებს. ჩემს გმირთან რაღაცეები მაქვს საერთო, რაღაცეებში კი ძალიან განვსხვავდებით.

— მაგალითად, რითი ჰგავხართ და რითი განსხვავდებით?

— პირველ რიგში, იმით განვსხვავდებით, რომ ცოლი და შვილი არ მყავს. ასე რომ იყოს, არ ვიცი, მათთან ურთიერთობაში როგორი ვიქნებოდი, რამე საერთო მექნებოდა თუ არა ჩემს გმირთან. ზურასავით ძალიან მიყვარს მეგობრები, დალევა, წიგნებიც, მაგრამ მე არ ვწერ. ჩვეულებრივი ქართველი ბიჭია იმ ინტერესებით, რაც მეც მაქვს. შეიძლება გოგოსაც გააყოლოს თვალი და გაეარშიყოს, მეც იგივე შემიძლია გავაკეთო.

✓ ქეთი დინოშვილი

Cyan Magenta Yellow Black

7 თვის ორსული თამუნა ლეკვეიშვილი ქმარს მძღოლობას უწევს

„ჯომედი შოუს“ მსახიობ თამუნა ლეკვეიშვილის მანქანის სავარძელი პერიოდულად უკან-უკან იწევს იმისდა მიხედვით, ფეხმძიმობის რომელ თვეშია მისი მძღოლი. თამუნა ამჟამად 7 თვის ფეხმძიმეა, მესამე შვილს ელოდება. პასიურ ცხოვრებას ვერ ეგუება და ვერც საჭეს შორდება, უფრო მეტიც, ქმრის პირად მძღოლადაც იქცა. თითქმის 4 წელია, რაც საჭესთან ზის. არც მართვის მოწმობა ჰქონდა და არც მართვა იცოდა წესიერად, როცა მანქანით ქალაქში გასვლა გადაწყვიტა. მძღოლი გახდა, ოღონდ არალეგალური. მართვის მოწმობა კი ორი წლის წინ აიღო. ე კლასის „მერსედესი“ ჰყავს, რომელიც ქმარმა აჩუქა.

— თამუნა, რა დანიშნულება აქვს თქვენს ყოველდღიურობაში ავტომობილს?

— მანქანა ჩემთვის გადაადგილების საშუალებაც არის და კომფორტიც. საჭესთან ძალიან საინტერესოდ მოვხვდი. ტარება კი ვიცოდი, მაგრამ მანქანა არ მყავდა, ანუ არც გამოცდილება მქონდა და გამოდის, რომ მეგონა, ტარება ვიცოდი.

„ნიკოლოზზე ჰომ ვიყავი ორსულად, საკეისროს გასაკეთებლად ჩემი მანქანით მივედი. მე და ავტომობილი ძმაკაცები ვართ“.

მახსოვს, პირველ შვილზე, ნინიზე ვიყავი ორსულად, დიდი მუცელი მქონდა. მოხდა ისე, რომ სასწრაფოდ უნდა გავსულიყავი და ჩემს ქმარს, გიგის, ვერანაირად ვერ მივყავდი. გავბრაზდი. შემეძლო ტაქსის გამოძახება, მაგრამ ჯინაზე მანქანით წასვლა გადავწყვიტე. მართვის მოწმობაც არ მქონდა, ისე მივუჯექი საჭეს დიდი მუცლით. ახლა რომ ვუფიქრდები, ძალიან გავრისკე. ქალაქში პირველად გავედი, თანაც საღამოს, პიკის საათში. გმირთა მოედანზე მოძრაობა ჩავკეტე, სხვაგან უნდა გადამეხვია და სულ სხვაგან გადავუხვიე, ალბათ ძალიან ბევრიც მაგინეს. ეს დღე რომ გადავლახე, მეგონა, ტარება ვიცოდი და მარტივად მივუჯექი საჭეს.

— საკუთარი მანქანა როდის შეიძინეთ?

— ახლაც გიგის ავტომობილი მყავს. გამოდის, რომ მაჩუქა, თან ჩემზეა გაფორმებული. ვიღაცისთვის შეიძლება ძალიან ცუდი მაგალითი იყოს, მაგრამ ორი წელია, რაც კანონიერი მძღოლი ვარ, მანამდე მართვის მოწმობის გარეშე დავდიოდი. რუსთავში გამოცდის ჩასაბარებლად მანქანით ჩავედი და მართვის მოწმობით ჩამოვედი. ასე თუ ისე, გამოცდილება უკვე მქონდა და მოწმობაც იოლად ავიღე.

— დღეს როგორი მძღოლი ხართ?

— ძალიან ყურადღებიანი. ხანდახან ისეთი რაღაცეებიც მომდის ხოლმე, სხვა რომ აკეთებს და არ მომწონს. ამ დროს საკუთარ თავზე ვბრაზდები, ამიტომ ვცდილობ, არამძღოლურად ვიარო.

— „არამძღოლურად“ სიარული რას ნიშნავს?

— მოძრაობის წესებს არ ვარღვევ. ვცდილობ, ისე არ ვიარო, პროფესიონალი მძღოლები რომ ჰქვიათ და საზოგადოებრივ ტრანსპორტს მართავენ, ამ დროს კი ძალიან ცუდად დადიან. თუ შუქნიშანთან ვდგავართ და დაინახეს, რომ წითელი უნდა აინთოს, მოსწრებაზე არიან, გზას გადაგიჭრიან. როცა შუქნიშანზე პირველი ვდგავარ, ჯერ მწვანე არ არის ანთებული და უკნიდან გისიგნალებენ, დროზეო, ამაზე ძალიან მეშლება ნერვები და ყველაზე მეტად მაღიზიანებს.

— თქვენც სიგნალით ან მაგარ-მაგარი გამოთქმებით ხომ არ პასუხობთ ასეთ დროს?

— მაინცდამაინც არა, რადგან ცხოვრებაშიც არ ვხმარობ უხამს სიტყვებს, ეს ჩემი სტილი არ არის. საჭესთან ძალიან უნდა მომეშალოს ნერვები, რომ ცუდი სიტყვა ვთქვა.

— მეუღლე როგორ გაფასებთ, როგორც მძღოლს?

— როცა გიგი გვერდით მიზის, სულ ვიპრანჭები და ვცდილობ, დავუმტკიცო, რომ კარგი მძღოლი ვარ, მაგრამ რაღაცას მაინც პოულობს.

არადა თვითონ ბევრად აგრესიული მძღოლია. მისი პირველი მანქანა „ბეემვე“ იყო, ამ მარკის ფანია და „გაზაობა“ უყვარს. ჩემი ხომ „მერსედესია“, მაგრამ მაინც ხულიგნურად მართავს. მსაყვედურობს ხოლმე, ასე აგრესიულად რატომ მოძრაობო, არადა თვითონ არის აგრესიული მძღოლი, მაგრამ ცუდი ნამდვილად არ ეთქმის.

— როცა ერთად მიდიხართ, უფრო ხშირად თქვენ გიწევთ მის გვერდით ჯდომა თუ მას?

— გიგის ამჟამად მართვის მოწმობა ჩამორთმეული აქვს, ამიტომ ჩემ გვერდით ჯდომა უწევს, ანუ მისი მძღოლი ვარ.

— მესამე შვილზე ხართ ფეხმძიმედ. ეს თქვენთვის ხელისშემშლელი ფაქტორი არ არის საჭესთან?

„ჯახიმის გამო ხელფასი დამიყადაღეს“.

— კი, ჩემი მდგომარეობიდან გამომდინარე, ცოტას ვპასიურობ. 7 თვის ორსული ვარ და სულ მეძინება. საჭესთან ისევ აქტიურად ვზივარ, უბრალოდ მანქანის სავარძელი ცოტა უკან გავწიე. ნიკოლოზზე რომ ვიყავი ორსულად, საკეისროს გასაკეთებლად ჩემი მანქანით მივედი. მე და ავტომობილი ძმაკაცები ვართ. ბავშვებიც მშვენივრად დამყავს აქეთ-იქით.

— პატრულს დაუჯარიმებიხართ?

— სერიოზული დარღვევა არ მქონია. პატრულს გავუფრთხილებივარ, თამუნა, აქ დგომა არ შეიძლება და დიდხანს ნუ გაჩერდებიო. ერთადერთხელ დამაჯარიმა 10 ლარით არასწორი პარკირებისთვის, რომლის გადახდაც დამავიწყდა და 160 ლარი გადავიხადე. იცით, რატომ დამავიწყდა გადახდა? სწრაფი გადახდის აპარატები ტკიცინა ფულებს არ იღებს. სანამ მახსოვდა, რომ ჯარიმა მქონდა გადასახდელი, ვცდილობდი, გადამეხადა, მაგრამ რამდენჯერაც ვცადე, ტერმინალმა იმდენჯერ არ მიიღო ტკიცინა ფული. მერე დამავიწყდა და 10 ლარიანი ჯარიმა 160 ლარიანად იქცა. მინდა, სწრაფი გადახდის აპარატების მფლობელებს მივმართო: გააკეთონ ისე, რომ ტკიცინა კუპიურებით გადახდაც შეიძლოს!

ვიდეოკამერების ჯარიმებმა ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ჩამაყენეს. სწრაფად არ ვმოძრაობ, მაგრამ ამ ჯარიმის გამო ხელფასი დამიყადაღეს, ალბათ მაშინ მართლა სწრაფად გავიარე. სოლოლაკში ბებიაჩემთან ვარ ჩაწერილი და ამიტომ საბურთალოზე არ მომდის ჯარიმები. მოხდა ისე, რომ ერთმა ჯარიმამ ჩემამდე მოაღწია და გადავიხადე. მეორე ვერ მოხვდა ჩემს ხელში, 100 ლარიანი ჯარიმა 500 ლარიანად იქცა და ხელფასი დამიყადაღეს.

— მანქანას თქვენ უყლით?

— სალონს არა უშავს, მაგრამ ჩემი მანქანა გარედან განხილვის საგანია. ჩემი სახლის ეზოში დიდი ნაძვი დგას, წიწვები ხომ ეყრება, ნაძვის წებოც ესხმება, რაც მანქანას ძალიან აფუჭებს. გარდა ამისა, ეზოში არც ჩიტებისა და მტრედების ნაკლებობაა და... ყველა უბედურება ერთად გვჭირს. მანქანის გარეცხვის დრო არასოდეს მაქვს და თითქმის სულ გასარეცხი მანქანით დავდივარ. სანამ ინტერვიუზე მოხვიდოდით, თანამშრომლებს ვუთხარი, რა რუბრიკაშიც მწერდით და ვხუმრობდი, მაინცდამაინც დღესაა-მეთქი გასარეცხი. ვცდილობ, სალონში მუდამ წესრიგი იყოს. ახლა ჩემს მანქანაში სიგარეტს არავინ ეწევა. აქსესუარებით სალონის გაფორმება არ მიყვარს, მაგრამ მანქანა ქალის რომ არის, ამას აუცილებლად მიხვდებიან, რადგან ტუჩსაცხი და ქალისთვის სხვა საჭირო ნივთები ყრია ხოლმე.

— მამაკაცი მძღოლებისგან როგორ დამოკიდებულებას გრძნობთ?

— სხვათა შორის, ჩემ მიმართ არ არიან მაინცდამაინც კრიტიკულად განწყობილნი, თუ ჩემი მძღოლობის პირველ დღეს არ ჩავთვლით. ვფიქრობ, რომ მანქანას კარგად ვმართავ. ყოველთვის ვხვდები, როცა საჭესთან ქალია, აბდაუბდად დადიან, არ იციან, რა უნდათ. ალბათ ქალებს საჭესთან გადაწყვეტილების მიღება უჭირთ. ერთხელ ჩემს ზოლში ვმოძრაობდი და უცებ, ყოველგვარი მანიშნებლის გარეშე, ვიღაც ქალი გადმომიხტა. ვიყოჩაღე, მუხრუჭით სიჩქარე შევანელე, თორემ კარგად შემასკდებოდა. ჩემს მანქანას პატარ-პატარა ნაავარიები ემჩნევა. გიგი მაკრიტიკებს, მაგრამ არ ამბობს, რომ ქალი მძღოლივით ვატარებ, ხანდახან კომპლიმენტებსაც კი მეუბნება, ყოჩაღ, ეს მანევრი მომეწონაო.

ერთადერთხელ მქონდა შემთხვევა, როცა მანქანას უკანა მხრიდან დავეჯახე. სწრაფმავალ ზოლში მივდიოდი, მარჯვენა ზოლიდან ტაქსი გადმომიხტა, მარცხნივ უხვევდა და ციმციმა იმ დროს ჩართო, როცა უნდა გადამესწრო, მაგრამ ვეღარ მოვასწარი და ჩემ წინ მიმავალ მანქანას დავეჯახე. იმ მანქანასაც არაფერი დამართნია, ჩემსას ეტყობა ცოტა ნაავარიევი.

— ახალი მანქანის ყიდვას ხომ არ აპირებთ?

— კი, მინდა, მაგრამ ამასაც ძალიან მივეჩვიე. თან კარგ მდგომარეობაშია, საერთოდ არაფერი სჭირს და არ ვიცი, როგორ უნდა გავყიდო. ეს მანქანა მე და გიგიმ ერთად შევარჩიეთ. ჩემი აზრით, „მერსედესი“ ჩემპიონია მანქანებში. თან ე კლასის „მერსედესი“ დიდია და ოჯახისთვის გამოსადეგი. მინდა გამოცვლა, მაგრამ ის „მერსედესი“, რომელიც მომწონს, ძვირი ღირს და არ ვიცი, რამდენად გავწვდები. ჩემი ოცნების მანქანა „მერსედეს“ ცეელესი გახლავთ, მაგრამ ამ ეტაპზე ისევ ე კლასს დავჯერდები.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**

Cyan Magenta Yellow Black

ვის უჯერებენ მშობიარეები — ექიმებს თუ ასტროლოგებს?

რატომ გახდა საკეისრო კვეთის შეზღუდვა აუცილებელი საქართველოში

საქართველოში 2013 წლის 1 თებერვლიდან 1 სექტემბრამდე, ანუ შვიდ თვეში, 14 მშობიარე გარდაიცვალა. აქედან 9 მათგანს საკეისრო კვეთა ჩაუტარდა. ეს მონაცემი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ჯანდაცვის სამინისტროს განგაში აეტეხა და ამ ოპერაციაზე გარკვეული შეზღუდვები დაეწესებინა.

საკეისრო კვეთის რაოდენობის მიხედვით, საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა. ჯანმრთელობის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციების მიხედვით, საკეისრო კვეთის მაჩვენებელი ქვეყანაში 10-დან 15%-მდე უნდა მერყეობდეს. თუ 10%-ზე ნაკლებია, ითვლება, რომ არასაკმარისად ხდება რისკის იდენტიფიკაცია. თუ 15%-ს სცილდება — მაშინ გადაჭარბებულია. საქართველოში კი საკეისრო კვეთის რაოდენობა 38%-ზე მეტია (!).

❖ ❖ ❖

ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო ამბობს, რომ საკეისრო კვეთის მაღალი მაჩვენებელი, როგორც დედის, ისე ახალშობილის ავადობის და სიკვდილიანობის რისკს ზრდის. სამეგრელოში — 56%, იმერეთში — 43%, შიდა ქართლში — 42% — ასეთია საკეისრო კვეთის რაოდენობის ზოგადი სურათი ქვეყანაში. არსებობს სამშობიარო სახლების ჩამონათვალი, სადაც ეს მაჩვენებელი 80%-ს უტოლდება. მინისტრი ამ ყველაფერს მეანების ფინანსურ ინტერესს უკავშირებს.

დავით სერგეენკომ დაავადებათა კვლევის ეროვნულ ცენტრში მეან-გინეკოლოგები დაიბარა და საკეისრო კვეთის ეროვნული პროტოკოლი გააცნო. პროტოკოლით განსაზღვრულია, თუ რა სამედიცინო ჩვენების შემთხვევაში არის გასაკეთებელი ოპერაცია. პროტოკოლი მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა და მისი შესრულება სავალდებულო სექტემბრის ბოლოდან გახდება.

ჯანდაცვის უწყება ყველა სამშობიაროს ავალდებულებს, დედათა და ბავშვთა გარდაცვალების შემთხვევების დროს სამინისტროს სასწრაფოდ მიაწოდონ ინფორმაცია. შეტყობინება ტელეფონზე მიწოდებულ უნდა იქნეს, მაქსიმუმი, ერთი საათის განმავლობაში, ხოლო წერილობითი შეტყობინება სამინისტრომ და მინისტრმა პირად მეილზე 24 საათში უნდა მიიღონ. სამი დღის ვადაში აუცილებელია დოკუმენტების წარმოდგენა.

დავით სერგეენკო: „ითხოვენ საკეისროს გაკეთებას, მაგალითად, ბებია-ბაბუის, და-ძმის თუ თავიანთ დაბადების დღეზე, აგრეთვე დღესასწაულებზე. მოსულან და უთქვამთ, ასტროლოგმა მიხეილ ცაგარელმა მითხრა, რომ საკეისრო კვეთა ამა და ამ დროს უნდა გამიკეთოთო“.

ჯანდაცვის მინისტრის მოადგილეს, მარიამ ჯაშს, ყველა ის მონაცემი აქვს, რაც დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობას და საკეისრო კვეთით გამოწვეულ პრობლემებს ეხება.

მარიამ ჯაში: 1 თებერვლიდან 1 სექტემბრამდე შემოსულია 616 შეტყობინება დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შესახებ. ამის მიხედვით ფიქსირდება, რომ ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა გარდაცვალების შემთხვევა არის 292, ერთიდან 5 წლამდე ბავშვის გარდაცვალების — 36, დედათა სიკვდილიანობის — 14 და მკვდრადშობადობის — 274. ერთ წლამდე ასაკის ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობაში წამყვანი გახლავთ ადრეული ნეონატალური სიკვდილიანობა ანუ გარდაცვალება

დაბადებიდან 7 დღეში. 61% ამ დროს იღუპება. 39% — 7 დღიდან ერთ წლამდე. ყურადღებას იპყრობს ნორმალური წონის ახალშობილთა გარდაცვალების წილი. 27%-ია ასეთების მკვდრადშობადობა და 19%-ის გარდაცვალება ხდება ადრეულ ნეონატალურ პერიოდში. ეს არის ის სივრცე, სადაც ეფექტური მართვით შესაძლებელია მაჩვენებლის შემცირება.

დედათა სიკვდილიანობის შემთხვევები ბევრ კითხვას სვამს. ახალი სისტემის ამოქმედების შემდეგ, როცა სამინისტრომ შემოიღო სავალდებულო შეტყობინების სისტემა სამედიცინო დაწესებულებებიდან, წელს 14 დედის გარდაცვალება დაფიქსირდა, მაშინ, როდესაც სხვა არხებით არსებული სტატისტიკის მიხედვით, ეს რიცხვი ბევრად მცირე იყო. 14-დან 9 შემთხვევაში ჩატარებული იყო საკეისრო კვეთა. ოპერაციების სიჭარბე, ერთი მხრივ, შეიძლება მაღალი რისკით იყოს განპირობებული, მეორე მხრივ, საერთაშორისო გამოცდილება ნათლად წარმოაჩენს, რომ საკეისრო კვეთა, თუ ამის აუცილებლობა არ არის, შეიძლება გახდეს რისკის გაზრდის მიზეზი.

2 თვის განმავლობაში საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში სულ დაფინანსდა 5.963 მშობიარობა, რომლის 33% საკეისრო კვეთაზე მოდის. საყურადღებოა რამდენიმე რეგიონი — შიდა ქართლი, იმერეთი და სამეგრელო, სადაც საკეისრო კვეთების მაჩვენებელი 40%-ს სცილდება, სამეგრელოში 56% ფიქსირდება. ჯანმრთელობის საერთაშორისო ორგანიზაციის და ზოგადად საერთაშორისო რეკომენდაციების მიხედვით, საკეისრო კვეთის მაჩვენებელი ქვეყანაში 10-დან 15%-მდე უნდა მერყეობდეს. საქართველოს მონაცემები ამ რეკომენდაციებთან მიმართებაში ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. 2013 წლის პირველი 6 თვის მონაცემებით, 94 სამედიცინო დაწესებულებიდან 11-ში 50%-ზე მაღალი პროცენტი ფიქსირდება. შევისწავლეთ მიზეზები და დედის მოთხოვნა იკვეთება 16%-ში.

❖ ❖ ❖

საკეისრო კვეთის რიცხვის კატასტროფულ ზრდაში მინისტრი დავით სერგეენკო კერძო ინტერესს ხედავს. მაგალითად, სამეგრელოში, სენაკის ერთ-ერთ საავადმყოფოში, ბავშვების უმეტესობა საკეისრო კვეთით იბადება, რაც ექიმის არაკეთილსინდისიერებაზე და მის ანგარებაზე მიუთითებს.

დავით სერგეენკო: მეანი ვალდებულია, ორსულს აუხსნას საკეისრო ოპერაციის რისკები. პრინციპული საკითხია, რომ პატარა გოგოს, რომელსაც ტკივილის ეშინია და მას მეზობლის მოხუცი ქალი უყვება, მე ბოსელში ვიმშობიარეო, კარგად უნდა ავუხსნათ ქირურგიული ოპერაციების რისკები და ის, თუ რითი სჯობს ფიზიოლოგიური მშობიარობით დაბადებული ბავშვი საკეისრო კვეთით დაბადებულს. მე ვესაუბრე სენაკის სამშობიარო სახლის პერსონალს. მითხრეს: „ჩვენ ვუხსნით ყველაფერს, მაგრამ...“ იმ საავადმყოფოში 80% იყო საკეისრო კვეთით მიღებული მშობიარობა.

კარგად ვიცნობ იქაურ მოსახლეობას და ვიცი, ჭკვიანი, დალაგებული ადამიანები ცხოვრობენ. იმ ხალხს მოჩვენებები არ აქვს, რომ ყველამ საკეისრო კვეთა მოინდომოს. ეს არის სწორედ მეანის პრობლემა და არა — ორსულის. სენაკელები არ არიან გონებააცდენილები, რომ დანის ქვეშ დაწოლა უხაროდეთ, პირიქით. შევხედოთ ჭეშმარიტებას თვალებში — როცა მეანი ატყობს, რომ ქალი მეორე დღემდე ვერ იმშობიარებს, მაშინვე უკეთებს ოპერაციას, რომ მშობიარობა თვითონ მიიღოს და არა — სხვამ. ჩვენი პროტოკოლი არ გულისხმობს საკეისრო კვეთის აკრძალვას, მაგრამ მას თავისი ჩვენება აქვს და ის მხოლოდ საჭირო დროს უნდა ჩატარდეს“.

❖ ❖ ❖

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი, ამირან გამყრელიძე „სარკესთან“ განმარტავს, რომ, პროტოკოლით, ექიმებს ეკრძალებათ სამედიცინო ჩვენების გარეშე საკეისრო კვეთის ჩატარება, მაგრამ, თუ ქალი მრავალგზის განმარტების მიუხედავად, დაიჟინებს ამ გზით მშობიარობას, ექიმი ვალდებულია, დაემორჩილოს.

ამირან გამყრელიძე: საკეისრო ჩარევა ჩვეულებრივი ოპერაციაა და, რა თქმა უნდა, არ არის სასურველი. წლიდან წლამდე იმატებს საკეისრო კვეთის რაოდენობა. მთელ მსოფლიოში ბოლო 20 წელია გლობალურად მატულობს ასეთი ოპერაციების რაოდენობა, მაგრამ არა იმ ტემპით, როგორც ეს ჩვენთან ხდება. ფიზიოლოგიური მშობიარობა ბუნებრივი მდგომარეობაა. საკეისრო კვეთას კი სჭირდება ნარკოზი და შედარებით ძვირიც ღირს. ამასთან, გართულებების ალბათობაც მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი მშობიარობის დროს. ამ დროს სამედიცინო პერსონალის კეთილსინდისიერების საკითხიც დგას და ა.შ.

— პროტოკოლის მიხედვით, მშობიარეები ყველარ აირჩევენ მშობიარობის ამ მეთოდს?

— პროტოკოლი სამედიცინო პერსონალისთვის არის გათვალისწინებული. ეს არის მეთოდური რეკომენდაცია, მშობიარობა თუ როგორ უნდა მართონ. პროტოკოლში მკაცრად არის აღწერილი, თუ როდის და რა ჩვენების დროს უნდა გაკეთდეს საკეისრო კვეთა.

— თუ მშობიარე კატეგორიულად მოითხოვს ოპერაციას?

— ექიმმა რამდენჯერმე უნდა აუხსნას, განუმარტოს, რა რისკებთან არის დაკავშირებული. ამის მიუხედავად, ქალი მაინც თუ დაიჟინებს, უნდა გაკეთდეს თუ, რა თქმა უნდა, რისკები კარგად იქნება შეფასებული.

❖ ❖ ❖

— მეტი პრობლემა ჯანდაცვის სამინისტროში არ აქვთ?! 21-ე საუკუნეში ქალს აქვს არჩევანის უფლება და ეს მთელ მსოფლიოში ასეა. აქამდე ხმა არავის ამოუღია. ახლა ნახეს, რომ სახელმწიფოს 200 ლარით ძვირი უჯდება საკეისრო კვეთით გაჩენილი ბავშვი და იმიტომ ახმაურდნენ. არადა პირიქით, ეს ბევრ ქალს დიდი სტრესისგან და ხშირად ამ სტრესით გამოწვეული სიკვდილისგანაც იცავს. ბავშვები იხოცებიან იმიტომ, რომ სამშობიაროებს ინკუბატორები არ აქვთ და არა — საკეისრო კვეთების გამო.

არასამედიცინო ჩვენებით ჩატარებული საკეისრო კვეთა ყველა ქვეყანაში ქალის არჩე-

Cyan Magenta Yellow Black

ვანია და აქ რა უფლებით კრძალავენ, ვერ გავიგე! პაციენტს აქვს ექიმის არჩევის უფლება. როცა ერთი ეტყვის უარს, მეორესთან წავა. ასე რომ, ამ პროტოკოლით ბევრს ვერ მიაღწევენ და ვერც ბიუჯეტის თანხებს დაზოგავენ! — ამბობს „სარკესთან“ ერთ-ერთი გინეკოლოგი, რომელმაც ვინაობის გამხელა სამსახურის დაკარგვის შიშით არ ისურვა.

დავით სერგეენკო: „როცა მეანი ატყობს, რომ ქალი მეორე დღემდე ვერ იმშობიარებს, მაშინვე უკეთებს ოპერაციას, რომ მშობიარობა თვითონ მიიღოს და არა — სხვამ“.

❖ ❖ ❖

ცნობილი გინეკოლოგი დავით გაგუა ამბობს, რომ მასთან ხშირად მიდიან ორსული ქალები, რომლებიც სამშობიაროდ კონკრეტულ დღეს და, უფრო მეტიც, იმ დღის კონკრეტულ საათს ითხოვენ.

დავით გაგუა: საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა საკეისრო კვეთის მატების მიხედვით. ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში უფრო ნაკლებია, ვიდრე ჩვენთან. ამის ერთ-ერთი მიზეზი მშობიარეთა მოთხოვნაა. არ სჭირდებათ, მაგრამ ითხოვენ. წესით, ეს ოპერაცია მაშინ უნდა გაკეთდეს, როცა დედის ან ბავშვის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება. ყველას აქვს თავისუფალი არჩევანის უფლება, მაგრამ, როგორც ყველა სამედიცინო მანიპულაციას, ამასაც შეიძლება გარკვეული გართულებები მოჰყვეს. როგორც წესი, საკეისრო კვეთის შემთხვევებში მეტი გართულება ფიქსირდება, ვიდრე ფიზიოლოგიური მშობიარობისას. პაციენტმა უნდა იცოდეს, რომ, თუ არ სჭირდება, ისე უნდა იმშობიაროს, როგორც ბუნებამ, ღმერთმა დაუწესა. ქალისთვისაც და ბავშვისთვისაც ბევრად უკეთესია ბუნებრივი გზით მშობიარობა. ქალები ოპერაციის მოთხოვნის მიზეზად ასახელებენ იმას, რომ ეშინიათ მშობიარობის, ტკივილების... არადა დღეს უამრავი საშუალება არსებობს გაუტკივარების, რაც სტრესისგან დედასაც იცავს და ბავშვსაც.

— როცა ქალი დაფინანსებით ითხოვს ოპერაციას, უსრულებთ სურვილს?

— რა თქმა უნდა, ვუსრულებთ, მაგრამ ვუხსნით, რომ მეტი შანსი არსებობს გართულებების. ჯერ ფიზიოლოგიური მშობიარობის უპირატესობაში ვარკვევთ, მაგრამ, თუ ისევ თავის აზრზე დარჩება, ვუკეთებთ. ბუნებრივ მშობიარობას გართულება შეიძლება 3-4%-ში მოჰყვეს, საკეისროს შემთხვევაში — 7-10%-ში. ზოგჯერ კი საკეისრო შეიძლება მშობიარის გადარჩენის ერთადერთი გზაც იყოს. მაშინ ექიმიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას. ეს ოპერაცია მხოლოდ ქალის სურვილის გამო არ უნდა კეთდებოდეს.

მსოფლიო ჯანდაცვის მონაცემების მიხედვით, საკეისრო უნდა გაკეთდეს ორსულობის 38-ე კვირას. ამას არავინ დაგიდევთ და ცდილობენ, ბავშვი დაიბადოს მაშინ, როცა თავად უნდათ. მაგალითად, ბებია-ბაბუის, დაძმის თუ თავიანთ დაბადების დღეზე. აგრეთვე, უნდათ, ბავშვის დაბადება რაიმე დღესასწაულს დაემთხვეს — ახალ წელს, მარიამობას, შობას. არ უყურებენ ვადას და 35-36-ე კვირაზეც ითხოვენ საკეისროს გაკეთებას.

უფრო მეტსაც გეტყვით, მოსულან და უთქვამთ, ასტროლოგმა მიხეილ ცაგარელმა მითხრა, რომ საკეისრო კვეთა ამა და ამ დროს, მაგალითად, სამის ათ წუთზე უნდა გამიკეთოთო. თუ ჯდებოდა ამ გარკვეულ ვადებში, ასეთი სურვილიც აგვისრულებია. თუ 38-ე კვირის ორსული არ არის, არ ვუკეთებთ, რადგან ბავშვისთვის არ არის კარგი. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ ვთანხმდებით ამაზე, მაგრამ შეიძლება სხვა ექიმმა გაუკეთოს. რამდენიც უნდა აუხსნა, მაინც ვერ გადაათქმევინებ.

ექიმისთვისაც უფრო ადვილია საკეისროს გაკეთება. გარანტირებული აქვს, რომ ბავშვს, როგორიც მუცელშია, ისეთს ამოიყვანს, მაგრამ არ ფიქრობენ მის ჯანმრთელობაზე. ბავშვი როცა საშოდან იბადება, მასში ირთვება სხვადასხვა მექანიზმები, როგორიც არის ბრძოლისუნარიანობა, ადაპტაცია, სუნთქვის ცენტრის ჩართვა და ა.შ. საკეისროს შემთხვევაში ის თავისთვის წევს, უცბათ მოკიდებენ ხელს, ამოიყვანენ და მისცემენ ბრძანებას, რომ ახლა დამოუკიდებლად უნდა იცხოვროს. მას კი ადაპტაცია უჭირს. ხშირად სუნთქვა უძნელდება, რადგან არ იყო მზად ამისთვის. ერთ დღესაც კი ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

— როცა ქალს ერთი ბავშვი საკეისრო კვეთით ჰყავდა გაჩენილი, ხშირად მეორე ბავშვზეც ოპერაციას უკეთებდნენ. ეს ტრადიციასავით იყო, რომელიც ახლაც გრძელდება.

— არ არის სწორი მიდგომა. თუ ის მიზეზი, რის გამოც გაკეთდა საკეისრო კვეთა, აღმოფხვრილია, ნაწიბური შეხორცებულია და დედას სხვა პრობლემა არ აქვს, ბუნებრივი მშობიარობა შესაძლებელია. ეს მსოფლიო პრაქტიკამ დაამტკიცა. ვთქვათ, ნაყოფის არასწორი მდგომარეობის გამო გაუკეთეს ქალს საკეისრო კვეთა. მეორე მშობიარობის დროს თუ დროული ორსულობაა, ნაყოფი დიდი არ არის და მდებარეობაც კარგი აქვს, ჯობია, ბავშვი ბუნებრივად დაიბადოს. მაგალითად, მშობიარობის შემდგომი გართულებაა სისხლდენა, რომელიც ჩვეულებრივი მშობიარობის დროსაც შეიძლება დაიწყოს და კიდევ უფრო დიდი ალბათობით — საკეისრო კვეთის დროს. ტკივილების შიშის გამო ვინც იკეთებს ოპერაციას, ყველას ვურჩევთ, გაუტკივარებით იმშობიაროს და ეს პრობლემაც მოიხსნება. შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელ პირობებში მშობიარობა მტკივნეული აღარ არის.

❖ ❖ ❖

ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ადასტურებს, რომ ორსულ ქალებს რეკომენდაციებს აძლევს, თუ როდის ჯობს, მათი შვილი დაიბადოს. საკეისრო კვეთა კი ამის უნიკალურ შესაძლებლობას იძლევა.

მიხეილ ცაგარელი: ხშირად მომმართავენ ქალები, რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ, შვილი საკეისრო კვეთით გააჩინონ. აინტერესებთ, როდის ჯობია, მათი შვილი დაიბადოს. მე ამ საკითხს სამედიცინო კუთხით არ ვუდგები. ექიმმა უნდა გადაწყვიტოს, რამდენად მისაღებია ქალისთვის ოპერაციის ჩატარება. მე წმინდა ასტროლოგიური კუთხით მიმოვიხილავ. საკეისრო კვეთა უნიკალური შემთხვევაა იმ თვალსაზრისით, რომ ოჯახს ეძლევა საშუალება, არჩევანი გააკეთოს. როცა ბავშვი თავისით ჩნდება, ეს სამყაროს არჩევანია. როცა საკეისრო კვეთის მეშვეობით მოცემული გვაქვს რამდენიმე დღე, როცა შეიძლება ეს ოპერაცია ჩატარდეს, უნდა გამოვიყენოთ და კარგი დრო შევარჩიოთ, მაგრამ ასეთი საშუალება ყველას არ ეძლევა, რადგან ზოგჯერ ექიმები კატეგორიულად არ იძლევიან საკეისრო კვეთის გაკეთების საშუალებას.

ექიმისგან თუ 3-5 დღეა მოცემული, რომ შეიძლება ამ დღეებში ჩატარდეს ოპერაცია, უნდა ვიპოვოთ ის დღე, როცა უმჯობესია ბავშვის დაბადება. ვპოულობთ იმ დღეს, როცა მზის და მთვარის ერთობლივი ენერგეტიკული ზეგავლენა დადებითია. მზის და მთვარის ენერგეტიკა ხელს უწყობს იმას, რომ ნაყოფი შემდგომში ჯანმრთელი იყოს. იღბალი გარკვეულწილად დამოკიდებულია იმ დღეზე, როცა იბადება ის პიროვნება. იმ დღის პლანეტების წყობა ძალიან ბევრ რამეს ნიშნავს იმ ადამიანის ცხოვრებაში. მზის და მთვარის დაბნელების ან ახალმთვარეობის დროს ბავშვი ცხოვრებაში ნაკლებიღბლიანია. ექნება ბევრი პრობლემა ჯანმრთელობასთან დაკავშირებით და ა.შ. ამ შემთხვევაში კი გვეძლევა უნიკალური საშუალება, რომ ექიმის მიერ გამოყოფილი ლიმიტი გამოვიყენოთ და მშობიარისთვისაც და ბავშვისთვისაც საუკეთესო დრო შევარჩიოთ. დიდი მნიშვნელობა აქვს, მთვარის რომელ დღეს იბადება ბავშვი. არის სატანური, შავი მთვარის დღეები და ასევე არის მფარველი ანგელოზის დღეები. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვი დაიბადოს მფარველი ანგელოზის დღეებში. მაშინ მისი წარმატების შანსი მოიმატებს.

ნებისმიერ კლინიკასთან ვითანამშრომლებ ამ კუთხით და მათ დავუმტკიცებ, რომ ასე განსაზღვრულ დროს მშობიარობა იქნება ყველაზე წარმატებული და ბავშვები იქნებიან ყველაზე ჯანმრთელები. ამისთვის საჭიროა რამდენიმეწლიანი სტატისტიკის შექმნა. მერე მირეკავენ და 99% კმაყოფილია მშობიარობით,

მიხეილ ცაგარელი: „როცა ბავშვი თავისით ჩნდება, ეს სამყაროს არჩევანია. როცა საკეისრო კვეთის მეშვეობით მოცემული გვაქვს რამდენიმე დღე, როცა შეიძლება ეს ოპერაცია ჩატარდეს, უნდა გამოვიყენოთ და კარგი დრო შევარჩიოთ“.

ბავშვის მდგომარეობით. ზოგი ჩემი ნათესავიც არის და ვიცი, როგორ ვითარდება ბავშვი.ექიმებს ამის გაგება არ უნდათ.

ნებისმიერ ქალს აქვს უფლება, თავად აირჩიოს ის დღე, როცა საკეისრო კვეთას გაიკეთებს. ამ დროს ტკივილები ნაკლები აქვთ და იმიტომ ირჩევენ. ამის აკრძალვა კი ქალთა უფლებების დარღვევაა.

— საათებსაც აქვს მნიშვნელობა?

— რასაკვირველია! დღის განმავლობაში დედამიწაზე ყოველ ორ საათში იცვლება ენერგეტიკა. იმ პერიოდში, როცა ყველაზე კარგი ენერგიაა, ქალის ორგანიზმი უკეთესად არის მზად. საკვების მიღების საათებიც კი არსებობს, როცა საჭმლის მომნელებელი სისტემა ყველაზე კარგად მუშაობს. როცა ბავშვი იბადება, ვთხოვ, საათი ჩაიწეროს. დაბადების საათზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. განსხვავდება აგრეთვე ღამით და დღისით დაბადებული ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობა. რა თქმა უნდა, დღისით დაბადება ჯობია, როცა ენერგია მდგრადია, მზე ამოდის, რაც ბავშვს მეტ შესაძლებლობას აძლევს და იმუნიტეტიც უფრო მაღალი აქვს. ღამე მიძინებულია. დედის ორგანიზმსაც სძინავს და ბავშვიც ასეა.

✓ **რუსუდან ადვაძე**

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

ოთო ნემსაძე უკრაინაში მიდის და შეყვარებულს საქართველოში ტოვებს

„ჩემთვის გაცილებით მარტივია, უცხოურ ენაზე ვიმღერო უცხოეთში, ვიდრე საქართველოში — ქართულად“

ახალგაზრდა მომღერალმა, ჯეოსტარმა ოთო ნემსაძემ, სოლო ალბომზე მუშაობა დაასრულა. „ფიქრების ზღვა“ — ასე ჰქვია ალბომს, რომელშიც 10 სიმღერაა შესული. ეს არის არცთუ დიდიხნის წინ გარდაცვლილი მუსიკოსის, ოთარ რამიშვილის ჰიტები ახალი არანჟირებით. მუსიკოსის ვაჟი, ზურა რამიშვილი, ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც ახლებური ვერსიები მოისმინა და ახალგაზრდა მომღერალს რჩევები მისცა. ამ პროექტით 5 ოქტომბერს, თბილისობისადმი მიძღვნილ დღესასწაულზე, მეიდანზე ოთო პირველ სოლო კონცერტს გამართავს.

24 წლის მომღერალი საზღვარგარეთ, კერძოდ, უკრაინაში აპირებს თავის დამკვიდრებას. მისთვის ადვილი არ არის სამშობლოს, ოჯახის, რაც მთავარია, შეყვარებულის დატოვება და უცხოეთში წასვლა, მაგრამ კარიერისთვის ასე თვლის საჭიროდ.

— ოთო, პირველ რიგში, ალბომზე გვიამბეთ, რომლის ჩაწერასაც თქვენც დიდი ხანი ელოდით და თქვენი მსმენელიც. როგორ მიმდინარეობდა მასზე მუშაობა?

— ეს არის ალბომი, რომელსაც „ჯეოსტარის“ დამთავრების შემდეგ 3 წელია ველოდები. ალბომი ოთარ რამიშვილის ხსოვნას ეძღვნება, მასში კომპოზიტორის 10 სიმღერაა შესული, მათ შორისაა ერთი ბონუს ტრეკი, რომელიც ერთად გვაქვს ჩაწერილი. ეს იყო მისი ბოლო ნამღერი, სამწუხაროდ, ასე გამოვიდა. ალბომი ჩაწერილია სტუდია „ბრავო რექორდსში“. ეს ყველაფერი კომპანია „ჯეოსელისგან“ მერგო საჩუქრად და დიდი მადლობა მათ. არანჟირების ავტორია ზვიად ბოლქვაძე, მასთან ერთად იმუშავა ჯგუფმა „ნიუტონმა“. ვთვლი, რომ ეს ძალიან ხარისხიანი ქართული მუსიკაა. ალბომს ერთ-ერთი სიმღერის სახელი ჰქვია — „ფიქრების ზღვა“. სამუშაო პროცესი ხანგრძლივი იყო, მაგრამ ამად ღირდა.

— ეს თქვენს კარიერაში ახალი ეტაპის დასაწყისია?

— შემიძლია თამამად ვთქვა, ჩემი კარიერა ისეთ საფეხურამდე მივიდა, რომ პიკზე ვარ. არაფრიდან დავიწყე და წარმატებებს მივაღწიე. ამის დამადასტურებელი ჩემი ალბომია, რომლის პრეზენტაციაც 5 ოქტომბერს, თბილისობას, მეიდანზე გაიმართება.

— როგორ ფიქრობთ, ოთარ რამიშვილი რომ ცოცხალი იყოს, რას იტყოდა ამ ალბომზე?

— არ ვიცი, ოთარ რამიშვილი როგორ შეაფასებდა. მეც და მუსიკოსებმაც შევეცადეთ, რომ სიმღერები ღია და ნამდვილი ემოციით ყოფილიყო გაკეთებული, რადგან ბატონი ოთარი ნამდვილი მუსიკოსი იყო. ის თბილისის კოლორიტი, ყველასგან განსხვავებული პიროვნება გახლდათ, ამიტომ ეს ალბომიც ყველასგან განსხვავებული იქნება. მელოდია არ დარღვეულა, უბრალოდ არის ახალი არანჟირება და სხვა ხედვა. ბატონი ოთარის ვაჟს, ზურა რამიშვილს მოვასმენინე ალბომი, რამდენიმე რჩევა და შენიშვნა მოგვცა და, რასაკვირველია, ჩავასწორეთ.

— თქვენთან რამდენად ახლოს არის ეს ჟანრი?

— არ ვიცი, მის მუსიკას რა ჟანრი დავარქვა. მისი შემოქმედება სხვა კუთხით უნდა მიეწოდოს ახალ თაობას და ჩემი ალბომის მიზანიც ეს არის.

— 24 წლის ასაკში პირველ სოლო კონცერტს მართავთ. ეს ყველაფერი ალბათ დიდ ემოციას უკავშირდება. ნერვიულობთ?

— უდიდესი პასუხისმგებლობაა და ძალიან ვნერვიულობ, ეს არის ჩემი პირველი სოლო კონცერტი. დასწრება თავისუფალია, ვიცი, რომ ბევრი ხალხი მოვა. ყველას მივმართავ: განვიცდი და მომეხმარეთ! კონცერტის პირველ ნაწილში ახალი ალბომიდან 10 სიმღერა შესრულდება, მეორე ნაწილში კი მეგობრებთან ერთად ვიმღერებ. რაც უფრო მეტად ახლოვდება 5 ოქტომბერი, მით უფრო მიმძაფრდება ემოცია. ვიცი, რომ ეს კონცერტი დიდი სტრესი იქნება ჩემთვის, მაგრამ იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ გრანდიოზულად დაგვირგვინდება.

— ელოდით, რომ „ჯეოსტარის“ შემდეგ სიმღერა თქვენი ცხოვრების საქმედ იქცეოდა?

— „ჯეოსტარამდე“ არ მეგონა, თუ ცხოვრებაში ვიმღერებდი. სიმღერის მონაცემები კი მქონდა, მაგრამ ამას მხოლოდ მეგობრების გარემოცვაში ვავლენდი. საერთოდ, არასოდეს არაფერს ველი, რადგან დაგეგმილი ცხოვრება

„მასთან თავს ბედნიერად ვგრძნობ. ამაზე ლაპარაკი არ მინდა, რადგან რა წამსაც დავიწყებ ჩემს პირადზე საუბარს, იმ წამიდან 30 თავი ჩნდება ამ ურთიერთობაში. ოთო ნემსაძე ძალიან ბედნიერია, ნურავინ ნურაფერს განიცდით!“.

არ მაქვს. არასდროს ვიცი, ხვალ რა იქნება, რას გავაკეთებ. უბრალოდ, თუ რამეს მოვკიდებ ხელს, ბოლომდე გავიტან. არ მიყვარს უკან დახევა. შევეცდები, მეტი გავაკეთო, რადგან ვხედავ, დღითიდღე როგორ ვიზრდები. შემოქმედი ადამიანისთვის ყველაზე დიდი ბედნიერებაა, გქონდეს სოლო ალბომი და ჩაატარო სოლო კონცერტი. ჩემი სურვილია, საქართველოს სახელი უცხო ქვეყანაში გავიტანო.

— ეს გამოგიყიდათ კიდეც. „ჯეოსტარში“ გამარჯვებას მოჰყვა უკრაინულ „ახალ ხმაში“ მეორე ადგილი. როგორ ფიქრობთ, უკრაინაშიც პოპულარული გახდით?

— თამამად შემიძლია ვთქვა, რომ „ახალი ხმის“ შემდეგ უკრაინაში სადაც დამინახავენ, ყველას საქართველო აკერია პირზე. იქ ძალიან ხშირად ჩავდივარ, ცოტა ხნის წინ მხატვრული ტანვარჯიშის მსოფლიო ჩემპიონატის გახსნაზე ვიმღერე. ამ ქვეყანაში დიდი პერსპექტივები მაქვს და ცოტა ხნით ღვივში გადავდივარ საცხოვრებლად.

— თუ საქართველოში კარიერის პიკზე ხართ, რატომ მიდიხართ უკრაინაში?

— რისი გაკეთებაც საქართველოში მიჭირს, ის უკრაინაში მარტივია. იქ დიდი მუსიკალური ბაზარია და კომერციულად მომგებიანი იქნება. „ახალმა ხმამ“ თავისი საქმე გააკეთა, რაც ღვივში მუსიკალურ კარიერაში გზის გაკვალვას გამიადვილებს.

— თქვენი კარიერა 3 წელს და 3 კონკურსს ითვლის — „ჯეოსტარი“, „10 ბლუს 10“ და უკრაინული „ახალი ხმა“. რა გამოცდილება მოგიტანათ ამ კონკურსებმა?

— გამოვარჩევდი უკრაინულ „ახალ ხმას“, რომელმაც უცხოელებთან გამიადვილა კომუნიკაცია, დიდი გამოცდილება შემძინა. ახლა თავს ისე ვგრძნობ, როგორც თევზი წყალში, თუმცა ჩემთვის „ჯეოსტარი“ გაცილებით რთული კონკურსი იყო, ვიდრე უკრაინული „ვოისი“ („ახალი ხმა“), რადგან „ჯეოსტარში“ ქართველი მსმენელისთვის ვმღეროდი, რომელიც ყველაზე კრიტიკულია. უკრაინაში ვაკეთებდი იმას, რაც მინდოდა. მინდოდა კედლებზე სირბილი? დავრბოდი. მინდოდა სხვა სიგიჟეების კეთება? ვაკეთებდი.

— ამით გისდათ თქვათ, რომ ქართულ სცენაზე თავისუფლება არ არის?

— არის, მაგრამ ჩემთვის გაცილებით მარტივია, უცხოურ ენაზე ვიმღერო უცხოეთში, ვიდრე საქართველოში — ქართულად. ამ ბოლო დროს რამდენიმე კონკურსიდან მქონდა შემოთავაზება, მაგრამ ვთვლი, რომ ჩემთვის საკონკურსო ცხოვრება დასრულებულია. ისე კი, სამომავლოდ არაფერს გამოვრიცხავ.

— ხმას უფრთხილდებით, უყლით?

— არა, კიდეც ვსვამ, კიდეც ვეწევი და დოლგარმონზეც ვუკრავ. უკრაინული „ახალი ხმის“ კონკურსის პერიოდში სერიოზული პრობლემა შემექმნა ხმაზე, სტრესს დაემატა ხშირი ფრენები, აკლიმატიზაცია, უძილობა, რაც ორგანიზმს ანგრევს და ჩემს ხმაზეც ძალიან იმოქმედა. სცენაზე გასვლის წინ არსებობს ხმის მომყვანი საშუალება — ძალიან უხერხული პროცესია, ხორხამდე გიდგამენ რკინას და წამალს გაწვეთებენ. ეს ყველაფერი ერთადერთხელ გამოვცადე და მაშინ მივხვდი, რომ ცოტა ხანი უნდა დამესვენა. ასეც მოვიქეცი.

— კარიერის მიღმა რა ხდება, თქვენს ცხოვრებაში არის გატაცება ან სიყვარული?

— ასეთი ადამიანი ჩემს ცხოვრებაში არსებობს და მასთან თავს ბედნიერად ვგრძნობ. ამაზე ლაპარაკი არ მინდა, რადგან რა წამსაც დავიწყებ ჩემს პირადზე საუბარს, იმ წამიდან 30 თავი ჩნდება ამ ურთიერთობაში. ოთო ნემსაძე ძალიან ბედნიერია, ასე რომ, ნურავინ ნურაფერს განიცდით.

— როგორი სიყვარული იცით?

— ბევრ იდიოტურ საქციელს ჩავდივარ. როგორიც 16 წლის ასაკში ვიყავი, 24 წლისაც ეგეთი ვარ და 44 წლის რომ გავხდები, მერეც ასეთი ვიქნები.

— თქვენი რჩეული როგორ ეგუება იმას, რომ საქართველოდან მიდიხართ?

— ჩემს ამ ნაბიჯს ბრძნულად აფასებს.

— უკვე შეთანხმებული და დაგეგმილი გაქვთ, უკრაინაში რას გააკეთებთ?

— პირველ რიგში, უკრაინულ ენას შევისწავლი. მყავს უკრაინელი პროდიუსერი და 6 თვიანი ხელშეკრულება გავაფორმეთ. უკვე შემდგარ უკრაინელ მომღერლებთან ერთად ვიმღერებ. არ არის გამორიცხული, სოლო კონცერტები გავმართო. აქამდე უკრაინაში მხოლოდ მიწვევით, კორპორატიულ საღამოებზე ვმღეროდი, ახლა დიდი გეგმები მაქვს.

— ამ დიდი გეგმებიდან ალბათ დიდი ანაზღაურებასაც ელით.

— მე ფინანსურ გათვლებს არ ვაკეთებ. ჯერ პატარა ვარ და ფული არ მჭირდება. მიკვირს, რომ ამბობენ, საქართველოში შოუბიზნესი მკვდარიაო. რა ვიცი, პირადად მე დღემდე ამ საქმით ვცხოვრობ და მადლობა უფალს ყველაფრისთვის!

✓ ლანა კიკნაძე

Cyan Magenta Yellow Black

ეკა ნიჟარაძეს ბებიობა არ აკმაყოფილებს

„რა დროს ჩემი პირადი ცხოვრების დამთავრებაა!“

ქსახიობი ეკა ნიჟარაძე უკვე ბებიაა. მას ხშირად ნახავთ 7 თვის თინასთან ერთად. ახალგაზრდა ბებია შვილიშვილის დაბადებას დაესწრო და ეს ბედნიერი წუთები უფროს შვილთან, ტასოსთან ერთად გაიზიარა. ბოლო დროს ინტერნეტსივრცეში ბევრს ჭორაობენ მისი ვაჟის, ჯეჯი გომელაურის და მსახიობ მარინა ჯანაშიას შვილიშვილის, მოდელ მარიტა ჯანაშიას რომანზე. ასე რომ, გამორიცხული არ არის, სიდედრობის პარალელურად დედამთილიც გახდეს. მისი მესამე შვილი, ნოდარ უგულავა, ჯერ მხოლოდ 14 წლის არის, ასე რომ, ეკა თინეიჯერის დედობის რთულ ეტაპსაც გადის.

მსახიობი ოჯახის, შვილების საქმეებითაა მოცული, მაგრამ არც ის ავიწყდება, რომ პირადი ცხოვრებაც უნდა მოიწყოს.

— ეკა, ინტერვიუ თქვენი შემოქმედებითი გეგმებითა და საახლოებით დავიწყოთ. რა ხდება ამ მხრივ?

— თეატრში რეპეტიციების დაწყებას გულისფანცქალით ველოდები. სხვა, სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით არაფერი ხდება, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ უსაქმოდ ვარ, სახლში ბევრ რამეს ვაკეთებ. მინდა, ჯანმრთელობას სერიოზულად მივხედო. ვაპირებ, ვარჯიშზე ვიარო, რაციონი შევცვალო და ა.შ. ქალი 40 წელს რომ გადასცილდება, ალბათ სხვა რეჟიმით უნდა იცხოვროს.

— როცა თქვენთან სახლში სტუმრად მოვდიცარ, ყველაფერი შთამბეჭდავია: ორგანალურად შერჩეული ნახატები, მცენარეები... თავად უყვართ ამ ყველაფერს?

— კი და ეს სიამოვნებას მანიჭებს. რაც დრო გადის, ბევრ რამეს ვსწავლობ. საზღვარგარეთ ყოფნისას სახლის ინტერიერთან დაკავშირებით თუ რაიმე სიახლეს ვნახავ, ჩემებურად გადმომაქვს. ჩემს სახლში კარგად ვგრძნობ თავს, ვისვენებ. ზაფხულში აივანზე გვიყვარს ყოფნა, ზამთარში — ბუხართან. მიხარია, რომ ჩემს შვილებსაც და სიძესაც უყვართ სახლში ყოფნა. მეგობრებიც ხშირად მოდიან. სადმე კაფეში დასხდომას ჩემთან მოსვლა ურჩევნიათ. ეს ძალიან მახარებს.

— მალე პროექტი „ცეკვავენ ვარსკვლავები“ დაიწყება, წინა სეზონში თქვენც მონაწილეობდით. ხომ არ მოგენატრათ ის დრო?

— კი, როგორ არა! ახლა ეთერში ძველი ჩანაწერი გადის და ჩემს ცეკვას რომ ვუყურე, ბავშვებთან ერთად თავიდან ვნერვიულობდი. მე ცეკვას გადავყევი, ჩემი შვილები კი მე გადამყვნენ. სამი თვე აბსოლუტურად ამაზე ვიყავი გადართული, მეტს ვერაფერს ვაკეთებდი. ფიზიკური ტრავმებიც მივიღე. რომ დამთავრდა, ამოვისუნთქე, მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ, მივხვდი, დიდი რაღაც მომაკლდა. ახალი სეზონი რომ იწყება, მეც აჟიტირებული ვარ. მგონია, რომ ისევ ვმონაწილეობ.

— უკვე ცნობილია, ვინ იცეკვებს ამ პროექტში. ვინმეს გულშემატკივრობთ?

— ჩემს ყოფილ მეწყვილეს, ლევან ახვლედიანს ვქომაგობ. მისი მეწყვილე ნანა ნებიერიძეა, ევროპის ჩემპიონი წყალში ხტომაში და სიდნეის ოლიმპიადის მონაწილე. ვფიქრობ, ლევანს ძალიან კარგ პარტნიორობას გაუწევს.

— რა რჩევას მისცემდით მონაწილეებს?

— მე, მაგალითად, გამარჯვებაზე არ ვფიქრობდი. საკუთარ თავს მეტი უნდა მოსთხოვო და არავის არაფერი დააბრალო. ნანა ნებიერიძე შემთხვევით გავიცანი და ამ პროექტზე ვილაპარაკეთ. გულწრფელად ვუთხარი, რომ არაადამიანური შრომაა. მთლიანად უნდა იყო ამ საქმით მოცული. მერე ვიფიქრე, ცოტა ხომ არ შევაშინე-მეთქი, მაგრამ მართლა ასეა. ვფიქრობ, ნანა შეძლებს. რაც მთავარია, სცენაზე ცეკვისას დიდი სიამოვნება უნდა მიიღო. ამას მე გვიან მივხვდი. ბევრს მოვწონდი, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, ვინც მლანძღავდნენ.

— რატომ, რას გიწუნებდნენ?

— ზოგს ჩემი ასაკი არ მოსწონდა, ზოგი თვლიდა, რომ ამ პროექტში ბევრი ფული გადავიხადე და იმიტომ მივდიოდი ფინალისკენ „რიხინ-რიხინით“. არადა ისე მივაღწიე ფინალამდე, თვითონაც ვერ მივხვდი. სამეჯლისო ცეკვებიდან

„თბილისში უამრავი ლამაზი ქალი დადის მარტო... შეიძლება ქალები იმდენად ძლიერები და დამოუკიდებლები გახდნენ, რომ ეკცებს აშინებთ“.

ყველაფერი ვიცეკვე, მხოლოდ ერთი დამრჩა. ლევანს ხინჯად აქვს დარჩენილი, პასადობლი როგორ ვერ ვიცეკვეთო და გვინდა, რომ ჩვენთვის ვისწავლოთ. როგორც კი ლევანი მოიცლის, ამას გავაკეთებთ.

— იმ პერიოდში თქვენი ვაჟიანა, ტასო, ორსულად იყო. გაიხსენეთ პირველი ემოციები, როცა ბებია გახდით.

— ტასოს მშობიარობას დავესწარი და საკუთარი თვალით ვნახე, როგორ მოევლინა ქვეყანას ჩემი შვილიშვილი თინა. ეს სასწაული იყო!

— ტასოს უნდოდა, თქვენ მდგარიყავით მის გვერდით იმ მნიშვნელოვან წუთებში?

— არა, ტასოს უნდოდა, მეუღლე დასწრებოდა. კოტე, ტასოს ქმარი, შესული იყო ოთახში და სულ ორი წუთით გამოვიდა, როცა მე შევედი შვილთან. თინაც სწორედ ამ დროს გაჩნდა.

„ტასოს მშობიარობას დავესწარი და საკუთარი თვალით ვნახე, როგორ მოევლინა ქვეყანას ჩემი შვილიშვილი, თინა. ეს სასწაული იყო!“.

— აქტიურობთ თინას მოვლაში?

— ყოველ შემთხვევაში, პასიური ბებია არ ვარ. ხშირად ვასეირნებ. ტასო იმდენად კარგი დედაა, რომ ცოტა გაკვირვებული ვარ. შვილს ერთი წამითაც არ შორდება.

— ტასომ და მისმა ქმარმა რთული პერიოდიც გამოიარეს, ცოტა ხნით დაშორდნენ ერთმანეთს. როგორც დედას, რა პოზიცია გიკავია მაშინ?

— საერთოდ, ძალიან მეგობრული დედა ვარ. რადგან მათ გადაწყვიტეს დაცილება, ასეც უნდა მომხდარიყო. შემდეგ რაღაცეები გადაავასეს, მიხვდნენ, რომ ერთმანეთის გარეშე არ შეეძლოთ და ერთი წლის მერე შერიგდნენ. ძალიან განვიცადე, როცა დაშორდნენ. კოტეს, ჩემს სიძეს, წლებია ვიცნობ და ძალიან მიყვარს, მაგრამ ვერაფერს გავაკეთებდი. ახლა რომ ვაკვირდები, ალბათ სწორი პოზიციაც იყო ჩემი მხრიდან. შვილს საშუალება მივეცი, თავად მიეღო გადაწყვეტილება. არასდროს ვყოფილვარ შვილების პირადი ცხოვრების წარმმართველი. თუ მკითხავენ რჩევას, ვაძლევ და ყველაფერში მათ გვერდით ვდგავარ.

— ბოლო პერიოდში ბევრს წერენ თქვენი ვაჟის, ჯეჯის და მოდელ მარიტა ჯანაშიას სასიყვარულო ურთიერთობაზე. ეს ინფორმაცია სანამდვილეს შეესაბამება?

— ჯგუფელები არიან და მეგობრობენ. სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, მათ შორის რა ხდება. ამ თემაზე ალბათ თავად უნდა ისაუბრონ. ეს მათი ცხოვრებაა და თუ ჩათვლიან საჭიროდ, ხმამაღლა განაცხადონ, ასეც გააკეთებენ.

— სიდედრი უკვე ხართ. დედამთილობისთვისაც ემზადებით?

— როგორც ჩემი სიძე ამბობს, უსიდედრესი ვარ! ანუ კარგი სიდედრი. რაც შეეხება დედამთილობას, ორი ვაჟი მყავს და დედამთილი ორჯერ უნდა გავხდე. რა თქმა უნდა, მეგობრული დედამთილი ვიქნები. პირველ რიგში, რძალი უნდა გიყვარდეს, რადგან ის შენს შვილს უყვარს. თუ ჩემს რძლებს დასჭირდებათ, მათ საქმეშიც ხელს შევუწყობ, რადგან ქალს პროფესია უნდა ჰქონდეს, დამოუკიდებელი უნდა იყოს.

— საკუთარ თავს როგორ შეაფასებთ — დამოუკიდებელი და ძლიერი ქალი ხართ?

— უკვე გავიარე ის პერიოდი, როცა ჩემზე შეიძლებოდა ეთქვათ, რომ სუსტი ვიყავი. არ ვიცი, ეს რამდენად კარგია, მაგრამ ახლა ზედმეტად დამოუკიდებელი და ძლიერი ვარ.

— ძალიან კარგად გამოიყურებით, ჯერ იტყვით, რომ თქვენი პირადი ცხოვრება დამთავრდა.

— ამას არც ვამბობ. მხოლოდ ბებიობა და სიდედრობა ნამდვილად არ მინდა. ეს არც ჩემს შვილებს სურთ. რა დროს პირადი ცხოვრების დამთავრებაა, ახლა ვიწყებ ცხოვრებას!

— ამ ეტაპზე არსებობს ვინმე, ვისთანაც ერთადაც „იწყებთ ცხოვრებას“?

— არ გაგცემთ პასუხს კითხვაზე, არის თუ არა ვინმე ჩემს ცხოვრებაში. როცა შეყვარებული გახლავართ, როგორც ყველა ადამიანი, ბედნიერი ვარ.

— როგორი მამაკაცი შეიძლება შეგიყვარდეთ?

— არ მაქვს სტერეოტიპი. თბილისში ურთიერთობის დიდი პრობლემაა. უამრავი ლამაზი ქალი დადის მარტო. შეხვალ კაფეში და ცალკე გოგოები სხედან და ცალკე — ბიჭები. ეს უბედურება, ნამდვილი ტრაგედიაა! ჩემს უცხოელ მეგობარსაც უკითხავს, რა ხდებაო. შეიძლება ქალები მართლა იმდენად ძლიერები და დამოუკიდებლები გახდნენ, რომ ეს კაცებს ცოტა აშინებთ. კაცზეა დამოკიდებული, რომ ქალი ასეთად არ იქცეს.

— ამ ეტაპზე ბედნიერი ხართ?

— ძალიან ცოტა მჭირდება ბედნიერებისთვის. მომთხოვნი და პრეტენზიული არ ვარ. მჭირდება პროფესია, ოჯახის წევრების ჯანმრთელობა, მეგობრები, ჩემი ქვეყნის კეთილდღეობა და, რა თქმა უნდა, პირადი ცხოვრება. კი, ამ ეტაპზე ბედნიერი ვარ.

✓ **მანანა ნოდია**

ნათელმხილველი ნელი ბიჩიკაშვილი

სამწუხაროდ, დღევანდელ ყოფაში პრობლემები ჩვენი ყოველდღიური თანამგზავრი გახდა. თუ ბევრი გასაჭირი დაგატყდათ თავს, როგორიცაა უბარაქობა, ბედის ჩაკეტვა, უშვილობა, ჯადოს ზემოქმედება, ნარკომანია, ლოთობა, კაზინოდამოკიდებულება და სხვ. მიმართეთ ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს! ქ-ნი ნელი იმ ერთეულთა შორისაა, ვისაც შეუძლია უზუსტესად იწინასწარმეტყველოს თქვენს თავს დატეხილი უბედურების მიზეზი და ამ მიზეზის განეიტრალება მოახდინოს... ქ-მა ნელიმ ბევრ უშვილო წყვილს აჩუქა შვილის ყოლის ბედნიერება.

მერწმუნეთ, ქ-ნი ნელის წინასწარმეტყველება ბევრ სიურპრიზს გაპირდებათ...

ჩანერა ხდება წინასწარ.

☎ 214-20-65 (ბინა), 593-30-65-51, 599-20-37-64, 597-10-23-37.

Cyan Magenta Yellow Black

ნინო ხომასურიძემ ალმადოვარის ფილმისთვის 34 კილო მოიმატა

„როცა შინაგანად რაღაც მაწუხებს, ჯავრს თმაზე ვიყრი და ვიპარსავ“

I მედი და საყვარელი საქმე — ეს არის მსახიობ ნინო ხომასურიძის სილამაზის „რეცეპტი“. არც ჯანსაღი ცხოვრების წესს მისდევს მაინცდამაინც და კანის მოვლისთვისაც დიდ დროს და ფინანსებს არ ხარჯავს. არც პირადი ტრაგედიები დაკლებია, 61 წლის ასაკამდე დიდი ტკივილიანი გზა გამოიარა. როცა ამ ყველაფრის შესახებ იგებ, ამ ქალბატონის ხიბლი ორმაგდება.

— ქალბატონო ნინო, თავდაპირველად, კანის მოვლის შესახებ გკითხავთ. რა მეთოდით უვლით მას?

— სხვათა შორის, საცხებს ვერ ვიყენებ. არ მომწონს, სახეზე რამე თუ მისვია. კანზე მხოლოდ საბავშვო ზეთს ვისვამ. მითხრეს, რომ მას თმა ამოჰყავს, მაგრამ თავს მაინც არ ვანებებ. ძალიან მშრალი კანი მაქვს, რომელსაც ეს ზეთი უხდება, მაგრამ მკვებავად არ გამოდგება. ძალიან მიყვარს მოვლილი ქალები, მაგრამ ამისთვის ფინანსური შესაძლებლობაც უნდა გქონდეს.

— ბოტოქსის ინექცია ან მეზოთერაპია გამოგიყენებიათ?

— მეზოთერაპია გამიკეთებია და ერთხელ ბოტოქსიც გამოვიყენე ზედა ტუჩის გარშემო, მაგრამ შედეგი ძალიან არ მომეწონა. ერთი სული მქონდა, როდის გაქრებოდა. რაც შეეხება მეზოთერაპიას, არაჩვეულებრივია, მაგრამ სულ უნდა იკეთო. ერთი და ორი გაკეთება არაფერს შველის.

— შინაური რეცეპტები თუ გიცდიათ?

— არაჟნის თუ მაწვნის ნიღბებს ვიკეთებ. ზაფხულში ხილის ნიღბებს ვანიჭებ უპირატესობას, მაგრამ ეს ჩემი ცხოვრების წესი არ არის. ამის ხასიათზე უნდა ვიყო და მისი გაკეთება მომინდეს. განწყობის ადამიანი ვარ.

ამ ეტაპზე სრულიად ბუნებრივი ვარ, მაგრამ პლასტიკური ოპერაციის გაკეთება მინდა. ჩემი ნაოჭები მიყვარს, თან, როგორც მსახიობს, ეს მჭირდება, რადგან, ბუნებრივია, სულ 17 წლის გოგოს ვერ ვითამაშებ. აი, სიბერეს კი ვერ ვიტან. ჯერ არ ვიცი, რისთვის შეიძლება მივმართო პლასტიკურ ქირურგიას. ერთი-ორი წელი ჩემს გარეგნობას ხელს არ ვახლებ, მერე ალბათ რაიმეს ვცდი.

— რა ასაკში მოგწონდათ თავი განსაკუთრებით?

— 40 წლამდე, სანამ დავქვრივდებოდი. იმ პერიოდში ქალად ჩამოვყალიბდი. არ ვეთანხმები, როცა ამბობენ, რომ სიბერე კარგია. ალბათ ერთადერთი ეს არის, რასაც ვერ ერევი. რომ მკითხოთ, ადამიანი არ უნდა ბერდებოდეს. ერთი პერიოდი სარკეში არ ვიხედებოდი, არც მაინტერესებდა, როგორ გამოვიყურებოდი. თავიდან ვიცილებდი საზოგადოებაში გასვლას. შინაგანად უნდა გრძნობდე თავს კარგად და ეს არის სილამაზე.

— რა დამოკიდებულება გაქვთ სარკესთან?

— ძალიან მიყვარს სარკე და სახლში უამრავი მაქვს. მერე სადღაც წავიკითხე, რომ სარკე კარგ, კეთილ ადამიანებს უყვართ. ეს რომ გავიგე, გამიხარდა.

— ვის გიყურებთ სარკიდან?

— ხანდახან ნინო მიყურებს, ხანდახან — აბსოლუტურად სხვა ქალი. ერთხელ სახლს ვალაგებდი და უცებ სარკეში ჩავიხედე. შემეშინდა, რადგან ვიღაც სხვა მიყურებდა. შინაგანი განწყობა ჩემზე ძალიან მოქმედებს. ძალიან ცვალებადი ხასიათი მაქვს.

— ზოგადად როგორი ცხოვრების წესი გაქვთ — მაგნე ჩვეულებისგან თავისუფალი თუ არა?

— ძალიან არასპორტული ვარ. ჩემი დილა სიგარეტით და მწვანე ჩაით იწყება. ადრე ყავას ვსვამდი, მაგრამ ინფარქტის მერე მწვანე ჩაით შევცვალე. სიგარეტს თავს ვერ ვანებებ, უკვე 47 წელია ვეწევი.

— სრულიად გულწრფელად გეუბნებით: ამ ყველაფრის ფონზე არაჩვეულებრივად გამოიყურებით. რა არის თქვენი კარგი გარეგნობის საიდუმლო?

— ჯიში და გენეტიკა. დედაჩემი, თამარ ხომასურიძე, სიმსივნით გარდაიცვალა, მაგრამ ბოლო წუთებამდე ულამაზესი იყო. მას დიდი ცისფერი თვალები და რომაული ცხვირი ჰქონდა.

— საინტერესოა, როგორ უყვიდა დედათქვენი თავს.

— დედა ზამთარ-ზაფხულ ყინულის კუბიკებით იბანდა პირს. ხან ჩაის ნაყენი იყო ამ კუბიკებში, ხან სხვა რამ. მე რამდენჯერმე ვცადე იმავეს გაკეთება, მაგრამ არ მომეწონა და თავი

„ჩემი ნაოჭები მიყვარს, მაგრამ სიბერეს ვერ ვიტან“.

დავანებე. ეს ხერხი კანისთვის, წესით, კარგია, რადგან კუნთებს ამაგრებს. სხვათა შორის, სადღაც წავიკითხე, რომ ყინულის კუბიკებით ეკატერინე მეორეც იბანდა სახეს.

— რას გასწავლიდათ დედა გარეგნობასთან დაკავშირებით, როგორი ნინო მოსწონდა მას?

— მას უნდოდა, რომ სულ ფორმაში ვყოფილიყავი. არადა, როცა ახალგაზრდა ხარ, გარეგნობას დიდ ყურადღებას არ აქცევ. რაიმე ახალი თუ შემოვიდოდა, კოსმეტიკა თუ სამოსი, დედას ჩემთვის ყოველთვის მოჰქონდა.

— დღეს მიჰყვებით მოდის ტენდენციებს?

— ყოველთვის მიყვარდა თავისუფლად და სპორტულად ჩაცმა. ამ სტილს კარგად ვირგებდი. როცა ასაკის მატებასთან ერთად მაღალქუსლიანი ფეხსაცმელების ჩაცმა დამჭირდა, თავს ცოტა უხერხულად ვგრძნობდი. მოდას თვალს ვადევნებ, მაგრამ ჩემს სტილს ვინარჩუნებ.

— თამამი იმიჯი მოგირგიათ?

— არასოდეს. უფრო მეტიც, ბევრ თამამ როლზეც კი უარი მითქვამს. კატრინ ბრეა ცნობილი ფრანგი რეჟისორია. მასთან გადაღებაზე მოხვედრა დიდი ბედნიერებაა. რატომღაც ჩემზე გადაირია. ბრეა ეროტიკული მიმართულების, არაჩვეულებრივად ნიჭიერი, კინოკადემიის მრავალი ჯილდოს მფლობელი რეჟისორია. საფრანგეთში ხელისგულზე ატარებენ. მაშინ რაღაც ფილმს იღებდა და მთხოვა, მეთამაშა. დელიკატურად ვუთხარი უარი, მაგრამ, რა თქმა უნდა, ვერ გავაგებინე, მსახიობი უარს რატომ ვამბობდი თამამი როლის თამაშზე.

ფრანგულ ფილმში „რაც ოთარი წავიდა“ რომ ვითამაშე, კანის კინოფესტივალის აღმოჩენა გავხდი. ამ ფილმმა „ცეზარი“ აიღო. ფესტივალზე ჩემი ჩვეულებრივი კაბით მივდიოდი. მაკა ასათიანმა ის კაბა რომ ნახა, კინაღამ სკამიდან გადმოვარდა. მან იმ დღისთვის ძალიან ლამაზი კაბა შემიკერა. მსახიობისთვის ბედნიერებაა, როცა ასეთ ზეიმზე ხვდება. იქ ვიგრძენი, რომ მსახიობი ვიყავი.

— პროფესიის გამო მსხვერპლზე თუ წასულხართ გარეგნობის საზარალოდ?

— ალმადოვარის ფილმისთვის ძალიან მოვიმატე და ძველ წონას დღესაც ვერ ვიბრუნებ. 58 კილო ვიყავი და 92 კილო გავხდი. გურმანი ვარ, მაგრამ წონის პრობლემა მანამდე არ მქონია. სპეციალურ კვებაზე გადავედი, რომ მომემატებინა.

— მოგვიყევით, როგორ მიიღეთ შემოთავაზება ალმადოვარისგან, ვისთან ერთად თამაშობთ და როდის გამოვა ეს ფილმი ეკრანებზე.

— ფილმის „რაც ოთარი წავიდა“ რეჟისორმა და პროდიუსერმა თავისი ნამუშევარი ალმადოვარს აჩვენა. ასე დამიკავშირდა ალმადოვარი. არ ვიცი, მისი ფილმი როდის გამოვა. ვერაფერს ვყვები ფილმის შესახებ, ვერც ფოტოებს ვაქვეყნებ, რადგან კონტრაქტით ამის უფლება არ მაქვს. ფილმში მონაწილე მსახიობები ესპანელები არიან, ჰოლივუდის ვარსკვლავი პენელოპა კრუსი თამაშობს. მე ემიგრანტის როლი მაქვს, რომელიც პენელოპა კრუსის გმირის ოჯახში დიასახლისია. ალმადოვარმა მითხრა, როლიდან გამომდინარე, რა ენაზეც გინდა, ილაპარაკეო, მაგრამ მე სამ კვირაში ესპანურად ავლაპარაკდი. დაბადების დღეც იქ, ესპანეთში გადავიხადე. იმ დღისთვის კაბა ფატუნა ბუშიჰედმა შემიკერა.

— როგორია პენელოპა კრუსი კულისებში?

— თავიდან ცოტა ცივად შემხვდა. ვარსკვლავები პრეტენზიულები არიან. მსახიობი 25 მილიონს რომ აიღებს ერთ გადაღებაში, ამით ყველაფერი ნათქვამია. მათ ცხოვრების სხვა წესი აქვთ, ჩვენნაირები არ არიან. ქართველებს სითბოს გამომჟღავნება გვიყვარს. იქ ეს ნაკლებად არის, მაგრამ ბოლო კვირებში დავმეგობრდით. მაშინ პენელოპა კრუსს ბავშვი ახალი გაჩენილი ჰყავდა, ფორმაში არ იყო, მასაჟებზე დარბოდა და თავისი პრობლემები ჰქონდა.

— შეუხედავი ქალის როლის თამაში რომ შემოგთავაზონ, დათანხმდებით?

— ასეთ როლზე უარი არასოდეს მითქვამს. ჩემთვის, როგორც მსახიობისთვის, საინტერესოა სახასიათო როლები. შეუხედავი, უარყოფითი გმირის თამაში მირჩევნია დადებითი პერსონაჟის როლის შესრულებას, რადგან ეს ადვილია. დოიმ (რეჟისორი დათო დოიაშვილი) რომ მიმიწვია სპექტაკლ „ჯინსების თაობაში“ გეგა კობახიძის დედის, ნათელა მაჭავარიანის როლის სათამაშოდ, მაშინ თმა ნულზე მქონდა გადაპარსული. დოის ვუთხარი, რომ არ შეშინებოდა, მან კი მიპასუხა, ზუსტად ასეთი გარეგნობის გმირი მჭირდებოდაო.

— რატომ გქონდათ თმა გადაპარსული?

— თმას პერიოდულად ვიპარსავ. ეტყობა, როცა შინაგანად რაღაც მაწუხებს, ჯავრს თმაზე ვიყრი.

— ცხოვრებაში დიდი ტრაგედია გაქვთ გადატანილი — ჯერ ქმარი დაგეღუპათ და შემდეგ შვილი დაკარგეთ. ალბათ ბევრს უკვირს თქვენ გარშემო, რომ არ წაიქცეთ და თანაც ასე გამოიყურებით. რა დაგეხმარათ გაძლებაში?

— ამ პერიოდების გამო ინფარქტი და ანევრიზმა გადავიტანე, მაგრამ გადავრჩი. ათი წელი სცენაზე არ ვიდექი, არავის ვენახვებოდი. მერე დოიმ ძალით მათამაშა „ჯინსების თაობაში“. თუ კიდევ რამე მაძლებინებდა, ეს იმედი იყო. იმედი სულ მქონდა, რომ შვილს ვიპოვიდი და დღემდე ამით მოვედი. იმედმა და პროფესიამ მომცა ბიძგი, სტრესს არ დავმორჩილებოდი. მეგობრების მადლიერი ვარ, ისინი უყურადღებოდ არასდროს მტოვებენ. სულ ჩემს სახლში არიან, ერთად ვართ.

✓ მანანა ნოდია

Cyan Magenta Yellow Black

რიანას მანეკენთან აქვს რომანი

ამომღერალმა რიანამ საბოლოოდ გადაწყვიტა ექსბოიფრენდის, კრის ბრაუნის დავიწყება. როგორც ამბობენ, მან მანეკენ დადლი ოშონესთან გააბა რომანი. მათი სასიყვარულო ისტორია ჯერ კიდევ 2011 წელს დაიწყო, როცა რიანამ თავისი ახალი კლიპისთვის მანეკენებს შორის სწორედ დადლი ამოარჩია. რომანი როგორც მალე დაიწყო, ასევე მალე დასრულდა. მომღერალი და მანეკენი მეგობრებად დარჩნენ. ცოტა ხნის წინ კი გრძნობებმა ისევ იჩინა თავი. „მათთვის ადვილი იყო რომანის იმ წერტილიდან დაწყება, სადაც მაშინ დაასრულეს. არც ერთს სურს სერიოზული ურთიერთობები და ამიტომ შესანიშნავად უგებენ ერთმანეთს“, — აცხადებს ერთ-ერთი წყარო.

რიანა წარსულში დარჩენილი საყვარელი მამაკაცების დაბრუნებით გამოირჩევა. კრის ბრაუნთან რომანი მან სამჯერ აღადგინა, თუმცა მოძალადე და ჩხუბისთავი მამაკაცი მაისში საბოლოოდ მიატოვა. ამჯერად დაშორების ინიციატორი თავად რეპერი იყო, რომელმაც განაცხადა, რომ მასზე ერთი წლით უფროს რიანასთან ცხოვრება უინტერესო იყო და ბევრად ახალგაზრდა გოგონები აინტერესებდა.

ფერჯიმ ახალშობილი გამოაჩინა

ამერიკელი მომღერალი ფერჯი სექტემბრის დასაწყისში დედა გახდა. მან ბავშვის ფოტო რომელიმე ჟურნალს კი არ მიჰყიდა, სოციალურ ქსელში სრულიად უსასყიდლოდ გაავრცელა. ფერჯიმ და მისმა მეუღლემ, მსახიობმა ჯოშ დიუმალმა ახალშობილის ფოტოს ასეთი წარწერაც გაუკეთეს — „ჩვენ არასდროს გვიფიქრია, რომ ჩვენი შვილის ფოტოთი ფულს გავაკეთებდით. ვფიქრობთ, ჩვენმა გულშემატკივრებმა დაიმსახურეს ის, რომ ჩვენი სიხარულით დატკბნენ“.

მომღერალმა ახალშობილ ბიჭს, აკსელ ჯეკ დიუმალს, პირველ რიგში, სმენა შეუმოწმა. მოგვიანებით სოციალურ ქსელში დაწერა, რომ მის შვილს შესაშური მუსიკალური სმენა აქვს. „არ მომეწონებოდა, ჩემს ბიჭს ცუდი სმენა რომ ჰქონოდა. მთელი ორსულობა მის მუსიკალურ გემოვნებაზე ვზრუნავდი. ვფიქრობ, ჩემს იმედებს გაამართლებს“, — წერს ფერჯი.

მომღერალმა თავის შვილს სახელი ლეგენდარული ჯგუფის „განს ენ როუსის“ მუსიკოსის პატივსაცემად დაარქვა. მამა ბავშვის დაბადებისთვის საფუძვლიანად მოემზადა და მშობიარობაზე დასწრების მიზნით კინოგადაღებებზეც კი უარი თქვა.

— უარი ვთქვი გადაღებებზე. ვერ დავუშვებდი, რომ ჩვენი შვილი ჩემ გარეშე დაბადებულიყო“ — ამბობს დიუმალი.

150 Years
Science For A Better Life

ბეპანთენი პლიუსი – ცწრასთვი ლიბინთექცია ლა შეხორცება!

- არ იწვევს წვის შეგრძნებას
- არ შეიცავს ანტიბიოტიკებსა და ჰორმონებს

შემადგენლობა: დექსპანთენოლი (B5 ვიტამინი) ქლორჰექსიდინი 0,5%

მწარმოებელი: Bayer Consumer Care AG (Switzerland)

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

მოდური სამოსის ფერი მუდამ ახალივით ბრწყინვალეა!

ახალი **Perwoll Brilliant** ბრწყინვალედ უმჯობესდება მოდური ტანსაცმლის დელიკატურ რეცხვას. **ფერის აღდგენის ეფექტის** წყალობით ის აახლებს თქვენი საყვარელი ფერადი, შავი და თეთრი სამოსის ხასხასა ფერებს. ახლა ყოველი გარეცხვის შემდეგ მათი ფერი ახალივით ბრწყინვალეა!

Henkel
ჰენკელი

მოდა კრისტიან დიორი – მოულოდნელობებით სავსე ქალი

კრისტიან დიორის მოდის სახლის კრეატიული დირექტორი რაფ სიმონსი უკვე მეორე წელია ამ მოდის სახლის ისტორიას თანამედროვე ტექნოლოგიებით გადმოსცემს. 2013-2014 წლის შემოდგომა-ზამრთის კოლექციაში დიზაინერმა დიორის ცნობილი სილუეტი „ქვიშის საათი“ ახლებური ინტერპრეტაციით წარმოადგინა. კოლექცია იდუმალი, ფუტურისტული, ვნებიანი და მაქსიმალურად ქალური გამოვიდა. დიზაინერმა დიდი აქცენტი გააკეთა ფერების გრადაციებსა და ასიმეტრიულ ფორმებზე. დიორის ქალი წელს მოულოდნელობებითა და სიურპრიზებით არის სავსე.

სიახლე!!! ვცვლით! ძველ აპარატებს ახალ შვეიცარულ გლუკომეტრზე ტესტ-ფურცლებით--10 ლარის დამატებით.

დიდი ფასდაკლება ქოლესტერინის აპარატზე.

აკონტროლეთ თქვენი ჯამრთელობა!

ყარი ყოხარით მიოყარლიაყმის ინფაქტს და ათეროსკლეროზს!

მის: ბორჯომის ქ. №4 (გერმანიის საელჩოს პირდაპირ)

ტელ: 235 44 05; 599 19 60 55. www.glucometer.ge

რელაქსო - მიქსი™

ბიოლოგიურად აქტიური საკვები დანამატი

პასიფლორა 500მგ, კაბაბალახა 800მგ, გვირილა 300მგ - 30 კაფსულა

ასფარმა
Asfarma

კომბინირებული დამამშვიდებელი ფიტოპრეპარატი

სიმინდის ზეთი – ოქროს პროდუქტი კულინარიასა და ჯანმრთელობაში

თანამედროვე ცხოვრება სულ უფრო მეტ მოთხოვნებს უყენებს ადამიანებს. იშვიათია პროდუქტი, რომელიც ერთდროულად სასარგებლოც არის, გემრიელიც და ბევრ ავადმყოფობას სასიკეთოდ უხდება. ბუნების საოცრებებს შორის ერთ-ერთია სიმინდის ზეთი, ბევრ ქვეყანაში მას დღემდე ოქროს პროდუქტს უწოდებენ. ეს კი იმის დამსახურებაა, რომ სიმინდისგან მიღებული ზეთი გაჯერებულია ბიოლოგიური ნივთიერებებით, რომლებიც აახალგაზრდავებს და აჯანსაღებს ორგანიზმს.

სიმინდის ზეთი ძირითადად გამოიყენება კულინარიაში. რაფინირებული ზეთი ღია ყვითელია, გამჭვირვალე, თითქმის სუნის გარეშე. სხვა მცენარეულ ზეთებთან შედარებით ბევრი უპირატესობა აქვს, რის გამოც ყველა ქვეყნის მომხმარებლებში განსაკუთრებით პოპულარულია. მისი გამოყენება შესაძლებელია, როგორც თევზის, ხორცის, ბოსტნეულის და სოუსების მოსამზადებლად, ასევე საკონდიტრო ნაწარმისათვის. სიმინდის ზეთი არ ქაფდება, არ აალდება და არ ქმნის კანცეროგენურ ნივთიერებებს, რის გამოც დიეტოლოგები მას პაციენტებს უნიშნავენ და დასაშვებია ბავშვთა კვებაშიც.

სიმინდის ზეთის სასწაული იმაში მდგომარეობს, რომ ის მდიდარია „A“ „E“ და „F“ ვიტამინებით. შესადარებლად ისიც საკმარისია, რომ, მაგალითად, ვიტამინი „E“ სხვა მცენარეულ ზეთებში სიმინდის ზეთთან შედარებით 50 პროცენტით ნაკლებად არის წარმოდგენილი. ვიტამინი „E“ კი ჩვენი ჯანმრთელობისთვის ყველაზე საჭირო ვიტამინია. ის ბუნებრივ ანტიოქსიდანტს წარმოადგენს და უზრუნველყოფს სილამაზის და ახალგაზრდობის შენარჩუნებას. იმის გამო, რომ სიმინდის ზეთში „E“ ვიტამინია, ის დაბერების პროცესს მნიშვნელოვნად ანელებს, სწორედ ამიტომაც ამ პროდუქტს დასავლეთში განსაკუთრებულად იყენებენ ასაკთან ბრძოლაში.

სიმინდის ზეთს ხელსაყრელი შეთავსება აქვს უჯერ ცხიმმჟავებთან, რაც ორგანიზმს ეხმარება ცხიმის დაბალანსებაში. მისი რეგულარული მიღება ორგანიზმში ქოლესტერინის რაოდენობას ამცირებს. ეს პროდუქტი ასევე გამოიყენება თირკმლის ქვის მკურნალობისას და დიაბეტის დროს. რეგულარულად მის მიღებას ტონუსში მოჰყავს ნაღვლის ბუშტის ფუნქციონირება. ასევე არეგულირებს სისხლის მოძრაობას და აძლიერებს იმუნიტეტს. ექიმები შეთანხმდნენ იმაზე, რომ სიმინდის ზეთს, მასში არსებული მჟავების დამსახურებით, შეუძლია სიმსივნის წარმოქმნას შეუშალოს ხელი, დაიცვას ორგანიზმი სტრესის დამანგრეველი მოქმედებებისაგან, შეაჩეროს ლიპიდური პროცესები, შეანელოს ათეროსკლეროზი, შეამციროს სიმსივნის ზომა და ხელი შეუწყოს სიმსივნური უჯრედების თვითგანადგურებას.

ექიმები და დიეტოლოგები სიმინდის ზეთს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პროფილაქტიკის მიზნითაც გვირჩევენ. რეკომენდებულია გარემოში არსებული მავნე ნივთიერებების დასაცავად, განწყობის ასამაღლებლად, ძილის და საერთო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. შეუძლია ახალგაზრდობის გახანგრძლივება, ალერგიული რეაქციების შემცირება, ასევე ამცირებს კანის აქერცვლას.

სიმინდის ზეთი ასევე ეხმარება ორგანიზმს ნერვული დაავადებების და შაკიკის დამარცხებაში. ის ეფექტურია ქალისა და მამაკაცის ცხოვრებაში, მისი მიღება შეუძლიათ ორსულებს და ბუნებრივ კვებაზე მყოფი პატარების მშობლებს.

სიმინდის ზეთით მკურნალობის ხალხური და თანამედროვე მეთოდები

ხალხური მედიცინა სიმინდის ზეთით მკურნალობს დამწვრობებს, ალერგიულ და საერთოდ, ყველანაირ გამონაყარს, რომელიც შეიძლება იყოს სახესა და სხეულზე. თუ გსურთ ნაღვლის ბუშტის ტონუსის აწევა, დღეში ორჯერ საკვების მიღებამდე ერთი ან ნახევარი საათით ადრე მიიღეთ თითო სუფრის კოვზი სიმინდის ზეთი.

ათეროსკლეროზის პროფილაქტიკისთვის სიმინდის ზეთის მიღება ხდება დღეში სამჯერ ჭამის დროს 25 გრამის ოდენობით, შაკიკისა და პოლინოზის შემთხვევაში — დღეში თითო სუფრის კოვზი. ვისაც უძილობა აწუხებს, მან ძილის წინ სხეულზე ზეთი უნდა წაისვას და ხუთი წუთის შემდეგ ჩამოიბანოს.

ქუთუთოების აქერცვლისა და ქერცლოვანი ეგზემის დროს ორი თვის განმავლობაში მიიღეთ ერთი ჩაის კოვზი სიმინდის ზეთი საუზმის და ვახშმის დროს.

თუ თმის გაჯანსაღება გსურთ, გამთბარი სიმინდის ზეთი შეიზილეთ თმის ძირებში, შემდეგ თბილ წყალში დაასველეთ პირსახოცი, გაწურეთ და შემოიხვიეთ თავზე. გაიმეორეთ ეს პროცედურა რამდენჯერმე და შემდეგ ჩამოიბანეთ ჩვეულებრივი საპნით, ამავდროულად რეკომენდებულია საკვებშიც გამოიყენოთ ინტენსიურად ორი თვის განმავლობაში.

სიმინდის ზეთს, როგორც საკვებ პროდუქტს, გაჯანსაღების ეფექტის მიღების დროს უკუჩვენება არ გააჩნია. მთავარია არ მიიღოთ დიდი რაოდენობით, ყურადღება მიაქციეთ, რომ არ იყოს ვადაგასული, რადგან ასეთ შემთხვევაში მას ბევრი გამაჯანსაღებელი ეფექტი აღარ ექნება.

4 მიზეზი, თუ რატომ უნდა გავხდეთ სიმინდის ზეთის მომხმარებლები

1 ვიტამინების მაღალი შემცველობა

ზეთის დამზადების ტექნოლოგია განსხვავდება წარმოების სხვა ტექნოლოგიებისგან იმით, რომ ვიტამინების და საკვებ ნივთიერებათა შენარჩუნების საშუალებას იძლევა. ზეთი მდიდარი „E“ ვიტამინით, რომელსაც მეორენაირად ახალგაზრდობის ვიტამინს უწოდებენ.

2 შეუდარებელია კულინარიაში

სიმინდის ზეთი განსაკუთრებით უხდება ხორცეულს, თევზეულსა და ბოსტნეულს. სხვა ზეთებთან შედარებით არის უფრო ეკონომიური, რადგან მცირე დოზა სჭირდება, არ ქაფდება და არ იწვის. ორგანიზმი ყველაზე ადვილად ითვისებს სიმინდის ზეთს ცხიმმჟავების დაბალანსებული შემცველობის გამო.

3 ჯანმრთელობისთვის სასარგებლო

როგორც აღვნიშნეთ, სიმინდის ზეთი დიდი რაოდენობით შეიცავს „E“ ვიტამინს, რომელიც თავისთავად ანტიოქსიდანტია. იცავს ორგანიზმის უჯრედებს განადგურებისგან, აჩერებს ცილების ცვლას და აძლიერებს კაპილარების გამტარიანობას, ხელს უწყობს ემბრიონის სწორ განვითარებას, ენდოკრინული და ნერვული სისტემების სწორ ფუნქციონირებას, ასევე ხელს უწყობს იმუნიტეტის და კუნთოვანი სხეულის გაძლიერებას. მასში არსებული ლინოლეური მჟავა აჩქარებს ლიპიდების დაშლას და მათ გამოყვანას ორგანიზმიდან.

4 გარეგნული სილამაზისთვის

სიმინდის ზეთით მკურნალობა შესაძლებელია როგორც გარეგნული, ასევე შინაგანი ეფექტისათვის. ხელს უწყობს თმის, კანის და ფრჩხილების სილამაზის შენარჩუნებას.

ნუგზარ ერგემლიძე ლონდონში ბერძენი მომღერალი ეგონათ

„მე გეტყვით, როგორია ცხრაბალიანი შტორმი!“

ჟურნალისტი და მხატვარი, ნუგზარ ერგემლიძე, მოგზაურობაში ნამდვილად იღბლიანია. წელიწადში ორჯერ მაინც სადმე მიემგზავრება. მისთვის ეს პროცესი ყოველთვის ახლის შეცნობასთანაა დაკავშირებული. ღირსშესანიშნაობებზე არანაკლებად ხალხის გაცნობა, მათთან ლაპარაკი აინტერესებს. მისი საყვარელი ტრანსპორტი გემია. რაც მთავარია, კარგ განწყობას არასდროს და არსად კარგავს, ყველგან სიმღერის ხასიათზეა, თუნდაც გარშემო ომი, არეულობა ან სულაც შტორმი იყოს.

— ბატონო ნუგზარ, საბჭოთა პერიოდში ხშირად გქონდათ გასტროლი და შესაბამისად ბევრი ქვეყნის ნახვის შესაძლებლობა. ახლაც ხშირად გიწევთ მოგზაურობა?

— ახლაც წელიწადში ორჯერ მაინც მიწევს საზღვარგარეთ გასვლა. მე და ჩემს მეგობრებს, ზურა კობეშავიძეს, მერაბ სეფაშვილს და სხვებს, გემზე კრუიზებში ხშირად გვიწვევდნენ. ანსამბლ „75“-ის დროს ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში გვიწევდა გასვლა. ეს მოგზაურობა კი არა, უფრო სამსახურებრივი საქმიანობა იყო.

— გემით მოგზაურობა მოგწონდათ?

— ძალიან საინტერესოა. შავი ზღვის გავლით ძირითადად ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში ვმოგზაურობდით — კვიპროსი, საბერძნეთი, იტალია, ესპანეთი... რუკას თუ დააკვირდებით, კანარის კუნძულებიდან ამერიკაში მოხვედრა იოლია, მაგრამ ვერ მოვხვდით, რადგან ჩვენს მარშრუტში არ შედიოდა.

გემი არაჩვეულებრივი რამ არის. ხშირად ვამბობ, სიტყვა „გემოვნება“ გემიდან მოდის-მეთქი. გემზე თუ ხარ და თან კარგი ქალიც გახლავს, ამას არაფერი შეედრება.

— საქართველოს ქალაქების, კუთხეების მონახულებაც თქვენთვის მოგზაურობაა?

— რატომაც არა?! შარშან ზამთარში პირველად წავედი მესტიაში. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან ბიზნესმენები იყვნენ ჩამოსული და მათთან ერთად გავემგზავრე, კვალდაკვალ თოვლი მოგვდევდა და ხიფათიანი გზა გავიარეთ. მეგონა, იქ წასვლა სარისკო არ იქნებოდა, მაგრამ თოვა არ ჩერდებოდა, მანქანა სრიალებდა... შთამბეჭდავი მოგზაურობა გამოგვივიდა, ეს არასოდეს დამავიწყდება. დელეგაციის ხელმძღვანელმა თქვა, მესტია ძალიან მომწონს, მაგრამ აქ მეორედ აღარ ჩამოვალო.

> „ხშირად ვამბობ, სიტყვა „გემოვნება“ გემიდან მოდის-მეთქი. გემზე თუ ხარ და თან ჯარგი ქალიც გახლავს, ამას არაფერი შეედრება“.

რა, ვარძიაში მოგზაურობა მოგზაურობა არაა?! ზემო აჭარაში თამარის ხიდია, ახლოსაა, მაგრამ ბევრს არ ექნება ნანახი. ჩემი მეგობარი ხუმრობდა, მუხა არ დატოვე, რომლის ქვეშაც კონცერტი არ ჩაგიტარებიაო.

— უცხოეთში ჩასული პირველად რას მონახულებას ცდილობთ?

— მოვლილი მაქვს პარიზის ლუვრი, დრეზდენის სამხატვრო გალერეა, პეტერბურგის ერმიტაჟი... ბონში ბეთჰოვენის სახლ-მუზეუმშიც ვიყავი. 10 საათზე გახლდით და ბეთჰოვენი სახლში არ დამხვდა. მე უფრო ადამიანებთან დალაპარაკება მიზიდავს, შეხვალ ბარში... ლონდონში ბარს „კვებეკი“ ეწერა, ძველი ბარია, შერლოკ ჰოლმსის პერიოდის. შევედი, ავიღე ლუდი და დაიწყო „ბითლზის“ სიმღერა „ლეთ ით ბი“ („დაე, სულ იყოს“.). გამიხარდა, დამლოცეს-მეთქი. მერე მთელი ჩემი სამეგობრო მოვიდა და ბარი გავავსეთ.

— დაიარეთ ლონდონის ქუჩები?

— კი. ერთ დღეში 5 რესტორანში მოვხვდი, მეგობრები მეპატიჟებოდნენ. იაპონური რესტორნიდან წამოვედით და იტალიურში შევედით, ძალიან გვიან კი ბერძნულში აღმოვჩნდი.

ახლა საბერძნეთში მომხდარი კურიოზი გამახსენდა. იპოლიტე ხვიჩიას შვილიშვილმა, მანანა ხვიჩიამ, 2006 წელს მეგობრებთან ერთად საბერძნეთში წამიყვანა. დიდი მსახიობებისადმი მიძღვნილი საღამო ჩავატარეთ, იპოლიტე ხვიჩია, ეროსი მანჯგალაძე, გიორგი შავგულიძე, სალომე ყანჩელი და სესილია თაყაიშვილი გავიხსენეთ.

ფოიეში ვიდექი, ეკრანს გავხედე და საკუთარი თავი დავინახე. მივუახლოვდი, დავაკვირდი და ჩემზე 10-12 წლით უფროსი კაცი აღმოჩნდა — ვიღაც ბერძენი მომღერალი საოცრად მგავდა. შემდეგ ქართველებმა ბუზუკებზე წამიყვანეს. ეს არის მათი მუსიკალური კლუბი, სადაც ქეიფობენ, თეფშებს ამტვრევენ და ბუზუკებზე უკრავენ. ხალხმა რომ დამინახა, მიხაკების სროლა დამიწყო. მივხვდი, რომ იმ მომღერალს მიმამსგავსეს.

ეგ რა არის! ლონდონში ბერძნულ რესტორანში რომ შევედი, ხალხს იქაც ის მომღერალი ვეგონე, ფეხზე წამოხტნენ და დიდი შეხვედრა მომიწყვეს. ვინანე, ერთი ბერძნული სიმღერა მაინც მესწავლა და შემესრულებინა-მეთქი.

— უცხოეთში რაიმე ექსტრემალურ სიტუაციაში აღმოჩენილხართ?

— 1993 წელს გერმანიაში შვილი მოვინახულე. ზურა კობეშავიძეც ჩემთან ერთად იყო, მანქანა იყიდა და იქიდან ავტომობილით წამოვედით. რუმინეთის საზღვართან დიდი რიგი იდგა, გადამეტებაში ნუ ჩამითვლით და, 5 კილომეტრიან საცობში მოვყევით, დღეში მხოლოდ 5 მეტრით თუ წაიწევდი წინ.

> „ახავის ეგონოს, ჰომ ყოფილ საბჭოთა ჯავშირში სოციალიზმი იყო! სოციალიზმი შვედეთში, ნორვეგიასა და ფინეთში. შვედეთში ჩემი თვალით ვნახე, ფინანსთა მინისტრი გადასასვლელზე ხალხთან ერთად ჰოგოს გადავიდა და სუპერმარკეტში შევიდა. აქ დაცვა ახლდა და აქ მანქანა ჰყავდა“.

ინიციატივა გამოვიჩინე და იუგოსლავიიდან გადასვლა გადავწყვიტეთ. ვიღაც მძღოლს რუსულად ვკითხე, ბელგრადში ომი ხომ არ არის-მეთქი. გვიპასუხა, არაო და დავუჯერეთ. მანქანა მოვაბრუნეთ და ბუდაპეშტიდან იუგოსლავიის საზღვარზე მივედით, მაგრამ ვინ შეგვიშვა! გვითხრეს, ბუდაპეშტში წადით და ვიზები აიღეთო. ჩვენ არ წავედით. მერე გვითხრეს, წადით მინისტრთანო. სლავურ ენაზე მინისტრი პოლიციას ნიშნავს. ჩვენც მივედით მინისტრთან, რომელსაც სადამ ჰუსეინივით ულვაშები ჰქონდა. ფურცლები მოგვაწოდა, დაწერეთ, აქ რატომ მოხვედითო. ჩემს ბავშვობაში იუგოსლავიური ესტრადა იყო მოდაში და გამახსენდა, რომ ძალიან მიყვარდა ჯორჯ მარიანოვიჩი. იმ პოლიციელს ზურაზე ვანიშნე, მარიანოვიჩი ამის ძმაკაცია-მეთქი და მისი სიმღერის მღერა დავიწყე... 150 გერმანული მარკით დაგვაჯარიმეს, გადავიხადეთ და იუგოსლავიაშიც „შევიჭერით“.

საქართველო ხომ გაუბედურებული დავტოვეთ, მაგრამ იმაზე გაუბედურებული იუგოსლავია დაგვხვდა. ბენზინგასამართ სადგურზე ბენზინი არ იყო. ვიღაც ტიპი მოვიდა, ერთი „კანისტრა“

→44

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

20 მარკა დაგვიფასა. ფული მივეცით, წავიდა, მაგრამ აღარ გამოჩნდა. მერე ვიღაც ულვაშებიანები მოგვადგნენ. ვიფიქრე, აი, ახლა კი მანქანასაც წაგვართმევენ და კარგადაც გვცემენ-მეთქი, მაგრამ კარგი ხალხი აღმოჩნდა, დახმარება შემოგვთავაზეს. ის კაციც მოვიდა და ბენზინიც მოგვიტანა. გადავრჩით, მაგრამ კარგა გვარიანად კი შევშინდით! ბოლოს ვიფიქრეთ, რომ ისევ იმ 5 კილომეტრიან საცობში დგომა სჯობდა.

— უცხოეთში ოფიციალურად თუ არაოფიციალურად ბეჯრგან გამღერიათ, მაგრამ ხატვის შუზა თუ გსტუმრებიათ?

— ხატვის განწყობას ყოველთვის სილამაზე განაპირობებს. ღამის პარიზი დავხატე პატარა ავტომობილებითა და შეყვარებულებით. ეს ნახატი გავაჩუქე. ღამის პარიზიც ღამაზია და

„საქართველო ხომ გაებედუჩებული დავტოვეთ, მაგრამ იმაზე გაებედუჩებული იუგოსლავია დაგვხვდა. ბენზინგასამართ სადგურზე ბენზინი არ იყო. ვიღაც ტიპი მოვიდა, ეთქი „ანისტრა" 20 მარკა დაგვიფასა. ფული მივეცით, ნავიდა, მაგრამ აღარ გამოჩნდა...".

ლონდონიც! ლონდონში თავისუფალი და მხიარული ხალხი ცხოვრობს, მთელი ღამე თამაშობენ. სამბორბლიანი ველოსიპედებია, უკან 4 კაცი ეტევა. მასზე დაჯდომა ძალიან მიყვარდა. იტალიელ ბიჭებს დაჰყავდათ ხოლმე. ერთმა ჩვენს ქვეყანაზე მკითხა. ქუთაისელი კაცი მახლდა თან, რომელმაც ჩემზე უთხრა, ეს ჩვენთან ჩელენტანოსავით არისო. იმ იტალიელმა ველოსიპედის ქირის ფული არ გამომართვა და ჩემთან ერთად სურათიც გადაიღო.

პარიზიც თავისებურია. ეიფელის კოშკზე ვიყავით, რამდენიმე კაფე მოვიარეთ და, რაც მთავარია, წამიყვანეს იქ, სადაც კარგი მუსიკა ჟღერდა. ძალიან მაღალი დონე იყო. იქ მაგიდას დაიკავებ, გოგონა მოვა და წინასწარ ეტყვი, რა სიმღერის მოსმენა გინდა. ლუი არმსტრონგის ერთ-ერთი სიმღერა შევუკვეთე. დარბაზი შემსრულებლებსაც ტაშს უკრავს და სიმღერის შემკვეთსაც. მთელი პარიზის ქართველობა მოვიდა, ვმღეროდით და ვსვამდით.

— წინა მოწვევის პარლამენტის დეპუტატი იყავით. იმ პერიოდში სად იმოგზაურეთ?

— პრაღას გავიხსენებ, ულამაზესი ქალაქია. ჩვენთან რომ ფუნიკულიორია, ისეთ ადგილას, ზემოთ ვიყავით. მთლად ფუნიკულიორს არ ჰგავს, რადგან ცოტა დაბალზეცაა და თან პრაღაში არც მთები შემინიშნავს. გორაკიდან რომ გადმოვიხედე, კრამიტის ულამაზესი სახურავები დავინახე. ჰაერში სულ ბურთები დაფრინავს. ყველა ქუჩა მოკირწყლულია. პრაღაში ჩემი ყოფნა მაჭრის დღეობას დაემთხვა და ყველა მთვრალი დადიოდა. ხალხს უფასოდ სთავაზობდნენ მაჭარს, მაგრამ არ დამიგემოვნებია. მე უფრო ლუდის მოყვარული ვარ და უპირატესობას ჩეხურ ლუდს ვანიჭებ.

სლოვენიაში, ხორვატიაში, ჩეხეთში ქლიავის არაყი „სლივოვიცა" მზადდება. არაჩვეულებრივი და თან სასარგებლოა, ვერ ვხვდები, ჩვენთან რატომ არ აკეთებენ. ეს არაყი ხორვატიაში დავლიეთ, კარგ ხასიათზე დავდექი და გადამეკიდნენ, რამე თქვიო. ხორვატ დეპუტატ კაცს ზასტუპნიკ ჰქვია, ქალ დეპუტატს — ზასტუპნიცა. უცებ ასეთი ლექსი მოვიფიქრე: „როცა შევსვი „სლივოვიცა", გამახსენდა ლუბოვნიცა, გავიხედ-გამოვიხედე, აგერ არ ზის ზასტუპნიცა?!".

— როგორც მიგხვდი, საზღვარგარეთ რესტორნების ხშირი სტუმარი ხართ. გამორჩეულად რომელი ქვეყნის სამზარეულო გიყვართ?

— ჩემი პრინციპი ასეთია — ის კერძი უნდა დაგემოვნო, რომლითაც ესა თუ ის ქვეყანაა ცნობილი, მაგრამ ამ ბოლო დროს საზღვარგარეთ იმდენად გაიზარდა ქართული დიასპორა, რომ ყველა ქართულ რესტორანში გექაჩება.

ისრაელში მრავალფეროვანი კერძებია, ცხარე საჭმელები, საწებლები უყვართ. მართალია, ღორის ხორცს არ ჭამენ, მაგრამ ინდაურის და ყველანაირი ფრინველის შესანიშნავი მწვადი იციან. ბერძნული სამზარეულოც მომწონს, რადგან თევზეული ძალიან მიყვარს. არც ჩინურ სამზარეულოზე ვამბობ უარს, გერმანიაში ჩინურ რესტორანში რამდენჯერმე ვიყავი.

— წმინდა მიწიდან როგორი შთაბეჭდილებებით ჩამოხვედით?

— რა თქმა უნდა, საოცარი განცდა გეუფლება იერუსალიმში ვია დოლოროსას გავლისას. ქვები ზუსტად იმდროინდელია, რომელზეც მაცხოვარმა გაიარა. ახლა იქ სულ ვაჭრობაა, არაბები ხატებს, ჯვრებს და რას აღარ ყიდიან. ებრაელმა მასპინძლებმა გვითხრეს, აქ ქართულად ილაპარაკეთ, თორემ შეიძლება ბომბიც კი გვესროლონო. საშიში სიტუაცია იყო. 20-25 ადამიანის ერთად ყოფნა უკვე საშიშია, ტერორისტები ამ დროს მოქმედებენ.

— ბოლოს სად იმოგზაურეთ?

— ბოლოს შვედეთში ვიყავი გასტროლზე. გიდი დავიქირავეთ, მოვიარეთ იქაურობა და ამ ქვეყნის შესახებ ყველაფერი გავიგეთ. არაჩვეულებრივი, საოცარი სოციალური სამართლიანობის ქვეყანაა. არავის ეგონოს, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში სოციალიზმი იყო! სოციალიზმი შვედეთში, ნორვეგიასა და ფინეთშია. შვედეთში ჩემი თვალით ვნახე, ფინანსთა მინისტრი გადასასვლელზე ხალხთან ერთად როგორ გადავიდა და სუპერმარკეტში შევიდა. არც დაცვა ახლდა და არც მანქანა ჰყავდა. იქ სტუდენტს შეუძლია სწავლისათვის ფული ისესხოს ბანკიდან და 60 წლამდე წელიწადში პროცენტნახევარი გადაიხადოს. შვედეთში მამაკაცები საშუალოდ 79 წელი ცოცხლობენ, ქალები — 83 წელი.

— გემი გყვარებიათ. თვითმფრინავი თუ არის კომფორტული თქვენთვის?

— სხვა რა გზაა?! შიში ვერ იხსნის სიკვდილსაო, ხომ გაგიგიათ. თვითმფრინავში ალკოჰოლიან სასმელს ვსვამ და არა მხოლოდ მე, ქართველებს ფრენის დროს დალევა ძალიან უყვართ. ფხიზელ მდგომარეობაში სიკვდილს ჯობია მთვრალი მოკვდე. ამბობენ, რომ გემი უფრო ხშირად იძირება, ვიდრე თვითმფრინავი ვარდება.

გემზე 3-4-ჯერ ისეთ შტორმში ვარ მოყოლილი, ფეხზე ვერ ვიდექი. ლიონის ყურე საშინელი ადგილია, იქ ნოემბერი და თებერვალი განსაკუთრებულად ცუდია და მაინცდამაინც თებერ-

„გემს ხომ ტალღა დაახტყამს, ჯედლები ჭრიალებს, ჩაინის ხმა გესმის. ნაბიჯის გადადგმა ხომ გინდა, ორმეტრიანი ორმო გხვდება. გემი მაღლა ხომ ამოიწევა, მაშინ თუ გაივლი, თორემ წყალში ხომ ჩადიხარ, ისეთი შეგრძნება გაქვს, ფეხს ტყუილად იქნევ, ამიტომ უნდა იწვე...".

ვალში მოვხვდი. რუსების გემი იყო, ისინი ხომ ფულს ზედმეტად არსად გადაიხდიან. პორტში გაჩერება ძვირი ღირდა და შუა წყალში შეგვიყვანეს.

მე გეტყვით, როგორია ცხრაბალიანი შტორმი. გემს რომ ტალღა დაარტყამს, კედლები ჭრიალებს, რკინის ხმა გესმის. რაც მთავარია, ვერ დადიხარ, ნაბიჯის გადადგმა რომ გინდა, ორმეტრიანი ორმო გხვდება. გემი მაღლა რომ ამოიწევა, მაშინ თუ გაივლი, თორემ წყალში რომ ჩადიხარ, ისეთი შეგრძნება გაქვს, ფეხს ტყუილად იქნევ, ამიტომ უნდა იწვე. გულისრევასა და თავბრუზე აღარაფერს ვამბობ. თებერვალში შტორმში კი არა, კარგ ამინდში ვერ გაცურავს ადამიანი, წყალი ისეთი ცივია. საბედნიეროდ, ჩვენ გაგვიმართლა და გადავრჩით!

✓ **სოფიო ბოჭორიძე**

სევილია — სამხრეთ ესპანეთის ხიბლი

ისტორიული ქალაქი სევილია სამხრეთ ესპანეთში, მდინარე გვადალკვივირზე, ატლანტის ოკეანის სანაპიროდან 87 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. ის ანდალუსიის ავტონომიური რეგიონისა და სევილიის პროვინციის დედაქალაქია.

სევილიაში მოგზაურობა ნიშნავს შეხვედრას მზესთან, შესანიშნავ სამზარეულოსთან და სტუმართმოყვარეობასთან. ასევე შეხვდებით უძველესი ცივილიზაციის ნაკვალევს, თვალწარმტაც და უნიკალურ პეიზაჟებს.

მცირე ჰამ ისტორიიდან

სევილია (ძველად ჰისპალისი) იბერიული ტომების, კერძოდ კი ტურდეტანების, ცენტრი იყო. ძვ.წ.აღ-ით მე-3 საუკუნეში ქალაქი რომაელებმა დაიპყრეს.

712-1248 წლებში, არაბთა ბატონობის პერიოდში, სევილიაში ხელოსნობამ დიდ აღმავლობას მიაღწია. არაბთა ბატონობის დასრულების შემდეგ კი ქალაქი კასტილიისა და ლეონის სამეფოს შემადგენლობაში შევიდა.

Cyan Magenta Yellow Black

ჯიმატი

სევილიაში სუბტროპიკული კლიმატია გამეფებული მწველი ზაფხულითა და რბილი, წვიმიანი ზამთრით. საშუალო ტემპერატურა იანვარში 18-12 გრადუსამდე მერყეობს, ივლისში — 18-35 გრადუსამდე. ევროპის კონტინენტის მასშტაბით, აგვისტოს თვეში ყველაზე დიდი სიცხეები სწორედ სევილიაშია, ამ დროს ტემპერატურა 40 გრადუსზე მაღლაც ადის. იანვარში კი საშუალო ტემპერატურა 8-15 გრადუსია.

სევილიაში თოვლი იშვიათად მოდის. ქალაქში ყველაზე მაღალი ტემპერატურა — 50 გრადუსი 1981 წლის 4 აგვისტოს დაფიქსირდა, ხოლო ყველაზე დაბალი — -8 გრადუსი, 2005 წლის 28 იანვარს.

ენა

სევილიის ოფიციალური ენა ესპანურია. გარდა ამისა, ქალაქის მოსახლეობა კატალონიურს, ბასკურსა და გალიციურსაც იყენებს. ქუჩებში შესაძლებელია არაბული, თურქული და სხვა აზიური ენების მოსმენაც.

სასტუმროს გარეთ ინგლისური მხოლოდ განათლებულმა საზოგადოებამ იცის, ხოლო ბარმენები, ოფიციანტები, გამყიდველები ამ ენაზე ვერ დაგელაპარაკებიან. ასე რომ, სევილიაში ელემენტარული ესპანურის ცოდნა სავალდებულოა.

ფული

სევილიის ოფიციალური ვალუტა ევროა. 2002 წლამდე მიმოქცევაში ესპანური პესეტა იყო. გაითვალისწინეთ — ტურისტულ სეზონზე ფასები საგრძნობლად იზრდება. გირჩევთ, ვალუტის გადასაცვლელად ბანკებს მიაკითხოთ, რადგან მაღაზიებში, სასტუმროებსა და გადასაცვლელ ჯიხურებში დაბალი კურსია და თანაც თავისუფლად შეიძლება ყალბი ფული შემოგაპარონ.

რაც შეეხება ხელის ქირას, ნებისმიერ დაწესებულებაში მომსახურების 10 პროცენტს ყოველთვის იტოვებენ. ზოგადად კი სევილია სიძვირით არ გამოირჩევა, პირიქით, მადრიდთან და ბარსელონასთან შედარებით ყველაფერი ცოტათი მაინც იაფია. სასტუმროს ორადგილიანი ნომრის ფასი 50 ევროდან იწყება და 8 ათას ევრომდე ადის.

ჰელიგია

სევილიაში მოსახლეობის უმეტესობა კათოლიკეა. ქალაქში 50-მდე კათოლიკური ეკლესიაა. ემიგრანტების გამო ყოველდღიურად იზრდება მუსლიმთა რიცხვი.

გადაადგილება

სან პაბლოს სახელობის აეროპორტი ცენტრიდან 25 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს. ცენტრამდე მისვლას ავტობუსით ან ტაქსით შეძლებთ. ავტობუსები ყოველ ნახევარ საათში ერთხელ დადის, ერთჯერადი მგზავრობის ღირებულება კი 4 ევროა. რაც შეეხება ტაქსებს, ფიქსირებული გადასახადი აქვთ დაწესებული — 18 ევრო.

ევროპის ქვეყნებიდან სევილიაში ავტობუსით, მატარებლით ან მანქანით მოხვდებით. იქ მსოფლიოში საუკეთესო მეტრო ფუნქციონირებს, რომლის ღირებულება 1 ევროს შეადგენს. თუ ერთკვირიან ბარათს შეიძენთ, ნახევარ ფასად იმგზავრებთ. ამჟამად სევილიის მეტროს დამატებად შეიძლება ჩაითვალოს თანამედროვე ტრამვაის ხაზი. ის 35 წლის შემდეგ ხელახლა გაიხსნა და „მსუბუქ მეტროს“ უწოდებენ. ქალაქში ნებისმიერი სახის ტრანსპორტი ძალიან მოწესრიგებულად მოძრაობს.

გვადალკვივირის პორტი მდინარეზე გაშენებული ერთადერთი პორტია მთელ ესპანეთში. ასე რომ, ტურისტულ სეზონზე სევილიაში ჩასვლა კრუიზითაც არის შესაძლებელი.

ქალაქში ღამით მგზავრობას ე.წ. ღამის ავტობუსებით შეძლებთ, რომლებიც 20 წუთიანი ინტერვალებით დადიან. სევილიაში ველოსიპედი ძალიან პოპულარულია და მისთვის სპეციალური ტრასებია გამოყოფილი. ამ ტრანსპორტის ერთი დღით დაქირავება 50 ევრო ღირს.

სამზახეველო

ესპანური სამზარეულო თავიდან ბოლომდე ჯანსაღ კვებასთან ასოცირდება. ესპანელები წინა დღეს მომზადებულ კერძს არასოდეს ჭამენ. ნაციონალური კერძების უმრავლესობა ზღვის პროდუქტებითა და ბოსტნეულით კეთდება. პომიდვრისგან მომზადებული ცივი წვნიანი გასპაჩო ძალიან პოპულარული კერძია. ტურისტები კი ყველაზე ხშირად ქაშაყს ითხოვენ შავი ბრინჯით.

არ გაგიკვირდეთ, როდესაც თევზსა და ღორის ხორცს საწებელთან ერთად მოგართმევენ ერთი თეფშით. ადგილობრივებისთვის ეს საყვარელი კერძია და მას მარ ი მუნტანიას უწოდებენ. ესპანელები ყველა კერძს ზეითუნის ზეთზე ამზადებენ. ბოლო დროს ზღვის პროდუქტების შემდეგ ყველაზე პოპულარულია ხორცი. ხორციანი კერძებიდან აღსანიშნავია ღორის, ქათმის ხორცისა და ბოსტნეულისგან მომზადებული ესკუდელა კარნ ოლა.

სევილიის რესტორნებში ნებისმიერი ქვეყნის სამზარეულოს ცნობილ თუ ნაკლებად ცნობილ კერძებს შემოგთავაზებენ და

■ საკათედრო ტაძარი სევილიაში

ფასებიც ნორმალურია. საშუალო კლასის რესტორანში 30 ევროდ ისადილებთ, მაღალი კლასის რესტორანში კი სადილის ფასი 150 ევროდან იწყება. გარდა ამისა, საკმაოდ ნორმალურად შეგიძლიათ დანაყრდეთ ფასტ ფუდით, გემრიელ სენდვიჩებს 2 ევროდაც შეიძენთ.

ესპანელები რძის პროდუქტებს იშვიათად მოიხმარენ. სასმელებს შორის ყავა ყველაზე პოპულარულია, თანაც იმდენად, რომ რესტორნებსა და კაფეებში ჩაის მოყვარულთა მოთხოვნა შეიძლება ვერც კი დაკმაყოფილონ. ადგილობრივებს ძალიან უყვართ ტკბილეული და, როგორც თავად ამბობენ, ნამცხვრების საიდუმლო რეცეპტები აქვთ. ამაში მათ მიერ მომზადებული ნუგბარის გასინჯვა დაგარწმუნებთ. ღვინის ქვეყანაში, რა თქმა უნდა, ღვინოც შესანიშნავი აქვთ.

ღირსშესანიშნაობები

სევილია დღეს სამხრეთ ესპანეთის ხელოვნების, კულტურისა და ფინანსების დედაქალაქად ითვლება. გარდა ამისა, ქალაქი ერთ-ერთი უმსხვილესი ტურისტული ცენტრია არამხოლოდ ესპანეთში, არამედ ზოგადად დასავლეთ ევროპაში.

სევილიაში მოგზაურობის დროს, პირველ რიგში, უნდა მოინახულოთ ძველი ქალაქი, რომელიც სევილიის ცენტრშია, ასევე — კონსტიტუციის და ჰერცოგის მოედნები. განსაკუთრებულად პოპულარული ქუჩაა კალე დო სიერპესი, სადაც შენობების უმეტესი ნაწილი ძველ რომაულ სტილშია აშენებული.

აუცილებლად უნდა მოინახულოთ საკათედრო ტაძარი, რომლის ისტორია 1402 წლიდან იწყება. მას თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში აშენებდნენ. ეს უდიდესი რომაულ-კათოლიკური კათედრალია. ცენტრალური თაღი 42 მეტრის სიმაღლისაა, გვერდითი სამრეკლოები კი იმხელაა, რომ თითოეული ცალკე ეკლესიას დაიტევს. კათედრალს ძვირფას ქვათა, ფერწერულ ტილოთა და სკულპტურათა დიდი კოლექცია აქვს. კათედრალი 1987 წელს იუნესკო-ს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში შეიტანეს.

მე-15 საუკუნეში აგებული მარია დე ლა სედეს ციხესიმაგრე ტურისტებში ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს. მას ნამდვილად არ ჩამოუვარდება მე-14 საუკუნით დათარიღებული სამეფო ციხესიმაგრე ალკასარი, რომელიც 700 წლის განმავლობაში ესპანეთის მეფეების მთავარი რეზიდენცია იყო. სევილიაში ინდოეთის არქივი მოიცავს ძვირფას დოკუმენტებს, რომლებიც ამერიკასა და ფილიპინებზე ესპანეთის იმპერიის მმართველობის ისტორიას აღწერს. 1987 წელს არქივის შენობა და არქივიც იუნესკო-ს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში შეიტანეს.

ამ ყველაფრის გარდა, სევილიაში სანახავი კიდევ ბევრი რამ არის, თუნდაც ოვალური ამფითეატრი, არქიეპისკოპოსის სასახლე, ასევე — პილატეს სახლი, რომელიც ესპანური არქიტექტურული სტილის ყველაზე კარგი მაგალითია.

უსაფრთხოების წესები

კრიმინალური თვალსაზრისით, სევილია საკმაოდ საშიში ქალაქია. ტურისტულ სეზონზე ძარცვის შემთხვევები საგრძნობლად მატულობს. ხალხმრავალ ადგილებში სიფრთხილის გამოჩენა გმართებთ. პოლიციელის გარდა, დახმარება არავისგან მიიღოთ.

გაითვალისწინეთ, რომ მუზეუმების, ციხესიმაგრეებისა და სხვადასხვა კულტურული ძეგლების დათვალიერებისას ფოტოების გადაღება აკრძალულია, წინააღმდეგ შემთხვევაში, სერიოზული ჯარიმებია დაწესებული.

უბის წიგნაჯი

ქვეყანა — ესპანეთი;
ფართობი — 140 კვ.კმ;
მოსახლეობა— 703.021;
ოფიციალური ენა — ესპანური;
ოფიციალური ვალუტა — ევრო.

✓ მოამზადა თათია ბოჭორიძემ

Cyan Magenta Yellow Black

ბედის სიურპრიზი

ქტიური ადამიანი საკუთარი მომავლისთვის, წარმატებისთვის იბრძვის, ინერტული კი ბედის ძახილს ელოდება. ხანდახან ისეც ხდება, რომ ზოგიერთს მართლაც „დაუძახებს“ ბედი, ზედ კარზე მიადგება. ასეთ დროს მოულოდნელად ადამიანში დაფარული ძალა იღვიძებს, გაყოჩაღდება და ბედნიერებასაც მოიხელთებს.

ჩვენი რესპონდენტი, ახალგაზრდა ქალი რუსკა, ქალიშვილობაში წუნია გახლდათ, გათხოვებას არ ესწრაფვოდა, ცოტაც და შინაბერად დარჩებოდა, მაგრამ ერთ დღეს მის ცხოვრებაში მოულოდნელად გამოჩნდა მამაკაცი და მიხვდა, რომ სწორედ ის იყო, ვისაც ელოდა. არადა მათი ურთიერთობა ისე არარომანტიკული, ყოფითი მიზეზით დაიწყო, ვერავინ იფიქრებდა, რომ მისი შედეგი ბედნიერი ოჯახის შექმნა იქნებოდა.

რუსკა:

— საშინელი წუნია ვიყავი და 30 წელს ისე გადავაბიჯე, გულით არავისკენ გამიხედავს. ჩემმა ძმამ ცოლი მოიყვანა და ცალკე გადავიდა საცხოვრებლად. მე მშობლებთან დავრჩი. ოჯახში ბაბუა გვყავდა მამის მხრიდან. ცხოვრებაში ბევრი სირთულე ჰქონდა გადატანილი, რამაც ხასიათი საშინლად გაუფუჭა. მის გამო ოჯახში მძიმე აურა იყო. სიახლეს ვერ იტანდა, არაფერს გვაცვლევინებდა, არც ავეჯს და არც ნივთებს.

ბაბუას გარდაცვალების შემდეგ გადავწყვიტეთ, ბინა გაგვეახლებინა. რემონტი გავაკეთეთ, დიზაინი მთლიანად შევცვალეთ, ძველი ავეჯი გავყიდეთ, ზოგიც გავაჩუქეთ და ახალი შევიძინეთ. ჩემი ოთახისთვის მინდოდა, ერთი სტილის ინტერიერი შემეძინა. იმ თანხით, რაც ხელში მეჭირა, ჩემს მოსაწონს ვერაფერს ვშოულობდი. რაც მომწონდა, ცეცხლის ფასი ედო.

ოჯახის წევრები მსაყვედურობდნენ, შენი მოსაწონი არც კაცი დაბადებულა და არც ავეჯი გაუკეთებიათო. მართლაც ასე იყო, ყველა კაცს ვიწუნებდი, ვინც ჩემი ცხოვრების გზაზე გამოჩნდა. საერთოდაც, ყველა კაცს ნაკლს ვუძებნიდი, უფრო სწორად, მათი ნაკლი მხვდებოდა თვალში და დადებითს ველარ ვხედავდი. მაინცდამაინც არც დაქალების ქმრებს ვწყალობდი. „ღმერთო ჩემო, რამ გააყოლა!“ — ვფიქრობდი გულდაწყვეტით, თუ რომელიმე მეგობრის ქმარი ნასვამი დაბრუნდებოდა შინ ან ტონს გაიმკაცრებდა, შენიშვნას მისცემდა ცოლს. ჩემი დაქალები კი ამას ჩვეულებრივ მოვლენად თვლიდნენ და მათ გვერდით თავს ბედნიერად გრძნობდნენ.

ერთ ჩემს დაქალს, ანუშკის, ენაკვიმატი ქმარი ჰყავს, ვერც ტაქტიანობით დაიკვეხნის. ერთხელ ღიმილით მითხრა, რუსკა, შინაბერას „წიკები“ დაგეწყო, შენი მარტო დარჩენა არ შეიძლება, თავს უნდა უშველოო. ვითომ გამეხუმრა, მე კი ლახვარივით დამესო გულზე და ძალიან დიდხანს ველარ მოვიგლიჯე. უქმრობა არ მაწუხებდა, მაგრამ შინაბერას იარლიყი გულს მიხეთქავდა...

— მერე არაფერი იღონეთ სიტუაციის შესაცვლელად?

— ავეჯის თემას დავუბრუნდები. ახლობელმა მირჩია, საუკეთესო ხელოსანს ვიცნობ, ნამუშევრებს გაჩვენებ და, თუ მოგეწონება, ოთახს მოგიწყობსო. ნამუშევრები მართლაც უზადო გახლდათ, წუნს ვერ მოუძებნიდი. ხელოსანს დიტო ერქვა, ტელეფონით დავუკავშირდი და მეორე დღესვე ბინაში დავიბარე. ზაფხული იყო და ერთი შვებულება ამ საქმეს შევწირე. მშობლები დასასვენებლად წავიდნენ და შინ მარტო ვიყავი.

მოვიდა ხელოსანი, თმაგაბურძგნული, წვერგაუპარსავი. „ვინ არის ეს სოფლელი?!“ — გავიფიქრე, ავათვალ-ჩავათვალიერე და იმდენად არ მომეწონა, ნამუშევრებით რომ არ ვყოფილიყავი აღფრთოვანებული, ნამდვილად უკან გავაბრუნებდი. თან უცერემონიოდ იქცეოდა, შინაურივით ხელი ჩამომართვა და მომიკითხა, მერე ოთახები მოიარა, ინტერიერი და რემონტი ნახა, რაღაც დაიწუნა, რაღაც მოიწონა, თითქოს ვინმე აზრს და ჭკუას ეკითხებოდა. მერე ჩემი ოთახიც მუშტრის თვალით შეაფასა და მთელი ჩემი გეგმა ავეჯის განლაგებასთან დაკავშირებით ერთი ხელის მოსმით ამოაყირავა, მე თუ მკითხავ, ასე ბევრად გონივრული იქნება და, თუ ფართის უაზროდ დაკარგვა გინდა, შენებურად გადაწყვიტეო.

„ყველა კაცს ვიწუნებდი, ვინც ჩემი ცხოვრების გზაზე გამოჩნდა. საერთოდაც, ყველა მამაკაცს ნაკლს ვუძებნიდი, უფრო სწორად, მათი ნაკლი მხვდებოდა თვალში და დადებითს ველარ ვხედავდი".

შენ ვინ გეკითხება, რა თავხედი ხარ-მეთქი, გავიფიქრე, თუმცა აღზრდამ შემიშალა ხელი, ხმამაღლა გამომეთქვა ჩემი აზრი. განსაკუთრებით მისმა შენობით მომართვამ გამაღიზიანა. მოვიფიქრებ და ხვალ შეგეხმიანებით-მეთქი, გავისტუმრე და მყისვე იმ ახლობელს დავურეკე, ვინც მიშუამდგომლა, მაგ ხელოსანს სახლში როგორ იტანდი-მეთქი. არ არის ცუდი ტიპი, მიენდე და რიგიანად იმუშავებს, მაგრამ თუ მასთან საქმის დაჭერა არ გინდა, შენი ნებააო, მითხრა. ასე ნაუცბათევად სხვა ხელოსანს, თანაც მაღალი რანგისას, ვერ ვიპოვიდი, შვებულება კი უკვე აღებული მქონდა, ამიტომ ვიფიქრე, ორი კვირა იმ კაცს როგორმე გავუძლებ-მეთქი და მეორე დღესვე დავიბარე.

— როგორც მივხვდი, ურთიერთობის შემდეგ მასზე აზრი შეიცვალეთ.

— კი, ასე იყო. ხელოსანი ინტერიერთან დაკავშირებით სწორად მირჩევდა, ზუსტი ხედვა ჰქონდა. ჩემი დაგეგმარებით ფართს ვკარგავდი, ამიტომ თავის ნებაზე მივუშვი და საბოლოოდ ოთახი ისე კარგად მომიწყო, კმაყოფილი დავრჩი. მის გამოხდომებსაც შევეჩვიე, სხვა რა გზა იყო. თან სასწაული იუმორი ჰქონდა, მომენტალურად ისეთ რამეს გეტყოდა, ვერ გაიგებდი, ხუმრობდა თუ მართალს ამბობდა. ინტელექტუალურიც იყო. ერთი სიტყვით, ძალიან გამართო. მისი გაბურძგნული თავი და გაუპარსავი სახე კვლავ მაღიზიანებდა, მაგრამ ღიმილი ჰქონდა მომხიბლავი და ყველა ნაკლს უფარავდა. თან სულ იღიმოდა!

ჩემი ხელოსანი გურმანიც აღმოჩნდა და მეც თავი გამოვიდე, ნაირგვარ კერძებს ვუკეთებდი. რეცეპტებს წიგნში ვკითხულობდი, რადგან პრაქტიკა არ მქონდა. თავად მიკვირდა, რომ დახელოვნებული მზარეულივით გემრიელი გამომდიოდა. აი, თურმე რას ნიშნავს მონდომება! დღეში ხუთჯერ სვამდა ყავას. ტკბილეული უყვარდა. ნამცხვარი პირველად რომ გამოვუცხვე, ისე შემიქო, ორ დღეში ერთხელ ახალ ნამცხვარს მივართმევდი.

ერთ მშვენიერ დღესაც აღმოვაჩინე, რომ ამ უცხო კაცს სიამოვნებით ვემსახურებოდი მაშინ, როცა სხვების გამო ტანის აზიდვა მიჭირდა. ჩემი ძმა სიზარმაცის დედოფალს მეძახდა. მშობლები თუ ახლობლები, ყველა აქეთ მემსახურებოდა. მეგობრები ჩემს სახლში თავად იდუღებდნენ ყავას.

— თქვენი ოთახის მოსაწყობად დიტოს რამდენი დრო დასჭირდა?

— საქმეს ნელა აკეთებდა, მაგრამ — საგულდაგულოდ. თითოეულ დეტალს ასჯერ ზომავდა. ოქროს ხელი ჰქონდა. მთელი ჩემი შვებულება ამ საქმეს შევალიეთ. მეგობრები მეუბნებოდნენ, როდისღა უნდა დაისვენო, სახლში გამოგკეტა მაგ ხელოსანმა, ამდენს რას ბოდიალობსო. მე კი — პირიქით, ვერც მის ბოდიალს ვგრძნობდი და არც შინიდან გასვლის სურვილი მქონდა. ვთვლიდი, რომ იმ სამუშაო პირობებშიც ჩინებულად დავისვენე.

— დიტოს წასვლის შემდეგ დანაკლისი იგრძენით?

— მისი იუმორი ძალიან დამაკლდა, მაგრამ თავს არ ვუტყდებოდი. გრცხვენოდეს, რუსკა, ვიღაც ხელოსანზე რამდენს ფიქრობ-მეთქი, ვსაყვედურობდი საკუთარ თავს. „გაუპარსავი, გაბურძგნული, სოფლელი, სოფ-

Cyan Magenta Yellow Black

ლელი...“ — ვბურტყუნებდი გაუთავებლად, მაგრამ თვალწინ მხოლოდ მისი ღიმილი მედგა და ყურში მისი ხუმრობა ჩამესმოდა.

ვცდილობდი, დანაკლისი დროსტარებით შემევსო. სამსახურის შემდეგ გოგოებთან ერთად ბარ-რესტორნებში დავდიოდი და შინ გვიანობამდე არ ვბრუნდებოდი. ერთ საღამოს რესტორანში ვისხედით, ვჭორაობდით და ვხალისობდით. ჩემ პირდაპირ მაგიდასთან წყვილი დაჯდა, ერთმანეთს უყურებდნენ. ეტყობოდათ, პაემანზე იყვნენ. უცებ კაცმა გამოიხედა და თვალი თვალში გამიყარა. სახტად დავრჩი — დიტო იყო.

— სახტად რატომ დარჩით, არ ელოდით, რესტორანში ქალთან ერთად რომ შეხვდებოდით თუ სხვა რამემ გაგაკვირვათ?

— ასე კარგად ჩაცმული და მოწესრიგებული არ მინახავს, წვერიც გაეპარსა. ძალიან ლამაზი მომეჩვენა. დანახვისთანავე გამიღიმა და თვალებით მომესალმა. თავი ოდნავ დამიკრა. გული გამითბა, თუმცა რაღაცნაირად მეწყინა, ახლოს რომ არ მოვიდა.

— ისიც გეწყინათ, სხვა ქალთან რომ იყო?

— გამოგიტყდებით და, ვიეჭვიანე. მოუსვენრობამ შემიპყრო. ვცდილობდი, არ შემემჩნია, მაგრამ ჩემს დაქალს არ გამოჰპარვია, მიხვდა, რომ რაღაც დამემართა. გადამეკიდა, ვინ არის ეგ ტიპი, ასე რომ აგამღვრიაო. ვიღაცას მივამსგავსე-მეთქი, მივუგე. ვერაფრით ვეტყოდი, ჩემი ხელოსანია-მეთქი, მაგრად „გამიტყდა“. ვეღარ გავძელი და ადრე წამოვედი. თვალი გამომაყოლა. მისი მზერა მწვავდა. დაუოკებელი ჟინი დამეუფლა, ის ქალი დაეტოვებინა და მე გამომყოლოდა. ამის გამო მთელი გზა ჩემს თავს ვკიცხავდი.

შინ რომ მივედი, ვეღარ დავიძინე. ვფიქრობდი, იმ ქალს შინ გააცილებს და მასთან დარჩება-მეთქი. ეს კადრი ჩემს წარმოსახვაში სულ თვალწინ მედგა. შინაგანი ხმა მკარნახობდა, მისთვის დამერეკა, მაგრამ ვუძალიანდებოდი, თავს შთავაგონებდი: „არც გაბედო, რუსკა, თავი არ დაიმცირო!“

— ეს შინაგანი ბრძოლა როგორ გადაწყდა, ბოლოს მაინც დაურეკეთ?

— ორი დღის შემდეგ თავად დამირეკა. მოულოდნელობისგან შოკში ჩავვარდი. იმდენად ძლიერი სურვილი მქონდა მასთან სიახლოვის, ეტყობა, იმპულსურად იგრძნო. კლიენტს მოვიყვან ჩემი ნახელავის სანახავადო, მითხრა. მომეჩვენა, რომ ეს მხოლოდ საბაბი იყო. საღამოს დავიბარე. ზარის დარეკვის სპეციფიკური მანერა ჰქონდა. ხმა რომ მომესმა, გული ამიჩქროლდა. კარი გავაღე და მუხლი მომეკვეთა: იმ ქალთან ერთად იდგა. კლიენტი ყოფილა. თურმე როგორ ნადირობენ მამაკაცებზე. შენ კი... „დააღე პირი, რუსკა და ელოდე, როდის მოგიკაკუნებენ კარზე“, — გავბრაზდი საკუთარ თავზე.

„ეჰთ მშვენიერ დღესაც აღმოვაჩინე, რომ ამ უცხო ჯაცს სიამოვნებით ვემსახურებოდი მაშინ, როცა სხვების გამო ტანის აზიდვა მიჭირდა“.

იმ ქალმა დაათვალიერა ავეჯი და მოეწონა (ან კი დასაწუნი რა სჭირდა?!). რომც არ მოსწონებოდა, არ შეიმჩნევდა, აშკარა იყო, კაცის დათრევა სურდა. ბინიდან გასვლისას დიტომ კარში ჯერ ქალი გაატარა, თავად შეყოვნდა, მრავალმნიშვნელოვნად შემომხედა, თითქოს რაღაც დარჩა სათქმელი. მერე გამიღიმა და თვალებით დამემშვიდობა. მის ამ მანერაზე დღემდე ვგიჟდები...

— მას შემდეგ მოვლენები როგორ განვითარდა, სიყვარულისთვის იბრძოლეთ თუ ხელები ჩამოუშვით?

— იმის წარმოდგენაც მზარავდა, იმ ქალის სახლში რომ უნდა ემუშავა. „ნუთუ შეგიძლია სხვა ქალს დაუთმო?!“ — ვეუბნებოდი საკუთარ თავს. სარკეში ვეღარ ვიყურებოდი. „რუსკა, შე უუნარო, უშნო, უტვინო, უგერგილო...“ — საკუთარ თავს ვლანძღავდი. ბოლოს გადავირიე და სიმწრისგან მთელი ჩემი ოთახი ამოვაყირავე, კომოდი ავჩეხე. მერე დავურეკე, თავს დამესხნენ და ავეჯი გამიფუჭეს, იქნებ თავიდან გამიკეთო-მეთქი. ჩემს თავს არ ვგავდი...

„იმის წარმოდგენაც მზარავდა, იმ ქალის სახლში რომ უნდა ემუშავა. „ნუთუ შეგიძლია სხვა ქალს დაუთმო?“ — ვეუბნებოდი საკუთარ თავს. „ხესჯა, შე უუნარო, უშნო, უტვინო, უგერგილო...“ — საკუთარ თავს ვლანძღავდი.

იმ წუთასვე ჩემთან გაჩნდა. გაპრანჭვა და თავის ფორმაში მოყვანა არც მიცდია, ახლა მე ვიყავი მოუწესრიგებელი და თმაბურძგნული... არ ვიცი, რამდენად დაიჯერა. დაჩეხილ კომოდს ხელი გადაუსვა, თითქოს ეფერებაო. არაფერი უკითხავს, თვალებში ჩამხედა და მითხრა: „არ ინერვიულო, ყველაფერი კარგად იქნება, უკეთესს გაგიკეთებ“. მერე გვერდით გაიხედა, შეყოვნდა და დააყოლა, შენსავით ლამაზსო. ერთიანად მოვეშვი, დაძაბულობისგან გავთავისუფლდი. ასეთი კომპლიმენტი პირველად მითხრა.

იქნებ შენი შეკვეთა გვერდზე გადადო და ჯერ ჩემთან იმუშაო-მეთქი, შეებედე თხოვნა. გამიღიმა და თვალებით დამეთანხმა. სამსახურიდან რამდენიმე დღით წამოვედი და სიამოვნებით შევუდექი ხელოსნის „მომსახურებას“, რომელიც ჩემ მიერ უნამუსოდ აჩეხილ მის ნატიფ ნამუშევარს საგულდაგულოდ აკეთებდა და შეიძლება ითქვას, ხელებით ეფერებოდა.

— სიყვარული როგორ გაუმყარავთ?

— არც დამჭირვებია. დიტოსგან იმავეს ვგრძნობდი, ამ ენაწყლიან კაცს ჩემ წინაშე უკვე ენა ებმოდა, თითქოს იბნეოდა კიდეც. ვეღარც ხუმრობდა, თითქოს დამუნჯდა. თვალებით ვამბობდით სათქმელს. ერთხელ კარში შევეჩეხე და დავიბენით, თითქოს გზას ვუთმობდით ერთმანეთს და მარჯვნივ თუ მარცხნივ, ორივე ერთი მიმართულებით ვიწევდით. კომიკური სიტუაცია შეიქმნა და გულიანად გამეცინა. სიცილი ძალიან გამშვენებს, საოცარი გოგო ხარო, ჩურჩულით მითხრა, მიმიზიდა და გულში ჩამიკრა...

მალე დავქორწინდით. ულამაზესი და შთამბეჭდავი ქორწილი გვქონდა. დიტომ ჩემი იმედები გაამართლა, საუკეთესო, ერთგული ქმარი დადგა. ერთი წლის შემდეგ დათა შეგვეძინა, ჩვენი ბუთქუნა... იაპონური ანდაზა ამბობს, ბედნიერება იმ სახლს ეწვევა, სადაც იცინიანო. ჩვენს ოჯახში სიცილი და ხუმრობა არ წყდება.

— დაბოლოს გკითხავთ, თქვენმა მშობლებმა და ახლობლებმა როგორ მიიღეს ეს ამბავი, თქვენი უეცარი გარდაქმნა?

— სხვათა შორის, ამ ამბავს ძალიან ნორმალურად შეხვდნენ. ოღონდ ვინმეზე გამეკეთებინა არჩევანი და რას ჩიოდნენ! თანაც დარწმუნებულები იყვნენ, ჩემი რჩეული ღირსეული პიროვნება იქნებოდა. თავიდან კომპლექსი მქონდა, ახლა სხვაგვარად ვფიქრობ. მთავარი ადამიანობა, შრომისმოყვარეობა და ღირსების შეგრძნებაა. ჩემი ხელოსანი ქმრის გვერდით თავს ბედნიერად ვგრძნობ და თუნდაც მეეზოვე ყოფილიყო ან მიწის მთხრელი, დიტოზე უარს მაინც ვერ ვიტყოდი.

✓ ნანა კობახიძე

ეს იცოდით?

❖ ტომ კრუზი, დედამისის მსგავსად, დისლექსიას განიცდიდა. დისლექსია იშვიათი დაავადებაა, რომლის დროსაც ასოები და ტექსტები პრობლემურად აღიქმება.

❖ ამერიკის თავისუფლების ქანდაკება ფრანგმა მოქანდაკემ, ფრედერიკ ოგიუსტ ბარტოლდიმ შექმნა და მოდელად საკუთარი დედა გამოიყენა. ქანდაკება 91 ტონა სპილენძის ფურცლებისგან შედგება, რომლებიც რკინის უზარმაზარ ბადეზეა მიკრული.

❖ მერილინ მონროს დედას შიზოფრენია სჭირდა.

❖ ლეგენდარულ კალათბურთელ მაიკლ ჯორდანს, როცა ის კოლეჯში მეორე კურსზე სწავლობდა, სიდაბლის გამო კალათბურთის გუნდში მიღებაზე უარი უთხრეს.

❖ ადამიანის თმის ზრდის საშუალო ტემპი დღის განმავლობაში 0,4 მილიმეტრს შეადგენს.

❖ თვალი 6 კუნთის დახმარებით მოძრაობს და სწორედ ამით შეუძლია ადამიანს თვალები ნებისმიერი მიმართულებით მიაბრუნოს.

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

იდეალური ქალი თქვენი ოცნების მამაკაცისთვის

როგორი უნდა იყოს იდეალური მამაკაცი, ამაზე გამოკითხულ ქალთა აზრი განსხვავებულია. 24% მიიჩნევს, რომ უნდა იყოს ჭკვიანი, 19% — კეთილი, 7% — სპორტული, 3% — უცოლო, 47% — მატერიალურად უზრუნველყოფილი. როგორია ასეთი მამაკაცის პოვნის შანსი? ეს დამოკიდებულია თქვენზე, ვინაიდან ისიც იდეალურ ქალს ეძებს.

გაგაცნობთ საოცნებო მამაკაცის მოხიბვლის 7 ნაბიჯს:

პირველი ნაბიჯი — მიზანს ვისახავთ

განსაზღვრეთ, რა გსურთ: გათხოვება, სიყვარულთან შეხვედრა თუ სპონსორის პოვნა. როგორც ვიცით, პრინცები არ არსებობენ. უპასუხეთ კითხვას და პოვნა, შენარჩუნება, მიზნის მიღწევა თქვენთვის უფრო ადვილი იქნება.

მეორე ნაბიჯი — გარდავიქმნებით

სარკეში თქვენი გამოსახულება მოგწონთ? თუ პასუხი უარყოფითია, დროა, თავზე იმუშაოთ. იარეთ სპორტდარბაზში, კოსმეტოლოგთან, მაღაზიაში. გარეგნულად გადასხვაფერებული ქალი არამხოლოდ ლამაზად გამოიყურება, ასევე სხვაგვარად იქცევა. როდესაც თავი მოგვწონს, თავდაჯერებული და უძლეველი ვხდებით.

მესამე ნაბიჯი — სკუთარ თავზე ვმუშაობთ

გადახედეთ თქვენს ჩვევებს, ქცევებს. მამაკაცს გაუთავებელი ლაქლაქით გულს უწყალებთ? მის გარშემომყოფებზე ეჭვიანობთ? მის მეგობრებთან ურთიერთობა არ გამოგდით? თავზე იმუშავეთ. თუ ვერ იგებთ, მიზეზი რაშია, ფსიქოლოგს მიმართეთ.

მეოთხე ნაბიჯი — ვსწავლობთ

თავისუფალი დრო გონივრულად დახარჯეთ. მამაკაცების ფსიქოლოგიაში, მათთან ურთიერთობის აგების ხელოვნებაში კომპეტენცია აიმაღლეთ.

მეხუთე ნაბიჯი — თავი ხელში ავიყვანეთ

ძლიერი სქესის წარმომადგენლებს ადვილად ხელმისაწვდომი ქალები არ მოსწონთ. ამიტომ, რაც უნდა ძლიერ მოიხიბლოთ მამაკაცით, კისერზე არ ჩამოეკიდოთ. დაე, მოგიპოვოთ, გაწვალდეს.

მეექვსე ნაბიჯი — ვაკვირდებით

დროა, ახალ თაყვანისმცემელზე ყველაფერი შეიტყოთ. დააკვირდით მას, მის ჩვევებს, მის მეგობრებს და ოჯახს. თვალყური ადევნეთ, როგორ იქცევა თქვენთან და უცნობ ადამიანებთან. შეამოწმეთ, რამდენად გულუხვი, კარგად აღზრდილი და განათლებულია.

მეშვიდე ნაბიჯი — ჰულსს ვაკონტროლებთ

მამაკაცის პოვნა ხელოვნებაა, შენარჩუნება — მუშაობა. ეს მარტივი ჭეშმარიტება არ დაივიწყოთ, როდესაც ურთიერთობა სტაბილური გახდება. თავს მოუარეთ, თქვენი მამაკაცის მიმართ გულისხმიერი იყავით, სიფხიზლე არ მოადუნოთ, თქვენს ურთიერთობაში ნებისმიერ ცვლილებაზე რეაგირება გქონდეთ.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ

წყლის პროცედურები სილამაზისთვის

გამამხნევებელი შხაპი, არომატული აბაზანა არამხოლოდ დაღლას ხსნის. გონივრული მიდგომისას წყლის ჩვეულებრივი პროცედურები სილამაზის რიტუალებად იქცევა.

შხაპი

პლუსი. შხაპი მთელი დღით ენერგიით მშვენივრად მუხტავს. ორგანიზმი ტონუსში რომ მოვიდეს, მეტად სასარგებლოა ხელჯაგით ან ჯაგრისით სხეულის წრიული მოძრაობით დაზელა ფეხის თითებიდან ზევით.

მინუსი. ყოველდღიური შხაპი საპნისა და გელის გამოყენებით კანზე ლიპიდების (ცხიმები, რომლებიც მას ატენიანებენ და გამოშრობისგან იცავენ) დამცავ ფენას აზიანებს. შხაპის შემდეგ კანზე ყოველთვის უნდა წაისვათ მკვეთრი კრემი. უმჯობესია, ცხელი წყლით არ იბანაოთ, ვინაიდან კანის უჯრედებს აშრობს.

როგორ მოვიქცეთ? შხაპისთვის ვიტამინების კომპლექსის შემცველი საშუალება შეარჩიეთ, რომელიც კანს დამატებით მოუვლის. თუ ნორმალური და ცხიმიანი კანი გაქვთ, გელი ან საპონი გამოდგება. მგრძნობიარე და ძლიერ მშრალი კანისთვის რეკომენდებულია საბავშვო საპონი ან ძალიან რბილი საშუალება.

დაძაბული დღის შემდეგ მოდუნება გსურთ? კეფიდან ხერხემლისკენ გრილი, შემდეგ თბილი წყლის ჭავლი მიუშვით. აქ განლაგებულია ნერვული კვანძის ცენტრალური წერტილი. ამიტომ მასზე მასაჟი მეტად სასიკეთოდ მოქმედებს.

არ იცით, ცელულიტისგან როგორ გათავისუფლდეთ?

შამპუნი რძის შრატზე

1 სუფრის კოვზ დაქუცმაცებულ ოროვანდის ძირებს 0,5 ლიტრი მდუღარე დაასხით, დაბალ ცეცხლზე დადგით და 10 წუთი ადუღეთ. ნახარში გააგრილეთ და გაწურეთ. შემდეგ რძის შრატი შეურიეთ პროპორციით 1:1, რამდენიმე წვეთი ეოუობას ზეთი (ან აბუსალათინის) დაუმატეთ. შამპუნიც მზადაა. რამდენიმე გამოყენების შემდეგ განსხვავებას იგრძნობთ. თქვენი თმა ელასტიკური და დატენიანებული გახდება.

აბაზანა

პლუსი. ჩვეულებრივი აბაზანა ორგანიზმს მოდუნებაში ეხმარება, კანს ასუფთავებს და აცოცხლებს. მთავარი — თავიდან ყველა არასაჭირო აზრებს დევნის.

მინუსი. აბაზანის ყოველდღიურად მიღება არ შეიძლება, ვინაიდან თბილ წყალში კანი იჟანთება და ბევრ ცხიმს კარგავს, შემდეგ მეტად მშრალი ხდება. უმჯობესია, არაუმეტეს 2-ისა კვირაში. გულ-სისხლძარღვთა და ზოგიერთი სხვა დაავადების დროს ამ პროცედურას განსაკუთრებული სიფრთხილით მოეკიდეთ.

როგორ მოვიქცეთ? კანის საშუალებით ორგანიზმში მისთვის ყველა სასარგებლო ნივთიერება შედის. ამიტომ რეკომენდებულია აბაზანაში ეთერზეთები, ზღვის მარილი, ბალახების ნაყენი დაუმატოთ.

მშრალი კანისთვის: 4 წვეთი გვირილის, 4 წვეთი ვარდის ეთერზეთი და 2 წვეთი პაჩულის 1 სუფრის კოვზ ნუშის ზეთში გახსენით. ყველაფერი აურიეთ და აბაზანაში ჩაუშვით.

ცხიმიანი კანისთვის: 4 წვეთი ღვიის ეთერზეთი, 4 წვეთი პაჩულის, 4 წვეთი ლიმონის 2 სუფრის კოვზ ვაშლის ძმარში გახსენით, შემდეგ აბაზანაში ჩაუშვით.

დეპრესიის დროს მომატებულ აგზნებადობასა და გადაღლას ხსნის აფროდიტეს აბაზანა. წყალში 250 გრამი ვარდის ქორფა ფურცლები და 250 საჭმელი სოდა ჩაუმატეთ.

ყურადღება. კანის მოდუნებისა და გასუფთავებისთვის ოპტიმალური ტემპერატურა დაახლოებით 37-38 გრადუსია. აბაზანაში ჩაწოლა რეკომენდებულია საჭმლის მიღებამდე ან მის შემდეგ ორი საათის გასვლიდან.

კიტრის ლოსიონი და ნიღაბი

კიტრი ნაოჭებს ასწორებს, კანს გლუვს ხდის და ათეთრებს.

მოამზადეთ ასეთი ლოსიონი: მწიფე კიტრი გახეხეთ, თანაბარი რაოდენობით დაუმატეთ არაყი და მზეზე დადგით. 5-6 დღის შემდეგ გაწურეთ და ლოსიონი მზადაა.

ახალგამოწურული კიტრის წვენით შეგიძლიათ გაიწმინდოთ ცხიმიანი, ფოროვანი და ჭორფლიანი კანი. კიტრის წვენით გაწმენდა კარგია მაშინ, როდესაც კანი ოფლიანია და ბრწყინვას იწყებს.

მატონიზირებელი ვიტამინური ნიღაბი ნებისმირი ტიპის კანისთვის: 1 სუფრის კოვზ კიტრის წვენს 1 სუფრის კოვზი შვრიის ან ხორბლის ფქვილი დაუმატეთ. ნიღაბი 20-30 წუთი დაიდეთ, შემდეგ გრილი წყლით ჩამოიბანეთ.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black

მამები არაჩვეულებრივი აღმზრდელები არიან

ჩვილთან ძირითად ნაწილს დედიკო ატარებს, მაგრამ ბავშვისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, მამიკო მის გვერდით რამდენ ხანს ჩერდება. ფსიქოლოგები ერთხმად აღიარებენ, რომ პატარას განვითარებისთვის მამასთან ხშირი კონტაქტი აუცილებელია. მრავალწლიანი დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ ის ბავშვები, რომლებსაც მამებთან ურთიერთობა არ აკლიათ, სწრაფად იწყებენ ლაპარაკს, სიარულს და პატარაობიდანვე თავდაჯერებულები არიან.

სპეციალისტები ამ ყველაფერს იმით ხსნიან, რომ ბავშვისთვის მამა არის ყველაზე ძლიერი, საიმედო ადამიანი. შვილის კეთილდღეობისთვის საჭიროა, მის აღზრდაში დედ-მამამ თანაბარი მონაწილეობა მიიღონ. ამიტომ ეცადეთ, ბავშვებს ეს ბედნიერება არ მოაკლოთ.

ნუ გაკიცხავთ ქმარს

ქმრისთვის შენიშვნების მიცემა არ ღირს. მაგალითად, მშვიდად შეხვდით, თუ შვილს პამპერსს არასწორად აცმევს. თუ ახალბედა მამიკოს რამეზე მიუთითებთ, ეს მას ბავშვის მოვლის, მასზე ზრუნვის მოტივაციას დაუკარგავს, ამიტომ ასეთი რამ არ დაუშვათ.

მამა-შვილი მარტო დატოვეთ

მამა-შვილს მარტო დარჩენის, ერთმანეთთან ურთიერთობის საშუალება მიეცით. რაც მთავარია, ამ შემთხვევაში არ ინერვიულოთ იმაზე, ქმარი ბავშვის მოვლას თავს როგორ გაართმევს. გახსოვდეთ, მამაც ისეთივე მშობელია, როგორიც თქვენ ხართ.

ნუ გაღიზიანდებით

ზოგჯერ მამაკაცები პატარებთან არაბავშვურ თემებზე ლაპარაკობენ, მაგრამ ამის გამო ნუ გაღიზიანდებით და ნურც ყურადღებას მიაქცევთ. როგორც წესი, კაცები პატარებთან ასე ურთიერთობენ და, რაც მთავარია, გახსოვდეთ, აღზრდის მათ მეთოდსაც აქვს არსებობის უფლება.

10 წუთიანი თამაში

სასურველია, თუ მამიკო დღეში 10 წუთით მაინც მოახერხებს შვილთან თამაშს. ეს მინიმალური დროც კი საკმარისია იმისთვის, რომ მამა-შვილს შორის უხილავი ჯაჭვი გაიბას.

მამა — ავტორიტეტი

შვილის თანდასწრებით არასოდეს იკამათოთ, მით უმეტეს, ოჯახში კონფლიქტი დაუშვებელია. პატარამ თქვენგან არ უნდა მოისმინოს, რომ მისი მამა ცუდად იქცევა. შვილთან ქმარზე საყვედურების თქმასაც მოერიდეთ. ეცადეთ, რომ ბავშვისთვის მამა პატარაობიდანვე ავტორიტეტად იქცეს.

მამასთან ძილი

ბავშვი ბევრად უფრო ტკბილად და, რაც მთავარია, მშვიდად იძინებს მაშინ, როცა ძილის წინ ორივე მშობელი, დედიკო და მამიკო, მის გვერდითაა, როცა ტკბილ ძილს და ლამაზ სიზმრებს უსურვებენ მას. ამიტომ ეს სიამოვნება შვილს არავითარ შემთხვევაში არ მოაკლოთ.

ანტიბაქტერიულ საპნებს ნუ შეეჩვევით

შეამოწმეთ, რამდენად სწორად იბანთ ხელებს და მერე თქვენს შვილებსაც დააკვირდით. გახსოვდეთ, რომ ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი პროცესი, რომელზეც თქვენი და პატარების ჯანმრთელობა მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული.

ხელებზე ბაქტერიები საოცარი სისწრაფით მრავლდებიან. ამიტომ აუცილებელია, მაქსიმალურად ხშირად, თანაც სწორად დაიბანოთ. თავის დროზე ხელების ხშირმა დაბანამ იხსნა ასეულობით ადამიანი ქოლერისგან და სხვა მომაკვდინებელი ეპიდემიებისგან. მართალია, დღეს ამ ტიპის საფრთხეები აღარ გვემუქრება, მაგრამ 21-ე საუკუნეში სხვა ავადმყოფობები იჩენს თავს, რომლებიც შეიძლება ასევე სავალალო შედეგით დასრულდეს.

ყოველთვის დაიბანეთ ხელები ტუალეტიდან გამოსვლის შემდეგ, ცხოველებთან კონტაქტის შემდეგ, ყოველი ჭამის წინ, ასევე საჭმლის მომზადების წინ. ეს ერთი შეხედვით ძალიან მარტივი, იოლი პროცედურა სავალდებულოა. აუცილებელია ხელების დაბანა ავადმყოფ ადამიანთან კონტაქტის შემდეგ.

როგორ დაიბანოთ სწორად?

ხელები ჯერ თბილი წყლით დაისველეთ, მერე საპონი კარგად წაისვით და დაიბანეთ. მხოლოდ დასველება და საპნის არგამოყენება კატეგორიულად დაუშვებელია, რადგან დატენიანებით ბაქტერიებს გამრავლებისთვის ხელსაყრელი პირობები ექმნებათ.

ხელების საგულდაგულოდ დასაბანად, მინიმუმი, 15-20 წამია საჭირო. ქაფი მტევნის ორივე მხარეს და, რაც მთავარია, თითებს შორისაც წაისვით. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, საპნის ქაფი ფრჩხილებქვეშაც წაისვათ და კარგად დაიბანოთ.

იმ შემთხვევაში, თუ გარკვეული მიზეზების გამო ხელების საპნით დაბანას ვერ ახერხებთ, ისეთი სადეზინფექციო საშუალებები გამოიყენეთ, რომელთა შემადგენლობაშიც სპირტი 60 პროცენტზე მეტს შეადგენს.

სისუფთავე თუ სტერილურობა?!

ბოლო წლებში განსაკუთრებით პოპულარულია ანატიბაქტერიული საპნების გამოყენება, მაგრამ ბევრმა არ იცის, რომ ამით თავის გართობა რეკომენდებული არ არის. ვერ ვიტყვით, რომ ისინი უკეთ დაგვიცავენ ბაქტერიებისგან, ვიდრე ჩვეულებრივი საპნები. უფრო მეტიც, ანტიბაქტერიული საპნების ხშირი გამოყენების შემთხვევაში ბაქტერიები იმუნიტეტს გამოიმუშავებენ და მათზე უარყოფითად აღარ მოქმედებს. ამ შემთხვევაში კი ინფექციებისგან თავდაცვა უკვე ძალიან რთულდება. ამიტომ ასეთი საპნების რეგულარულად მოხმარება არ ღირს.

✓ მოამზადა ნათია ტოტიკაშვილმა

ხილი, რომელიც ეამრაკი პრობლემისგან გვიცავს

ტა უნდა ვიცოდეთ იმ ხილის შესახებ, რომელიც ჩვენი ჯანმრთელობის გარანტიაცაა და სიმხნევესაც გვმატებს?

ბიონეული — ძალიან კარგია ნაწლავებისთვის. მასში ყველაზე ღირებულია ზეთი, რომელიც კიბოს პროფილაქტიკისთვის შეუცვლელია. მისი დახმარებით შესაძლებელია დაბერების პროცესის შეჩერება, რადგან მდიდარია ე და ეფ ვიტამინებით. ბროწეული სისხლში ჰემოგლობინის მოსამატებლადაც შეუცვლელი საშუალებაა.

პაპაია — აძლიერებს იმუნიტეტს და მხედველობას. მასში არსებული მცენარეული წარმოშობის ფერმენტები წვავს ცხიმებს. პაპაია თირკმლების ფუნქციასაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს.

მანგო — ჩვენს ორგანიზმზე მოქმედებს, როგორც მსუბუქი ტკივილგამაყუჩებელი საშუალება. შეიცავს კალიუმს, რომელიც განსაკუთრებით საჭიროა გულსისხლძარღვთა სისტემისთვის. მეცნიერების მტკიცებით, მანგოში არსებული უნიკალური ნივთიერება აფერხებს კიბოს უჯრედების გამრავლების პროცესს და ასევე არაჩვეულებრივად ატენიანებს სახის კანს.

ანანასი — წმენდს სისხლს და ააქტიურებს იმუნურ სისტემას. განსაკუთრებით სასურველია მისი ჭამა ჰიპერტონიკებისა და ათეროსკლეროზით დაავადებული პაციენტებისთვის. ანანასის რბილობი შეიცავს ალფა-ჰიდროქსილურ მჟავებს, რომლებიც კანის ღრმა დატენიანებისთვის, მისი გაახალგაზრდებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან კოლაგენის გამომუშავების სტიმულირებასაც ახდენს.

მტოში — გვმატებს ენერგიას და მნიშვნელოვან, დადებით გავლენას ახდენს კანის ფერზე, კუჭქვეშა ჯირკვლის მუშაობაზე, მაგრამ მისი მთავარი ღირსება მაინც მჟავეებია, რომლებიც სისხლის შემადგენლობას არეგულირებს.

Cyan Magenta Yellow Black

■ გიორგი და ლოლა

რა კანონები დაუწესა გიორგი წერეთელმა ცოლს სახლში

ომღერალი ცოლ-ქმარი, ლოლა და გიორგი წერეთლები, 4 წლის წინ შეუღლდნენ. ერთი წელი ნაქირავებ ბინაში იცხოვრეს, შემდეგ კი იგივე ბინა შეისყიდეს, რადგან მისმა ადგილმდებარეობამ მოხიბლათ. ცოლ-ქმარი თბილისში, პეკინის გამზირზე, სამოთახიან ბინაში ცხოვრობენ. რემონტი ორ კვირაში დაასრულეს. ფერები ლოლამ შეარჩია, კარები და მისაღები ოთახის ჭაღი — გიორგიმ, დანარჩენი — ერთობლივად.

სახლში დიდ დროს არ ატარებენ, ძირითადად სამუშაოდ არიან გასული. შინ უმეტესად დილის 7 საათზე ბრუნდებიან და მაშინვე ისევ რეპეტიციებს იწყებენ. გიორგის თავისი წესები აქვს, რომლებიც ცოლმა განუხრელად უნდა დაიცვას, სამაგიეროდ ლოლას თავისი „პოლიტიკა“ აქვს, რომელსაც ოჯახში შეუმჩნევლად ატარებს.

ლოლა: 1 ოქტომბერს სამი წელი გახდება, რაც აქ ვცხოვრობთ. მანამდე ქირით ვიყავით. ველოდებოდით, როდის ვიპოვიდით იმ სახლს, რომელიც გვინდოდა.

გიორგი: გვინდოდა, სამსახურთან ახლოს ვყოფილიყავით. შეიძლებოდა ამ

გიორგი: „ეს ჭაღი ლოლამ ჩემ დაინახა, სიხარულისგან ტირილი დაიწყო“.

თანხით უფრო ფართო ბინა გვეყიდა, მაგრამ გადაწყვეტილება მაინც ადგილის მიხედვით მივიღეთ. ქირითაც ამ ბინაში ვცხოვრობდით და შემდეგ შევისყიდეთ. ბინა გლდანში მაქვს, მაგრამ ის გაქირავებული მქონდა. იქიდან სიარულს აქ ქირით ცხოვრება ვამჯობინეთ.

— ბინა ვისი გემოვნებითაა მოწყობილი?

ლოლა: ფერები ჩემი შერჩეულია და დანარჩენზე ორივემ ერთად ვიზრუნეთ. ისე მომწონს ატმისფერი, რომ მთელი სახლი ერთ ფერში გავაკეთეთ. მაღაზიაში სიგარეტის კოლოფი მივიტანე და ვუთხარი, მინდა, ზუსტად ასეთი ფერი დაჯდეს, შესაბამისი საღებავი მომეცითმეთქი. გიორგიმ კარები შეარჩია.

— ბინის მთავარი ჭაღის საკითხი, ანუ იმის, რომელიც მისაღებში კიდია, რომლის გემოვნებამ გადაწყვიტა?

გიორგი: ეს პულტიანი ჭაღი ჩემი შერჩეულია, სხვადასხვანაირი განათება აქვს. სახლში დაშლილი მოვიტანეთ. აწყობა რომ დავიწყეთ, შემოსასვლელი კარი გადავკეტეთ, რომ ლოლას არ ენახა. რომ მირეკავდა, სად ხარო, ვეუბნებოდი, ელიავას ბაზრობაზე-მეთქი. რომ მოვიდა და დაინახა, სიხარულისგან ტირილი დაიწყო, ისე მოეწონა.

— როგორც შეეკამჩნიეთ, ბევრი სარკე გაქვთ. ვის უფრო გიყვართ მასში ყურება?

ლოლა: ყველას, ჩვენს სტუმრებსაც კი. რემონტი რომ გავაკეთეთ, გიორგი შევაღონე იმის ძახილით, რომ სახლში სარკე არ გვქონდა.

გიორგი: ახლა კი, ხომ ხედავთ, რამდენი სარკეა.

— საზღვარგარეთიდან სახლისთვის სუვენირები ჩამოგაქვთ?

ლოლა: რამდენიც გინდათ! კარადაში რომ მოოქროვილი ჭიქაა, ის აშდოთის მერმა გვაჩუქა. ხატი მოსკოვიდან გამოგვიგზავნეს. ყოველთვის ბევრი სუვენირი ჩამოგვაქვს, მაგრამ სხვებს ვჩუქნით.

გიორგი: სახლი უკვე ძალიან გადატვირთული მეჩვენება. სისადავე მიყვარს, ამიტომ ვცდილობთ, ზედმეტი არაფერი შევმატოთ.

— ძალიან პატარა სამზარეულო გაქვთ. მოსახერხებელია თქვენთვის?

ლოლა: კი, რადგან სახლში არასოდეს ვჭამთ და აქ ტრიალი არასოდეს მიწევს. სახლში უმეტესად დილის 7 საათზე ვბრუნდებით.

გიორგი: სახლში მხოლოდ ყავას თუ დავლევთ. სულ გასულები ვართ, ძირითადად რესტორნებში ვსადილობთ.

— ასეთ რეჟიმში ცხოვრება რთული არ არის?

ლოლა: უკვე 14 წელია, რაც ასეთი რეჟიმით ვცხოვრობ, ბოლო 4 წელია გიოსაც ამ რეჟიმში ყოფნა უწევს.

გიორგი: ორივენი ღამურები ვართ. ყოფილა შემთხვევა, როცა ორი დღე-ღამე არ დაგვიძინია. ერთხელ თვითმფრინავში კინაღამ მოვკვდი...

ლოლა: კიევიდან მოვდიოდით. გიორგის რამდენიმე დღე-ღამე არ სძინებია და გადაღლილობის გამო ტვინს სისხლი აღარ მიეწოდა. მთელი ორგანიზმი გაეთიშა და

ლოლა: „გიორგის ახ უყვარს, ოღა იღვიძებს და სახლში ახ ვარ. სადაც უნდა ვიყო, ჩემს დამხმარეს ვეჩეკავ და ვეკითხები, ხომ ახ გაიღვიძა. სახლში მოვჩბივარ, ჩემ მოვესნო“.

ხელ-ფეხს ვერ ამოძრავებდა. ეს იყო ნამდვილი საშინელება!

გიორგი: ამერიკულ რეჟიმში ვცხოვრობთ. საქართველოში რომ რამეს მიაღწიო, ბევრი უნდა იმუშაო. მე რომ გავჩერდე, უმუშევარი დავრჩები.

— რა კატეგორიის მსმენელი გყავთ?

ლოლა: ყველა კატეგორიის მსმენელზე ვმუშაობთ.

გიორგი: მე და ლოლა პირველი სამი სიმღერის შემდეგ ვხვდებით, რა ჟანრის სიმღერები უნდა ვიმღეროთ.

ლოლა: როცა ვხვდები, რომ მსმენელს გიო სჭირდება, მე ვჩერდები. ზოგჯერ პირიქითაც ხდება, მაგრამ ძირითადად დუეტში ვმუშაობთ.

— ბევრი თვლის, რომ არცთუ გემოვნებიან სიმღერებს მღერით.

გიორგი: ვერ გავამტყუნებ იმ ადამიანს, ვისაც ჯაზი მოსწონს და არა — ქალაქური, მაგრამ ვიღაცას სწორედ ქალაქური სიმღერები უყვარს. ჩემთვის ორივე კატეგორია გემოვნებიანია. ისეთი ადამიანების არ მესმის, რომლებიც რაღაც ჟანრს მხოლოდ სხვისი მიბაძვით უსმენენ და თვლიან, რომ ეს მაგარია. ეს დიდი შეცდომაა. ყველა სიმღერა პოულობს თავის მსმენელს. მე და ლოლიტამაც ჯაზით დავიწყეთ, მაგრამ მერე შევეშვით. გადავხედე და მივხვდი, რომ ფულის ამოღება ქალაქური სიმღერებიდან უფრო შეიძლებოდა. ფული კი მოდის კორპორატიული საღამოებიდან, ქორწილებიდან, დაბადების დღეებიდან. საქართველოში ჩვენი შემოსავლის წყარო ესაა.

ლოლა: 1200 ტირაჟიანი ალბომიც გავაკეთეთ, მაგრამ არ გაიყიდა, ხალხს ვაჩუქეთ.

გიორგი: „პაჩები და პუჩები“ საცდელი ვარიანტი იყო. ვიცოდი, რომ ხალხი აიტაცებდა. რადიოში რომ დატრიალდა, მაშინვე ათეულში მოხვდა. ამის შემდეგ აქტიურად დავიწყეთ ქართული დუეტების შესრულება და ასე მივყევი ამ ჟანრს.

— საზღვარგარეთ მოსწონთ ჩვენი ქალაქური სიმღერები?

გიორგი: ისრაელში ორმაგად პოპულარული ვარ. ქართველ ემიგრანტებს უყვართ ქალაქური სიმღერები. ერთხელ ისრაელში უკვე გამოყენებული ვიზით ჩავფრინდი, გამოვიდა, რომ უკანონოდ ჩავედი, ამიტომ მითხრეს, ვერ შემოგიშ-

■ მისაღები ოთახი

Cyan Magenta Yellow Black

ვებთო. იქ ვიღაც ქართველმა მიცნო და ყველაფერი გააკეთა, რომ პრობლემა არ შემქმნოდა. საქართველოში თუ ძალიან იშვიათია აპლოდისმენტები, ისრაელში ამის ნაკლებობა არ გვაქვს.

— საქართველოდან წასვლაზე ხომ არ ფიქრობთ?

გიორგი: ჯერჯერობით არ მინდა აქედან წასვლა. დაახლოებით 3 წელი მაინც ვიქნებით საქართველოში და სიტუაციას შევხედავთ. ქართულ შოუბიზნესში ბევრი რამ ვნახე, ყველა ქართველ მომღერალთან მაქვს ნამუშევარი, ბევრი ჩემი მეგობარიცაა, მაგრამ ჩვენ ესტრადა არ გვაქვს, არ გვაქვს შემოსავალიც. საზღვარგარეთ კი თითო კონცერტში ვიღაცეები 80.000 ევროს იღებენ. ისრაელში სცენაზე მარტო არავინ გამოდის, ყველას ჰყავს ბენდი, მოცეკვავეები. მე რომ მივდივარ, კაკული და შაბი (ებრაელი მომღერლები) თავიანთ მოცეკვავეებს მახმარებენ და რაღაც გამოდის.

— მომავალში თქვენც ისრაელში გეგმავთ წასვლას?

გიორგი: არა, უფრო ამერიკაში წასვლაზე ვფიქრობ. ვლად არამოვი იქ არის და ვიცი, ჩვენც კარგად ვიქნებით. იქნებ მოვიდეს დრო, როცა მუსიკოსებს უფრო მეტად დააფასებენ, იქნებ სახალხო არტისტის წოდება მაინც აღდგეს. არ შეიძლება შოუბიზნესი მხოლოდ მუსიკალური კონკურსებით შემოიფარგლებოდეს. მუსიკალური პროექტები მთავრდება და გამარჯვებულებიც

■ გიორგის სამუშაო კუთხე

მალე ავიწყდებათ. საქართველოში დიდ სცენაზე არ გამოვსულვარ, მაგრამ ისრაელში ნამდვილად მქონდა დიდი აღიარება. აქ თუ 5 საათი ვმუშაობ და არ ვიღლები, იქ ერთ საათში სულ სველი ვარ, რადგან დიდ ენერგიას გავცემ და ზღვა ემოციასაც ვიღებ. დათო კენჭიაშვილი რომ მღერის „რამდენი მალოდინე“-ს ან გიორგი დათიაშვილი „ჩამოვუქროლებ ჩემს საქართველოს“, ეს ჩემთვის უკვე ჯაზია. დათიაშვილის ნამღერზე მაგარია ჯაზი? ამაში ვერავინ დამარწმუნებს.

იმასაც გააჩნია, რა გარემოში ხარ, რესტორანში ქეიფის დროს ვიღაცამ ჯაზი რომ მიმღეროს, ვეტყვი, მოიცა, რა, „შალახო“ დაუკარი-მეთქი. მანქანაში კი „შალახოს“ ნამდვილად არ ჩავრთავ.

ლოლა: გიორგის ყველაფერში ვეთანხმები. ვფიქრობ, იქ უნდა ვიყოთ, სადაც უკეთესად ვიგრძნობთ თავს. მე ძალიან მიყვარს მუშაობა და სადაც ამისი საშუალება მექნება, იქ მირჩევნია. ამერიკაში სამუდამოდ დარჩენას არ ვაპირებთ, ჩავალთ, სიტუაციას შევხედავთ.

— ცოლ-ქმრის ერთად მუშაობას რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს?

გიორგი: ცოლ-ქმრის ერთად მუშაობის ყველაზე დიდი პლუსი შემოსავალია. გარდა ამისა, მე და ლოლა ყველაფერს ერთად ვსწავლობთ.

ლოლა: ცუდი მხარე არ აქვს, პირიქით, ყველაფერში კარგია.

— სახლში რეპეტიციებს გადიხართ?

ლოლა: რა თქმა უნდა.

გიორგი: ოღონდ — დღისით, ღამით კლუბში ვმღერით. ერთხელ მეზობელი ჩამოვიდა, ცოტა დაუწიეთ მუსიკას, გვძინავსო. დანარჩენ შემთხვევაში, მგონი, „კაიფობენ“.

— თქვენს ოჯახში სრული თანასწორუფლებიანობაა თუ ერთ-ერთს „მიგყავთ პარადი“?

გიორგი: ლოლას რასაც ვეუბნები, მიჯერებს. სახლში სრული პატრიარქატია.

ლოლა: სახლში კაცი მთავარია.

გიორგი: ძალიან მკაცრი ვარ. რაღაცას რომ ვიტყვი, არ მაინტერესებს, მართალი ვარ თუ არა, ასე უნდა იყოს!

— თუ მტყუანი ხართ, მაინც არ გეკამათებათ ცოლი?

გიორგი: არა, ყველა შემთხვევაში მიჯერებს.

ლოლა: გიორგის ყოველთვის ვუსმენ, მაგრამ როცა მართალი არ არის, ველოდები, ამას თავისით როდის მიხვდება. მე რატომ უნდა ვუთხრა, რომ რაღაცაში არასწორია? ჯობს, ამ დასკვნამდე თავად მივიდეს. ისეთ ოჯახში ვარ გაზრდილი, რომ კარგად ვიცი, კაცის სიტყვა პირველია და ქალმა აუცილებლად უნდა დაუჯეროს. რაღაც-რაღაცეები გიორგის ძალიან არ მოსწონს.

— მაგალითად, რა არ მოსწონს?

ლოლა: არ უყვარს, როცა იღვიძებს და სახლში არ ვარ. სადაც უნდა ვიყო, ჩემს დამხმარეს ვურეკავ და ვეკითხები, ხომ არ გაიღვიძა. სახლში მოვრბივარ, რომ მოვუსწრო.

გიორგი: ჩემი მოთხოვნაა, როცა გავიღვიძებ, სახლში იყოს.

— რატომ, მისი დახმარების გარეშე თავს ვერ მისუდაყთ?

გიორგი: საკუთარ თავს ბავშვობიდან მე ვპატრონობ, მაგრამ ახლა უკვე ბევრი სხვა საქმე მაქვს, რაშიც დიდ ენერგიას ვხარჯავ. ვერ ვიტყვი, რომ ლოლიტა ჩემზე ნაკლებს მუშაობს. ორივე ძალიან ვიღლებით, ალბათ გადაღლილობამ ჩამომიყალიბა ასეთი ხასიათი. როცა მარტოა გასული, სულ ვნერვიულობ, სად არის, რამე პრობლემა ხომ არ

■ აშდოთის მერის ნაჩუქარი მოოქროვილი ჭიქა

აქვს, მანქანით გაუგებრობაში რომ აღმოჩნდეს, მეშინია, არ დაიბნეს.

— ანუ, როგორც მძღოლს, არ ენდობით?

გიორგი: მე ვასწავლე მანქანის მართვა და ამიტომ ვენდობი. ამდენს არც კი ველოდი. როცა საჭესთან დავსვი და ახსნა დავუწყე, ძალიან დაიბნა, მაგრამ ზუსტად ერთ თვეში აითვისა. შიშის ბარიერი ადვილად გადალახა. უბრალოდ ვნერვიულობ, უნდა ვიცოდე, რას შვრება, რას აკეთებს, როგორაა, საფრთხეში ხომ არ არის.

— ლოლა, ქმრის მიმართ თქვენ რა მოთხოვნები გაქვთ?

ლოლა: შეიძლება გაგეცინოთ, მაგრამ, როცა გიორგი საზღვარგარეთ მარტო მიდის, ვთხოვ, რომ „სკაიპი“ ჩავრთოთ და მაინც ერთად ვიძინებთ. იმდენად ვართ მიჩვეული ერთად ძილს, რომ სხვანაირად არ შემიძლია. ერთმანეთს უნდა ვხედავდეთ, როგორ ვიძინებთ. ერთმანეთის გარეშე არც სადმე წასვლა გვიყვარს და არც დარჩენა.

ლოლა: „გიორგი უცხოეთში ხომ ახის, „სკაიპს“ ვთიავთ და მაინც ეთად ვიძინებთ. ეთმანეთს უნდა ვხედავდეთ, ოგორ ვიძინებთ“.

გიორგი: ცოლქმრული ურთიერთობის გარდა, ჩვენი შემოქმედებაც არ არსებობს ერთმანეთის გარეშე. ყოფილა შემთხვევა, როცა მარტოს მიმღერია ის სიმღერა, რომელსაც დუეტში ვმღერით, მაგრამ საშინელი დისკომფორტი მიგრძვნია.

ლოლა: 4 წლის წინ გადავწყვიტეთ ერთად ცხოვრება და მას შემდეგ ერთმანეთის გარეშე არაფერს ვაკეთებთ.

✓ ქეთი დინოშვილი

Cyan Magenta Yellow Black

როგორ გავთავისუფლდეთ სხვაზე მიჯაჭვულობისგან

ზიყვარულის ნამდვილ ღრმა გრძნობას ხშირად ემოციურ დამოკიდებულებასთან ურევენ.

ემოციური დამოკიდებულება — ეს არის სხვა ადამიანით ღრმად გატაცება, მისი გვერდით ყოფნის მუდმივი მოთხოვნილება, მის სიტყვებზე, ქცევებზე ფოკუსირება და მასთან ურთიერთობაში მეტისმეტი ჩართულობა.

თქვენი აზრით, ეს ზღაპრული სიყვარულია? არა, სიყვარული ტანჯვა-წვალება არ არის, არამედ ორი მოწიფული ადამიანის კავშირია, რომლებიც თავს ერთად კარგად და კომფორტულად გრძნობენ. მათ არ სჭირდებათ თავის პარტნიორის არც გაკონტროლება, არც მისგან თავდაცვა, არც მანიპულირება, არც „გამოსწორება“, არც გადარჩენა. მათ თავის რეალიზაცია, დამოუკიდებელი გადაწვეტილებების მიღება შეუძლიათ და ამავდროულად თითოეული თავისა და ერთმანეთის პატივისცემას ინარჩუნებს.

„ჩემი ბედნიერება შენს ხელთაა!“

ემოციურად დამოკიდებულ ადამიანებს არ შეუძლიათ მეორისგან (საყვარელი ადამიანისგან, ქმრისგან, ცოლისგან, მეგობრისგან, მშობლებისგან, ახლობლებისგან) სრულიად ავტონომიურად მოქმედება. მხოლოდ მათი აზრის, განწყობის გათვალისწინებით და ხშირად თავის საზიანოდ იქცევიან. გარშემომყოფთა ემოციებისა და მოქმედებებისთვის ხალისით იღებენ თავზე პასუხისმგებლობას („იმიტომ გაბრაზდა, რომ შინ დაბრუნებისას სუფრა გაშლილი არ დახვდა“) ან თავიანთ უბედურებებსა და განცდებში მათ ადანაშაულებენ („ეს ყველაფერი შენ გამო მოხდა“). ცდილობენ იყვნენ საჭირონი, აკეთებენ არა იმას, რასაც სწორად თვლიან, არამედ იმას, რასაც მათგან ელიან, ამავე დროს ნაღვლობენ, რომ სათანადოდ არ აფასებენ. ეშინიათ, სხვებს გული არ ატკინონ და სხვების პრობლემებს საკუთარივით აღიქვამენ. ყურადღებას, მოწონებას ეძებენ და იმედოვნებენ, რომ ახლობლები მათ სურვილებს გამოიცნობენ.

ემოციურად ერთმანეთზე დამოკიდებულ ადამიანებს შორის ურთიერთობებში ბევრი კრიტიკა, წყენა, „გარდაქმნის“ მცდელობა და მოლოდინია, რომ ვიღაც სხვა (და არა თავად თქვენ) ბედნიერს გაგხდით.

ნაბიჯები გამოჯანმრთელებისკენ

ემოციური ურთიერთდამოკიდებულება ცუდი და უსიამოვნოა იმით, რომ თქვენი კეთილდღეობა, ბედნიერება, თქვენი სულიერი კომფორტი და შეგრძნებები სხვა ადამიანზეა დამოკიდებული. არადა საკუთარი ცხოვრების გამგებელი თავად უნდა იყოთ. რისი გაკეთებაა საჭირო ამ არაჯანსაღი მდგომარეობიდან გამოსვლისთვის?

პირველი, პრობლემა გააცნობიერეთ და საკუთარ ცხოვრებაში ემოციური დამოკიდებულების მაგალითები დაინახეთ. გაიგეთ, თქვენმა მშობლებმა რისი მოცემა ვერ შეძლეს თქვენთვის ბავშვობაში (სწორედ ამის მიღებას ცდილობთ ახლა სხვა ადამიანების დახმარებით).

ისწავლეთ, თქვენი ცხოვრების მოსაწყობად თავზე პასუხისმგებლობა აიღოთ და თქვენს უბედურებებსა და განცდებში სხვა ადამიანები არ დაადანაშაულოთ. ნუ ელით, რომ ვინმე თქვენს აზრებს წაიკითხავს, სურვილებს ამოიცნობს, გეტყვით, როგორ იცხოვროთ ან თქვენს ცხორებაში რაღაცას შეცვლის. შეგიძლიათ ივარაუდოთ, რომ დაგეხმარებიან, მაგრამ, პირველ რიგში, საკუთარი თავის იმედად უნდა იყოთ.

ნუ გააკეთებთ სხვა ადამიანებისთვის მას, რისი გაკეთებაც თავისთვის თვითონვე შეუძლიათ. ნუ მოკიდებთ ხელს სხვისი პრობლემების გადაჭრის საქმეს. ყველაფერი, რის გაკეთებაც სხვა ადამიანისთვის გსურთ, ჯერ თავს გაუკეთეთ.

შეცდომებისთვის თავს ნუ გაიწვალებთ. ისწავლეთ სიყვარული, შექება, მოწონება და საკუთარი თავის მიღება ყველა სისუსტით, არასრულფასოვნებით, შიშებით.

ისწავლეთ, საკუთარი ქცევების მოტივების გაანალიზება („რა მსურს და ამას რისთვის ვაკეთებ?“). გააცნობიერეთ თქვენი ღირსებები, საკუთარი მიზნები, მოთხოვნილებები, სურვილები, ოცნებები.

მეტად მნიშვნელოვანია გაერკვიოთ საკუთარ გრძნობებში, მათზე ისაუბროთ, გამოხატოთ და არავითარ შემთხვევაში არ დამალოთ და არ დააგროვოთ.

უარი თქვით ურთიერთობებში თამაშსა და მანიპულაციებზე.

ისწავლეთ თხოვნა იმისა, რაც გჭირდებათ, პირდაპირ და პატიოსნად. თხოვნა გულისხმობს, რომ შეიძლება უარი მიიღოთ. მაშასადამე, უარისთვის მზად უნდა იყოთ.

იმუშავეთ თვითშეფასების ამაღლებაზე და თავდაჯერება განიმტკიცეთ.

ისწავლეთ, თქვენს პირად სივრცეში სხვათა შეჭრის მცდელობა აღკვეთოთ. ნუ დანებდებით, თუ ცდილობენ, თქვენში დანაშაულის გრძნობა აღძრან ან ცუდად გექცევიან.

გაიგეთ, ყოვლისშემძლენი არ ვართ. არავის მართვა შეგვიძლია, გარდა საკუთარი თავისა.

ფსიქოლოგთან მიღებაზე ჩაეწერეთ. საქმე ისაა, რომ ქცევის ურთერთდამოკიდებულების მოდელები ძალიან მყარია, ისევ და ისევ მეორდება. საჭიროა გვერდით ვინმე გყავდეთ, ვინც მათ გადალახვაში ხელს შეგიწყობთ, გზადაგზა აუცილებელ გამოცდილებას მოგაწვდით, მხარს დაგიჭერთ, გაგამხნევებთ. დაგეხმარებათ თავში აღმოაცენოთ შინაგანი საყრდენი, რომელიც დამოუკიდებელსა და ძლიერს გაგხდით.

საკუთარი თავისა და ადგილის ძიებაში

ოგიერთი ადამიანი ხშირად იცვლის სამსახურს. დასაწყისში ენთუზიაზმით იწყებს მუშაობას, ორი თვის შემდეგ კი ინტერესს კარგავს. როგორ მოიქცეთ? როგორ იპოვოთ თავი?

ოდესღაც ერთმა ფილოსოფოსმა თქვა: „იყო ბედნიერი — ნიშნავს შეიცნო თავი, საკუთარი ბუნება, იპოვო შენი საქმე, იცხოვრო მშვიდობიანად და საზოგადოებრივი მოთხოვნილებები შეასრულო“. მიჰყევით ამ ლოგიკას და ბედნიერი გახდებით.

თავის, საკუთარი ბუნების შეცნობისთვის, პირველ რიგში, საჭიროა თქვენი ტემპერამენტის განსაზღვრა. ტემპერამენტი თანდაყოლილი თვისებაა, რომელიც მუცლადყოფნის პერიოდში ყალიბდება. განსაზღვრეთ, ვინ ხართ — ქოლერიკი, სანგვინიკი, ფლეგმატიკი თუ მელანქოლიკი. საქმე ისაა, რომ, მაგალითად ქოლერიკისთვის ბუღალტერია სრული ტანჯვაა, ისევე როგორც მელანქოლიკისთვის ხალხთან მუშაობა. შემდეგ საჭიროა თქვენი პროფესიული პრიორიტეტების განსაზღვრა. ყველა პროფესია შეიძლება დავყოთ ხუთ სპექტრად (ენერგიის ხარჯვისა და ფულის გამომუშავების მიხედვით).

ადამიანი — ადამიანი: ფული გამომუშავდება ხალხის დახმარებით. ასეთია: ექიმი, მასწავლებელი, ოფიცერი, იურისტი, ფსიქოლოგი, მენეჯერი, ოფიციანტი.

ადამიანი — ბუნება: მებაღე, ვეტერინარი, მეტყევე, ბიოლოგი, აგრონომი, ეკოლოგი.

ადამიანი — ტექნიკა: ინჟინერი, მძღოლი, კონსტრუქტორი, ელექტრიკოსი, ზეინკალი, ხარატი.

ადამიანი — ნიშანთა სისტემა: მათემატიკოსი, ქიმიკოსი, მთარგმნელი, თარჯიმანი, ბუღალტერი.

ადამიანი — შემოქმედი: მხატვარი, მწერალი, მუსიკოსი, მოცეკვავე, ფოტოგრაფი, არქიტექტორი, ჟურნალისტი, ოპერატორი, მსახიობი, პარიკმახერი.

პროფესიული სპექტრის განსაზღვრის შემდეგ პროფესიულად ორიენტირებულ, კონკრეტულ საგნობრივ დიაგნოსტიკაზე გადადით. მათი დახმარებით დარწმუნებით შეიძლება დასახელება პროფესიების სიისა, რომელთა მიმართ 70%-ზე მეტი მიდრეკილება გაქვთ. თუ გარკვევა თავად გიჭრთ, დასახმარებლად სპეციალისტს მიმართეთ.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black

რატომ არ შეიძლება ცხიმის სრული უარყოფა?

ცხიმი საკვების ყველაზე კალორიული კომპონენტია. 1 გრამი ცილა ან ნახშირწყალი 4 კკალორიაა, ხოლო 1 გრამი ცხიმი 9 კკალორია. იმისთვის, რომ ცილები ან ნახშირწყლები ცხიმის დეპოში დაილექოს და სხეულის ფორმას ავნოს, ორგანიზმში არაერთი რთული ცვლილება უნდა განიცადოს. საკვებიდან მიღებული ცხიმები ადვილად გარდაიქმნება ცხიმად გვერდებზე. ამიტომაა, რომ ყველა დიეტოლოგი რეკომენდაციას იძლევა მისი მოხმარება შეზღუდოთ. მაგრამ ეს მათ სრულად გამორიცხვას არ ნიშნავს.

თუ რაციონში ცხიმი 10%-ზე ნაკლებია, ნივთიერებათა ცხიმოვანი ცვლა ნელდება, მრავალი ჰორმონის წარმოება-დამზადება ქვეითდება. ყველაფერი ეს გახდომის პროცესს მნიშვნელოვნად ართულებს. ამავდროულად, სწორედ ცხიმი აძლევს პროდუქტებს უფრო ნაჯერ გემოს. ამიტომ, თუ მათ სრულად გამორიცხავთ, თავს უგემური საკვების ჭამას აიძულებთ. ბევრი ადამიანი, რომელთა რაციონში ცხიმების წილი 10%-ზე ნაკლებია, მუდამ შიმშილს გრძნობს და ჩივის, რომ საკვები არ ანაყრებს. ამის გამო, ხშირად წახემსება უწევს. ქვეცნობიერად ნახშირწყლებს, მათ რიცხვში ტკბილეულს ეძალება. შაქარი კიდევ ერთი კომპონენტია, რომელიც გემოს უფრო წარმოაჩენს. ამიტომ მას ბევრ უცხიმო საკვებში უმატებენ, რათა მტკნარი გემო შენიღბონ. ამისგან კი წონაში მეტად იმატებენ.

ასე რომ, უმჯობესია, ცხიმი საერთოდ არ ამოიღოთ რაციონიდან. ჭამეთ კარაქიც, ხორციც, სოუსებიც, მაგრამ ზომიერება დაიცავით.

მაცოცხლებელი ძალა ყოველ წვეთში

წვენი საოცრად გემრიელია. ამავდროულად სწრაფად შეითვისება. ხილის წვენებს შლაკები და ტოქსინები გამოაქვს, ორგანიზმს მიკროელემენტებითა და ვიტამინებით უზრუნველყოფს. ბოსტნეულის წვენები ძალას აღადგენენ, ყველა ორგანოს ნორმალურად მუშაობაში ეხმარებიან. საუბარია ახალგამოწურულ წვენებზე.

ფორთოხლის წვენი მდიდარია A და C ვიტამინებით. საჭმლის მომნელებელ სისტემას ასუფთავებს, სასიკეთოდ მოქმედებს გულზე, სისხლძარღვებზე, ფილტვებზე, იმუნიტეტს ამაღლებს. სასარგებლოა სახსრების ანთების, ღვიძლის დაავადებების, ანემიის, ჰიპერტონიის დროს.

შენიშვნა: ფორთოხლის მოყვარულებმა უნდა იცოდნენ ზომიერება: ამ წვენს ორგანიზმიდან კალციუმი გამოაქვს.

ყურძნის წვენი სისხლძარღვებს, ღვიძლს ასუფთავებს, ორგანიზმიდან შლაკები გამოაქვს. სასარგებლოა სისხლნაკლულობის დროს: ერითროციტების რაოდენობას ზრდის და ჰემოგლობინის დონეს ამაღლებს. ყურძენი ზურგის ტვინის სისხლის წარმოქმნის ფუნქციას ასტიმულირებს.

შენიშვნა: ჰიპერტონიკები და ჰიპოტონიკები ყურადღებით უნდა იყვნენ — ეს წვენი სისტოლურ (მაქსიმალური) წნევას ამაღლებს, ხოლო დიასტოლურს (მინიმალური) აქვეითებს ან უცვლელად ტოვებს. იმის გამო, რომ ყურძენი მდიდარია გლუკოზითა და კალორიებით, დიაბეტის დროს განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა გამოიყენოთ.

სტაფილოს წვენი სასარგებლოა ახალწარმონაქმნების პროფილაქტიკისა და მკურნალობისთვის. მხედველობას აუმჯობესებს, კანის ანთებას ებრძვის.

შენიშვნა: მაგრამ ამ წვენით გატაცება არ ღირს. სტაფილოში ბევრია კაროტინი, რომელსაც შეუძლია კანს წითური ფერი მისცეს. ამ მიზეზით მას სოლარიუმში ხშირად სთავაზობენ.

პომიდვრის წვენი კუჭის წვენის გამოყოფას ასტიმულირებს, გულის მუშაობას აუმჯობესებს. მეცნიერულად დამტკიცებულია: ლიკოპენი ნივთიერებაა, რომელიც პომიდორს წითლად ღებავს და ავთვისებიანი სიმსივნის წარმოქმნისგან იცავს, ასევე დაბერების პროცესს აბრკოლებს.

ჭარხლის წვენი შესანიშნავი მკვებავია სისხლძარღვთა სისტემისთვის. ღვიძლს, თირკმლებს, ნაღვლის ბუშტს ასუფთავებს, არტერიულ წნევას დაბლა სწევს, თავის ტკივილს ამსუბუქებს.

გოგრის წვენი მდიდარია კაროტინით, რომელიც ნივთიერებათა ცვლას აწესრიგებს, ძვლებსა და კბილებს ამაგრებს. ღრძილებიდან სისხლდენის დროს ეს წვენი უბრალოდ აუცილებელია. მით უფრო, რომ არავითარი უკუჩვენება არ აქვს.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

ვაშლი აახალგაზრდავებს

ვაშლს უამრავი სამკურნალო თვისება გააჩნია. იცოდით?

1. მეხსიერებას აუმჯობესებს. როგორც გაირკვა, ვაშლი მდიდარია განსაკუთრებული ნივთიერებებით, რომლებიც ნებისმერი ასაკში მეხსიერებას აუმჯობესებს და ხანდაზმულობის ჭკუასუსტობისგან იცავენ. კირკიტა მკვლევრებმა გამოთვალეს, რომ ასეთი ეფექტის მისაღწევად საჭიროა დღეში 3 დიდი ვაშლი მიირთვათ.

2. სისხლში მავნე ქოლესტერინის დონეს ამცირებს. ნახევარი წლის განმავლობაში, ყოველდღიურად 2 ვაშლის ჭამა სისხლში მავნე ქოლესტერინის დონეს საშუალოდ 9%-ით ამცირებს. საქმე ისაა, რომ ვაშლის პექტინს ორგანიზმიდან ჭარბი ცხიმი გამოაქვს. ვაშლის ამ თვისების წყალობით, სპეციალისტები ამ ხილის პექტინის ბაზაზე ათეროსკლეროზის პროფილაქტიკისთვის პრეპარატებს ამუშავებენ. სხვათა შორის, პექტინები მეორე ტიპის შაქრიანი დიაბეტის აღმოცენების რისკს მნიშვნელოვნად ამცირებს.

3. კიბოსგან იცავს. ანტიმჟანგავების სიუხვის წყალობით, ვაშლი ონკოლოგიური დაავადებების აღმოცენების რისკს ამცირებს, მაგრამ იმისთვის, რომ სარგებლობა ნახოთ, ვაშლი არავითარ შემთხვევაში არ გათალოთ. კანში კიბოს საწინააღმდეგო ყველაზე მეტი ნივთიერებაა.

4. სიცოცხლეს ახანგრძლივებს. მეცნიერთა გამოთვლების თანახმად, ვაშლი სიცოცხლეს 17 წლით ახანგრძლივებს. საქმე ისაა, რომ ვაშლის რბილობი ბევრ კატეხინს შეიცავს. ეს ნივთიერება იმუნიტეტს ამაღლებს, სისხლის მიმოქცევაზე სასიკეთოდ მოქმედებს და გულ-სისხლძარღვთა სისტემას მთლიანად აახალგაზრდავებს. ექიმები გვარწმუნებენ, რომ იმ ადამიანის გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ვინც ყოველდღიურად ერთ ვაშლს ჭამს, საშუალოდ 17 წლით ახალგაზრდაა იმათთან შედარებით, ვისაც ვაშლი არ უყვარს.

5. კბილებს ამაგრებს. როდესაც ვაშლს ვღრღნით, კბილის მინანქარი ნადებისგან სუფთავდება და ღრძილების მასაჟი ხდება, მაგრამ გაითვალისწინეთ: ვაშლი საკმაოდ ბევრ ორგანულ მჟავას შეიცავს, ამიტომ შეიძლება ამავდროულად კბილის მინანქარს ზიანი მიაყენოს. ასე რომ, ვაშლის ჭამის შემდეგ პირში წყალი გამოივლეთ.

საუკეთესოს ვიჩჩევთ

იმპორტული თუ სამამულო? უფრო სასარგებლოა სამამულო.

ზამთრის თუ ზაფხულის? ზაფხულში ზამთრის ვაშლი არ შეიძინოთ. შენახვიდან 6 თვის შემდეგ ასკორბინის მჟავის რაოდენობა 2-ჯერ მცირდება.

მჟავე თუ ტკბილი? რაც უფრო მჟავეა ვაშლი, მასში მით მეტია C ვიტამინი.

სუნიანი თუ უსუნო? თუ ვაშლს სუნი არ აქვს, მაშასადამე, დიდხანს ინახებოდა და წვნიანობა დაკარგა.

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

წითურთა ფესტივალი ჰოლანდიაში

ჰოლანდიაში, ქალაქ ბრედას მოედანზე, წითურთა ფესტივალი გაიმართა. ამ დღის აღსანიშნავად რეკორდული რაოდენობის — 5000 წითური ადამიანი ჩავიდა მსოფლიოს 80 ქვეყნიდან.

ეს დღე სულ 8-ჯერ აღინიშნა, მაგრამ მხოლოდ ბოლო ფესტივალი აღმოჩნდა შთამბეჭდავი. წლევანდელი ფესტივალის ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, რომ მეტი ეფექტის მოსახდენად მონაწილეები ლურჯი ფერის მაისურებით მისულიყვნენ. წითურთა დღე პირველად 2005 წელს შოტლანდიაში აღინიშნა.

ბოტასების მუზეუმი

კომპანია „ნაიკსაც“ კი შეშურდება იმ ბოტასების კოლექციის, რომელსაც ჯოდი გელერი ფლობს. 36 წლის ჯოდის კოლექციაში 2 504 წყვილი „ნაიკის“ ფირმის ბოტასია, რომელსაც 14 წელია აგროვებს. გინესის რეკორდების წიგნის მიხედვით, ის მსოფლიოში ბოტასების ყველაზე დიდ კოლექციას ფლობს.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჯოდი უახლოეს მომავალში გეგმავს თავისი კოლექციის გატანას აუქციონზე. ბოტასები მამამისსაც ძალიან უყვარდა. უფროსი გელერი მარათონებზე ხშირად გადიოდა და თავის წარმატებებს სწორედ „ნაიკის“ ფირმის ბოტასებს უკავშირებდა. მამის წყალობით, ჯოდიმ „ნაიკის“ შესახებ ყველაფერი იცის, იმას კი ვერაფრით ხსნის, თუ რატომ არ უყვარს „ადიდასი“.

რამდენიმე ხნის წინ ჯოდი გელერმა ლას ვეგასში, საკუთარ სახლში, მუზეუმიც გახსნა, სადაც თავისი კოლექცია გამოფინა.

ბრიტანეთის ყველაზე დიდი ოჯახი მე-17 შვილის მოლოდინშია

ინგლისის საგრაფო ლანკაშირში მცხოვრები 41 წლის სუი რედფორდი მე-17 შვილზეა ფეხმძიმედ. ყველაზე უფროსი 24 წლის ვაჟიშვილი კრისია, ხოლო ყველაზე უმცროსი — ასევე ვაჟი კასპერი, ის ჯერ მხოლოდ 11 თვისაა.

სუი პატარას აპრილში ელოდება. სქესი ჯერჯერობით მისთვის უცნობია და, როგორც თავად ამბობს, ეს არც აინტერესებს, რადგან ცოლ-ქმარს 9 ვაჟი და 7 ქალიშვილი ჰყავთ.

სუი და მისი ქმარი ნოელი, ძალიან ბედნიერები არიან. მათ საკუთარი საცხობი აქვთ და იქიდან მიღებული შემოსავლით ოჯახს თავისუფლად არჩენენ.

სუი რედფორდმა პირველად 14 წლის ასაკში იმშობიარა. ის ჯანმრთელობას არც ახლა უჩივის და კიდევ ბევრი შვილის გაჩენას აპირებს.

ნიანგი საწოლის ქვეშ

40 წლის ზიმბაბველ გაიუითალს საკუთარ საძინებელში მთელი ღამე ნიანგთან ერთად ეძინა და ეს მხოლოდ დილით შეიტყო. მამაკაცი დილით ადგა და დაინახა, რომ საწოლის ქვევიდან ნიანგს კუდი ჰქონდა გამოყოფილი. მას ძალიან გაუმართლა, რომ ლოგინიდან წამომდგარმა იატაკზე წამოწოლილ რეპტილიას ფეხი არ დაადგა.

როგორ ჩანს, ნიანგს იატაკზე ძილი ძალიან მოეწონა, რადგან ოთახიდან მისი გაყვანა მაშველების რამდენიმე ჯგუფსაც კი გაუჭირდა. მაშველებმა 150 კილოგრამიანი ნიანგი წყალში დააბრუნეს.

15 დღე ჭაში

38 წლის ჩინელი ქალი მცენარეების შეგროვებისას 4 მეტრიან ჭაში ჩავარდა, სადაც 15 დღე დაჰყო. მე-15 დღეს ის შემთხვევით გამვლელმა გლეხმა ნახა. ამ ხნის განმავლობაში ქალი წვიმის წყლითა და სიმინდის ტაროთი იკვებებოდა, რომელიც ჩავარდნისას თან ჰქონდა.

როგორც უნებლიე ტყვე ამბობს, იმედს არ კარგავდა, რომ ჭასთან ვიღაც ჩაივლიდა და გადაარჩენდა. იქ ჩავარდნამდე ჩინელი ქალი 52 კილოგრამი იყო, დღეს კი მხოლოდ 32 კილოს იწონის. ექიმების განცხადებით, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

Cyan Magenta Yellow Black

დედისგან მიტოვებული სპლიყვი 5 საათი შეუჩერებლად ტიროდა

ჩინეთის ზოოპარკში ახალშობილმა სპილომ, სახელად ჟუნგ-ჟუნგიმ, დედასთან დაშორების გამო 5 საათი შეუჩერებლად იტირა. როგორც გაირკვა, ზოოპარკის თანამშრომლებმა დედას ჟუნგ-ჟუნგი მისივე უსაფრთხოების მიზნით დააშორეს, რადგან დედა სპილომ ახალშობილს ფეხი დააბიჯა და ლამის გასრისა.

ვეტერინარებმა სპლიყვს ჭრილობები დაუმუშავეს და გალიაში დააბრუნეს, მაგრამ, მათდა გასაკვირად, დედამ შვილზე იერიში ხელმეორედ მიიტანა. სწორედ ამ ინციდენტის შემდეგ აღმოჩნდა პატარა სპილო მარტო. ატირებული სპლიყვის დამშვიდებას თანამშრომლები 5 საათის განმავლობაში ამაოდ ცდილობდნენ.

მსოფლიოში ყველაზე მაღალი „ამერიკული მთა“



ამერიკაში, კონკრეტულად კი ნიუ ჯერსიში, რამდენიმე თვეში ყველაზე მაღალი ატრაქციონი „ამერიკული მთა“, სახელად „ზუმანჯარო“, გაიხსნება. მას ერთ-ერთ ცნობილ გასართობ პარკში დაამონტაჟებენ. პირველი „ამერიკული მთა“ სწორედ იმ პარკში გააკეთეს და 35 წელზე მეტ ხანს იმუშავა. რაც ყველაზე გასაოცარია, ის ხისგან იყო აწყობილი.

„ზუმანჯარო“ ყველაზე მაღალი ატრაქციონი იქნება მსოფლიოში — 126 მეტრი, თავისუფლების ქანდაკებაზე ორჯერ მეტი. მისი თავისუფალი ვარდნის სიჩქარე კი 206 კმ/სთ იქნება. ამ ატრაქციონის მფლობელები ელოდებიან, რომ ის აუცილებლად შევა გინესის რეკორდების წიგნში.

ამერიკელმა ატლანტის ოკეანეს ბუშტებით გადაუფრინა

ამერიკელმა ჯონათან ტრაპემ ატლანტის ოკეანეს 370 ბუშტით გადაუფრინა, ამას კი თითქმის ერთი კვირა დასჭირდა. მისი ზღაპრული მოგზაურობის დასაწყისს ასობით მაყურებელი დაესწრო.





ჯონათანს ჰელიუმით სავსე 370 ფერად ბუშტზე გამობმული ჰქონდა რეზინის ნავი, რომელიც საგზლითა და ყველაზე აუცილებელი ნივთებით იყო სავსე. 2010 წლის მაისში ის პირველი იყო, რომელმაც ლა მანშის სრუტეს იმავე პრინციპით გადაუფრინა.

ესპანეთში მილიონერს ეძებენ

ესპანეთის ქალაქ ლა-კორუნიაში ლატარიის მოგებული ბილეთი იპოვეს, რომელიც მყიდველს ლატარიის კომპანიის ადმინისტრაციის შესასვლელში დარჩა. ბილეთი ოფისის მმართველმა შეამოწმა და, როდესაც შეიტყო, რომ იგი მომგებიანი იყო, ამის შესახებ ადგილობრივ ხელისუფლებას მიმართა.

მიუხედავად იმისა, რომ უცნობია გამარჯვებულის სქესი, ასაკი და წარმომავლობა, მასზე ძებნა მაინც გამოცხადდა. ბილეთმა 4,7 მილიონი ევრო მოიგო, მაგრამ ჯერჯერობით მისი მფლობელი ვერ იპოვეს. თუ ორი წლის განმავლობაში იღბლიანი ბილეთის პატრონი არ გამოჩნდება, 4,7 მილიონი ევრო ბილეთის მპოვნელს ერგება.

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

რომელი მითური გმირი ხართ?

ტესტი ქალებისთვის

1. ქალის ნატურის დამახასიათებელი რამდენიმე სტერეოტიპი არსებობს. თქვენთვის რომელი შტრიხია ყველაზე დამახასიათებელი?

ა) ინტუიცია.
ბ) ეშმაკობა.
გ) ხიბლი.
დ) სიბრძნე.

2. ტემპერამენტის რომელ ტიპს მიეკუთვნებით?

ა) ქოლერიკს.
ბ) სანგვინიკს.
გ) მელანქოლიკს.
დ) ფლეგმატიკს.

3. ძველბერძნულ საზოგადოებაში რომელ გმირად წარმოგიდგენიათ თავი?

ა) ძველბერძნული ტაძრის ქურუმ ქალად, რომელსაც ჯადოქრობა შეეძლო.
ბ) პოეტი, ფილოსოფოსი, რომელიც ადამიანებს ხელოვნებას აზიარებდა.
გ) დედოფალი, რომელიც ოსტატურად მართავს სახელმწიფოს.
დ) მზეთუნახავი, რომლის გულის მოგებასაც უამრავი მამაკაცი ცდილობს.

4. რა თვისებებით უნდა იყოს დაჯილდოებული თქვენი გულისსწორი?

ა) სიბრძნით და ჭკუით.
ბ) სულიერი დახვეწილობით.
გ) გარეგნული სილამაზითა და ლამაზი ქმედებებით.
დ) ვაჟკაცურობითა და საიმედოობით.

5. ქალები იმდენად რთულები, მრავალწახნაგოვანები და წინააღმდეგობრივები არიან, რომ მამაკაცების გამონათქვამების 99% ქალების ნატურას ეხება. თქვენი აზრით, ქვემოთ მოყვანილი აფორიზმებიდან ყველაზე მეტად რომელი ასახავს სინამდვილეს?

ა) „რაც უფრო ჭკვიანია ქალი, მით მეტი სისულელეს აკეთებს“.
ბ) „ერთი ქალი შეიძლება კარგი იყოს, მაგრამ რამდენიმე ერთად — ეს უკვე გუნდია“.
გ) „ქალი სუსტი, დაუცველი არსებაა, რომლისგანაც თავდაცვა შეუძლებელია“.
დ) „ქალური მიამიტობა მითია, რომელსაც სათუთად ინახავენ მამაკაცების „სასარგებლოდ“.



■ მერაბ ბერძენიშვილი - მედეა. 1967-1970, ბიჭვინთა

დაითვალეთ, პასუხებში რომელი ვარიანტი ჭარბობს.

შედეგები:

„ა“ ვარიანტი — მედეა

ჯადოქარი, რომელიც იასონს ოქროს საწმისის მოპარვაში ეხმარებოდა. მედეამ უამრავი გამაჯანსაღებელი რეცეპტი იცოდა, მაგრამ ყოველთვის როდი იყენებდა მათ სასიკეთოდ. სამაგიეროს გადახდის მიზნით უზურპატორი პელია მწარედ მოატყუა. გასაახალგაზრავებლად მას შესთავაზა ჯერ სიკვდილი, შემდეგ კი მკვდრეთით აღდგენას შეპირდა, მაგრამ პირობა არ შეასრულა. როცა იასონმა სხვა ქალთან უღალატა, ქალს საშინელი საწამლავით გაუღენთილი სამოსი გაუგზავნა, რომლის ჩაცმის შემდეგაც ის ცოცხლად დაიწვა.

ბრძენი ადამიანი ხართ, უამრავი ნიჭითა და ტალანტით. შეგიძლიათ სიმშვიდე შეინარჩუნოთ სტრესულ სიტუაციაში, მაგრამ მცირედის გამო წყობიდან გამოხვიდეთ. გარშემომყოფებს ცოტა ზემოდან უყურებთ. საკუთარი თავის მიმართ მომთხოვნი ხართ. ადვილად ეჩვევით ადამიანებს, რომლებიც თქვენთვის ძვირფასნი არიან. არ ხართ მიდრეკილი ღალატისკენ და ამას არც სხვებს პატიობთ.

„ბ“ ვარიანტი — ტროელი ელენე

სპარტის დედოფალი, ულამაზესი ქალი. აფროდიტე პარისს ყველაზე ლამაზ ქალს შეჰპირდა ცოლად და სიტყვა შეასრულა. სწორედ ელენე გახდა ხანგრძლივი და უმოწყალო ტროას ომის მიზეზი. პარისმა ელენე ქმარს, მენელაოსს მოსტაცა, რომელიც ასეთ კადნიერებას არ შეეგუა და საშინელი სისხლისმღვრელი ომიც დაიწყო. ელენეს სახე ხშირად გვხვდება ხელოვნების ნიმუშებში.

თქვენ სათნო, ნაზი, მშვენიერი არსება ბრძანდებით. გიყვართ კომფორტი და ესთეტიკა. არაჩვეულებრივად ერკვევით ხელოვნებაში, მაგრამ გირჩევნიათ, დამკვირვებლის როლში იყოთ და სხვათა ნამუშევრებით დატკბეთ. ცოტა მედიდური ბრძანდებით, მაგრამ ადამიანებს კეთილად ეპყრობით.

„გ“ ვარიანტი — კასანდრა

ძველბერძენი წინასწარმეტყველი ქალი, რომლის წინასწარმეტყველებების არავის სჯეროდა. კასანდრამ მოვლენების განჭვრეტის ნიჭი აპოლონისგან მიიღო, რომელსაც მისი სიყვარულის იმედი ჰქონდა. კასანდრას უარის შემდეგ კი ისე გააკეთა, რომ მისი სიტყვები არავის ერწმუნა. კასანდრა პარისს ურჩევდა, უარი ეთქვა ელენეზე, შემდეგ კი ტროელებს აფრთხილებდა, არ დაეჯერებინათ სინონისთვის და არ შეეტანათ ტროაში ხის ცხენი, მაგრამ მის სიტყვებს ყური არ ათხოვეს.

თქვენ ღრმა და დახვეწილი ადამიანი ხართ, გარე სამყაროს არასტანდარტულად ხედავთ. აფასებთ ხელოვნებას, დაჯილდოებული ხართ შემოქმედებითი ნიჭით. გიყვართ მარტოობა და ოცნება. ბუნებამ განჭვრეტის ნიჭითა და საოცარი ინტუიციით დაგაჯილდოვათ — არაჩვეულებრივად გრძნობთ სიცრუეს და ღალატს.

„დ“ ვარიანტი — ვრიადნა

კრეტას მეფის, მინოსის ბრძენი ქალიშვილი, რომლის დახმარებითაც თეზევსმა მინოტავრის ლაბირინთს დააღწია თავი. არიადნამ თეზევსს მისცა ძაფის გორგალი, რომლის დახმარებითაც ამ უკანასკნელმა ლაბირინთს დააღწია თავი. ზოგიერთი ბერძნული ცნობის მიხედვით, არიადნა დიონისეს ცოლი იყო. აფროდიტეს მიერ ნაჩუქარი გვირგვინი დიონისემ თანავარსკვლავედად აქცია და მას არიადნას გვირგვინი (ამჟამად თანავარსკვლავედი ჩრდილოეთის გვირგვინი) უწოდა.

თქვენ ჭკვიანი და პრაქტიკული ადამიანი ბრძანდებით. არც მეოცნებე ხართ და არც ადვილად გწყინთ. ყოველთვის გონების კარნახით ხელმძღვანელობთ. კარიერა თქვენთვის ბოლო ადგილზე ნამდვილად არ დგას. იმ ადამიანების რიცხვს მიეკუთვნებით, რომლებსაც აუცილებლად აქვთ ცხოვრების მიზანი და შეუპოვრობით შეიარაღებული მოზომილად მიიწევთ ამ მიზნისკენ.

წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები იხ. გვ. 78

სუდოკუ

სუდოკუ არის იაპონური თავსატეხი, რომელმაც ბოლო დროს ევროპაშიც მოიკიდა ფეხი. მისი ამოხსნისთვის საკმარისია ლოგიკური აზროვნების უნარი. თავად ამოხსნის პროცესი კი დიდ სიამოვნებას გპირდებათ.

№ 1

6				2			5	
		1	4			2		
	3				9		8	7
		5	2					4
9	7			8		3		
	4				1			6
8			7		3			
				9		1		
		3		6			4	

№ 2

		9	7				1	
	6			4				8
5					2		3	
2			8			3		
		1			4		9	2
	3				7			
	7			6		1		5
4		8			9		7	
	2		3			4		

სუდოკუ შედგება 9-9 ჰორიზონტალური და ვერტიკალური სვეტისა და 9 ბლოკისგან. შევავსოთ ცარიელი უჯრები 1-დან 9 ციფრებით ისე, რომ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტებსა და ბლოკებში ერთი და იგივე ციფრი არ განმეორდეს.

Cyan Magenta Yellow Black

წინ მიიწევთ, უკან მიჩოჩავთ თუ გაშეშდით?

ტესტის კითხვებზე უპასუხეთ „დიახ", „ახა" ან „ახ ვიცი".
მე-2, 4, 6, 8, 19, 12, 14 შეკითხვებზე „დიახ" პასუხის შემთხვევაში 10 ქულა დაიწერეთ; ნებისმიერ კითხვაზე პასუხისათვის „არ ვიცი" — 5 ქულა; 1, 3, 5, 7, 9, 13, 15 კითხვებზე პასუხისათვის „არა" — 10 ქულა ჩაიწერეთ.

1. ვთვლი, რომ ჩემს ხასიათში საკმაოდ დიდ როლს მემკვიდრეობითობა თამაშობს.
2. შემიძლია, გავიღიმო მაშინაც კი, როცა გაბრაზებული ვარ.
3. საჭირო არაა, გარშემომყოფებს ყველაფერი გავაგებინო, რასაც მათზე ვფიქრობ.
4. შემიძლია, მომენტალურად რადიკალურად განსხვავებული გამომეტყველება მივიღო.
5. განვლილი ცხოვრების ანალიზისას ვხვდები, რომ დიდად არ შევცვლილვარ.
6. როცა დამაჯერებულ არგუმენტებს წარმომიდგენენ, აზრის შეცვლა არ მიჭირს.
7. გარკვეულ სიტუაციებში მინდა, სულ სხვაგვარად მოვიქცე და არა ისე, როგორც რეალურად ვიქცევი.
8. შემიძლია, ვაკონტროლო საკუთარი ემოციები.
9. მიმაჩნია, რომ ცვალებადი ხასიათი ქალების თვისებაა.
10. გარშემომყოფები ხშირად მსაყვედურობენ, რომ საკუთარი აზრი არ გამაჩნია.
11. არ მიყვარს, როცა სხვას ვემორჩილები და ვცდილობ, თავად ვიყო სიტუაციის ბატონ-პატრონი.
12. კონფლიქტური სიტუაციებიდან ძალიან მშვიდად შემიძლია გამოსვლა.
13. ჩემი აზრით, არსებობს თემები, რომელთა განხილვაც სხვებთან მიუღებელია.
14. ვერავინ ამჩნევს, რამხელა ცვლილებები მოხდა ჩემში.
15. არ მიყვარს ეჭვიანი და მერყევი ადამიანები.

შედეგები:

150-100 ქულა — სამყარო თქვენ გარშემო უფრო ნელა იცვლება, ვიდრე თქვენ. მუდმივობა და ერთ ადგილზე გაჩერება თქვენს მოწყენას და გაღიზიანებას იწვევს. ადვილად შეგიძლიათ შეეგუოთ ნებისმიერ სიტუაციასა და მდგომარეობას.

99-50 ქულა— გარდასახვის საოცარი ნიჭი გაქვთ. როცა საჭიროა, თამამად შეგიძლიათ უარი თქვათ საკუთარ ილუზიაზე და როცა გჭირდებათ, გარდასახვის საშუალებით თავსაც მშვენივრად იცავთ. ასევე გსიამოვნებთ რისკზე წასვლა.

49-0 ქულა— ხასიათის სიმტკიცე კი არა, საკუთარი სიჯიუტე გაიძულებთ, რომ არ შეიცვალოთ. საკუთარ თავში დაურწმუნებლობამ და მუდმივად თავდაცვის სურვილმა თქვენში ღრმად გაიდგა ფესვები. ხშირად გზააბნეულ მწერს ჰგავხართ, რომელიც საათების განმავლობაში ცდილობს, საკუთარ გზას მიაგნოს.

ემოციურად გაწონასწორებული ხართ?

ტესტის კითხვებს უპასუხეთ „დიახ" — 0 ქულა ან „ახა" — 1 ქულა.

1. ზოგჯერ ცუდი განწყობა ხომ არ გთრგუნავთ?
2. ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს უარყოფითად აფასებთ?
3. გაქვთ სურვილი, დადგენილ წესებსა და ნორმებს არ დაემორჩილოთ?
4. როცა წინასწარ დაგეგმილის შეცვლა გიწევთ, ეს გაღიზიანებთ?
5. ყოველთვის ცდილობთ, რომ ყველაფერი ისე იყოს, როგორც თქვენ გინდათ?
6. უმიზეზოდ ხშირად შფოთავთ?
7. ეჭვიანი ხართ?
8. ხშირად ბრაზობთ?
9. როცა ვინმე გაქებთ, თავს უხერხულად გრძნობთ?
10. როცა ვინმე გიმტკიცებთ, რომ თქვენი აზრი არასწორია, მაინც თქვენი მოსაზრების გატანას ცდილობთ?
11. თქვენს დანაშაულს ხშირად სხვებს აბრალებთ?
12. გუნება-განწყობა ხშირად გეცვლებათ?
13. სხვებს ხშირად აკრიტიკებთ?
14. ადამიანების მიმართ ანტიპათიას განიცდით?
15. რაიმეს გაჩუქება გიმძიმთ?

შედეგები:

0-2 ქულა — აუცილებლად მიმართეთ ფსიქოთერაპევტს, დახმარება გჭირდებათ! აუცილებლად უნდა ესაუბროთ ვინმეს თქვენს პრობლემებზე.

3-6 ქულა— ფანტაზიაში წარმოსახულ მტერს ებრძვით და სიამოვნებისთვის დრო აღარ გრჩებათ. ისეთი საქმით დაკავდით, რომელიც გაგიტაცებთ. ასე ცუდ რამეებზე ფიქრისათვის დრო აღარ დაგრჩებათ და ემოციებსაც დაიოკებთ.

7-12 ქულა — თქვენი ემოციური ასაკი მოზარდისას უტოლდება. მცირედიც კი გწყინთ. გახსოვდეთ, მუდმივად ცვალებადი გრძნობებით ცხოვრება ძალიან ძნელია.

13-15 ქულა— შეიძლება ითქვას, რომ ჩამოყალიბებული პიროვნება ხართ. იშვიათად ღიზიანდებით და წონასწორობიდანაც იშვიათად გამოდიხართ. ახლობლები რჩევისათვის სწორედ თქვენ მოგმართავენ.

საკუთარ განწყობას მართავთ?

1, 2, 4, 7, 8, 9 კითხვებზე „დიახ" პასუხისთვის და კითხვებზე 3, 5, 6 „ახა" პასუხში 1 ქულა დაიწერეთ.

1. თქვენს განწყობაზე ამინდი მოქმედებს?
2. ამჩნევთ, რომ დღითიდღე განწყობა გიუმჯობესდებათ?
3. თქვენი აზრით, მთვარის ფაზები ადამიანის განწყობაზე და ქცევებზე მოქმედებს?
4. როცა ნერვიულობთ, მადა გეკარგებათ?
5. თვლით, რომ შეცდომებს სხვა ადამიანების გამო ჩადიხართ?
6. თუ განერვიულებული ხართ, შეგიძლიათ სხვა რამეზე ადვილად გადაერთოთ?
7. ეთანხმებით აზრს — ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია?
8. მიგაჩნიათ, რომ ადამიანის ემოციურობა მემკვიდრეობითია?
9. საკუთარი გარეგნობით კმაყოფილი ხართ?

შედეგები:

3 ქულამდე— საკუთარი ემოციების მსხვერპლი ხართ. ცხოვრება ისე მიგაქანებთ, როგორც წყალი ნაფოტს.

4-7 ქულა— თქვენი საქციელი არაპროგნოზირებადია, თუმცა ზოგადად სწორ გზაზე დგახართ.

8-9 ქულა— კარგად ფლობთ საკუთარ განწყობას, რის გამოც არაფერს უჩივით. საკუთარ ემოციებს თამამად მართავთ.

Cyan Magenta Yellow Black

თუ სისხლი სქელია

სხვადასხვა მიზეზით სისხლი შეიძლება გასქელდეს, რასაც ბევრი უსიამოვნება მოაქვს. თრომბის წარმოქმნის რისკი იზრდება, თავის ტვინის ჟანგაბდით მომარაგება ირღვევა. ის ნაკლებ საკვებს იღებს, რაც მომატებული დაღლით, მეხსიერების გაუარესებით ვლინდება. გული იძულებული ხდება სქელი სისხლი დიდი ძალისხმევით გადმოქაჩოს. ამიტომ სისხლის ნორმალური დინება მეტად მნიშვნელოვანია. როგორ მოვიქცეთ?

მოერიდეთ პროდუქტებს, რომლებიც სისხლის შედედებას ზრდიან. ესენია: ხორცის ბულიონი, ძეხვეული, კონსერვები, შაშხეული, მარინადები, ნაღები, ნაღების კარაქი, თეთრი პური, კარტოფილი. შეიძლება ისეთმა სასარგებლო პროდუქტებმაც კი ავნოს, როგორიცაა ასკილი, ბანანი, ნიგოზი, ძახველი, ყურძნისა და ბროწეულის წვენი. და რაც შეიძლება, ნაკლები ტკბილი მიიღეთ.

მოერიდეთ სამკურნალო ბალახებს, რომლებიც სისხლის შესქელებას ხელს უწყობენ. ესენია: ვალერიანი, კრაზანა, ჭინჭარი, სიმინდის ულვაში.

ჭამეთ მეტი ზღვის პროდუქტი (ზღვის თევზი და სხვა).

გამოიყენეთ ზეითუნის, მზესუმზირისა და სელის ზეთები.

სასარგებლოა პომიდვრის წვენი, კოჭა და ვარდკაჭკაჭა.

ხილიდან მიირთვით შტოში, ქლიავი, მოცვი, ჟოლო, ციტრუსები.

ფიზიკური აქტივობა სუფთა ჰაერზე სისხლის ნორმალური მწებვარობის აუცილებელი პირობაა.

მცენარეული ნაყენი ჯანსაღი პირის ღრუსთვის

სტომატოლოგების, მიკრობიოლოგებისა და ფიზიოლოგების ერთობლივი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ პირიდან ცუდი სუნის მიზეზი შემთხვევათა 90%-ში ენაა, რომელიც ბაქტერიების ვრცელი ინკუბატორია. შემდეგ მოდის პირის ღრუს სიმშრალე, კბილებისა და ზოგიერთი დაავადება (მაგალითად, შაქრიანი დიაბეტი), თამბაქოს მოწევა, შიმშილობა, პირის ღრუს არასწორად მოვლა. სუფთა სუნთქვა რომ დაიბრუნოთ, რამდენიმე რჩევა გაითვალისწინეთ.

პირიდან ცუდი სუნის გაქრობის ყველაზე მარტივ საშუალებად მიჩნეულია ჩვეულებრივი ჰიგიენა: კბილებისა და ენის დღეში არანაკლებ 2-ჯერ გაწმენდა და ასევე ანტიბაქტერიული ელექსირის გამოვლება.

წელიწადში 2-ჯერ საკონსულტაციოდ სტომატოლოგს მიმართეთ და კბილებისა და ღრძილების მდგომარეობა შეამოწმეთ.

ასევე ეწვიეთ თერაპევტს, რათა ქრონიკული ინფექციების ყველა ქრონიკული კერა გამოვლინდეს.

დაიცავით რაციონალური კვება, უარი თქვით ტკბილეულზე, კვებაში გამოიყენეთ ქორფა ბოსტნეული, ხილი და მწვანილი.

თამბაქოს მოწევას თავი დაანებეთ.

პირიდან ცუდი სუნის გაქრობას ეხმარება ბალახების ნახარშის დღეში 3-ჯერ გამოვლება.

15 გრამ კვლიავის თესლებს 1 ჭიქა მდუღარე დაასხით, 20 წუთი დადგით. ნაყენი გაწურეთ.

1 სუფრის კოვზ პიტნას 1/2 ჭიქა მდუღარე დაასხით, 1 საათი დადგით, გაწურეთ.

აპნოეს სინდრომი

აპნოეს სინდრომი — ძილის დროს სუნთქვის დროებითი შეწყვეტა, ერთ-ერთი ხშირი და საკმაოდ საშიში დარღვევაა. ზოგიერთმა ეს შეიძლება ვერც კი შენიშნოს, სხვები კი ჰაერის უკმარისობის შეგრძნებით იღვიძებენ. რომელ სიმპტომებზე უნდა ვიყოთ ფხიზლად, რომ ეს საშიში დარღვევა თავიდან ავიცილოთ?

პირველ რიგში, ეს არის დღის განმავლობაში ძილიანობა, იმის მიუხედავად, რომ ღამით საკმაოდ ბევრი გეძინათ. თუ ახლობლები ჩივიან, რომ ხმამაღალი და წყვეტილი ხვრინვა გაქვთ, ესეც შეიძლება აპნოეს ნიშნად ჩაითვალოს.

როგორ უზრუნველვყოთ ჯანსაღი ძილი?

თუ ჭარბი წონა გაქვთ, ზედმეტი კილოგრამები დაიკელით და ნორმის დონეზე შეინარჩუნეთ.

უარი თქვით თამბაქოს მოწევაზე, თუ ასეთი ჩვევა გაქვთ.

ძილის წინ არ მიიღოთ დამამშვიდებელი ან საძილე პრეპარატები და არც კოფეინის შემცველი გამამხნევებელი სასმელები.

ზურგზე ნუ დაიძინებთ.

სასუნთქი გზების ნებისმიერ დაავადებას დროულად უმკურნალეთ.

აპნოეს სინდრომის დროს, მხოლოდ ექიმის რეკომენდაციით, შეგიძლიათ სპეციალური მოწყობილობა (ცხვირის ნიღაბი) გამოიყენოთ.

პირველი დახმარება ინფარქტის დროს



ინფარქტი გულის ყველაზე მრისხანე მდგომარეობაა, რომელსაც სერიოზული შედეგები მოჰყვება. აქ მეტად მნიშვნელოვანია პირველადი დახმარების სწრაფად და დროულად აღმოჩენა. ინფარქტისთვის დამახასიათებელია მკვეთრი, მწვავე ტკივილი გულის მიდამოში და მკერდის უკან, რომელიც მხრებსა და მკლავებს გადაეცემა. ამავდროულად ტკივილი (სტენოკარდიის შეტევისგან განსხვავებით) მოსვენებულ მდგომარეობაშიც არ მცირდება. შიშის, სისუსტის, ჰაერის უკმარისობის შეგრძნება ჩნდება. ასეთ შემთხვევაში დაყოვნება სიცოცხლისთვის საშიშია. მაშინვე გამოიძახეთ სასწრაფო. თქვენი ეჭვი ინფარქტზე აუცილებლად გამოთქვით.

თქვენთვის აუცილებელია სრული სიმშვიდე. მოხერხებული პოზა შეარჩიეთ — დაჯექით ან დაწექით ისე, რომ ზურგით მაღალ ბალიშს ეყრდნობოდეთ. ეცადეთ, მშვიდად ისუნთქოთ. ენის ქვეშ ნიტროგლიცერინი დაიდეთ, 5 წუთის შემდეგ (უფრო ადრე — არა) მეორე აბი. სასურველია ნახევარი ასპირინი დაღეჭოთ, რომელიც თრომბის წარმოქმნას აბრკოლებს და სისხლს ათხელებს. დანარჩენ ზომებს ექიმები მიიღებენ. თუ უბედურება თქვენს ახლობელს შეემთხვა, გვერდიდან არ მოსცილდეთ, დამშვიდეთ. პანიკა და ზედმეტი ნევროზულობა მდგომარეობას გააღრმავებს.

გავასუფთაოთ სისხლძარღვები

სისხლძარღვების მდგომარეობაზე თვალყურის მიდევნება და მათი რეგულარულად გასუფთავება მეტად მნიშვნელოვანია. სწორედ მათზეა დამოკიდებული ჩვენი ჯანმრთელობა და დღეგრძელობა.

გაწმენდის პროცესი სულაც არ არის რთული და ყველასთვის ხელმისაწვდომია.

სისხლძარღვებს ძალიან კარგად ასუფთავებს ჟოლოს ფოთლები, ნიახური, ნიორი, პიტნა, ვერხვის ქერქი, კამა და ვალერიანი.

რეცეპტი. 1/4 ჭიქა კამის თესლები და 1 სუფრის კოვზი ვალერიანის დაქუცმაცებული ფესვები აურიეთ. ნარევს 1 ჭიქა მდუღარე დაასხით და 15 წუთი დადგით. ნაყენი გაწურეთ, 1/2 ჭიქა ნატურალური თაფლი დაუმატეთ, თერმოსში გადაიტანეთ და დღე-ღამე დატოვეთ. 1/4 ჭიქა, ჭამამადე ნახევარი საათით ადრე მიიღეთ. კურსი 1 თვე.

არანაკლებ მნიშვნელოვანია სისხლის გასუფთავება.

რეცეპტი. ძახველის 500 მლ წვენი, ალოეს 500 მლ წვენი და 0,5კგ თაფლი აურიეთ. ნარევი მაცივარში შეინახეთ. 50-70 მლ დღეში 2-ჯერ, ჭამის წინ, 20 დღის განმავლობაში მიიღეთ. ეს საშუალება არამხოლოდ სისხლს ასუფთავებს, ასევე ავიტამინოზის, იმუნოდეფიციტის, ჰიპერტონიის დროს ეხმარება.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black



გვპასუხობს ექიმი

● იქნებ მოგვაწოდოთ ინფორმაცია როგორია ვაშლის, ხაჭოს, სტაფილოს დიეტა და რა დაავადებების დროს ინიშნება.

— ვაშლის დიეტა ინიშნება 1-2 დღის განმავლობაში. ავადმყოფს დღის განმავლობაში აძლევენ მხოლოდ ვაშლის 1-1,5 კგ-ს, რაც თანაბრად უნდა განაწილდეს მთელი დღის რაციონზე. უნდა მიიღოთ 5-6-ჯერ, დაახლოებით ორსაათიანი ინტერვალებით. ეს დიეტა შეიცავს 3-5 გრამ ცილას, 100-160 გრამ ნახშირწყლებს; რაც 430-670 კალორიას შეადგენს. ამ დიეტას განტვირთვის დიეტას უწოდებენ. რეკომენდებულია სიმსუქნის, ათეროსკლეროზის, ჰიპერტონიული დაავადების, ნეფრიტის და სისხლის მიმოქცევის დროს.

ხაჭოს დიეტა — ინიშნება გულ-სისხლძარღვთა დაავადებისას, ქრონიკული ნეფრიტის დროს, როცა მიმდინარეობს შეშუპებით, ოღონდ აზოტი არ უნდა იყოს მომატებული. დიეტა 2-3 დღიანია. 500 გრამი ახალი ხაჭო და 150 გრამი შაქარი ან თაფლია საჭირო. დიეტა შეიცავს 75 გრამ ცილას, 75 გრამ ცხიმებს, 50 გრამ ნახშირწყლებს.

სტაფილოს დიეტა — ინიშნება ქრონიკული და მწვავე ნეფრიტის დროს, როდესაც არის შეშუპება და მომატებული აზოტი, ღვიძლისა და სანაღვლე გზების დაავადებების დროს, რევმატიული პოლიართრიტის, სიმსუქნის, ათეროსკლეროზის, ჰიპერტონიული დაავადებების დროს. დიეტა 1-2 დღიანია, საჭიროა 1,5 კგ სტაფილო, 50-75 გრამი შაქარი. სტაფილო უნდა გაიხეხოს, მოეყაროს შაქარი, თითო მიღებაზე 200 გრამი უნდა მიიღონ. დიეტა შეიცავს 10-15 გრამ ცილას, 120-180 გრამ ნახშირწყლებს, საშუალოდ 700 კალორიას შეადგენს.

● მაწუხებს კოლიტი. როგორ ვიკვებო?

— ყოველდღიურად აუცილებლად მიიღეთ თხიერი საკვები. მოერიდეთ მჟავე-მწარეს, ცხიმიანსა და ტკბილ საკვებს. ეცადეთ, დილა ხაჭოთი ან მაწვნით დაიწყოთ.

● სისხლი მიდედდება ძალიან ნელა. მივიღე კალციუმის შემცველი პრეპარატები, მაგრამ უშედეგოდ. თუ არსებობს რაიმე მარტივი მეთოდი, რომ ხელის გაკაწვრის დროს დიდი რაოდენობით სისხლი არ დაკარგო?

— სისხლის შედედება 3-4 წუთში უნდა მოხდეს, თუმცა ორგანიზმში მიმდინარე რთული პროცესია. თუ ამ პრობლემამ ძალიან შეგაწუხათ, აუცილებელია ჰემატოლოგის ჩართვა. თვითნებურად წამლების მიღებას ნუ გარისკავთ. განაკაწრიდან თუ გინდათ, რომ სისხლდენა სწრაფად შეგიჩერდეთ, ოდნავ მოაფრქვიეთ შაქრის პუდრა.

● 5 წლის ბავშვს სისტემატურად აწუხებს ხველა. შეიძლება ითქვას, რომ მთელი ზამთრის განმავლობაში. ვუმკურნალეთ, მაგრამ ბოლომდე არ განიკურნა. გვირჩიეთ რამე შინაური მეთოდი.

— თუ ბავშვი ალერგიული არ არის, ყოველდღიურად, უზმოზე მიეცით თითო ჩაის კოვზი თაფლი. შეგიძლიათ დილის საათებში მისცეთ „უცნაური“ ერბოკვერცხი. ერთი კვერცხი კარგად გათქვიფეთ უმარილოდ და შეწვით ტაფაზე გამდნარ კარაქსა და მცირე თაფლის სანთელთან (დაახლოებით თხილის ოდენა) ერთად. ეცადეთ, ბავშვი ლოგინში გააჩეროთ თბილად და ცოტა ხანს არ ილაპარაკოს. თუ ერთი კვირის განმავლობაში თქვენი პატარა ამ საკვებით დაიწყებს დილას, აბეზარი ხველა მოშორდება.

● მინერალური წყლის მიღება ყოველდღიურად შეიძლება და რა რაოდენობით?

— მინერალური წყალი მიირთვით, რამდენიც გნებავთ. ის ორგანიზმზე უარყოფითად არ მოქმედებს. ჩვეულებრივი წყალი, მინერალურისგან განსხვავებით, უფრო შარდმდენია, ამიტომ დიეტის დროს მინერალური წყლის მიღება უფრო რეკომენდებულია.

● შეგრძნება მაქვს, რომ ყლაპვის დროს ყელში რაღაც მეჩხირება. აუცილებლად ჩიყვი მექნება?

— თანამედროვე პირობებში ჩიყვის დიაგნოზის დადგენა ძალიან მარტივად შეიძლება ექოსკოპიით. თუ ფარისებრი ჯირკვალი გადიდებული გაქვთ, ექიმი მიგითითებთ, რა ანალიზები ჩაიტაროთ. ჩიყვის მკურნალობა ოპერაციულ ჩარევას ყოველთვის არ საჭიროებს.

● მაწუხებს თირკმლები, ვერ ვჭამ ლობიოს. მარხვის პერიოდში ამ საკვების გარეშე მიჭირს. რითი შეიძლება მისი ჩანაცვლება?

— თუ საკვები პროდუქტის მიღებისას რომელიმე ორგანო გიღიზიანდებათ, ეცადეთ, ეს პროდუქტი არავითარ შემთხვევაში არ მიიღოთ. მთელი მარხვის პერიოდში ყოველდღიურად მიიღეთ მინერალური წყალი. თუ თირკმლები გაწუხებთ, შეგიძლიათ მიიღოთ ბურღულეული, სამარხვო მაიონეზით მომზადებული პროდუქტები, რომლებიც თირკმელებს ნაკლებად გაგიღიზიანებთ.

● ნელ-ნელა ძალიან ვსუქდები, ღამეც ბევრ ტკბილს ვჭამ. თავს ვერ ვაკონტროლებ. არსებობს რაიმე საშუალება, რომ მადა დამეკარგოს?

— არსებობს შემთხვევები, როცა ტკბილს ისე ჭამს ადამიანი, რომ თავს ვერ აკონტროლებს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში პათოლოგიასთან არ გვაქვს საქმე, თუმცა არც იმ ფაქტის გამორიცხვა შეიძლება, რომ დროთა განმავლობაში შეიძლება ორგანიზმში სერიოზული ცვლილებები დაიწყოს. თავის დაზღვევის მიზნით, შეიმოწმეთ სისხლში შაქრის დონე. მადის დასაკარგი პრეპარატები შეიძლება შეიძინოთ აფთიაქში, მაგრამ ის ყველანაირი საკვების მიმართ დაგიკარგავთ მადას და შეიძლება თქვენი ორგანიზმისთვის არასასურველი შედეგი მოგცეთ. გირჩევთ, თუ მოგშივდებათ ან ტკბილი საკვები მოგინდებათ, დალიეთ წყალი. ეს მარტივი პროცედურა კუჭის შევსებაში დაგეხმარებათ და ტკბილი აღარ მოგინდებათ. რა თქმა უნდა, რაც უნდა ბანალურად მოგეჩვენოთ, უმჯობესია ენდოკრინოლოგს მიმართოთ.

● ადრე სიცოცხლეში სულ ცხვირს ვაცემინებდი, მაწოლდებოდა ცხვირი, მქონდა ალერგია. შემდეგ მდგომარეობა დაძაბძაბდა. ცემინება დამეწყო ცხელებით, ასევე მაქვს ხელ-ფეხის ცხელება. რა ანალიზი უნდა ჩავიტარო და რომელ ექიმს მივმართოთ?

— თუ დაზუსტებით იცით, რომ ალერგია გქონდათ, მიმართეთ ალერგოლოგს, თუმცა ალერგიას არ ახასიათებს ტემპერატურის მატება. ჩაიტარეთ სისხლის საერთო ანალიზი და მიმართეთ თერაპევტს. შეიძლება თქვენს ორგანიზმში მიმდინარეობს ანთებითი პროცესი და საჭიროა ანტიბიოტიკებით მკურნალობა, ოღონდ მხოლოდ ექიმის დანიშნულებით.

შოკოლადი სევდისგან გიხსნით

შოკოლადის ერთ-ერთი ცნობილი თვისება ისაა, რომ განწყობას ამაღლებს. ამ ნუგბარში შემავალი მაგნიუმი დეპრესიის კვალს შლის, ასევე მეხსიერებას აუმჯობესებს, სტერსების მიმართ გამძლეობას ამაღლებს, იმუნიტეტს ამაგრებს. ამიტომ, როდესაც ნაღველი მოგეძალებათ, შოკოლადის ტორტის ნაჭერი ან შოკოლადი მიირთვით. ბედნიერი თუ არ გახდებით, განწყობა მაინც გაგიუმჯობესდებათ.

კალორიებზე ნუ ინაღვლებთ. ტკბილი თერაპიით მიღებული ზედმეტი წონა სწრაფად გაქრება.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ

თუ გსურთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კითხვის გაგზავნა, აკრიფეთ ასო S და გაგზავნეთ კითხვა ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან. 1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black





სიტყვა-კოდი

1	2	3	4	5	6

ელექტრონათურის ვაზნაში ჩასახრახნი ნაწილი

1. ნაწილაკი; 2. ... შალიკაშვილი; 3. ძლიერი განცდის გამოვლენა; 4. დედამიწის ზემოთა სივრცე; 5. ბუნებრივი საღებავი; 6. ჰამლეტის სატრფო; 7. ასო ეს სახელი; 8. ცხენის ნაშიერი; 9. იტალიის საფეხბურთო კლუბი; 10. ერთგვარი საგნების სისტემაში მოყვანილი კრებული; 11. ქალო კუთხურად; 12. კურორტი ჩრდილოეთ კავკასიაში; 13. ... თაყაიშვილი; 14. მცირე მდინარე; 15. სიმებიანი საკრავი; 16. ლირიკული ლექსი რაინდულ სიყვარულზე შუა საუკუნეების ტრუბადურთა პოეზიაში; 17. აზოტთან კავშირის მიმანიშნებელი წინსართი; 18. პაატა ბურჭულაძე, როგორც მომღერალი; 19. გაორმაგების აღმნიშვნელი წინსართი; 20. პიტალო კლდე; 21. ქალიშვილი ინგლისურად; 22. პრიზმაში სინათლის სხივის გავლისას მიღებული ფერადი ზოლები; 23. იუპიტერის თანამგზავრი; 24. ბილიარდის ჯოხი; 25. მწვანილთაგანი; 26. კატის გასაგდები შეძახილი; 27. კარგი ხარისხის წვრილმარცვლოვანი ყავა; 28. თავდები; 29. თამასა სურათების ჩარჩოებისა და ოთახის კარნიზების გასაკეთებლად; 30. მცენარეული საწამლავი; 31. დიდი ფრინველის ნარნარი ფრენა; 32. ლექსის სტრიქონი; 33. სოფელი ონის რაიონში; 34. ... რივზი; 35. თეფში; 36. ... აბე; 37. ... ბოლდუინი; 38. უქოჩრო თუთიყუში; 39. ბანქოს ერთგვარი თამაში; 40. ინდური ფილმი; 41. იტალიური ღვეზელი; 42. ხის გასაპრიალებელი სპირტიანი ლაქი; 43. წარჩინების ნიშანი; 44. ქიმიური ელემენტი; 45. შლამის თევზი; 46. თანამშრომლობა, ხელის შეწყობა; 47. თეატრის კოლექტივი; 48. მოხერხება, უნარი; 49. მთავარი პარტიების შემსრულებელი ქალი ოპერასა და ოპერეტებში; 50. სახელმწიფო აზიაში; 51. ... სუმაკი; 52. ჰიტლერის მეუღლე; 53. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 54. სანელებელი; 55. მხედველობის ორგანო; 56. მთათა სისტემა დასავლეთ ციმბირის სამხრეთში; 57. „თეთრი ბაირაღების“ პერსონაჟი; 58. სოფელი ქარელის რაიონში; 59. უდანაშაულობის დამადასტურებელი საბუთი; 60. ათასჯერ ათასი; 61. ბერძნული ანბანის ასო; 62. ცომის ასაფხეკი ნიჩაბი; 63. უარყოფითად დამუხტული ნაწილაკი; 64. კათოლიკეთა მღვდელი; 65. მათემატიკური მუდმივა; 66. თაყვანისცემა, გაღმერთება.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კოდიანი სკანვორდის პასუხები

1. პირუეტი; 2. აგა; 3. პინია; 4. უი; 5. სიო; 6. არსი; 7. ირონია; 8. კაიუტა; 9. ზაურ; 10. ძუა; 11. ბოღაზი; 12. მონტიორი; 13. მა; 14. არკებუზი; 15. ატილა; 16. იერი; 17. აზარტი; 18. პიასტრი; 19. პია; 20. ორიკი; 21. ანტიკვარი; 22. აშუღი; 23. ფრი; 24. ინა; 25. სირი; 26. ირისი; 27. კნოლევი; 28. აბი; 29. ბრუნეი; 30. რო; 31. ინრო; 32. ნიბლია; 33. ნალია; 34. ტროსი; 35. ტეილორი; 36. ირი; 37. რეა; 38. დღე; 39. რძე; 40. ენერგია; 41. ერე; 42. ბის; 43. აიოვა; 44. პრეტორია; 45. აჩადარა; 46. ალბიცია; 47. კონსომე; 48. იან; 49. ოაზისი; 50. ტრავმა; 51. ჩანჩქერი; 52. აკვალანგი; 53. აბლაუტი; 54. პარაკნა; 55. ეფა; 56. კამათი; 57. დო; 58. ბეკარი; 59. ამაო; 60. აბრა; 61. მეთანი; 62. ინ; 63. ენა.

სურათებზე: მარიანუ შიმენეზი; ალისა დოდი; ჯენა ელფმანი; რებეკა რომინ სტამოსი. **კოდი** — ჩერანი.

Cyan Magenta Yellow Black

მწვანე სკანვორდი

1. ნოტი
2. ოსტა-ტობის ხარისხი ძიუდოში
3. ... ახმატოვა
4. მდინარის სადინარი
5. მტკვრის შენაკა-დი
6. ... წყნეთე-ლი
7. სუფრის ყურძნის ჯიში
8. ორღობე სოფლად
9. უბანი თბი-ლისში
10. ინგლი-სური არაყი
11. ქალაქი მოლდო-ვაში
12. ბარაქია-ნი, მდიდარი
13. ზღვაში მცურავი ყინულის მთა
14. ალოე ძველქარ-თულად
15. რუმინეთის ფულის ერთეული
16. კორე-ული ავტო
17. ნული ქულა
18. წმინდა ... მართა-ლი
19. ვერდის ოპერა
20. „... ერგასის დღე“
21. მინანქარი
22. შაშის მსგავსი თამაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული მწვანე სკანვორდის პასუხები

1. ალმასი; 2. ლა; 3. აპრილი; 4. იიპე; 5. იო; 6. ნაგასაკი; 7. ცირიკი; 8. ია; 9. რუ; 10. მინჩხი; 11. საია; 12. ჩიკორი; 13. ორგია; 14. ახო; 15. რომბი; 16. სერ; 17. ოსმიუმი; 18. გეა; 19. სი; 20. ორბი; 21. პინო; 22. ბუ; 23. ისლამი; 24. მე; 25. ამარეტო.

სურათებზე: პლატინა; ოქრო; ვერცხლი; მელხიორი.

Cyan Magenta Yellow Black

თეთრეულს სწორად ვირჩევთ

როგორ იძენთ საწოლის თეთრეულს? მხოლოდ ფორმას, ფერების შეხამებასა და ქსოვილის სიმკვრივეს ითვალისწინებთ? სინამდვილეში სხვა უფრო მეტად მნიშვნელოვანი მომენტებიც არსებობს.

ყურადღება მიაქციეთ მასალას. არ დაიჯეროთ, რომ ვისკოზა, ხელოვნური შალი და სინთეტიკური ქსოვილები ხარისხით ნატურალურს არაფრით ჩამოუვარდება. ჯანმრთელობისთვის ყველაზე უსაფრთხოა ბამბა (ბიაზი, სატინა, ბატისტი, ჩითი, ფლანელი), სელი, და ნატურალური შალი.

აუცილებლად შემოაწმეთ საღებავების ხარისხი. დააკვირდით ფერადი კომპლექტის შიდა პირს. თუ ქსოვილის პირის მხარე მნიშვნელოვნად მუქია უკუღმა პირთან შედარებით, საღებავი ცუდია. შეიძლება ალერგია გამოიწვიოს, კანი გააღიზიანოს და შეღებოს კიდეც. შეხედეთ ეტიკეტს. ხარისხიანი მყარი საღებავი საშუალებას იძლევა თეთრეული 60 გრადუს ტემპერატურაზე გაირეცხოს.

უარი თქვით კომპლექტის შეძენაზე, რომელსაც მკვეთრი ქიმიური სუნი აქვს.

დაბოლოს, მაშინაც კი, თუ ყიდვისას თეთრეული საგულდაგულოდ არის შეფუთული, გამოყენების წინ აუცილებლად გარეცხეთ.

ძახველი ჯანმრთელობისა და სილამაზისთვის

ამ წითელ კენკრაში ვიტამინი C ერთნახევარჯერ მეტია, ვიდრე ლიმონში. ხოლო სისხლის წარმომქმნელი ელემენტის — რკინის — შემცველობით ასკილს უტოლდება.

უძველესი დროიდან ასკილის წვენი გამოიყენება ხველის დროს, ხოლო კენკრის ნაყენს საჭმლის მონელების დარღვევის, შეშუპებისა და ღვიძლის ტკივილის დროს სვამენ.

ძახველის ფაფა თაფლით ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო და გემრიელი კერძია. კენკრისგან ამზადებენ პასტილას, კომპოტებს, მარმელადს.

ძახველის ნახახში გაცივებისა და ხველის დროს

2 სუფრის კოვზი კენკრა ემალის ჭურჭელში დასრისეთ, 1 ჭიქა მდუღარე დაასხით, თავსახური დააფარეთ და დაბალ ცეცხლზე 15 წუთი დადგით. ნახარში მარლაში გაწურეთ და 1/3 ჭიქა, დღეში 3-4-ჯერ ჭამამდე მიიღეთ. გემოვნებით შეგიძლიათ შაქარი ან თაფლი დაუმატოთ.

ძახველის წვენი მაღალი სიტენიანობის ნნევის დროს

წვენი შეგიძლიათ მიიღოთ ორი გზით: კენკრას შაქარი დააყარეთ — წვენი თავისით გამოვა. ან კენკრა დასრისეთ, გაწურეთ და თაფლი პროპორციით 1:1 დაუმატეთ. 1 სუფრის კოვზი 2-3-ჯერ დღეში, ჭამამადე მიიღეთ.

ძახველის ჯოსმეტიკა

ძახველის სილამაზის რეცეპტებს ჯერ კიდევ უძველეს დროში იყენებდნენ. ძახველის წვენი ანთების საწინააღმდეგო ნატურალური საშუალებაა. გამოიყენება ფერიმჭამელებთან და მუწუკებთან საბრძოლველად. კანი თეთრდება, ხოლო ჭორფლი ნაკლებად შესამჩნევი ხდება ან საერთოდ ქრება.

ნაღები ცხიმიანი კანისთვის

1 სუფრის კოვზ კენკრის წვენს ათქვეფილი კვერცხის გული და 1 ჩაის კოვზი ლიმონის წვენი შეურიეთ. ნიღაბი 15 წუთის შემდეგ თბილი წყლით ჩამოიბანეთ. ნიღაბი 5 დღეში ერთხელ გაიკეთეთ ერთი თვის განმავლობაში. ის ფორებს ავიწროებს, ცხიმიანობას ამცირებს და კანს ათეთრებს.

ქაფი სხეულისთვის

ნახევარ ჭიქა ძახველის წვენს 2 კვერცხის გული, 1 სუფრის კოვზი ჟოჟობას ზეთი (ზეითუნის ზეთი) შეურიეთ. ნარევი მიქსერით ათქვიფეთ (1-2 წუთი), შემდეგ 2 სუფრის კოვზი არაყი დაუმატეთ. სხეულზე შხაპის მიღების დროს წაისვით. კანი რბილი და ელასტიკური გახდება. ნარევი მაცივარში 3-4 დღე ინახება.

უძილობას გამოეთხოვეთ

ვერაფრით იძინებთ, მთელი ღამე საწოლში ტრიალებთ? საძილე საშუალებების მიღებას ნუ იჩქარებთ. პრობლემის დაძლევაში მარტივი საშუალებები დაგეხმარებათ.

დაძინებამდე 2-3 საათით ადრე სუფთა ჰაერზე გაისეირნეთ. ფეხით სიარული არამხოლოდ კარგ ძილს ეხმარება, ასევე გულის კუნთს ამაგრებს.

ზედმეტს ნუ შეჭამთ, მაგრამ დასაძინებლად არც მშიერი დაწვეთ. უცხიმო იოგურტი, ხაჭო ქორფა ხილით, ბოსტნეულის სალათა — აი, რა გჭირდებათ.

საღამოს თბილი აბაზანა მიიღეთ. წყალში ერთი მუჭა ზღვის მარილი ან გვირილის ყვავილების ნაყენი ჩაუმატეთ. აბაზანაში 15-20 წუთი იწექით.

ძილის წინ დამამშვიდებელი ჩაი დალიეთ. 1 ჩაის კოვზ თავშავას ყვავილებსა და ფოთლებს 1 ჭიქა მდუღარე დაასხით, ნახევარი საათი დადგით, გაწურეთ. სურვილის მიხედვით თაფლი დაუმატეთ. ასეთი სასმელი დაძაბულობის მოხსნას ეხმარება და ადუნებს.

სპორტი ტვინის აქტიურობას ეხმარება

ექსპერიმენტების საფუძველზე დაადგინეს, რომ ფიზიკურ აქტივობას შეუძლია ტვინის ასაკობრივი დაშრეტა შეაჩეროს, რაც დაკავშირებულია ჰიპოკამპში ნეირონების ღეროვანი უჯრედების წარმოქმნის შეწყვეტასთან. როგორც გაირკვა, რაც უფრო მცირეა ისინი, მეხსიერება და ინტელექტი მით უფრო უარესდება. მეცნიერები მხსნელად სპორტს თვლიან. კუნთების გაძლიერებული მუშაობისას ტვინში განახლდება ქიმიკატი, რომელიც ღეროვანი უჯრედების მომწიფებას ხელს უწყობს. სწორედ ამ უკანასკნელებისგან წარმოიქმნება ნეირონები.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ

სასარგებლო რჩევები

ვინახჩენებთ სუფთა ახომატს

თუ სპორტს მისდევთ, თქვენთვის კარგად ნაცნობია სუნის პრობლემა ჩანთაში, სადაც სპორტული სამოსი გაქვთ. ჩანთაში ჩაის რამდენიმე პაკეტი მოათავსეთ. მშრალი ჩაი სუნს მშვენივრად ისრუტავს, როგორც ტანსაცმლიდან, ასევე ფეხსაცმლიდან.

ყვითელი ლაქა

თეთრი სამოსიდან დეზოდორანტის ყვითელი ლაქა რომ ამოიღოთ, ქსოვილს საჭმელი სოდა მოაყარეთ და წყალბადის ზეჟანგი დაასხით. 30 წუთი დატოვეთ და გარეცხეთ.

ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ჭურჭლის სარეცხი საშუალება: 1 ჩაის კოვზი საშუალება, 4 სუფრის კოვზი წყალბადის ზეჟანგი და 2 სუფრის კოვზი სოდა აურიეთ. ფაფა ლაქაზე წაუსვით და ჯაგრისით გარეცხეთ.

Cyan Magenta Yellow Black

ქართული ანეკდოტები

ჯიენტი ოფიციანტს დაეჭვებით ეკითხება:

— ბიჭო, ხინკალი 20 ლარი, მწვადი 15 ლარი, ღვინო 20... ხომ ასეა?

— ჯი, ბატონო.

— ეს 55 ლარია და შენ 80 ოგოს გამოგივიდა?

— ზნაჩიტ, ეს გამომივიდა!

ოსი პუშკინის ძეგლს უყურებს:

— საწყალი... ნეტა, რით მოკვდა?

— ეგ დანტესმა მოკლა დუელში, — უხსნის გიდი.

— კი მაგრამ, დანტესმა ზუსტად ისროლა და ძეგლი ამას დაუდგეს?

❖ ❖ ❖

კარზე ზარია. დიასახლისი აღებს.

— უკაცრავად, ქალბატონო, — ეუბნება მუცელზე ხელებშემოჭერილი მამაკაცი, — შემომიშვით, თქვენი ტუალეტით უნდა ვისარგებლო, ძალიან მიჭირს.

— კი მაგრამ, უცხო ოჯახის დიასახლისს რომ მაგას ეუბნებით, თქვენთვის უხერხული არაა?

— დროზე შემომიშვით, ქალბატონო, თორემ ორივე უარეს უხერხულობაში ჩავვარდებით.

❖ ❖ ❖

სვანი სიცრუის დეტექტორზე შეაერთეს და უხსნიან:

— თუ ტყუილს იტყვი, დეტექტორზე წითელი ნათურა აინთება, თუ მართალს — მწვანე. გასაგებია?

— გასაგებია, აბა, რა. ყუმი და შტერი კი არ ვარ!

დეტექტორზე წითელი ნათურა აინთო.

❖ ❖ ❖

სვანმა ძროხა დაკლა და ბაზარში შეიტანა გასაყიდად.

— მაგის გაყიდვა არ შეიძლება, ვეტექიმმა უნდა გასინჯოს, — ეუბნება ვეტერინარული სამსახურის წარმომადგენელი.

— უკვე დავკალი და რაღა დროს გასინჯვაა?! — უკვირს სვანს.

მატარებლის ჯუჯეში ქალი და ჯაცი სხედან. ჯაცი გაზეთს ყითხულობს და ქალს ყუჩადღებას არ აქცევს.

— ჩემეთი ვეი გამახითობ? — ჯაბა წამოინია ქალმა მუხლებზე.

— აგე, მეოჩე გაზეთი!

❖ ❖ ❖

— რომ იცოდე, რა ძვირფასი ხარ და როგორ მიყვარხარ, — ესმის ცოლს ქმრის ხმა მეორე ოთახიდან.

— ვის ელაპარაკები, ვაუ-ბატონო, ტელეფონით? — გამწარებული ეცა ქმარს.

— სადაა, ქალო, ტელეფონი, წვერს ვიპარსავ და სარკეში საკუთარ თავს ველაპარაკები.

❖ ❖ ❖

— რატომ დაეჯახე შემხვედრ მანქანას?

— ჩემი დეგენერატი ცოლის ბრალია.

— როგორ?

— მივდიოდით მე და ჩემი ცოლი, გზაზე მოკლეკაბიანი შხვართი გოგო გამოჩნდა...

— და თვალი გააყოლე, ხომ?

— ვინ მაცალა?! ცოლმა გაზეთი ამაფარა თვალებზე.

❖ ❖ ❖

ქმარმა ცოლი წაიყვანა კინოთეატრში, მაგარი ტრაგიკული ფილმიაო. ცოტა ხანში:

— ესაა, კაცო, ტრაგიკული ფილმი? შეყვარებულები ტკბილად ჟღურტულებენ.

— ბოლოშია ტრაგედია, ქალო.

— კვდებიან?

— არა, ხელს აწერენ.

❖ ❖ ❖

ორი ნარკომანი საუბრობს:

— ეე, ვასკა, მგონი, გავრეკე, ტო. ტყლარპეჯრიკენი მტკივა.

— ეგ რაღაა, ტო?

— გავრეკე-მეთქი, შე ჩემა, ვერ გაიგე?!

❖ ❖ ❖

პატრული კახელს აჩერებს და ჯარიმას უწერს, ღერძულა ხაზი გადაკვეთეო.

— მა რა მექნა, გამეწყვიტა თუ ქვეშ გავმძვრალიყავ?! —

ჯეჯეული ქალი ახალგაცნობილ მამაჯაცს ეკითხება:

— ჩამდენ წელს მომცემ-დით?

— მე ჩატომ უნდა მოგცეთ, ქალბატონო, ისედაც ძალიან ბევრი გაქვთ.



ოსმა მხარზე ქალის სხეული ამოისვიჩინგა.

— ჩატომ გაიჯეთე ეს ტატუ? — ეკითხება მეზობელი.

— დედაჩემი სულ მეუბნება, ცოლი მოიყვანეო და ჩომ არ დამავინყდეს.

უკვირს კახელს.

❖ ❖ ❖

— ალო, ექიმო, ქმარი გამიგიჟდა, მიშველეთ!

— რა სჭირს?

— კონიაკი დავუსხი და უარს ამბობს, დავჭკვიანდიო!

❖ ❖ ❖

— ვუყვარვარ, არ ვუყვარვარ, ვუყვარვარ, არ ვუყვარვარ...

— კარგი, რა, ექიმო, ერთი კბილი მაინც ჩამიტოვეთ!

❖ ❖ ❖

— ექიმო, ოპერაციის მერე ცურვას შევძლებ?

— რა თქმა უნდა.

— საოცარი ოპერაციაა!

— რატომ არის საოცარი?

— ცურვა არ ვიცი და იმიტომ.

❖ ❖ ❖

ქუთაისის ელექტრომაღაზიაში ძალიან ფაშფაშა ქალი გამყიდველს ეკითხება:

— დამაგრძელებელი გაქვენ?

— მაინც რამდენვოლტიანია შენი ქმარი, დაია?

— სა მიძჩობი მაგ ხეზე, შე სასიჯიდე! — ეყვიჩის გუჩული მეზობლის ბიჭს.

— ჯაჩალიოჯის ჭამა მინდა!

— მეჩე ვეჩ ხედავ, აფეჩი ჩომ ეჩ ასხია და გამხმაჩი ჩომაა?

— შენ მე გიჟი ხომ ეჩ ბგონივაჩ, აგეჩ მიდევს ჯიბეში ჯაჩალიოჯი!

✓ შეკრიბა ჟურნალ მერკვილიშვილმა, ქეთი ხარაბიშვილის ნახატები

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

ალან ალექსანდრ მილნი

დასაწყისი №37–38

წითელი სახლის საიდუმლოება

სამი ოთახი და სააბაზანო, ფაქტობრივად, დამოუკიდებელ ბინას წარმოადგენდა და წინა მფლობელის დროს შესაძლოა ინვალიდს ეკავა, რომელსაც კიბეზე ასვლა არ შეეძლო, მაგრამ მარკი მხოლოდ კაბინეტით სარგებლობდა. ყოველ შემთხვევაში, მას ქვევით არასოდეს ეძინა.

ენტონიმ სააბაზანოში შეიხედა, მერე კი იმ ოთახში შევიდა, სადაც კეილი იყო ნამყოფი. ფანჯარა ღია იყო და მის მიღმა მოვლილი ბალახი მოჩანდა, უფრო შორს კი პარკი. ენტონიმ ამ ყველაფრის პატრონის მიმართ ერთგვარი სიბრალული იგრძნო, ასეთ უსიამოვნო საქმეში რომ გაეხვია.

„კეილის ვარაუდით, ეს მარკმა ჩაიდინა, — გაიფიქრა ენტონიმ, — იქნებ კარზეც იმიტომ აბრახუნებდა, თავისი დეიდაშვილისთვის გაქცევის საშუალება რომ მიეცა? ანუ იცოდა, რაც მოხდა? ბევრი რამაა საეჭვო და დასაზუსტებელი“.

ფანჯარასთან მას კეილი შეუერთდა:

— დავრეკე. მიდლტონიდან ინსპექტორს და ადგილობრივ პოლიციელებს გამოგვიგზავნიან, სტენტონიდან კი ექიმს.

— მიდლტონამდე შორსაა? — ეს ის ქალაქი იყო, სადაც ენტონიმ დილით ბილეთი შეიძინა.

— ოცი მილი იქნება, — მიუგო კეილიმ, მერე კი დაამატა, — ისინი მალე დაბრუნდებიან.

— ბევრლი და დანარჩენები?

— ჰო, თუმცა აქედან წასვლაც მაშინვე მოუნდებათ.

— მით უმეტეს.

— ჰო, — დაეთანხმა კეილი, — თქვენ სადმე ახლოს გაჩერდით?

— ვუდჰემის „გეორგში“.

— თუ მარტო ხართ, კარგი იქნება, აქ რომ დარჩეთ. ამას ჩემი დეიდაშვილის სახელითაც გეუბნებით.

— ჰო, რა თქმა უნდა, სიამოვნებით, — მაშინვე დაყაბულდა ენტონი.

— შესანიშნავია. რაკი თქვენი მეგობარია, იქნებ ბევრლიც დარჩეს. კარგი ყმაწვილია, ენერგიული.

— გეთანხმებით, — მიუგო სტუმარმა და ფიქრი ისევ მკვლელობაზე გადაიტანა.

ის სავსებით დარწმუნებული იყო, რომ ბოლო, ვინც ცოცხალი ძმა ნახა, მარკი გახლდათ, საიდანაც, ცხადია, არ გამომდინარეობდა, რომ მარკ ებლეტი მკვლელი იყო. რევოლვერები შემთხვევითაც ისვრიან, ამ დროს კი ადამიანები თავებს კარგავენ და გარბიან, ეშინიათ რა, რომ მათ ნათქვამს არ დაიჯერებენ. ისე კი, როცა დამნაშავე ან უდანაშაულო ადამიანები გარბიან, ძნელი გამოსაცნობი არაა, რომელ გზას აირჩევენ.

— ვთვლი, რომ აქედან გაიქცა, — თქვა ხმამაღლა ფანჯარაში მაცქერალმა ენტონიმ.

— ვინ?

— ვინც არ უნდა ყოფილიყო, — გაიღიმა ენტონიმ, — მკვლელი ან, ვთქვათ, ადამიანი, ვინც კარი მას შემდეგ ჩაკეტა, როცა რობერტ ებლეტი მოკლული იყო.

— საეჭვოა.

— სხვაგან სად გაიქცეოდა? მეზობელი ოთახის შემინული კარიდან ვერა, რადგან ჩაკეტილია.

— მისტერ ჯილინჰემ, ამ სახლში პირველად ხართ და არცთუ ცუდად იცნობთ, — შენიშნა კეილიმ.

ენტონის გაეცინა:

— იცით, ასეთი დავიბადე. დაკვირვების უნარი მაქვს.

კეილიმ ბუჩქნარს გახედა:

— ალბათ მართალი ხართ.

— მგონი, გაგრძელებას აპირებდით. ანუ ბუჩქნარში? იქ იმალება ან იმალებოდა?

— ეს უკვე პოლიციას მივანდოთ, — რბილად თქვა კეილიმ, — საჩქარო არაფერია.

— ნება თქვენია, — გაუღიმა ენტონი ჯილინჰემმა და ფანჯარას მოშორდა.

ოლფის მოთამაშენი და მისის ჯოან კოლედაინი წითელ სახლს ძალიან კმაყოფილები მიუახლოვდნენ. ენტონი გარეთ იდგა და მათ ელოდა.

ის იყო, მანქანა გაჩერდა, რომ მძღოლის გვერდით მჯდარი ბილი გადმოხტა და სიხარულით მიესალმა ენტონის:

— ჰელოუ, ფსიხ! სტუმრად გვეწვიე თუ როგორ? ოღონდ არ თქვა, მარკ ებლეტის ავსტრალიიდან ჩამოსული ძმა ვარო! — და ბიჭივით გაიცინა.

— ჰელოუ, ბილ, — ხმადაბლა მიუგო ენტონიმ, — იქნებ წარმადგინო, ჰა?

როცა წარდგენა დამთავრდა, ენტონიმ ყველას გასაგონად თქვა:

— ცუდი ამბავი მოხდა. რობერტ ებლეტი მოკლეს, მისტერ მარკ ებლეტის ძმა.

— ღმერთო ჩემო! — აღმოხდა მაიორს.

— გინდათ, თქვათ, რომ აი, ახლა მოკლეს? — შეეკითხა მისის კოლედაინი.

— ეს დაახლოებით ორი საათის წინ მოხდა. აქ შემთხვევით აღმოვჩნდი, — ის ბევრლის მიუბრუნდა, — ბილ, შენი ნახვა მინდოდა და როცა მოვედი... ის უკვე მკვდარი იყო. გვამი მე და მისტერ კეილიმ ვიპოვეთ, რომელიც ახლა ძალიან დაკავებულია. სახლში პოლიციაა, ექიმები და ა.შ. ამიტომ მთხოვა, ეს თქვენთვის მეცნობებინა. თან დაამატა, რომ ამგვარი ტრაგიკული გარემოებების გამო ალბათ თქვენ-თქვენს სახლებში დაბრუნებას გადაწყვეტდით, თან, რაც შეიძლება მალე, — მან დამნაშავესავით გაიღიმა და განაგრძო, — ცუდად ნათქვამი გამომივიდა... ის, ცხადია, თვლის, რომ თქვენს გრძნობებს ანგარიში უნდა გაუწიოთ, ანუ, თუ სწორად გავიგე, შეგიძლიათ საღამოს მატარებელს გაჰყვეთ, თუ, ცხადია, ამას მოისურვებთ.

ბილი ენტონის პირდაღებული მისჩერებოდა და ვერ მოეძებნა სიტყვები, რაც უნდა ეთქვა. ბეტი მის ნორისისკენ გადაიხარა და შეშინებული ხმით შეეკითხა:

— ვინ მოკლეს?

ამაზე არანაკლებ ტრაგიკულ-თეატრალური პასუხი მიიღო:

— ავსტრალიელი მოუკლავთ, მარკის ძმა.

თავს ბოლომდე მხოლოდ მისის კოლედაინი ფლობდა:

— მესმის, ხელს რომ შეგიშლით, მაგრამ ასე მარტივად არ გამოვა. მარკი უნდა ვნახო, მოგვიანებით კი გადავწყვეტთ, რას ვიზამთ. მან უნდა გაიგოს, რა ღრმად ვუთანაგრძნობთ. იქნებ ჩვენ... — ქალი შეყოყმანდა.

— მე და მაიორი ნებისმიერ შემთხვევაში შეიძლება გამოსადეგი გავხდეთ, — თქვა ბილმა, — მისის კოლედაინ, თქვენც ხომ ამას გულისხმობდით?

— მარკი სადაა? — იკითხა უცებ მაიორმა და ენტონს შეაცქერდა.

ენტონიმ მზერა გაუსწორა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

მაიორი მისის კოლედაინს მიუბრუნდა:

— უკეთესი იქნება, თუ ბეტის დღეს საღამოსვე ლონდონში დააბრუნებთ.

— კარგი, — მორჩილად დაეთანხმა ქალი, — თქვენც წამოხვალთ, რუთ?

გოლფის მოტრფიალე მსახიობმა მხრები აიჩეჩა, ბევრლიმ კი თქვა:

— მე გამოგყვებით, რომ არ მოიწყინოთ.

— ბილ, კეილის შენი დარჩენა სურს. ხვალ მაინც მოგიწევს გამგზავრება. მაიორმა რა გადაწყვიტა?

— ჰო. მისის კოლედაინ, მე თქვენთან ერთად ვიქნები.

— ყველამ მაპატიეთ, თუ მოგეჩვენათ, რომ ჩემს თავზე ძალიან ბევრს ვიღებ, მაგრამ ჩემდაუნებურად კეილის რუპორად ვიქეცი, — განაცხადა მისტერ ჯილინჰემმა, ყველას თავი დაუკრა, შეტრიალდა და სახლში შევიდა.

— ღმერთო, რა ხდება ჩვენს თავს? — დრამატიზმით გაჟღენთილი ტონით შესძახა მის რუთ ნორისმა.

როცა ენტონი ვესტიბიულში შევარდა, ინსპექტორი და კეილი ბიბლიოთეკისკენ მიემართებოდნენ.

— ერთი წამით, ინსპექტორო, — შეაჩერა კეილიმ, — ეს მისტერ ჯილინჰემია. უკეთესი იქნება, თუ თან წამოგვყვება, — მერე ენტონის მიმართა, — ეს კი ინსპექტორი ბერჩია.

ბერჩი გაკვირვებით მიაჩერდა ჯერ ერთს, მერე მეორეს.

— ჩვენ ერთად ვიპოვეთ გვამი, — აუხსნა კეილიმ.

— მართლა? მაშინ რაღას ვუცდით? წავიდეთ და ფაქტები დავახარისხოთ. მინდა, ნათლად ვიცოდე, სად ვიმყოფები.

— როგორც ჩვენ ყველას, — შენიშნა ენტონიმ.

ინსპექტორმა ინტერესით შეხედა მას.

— მერე მიხვდით, სად ხართ?

— ვიცი, სად ვიქნები.

— საინტერესოა... მაინც სად?

— სადაც ინსპექტორი ბერჩი მიმავლენს, — ღიმილით მიუგო ენტონიმ.

ინსპექტორს გულიანად გაეცინა:

— კარგი. რამდენადაც შევძლებ, დაგინდობთ. წავედით.

ისინი ბიბლიოთეკაში შევიდნენ. ინსპექტორი საწერ მაგიდას მიუჯდა, კეილი გვერდითა სკამზე დაჯდა, ენტონი კი მოხერხებულად მოკალათდა სავარძელში რაღაც საინტერესოს მოლოდინში.

— მიცვალებულით დავიწყოთ, — თქვა ინსპექტორმა, — რობერტ ებლეტი, ხომ?

— დიახ, — მიუგო კეილიმ, — მარკ ებლეტის ძმა, რომელიც აქ ცხოვრობს.

Cyan Magenta Yellow Black

— სახლში სტუმრობდა? — ბერჩი ფანქრის თლას შეუდგა.

— არა, არა!

ენტონი ყურადღებით ისმენდა, როგორ ყვებოდა კეილი ყველაფერს, რაც კი რობერტზე იცოდა. მისთვის ეს სიახლე იყო.

— მოკლედ, ქვეყნიდან გააძევეს. რა ჩაიდინა? — დაინტერესდა ინსპექტორი.

— ზუსტად არც ვიცი. მაშინ მხოლოდ 12 წლის ვიყავი, როცა ბავშვებს კითხვების დასმა ეკრძალებათ.

— უხერხული კითხვები იყო?

— სწორედაც.

— ასე რომ, თქვენ არ იცით, ის მხოლოდ თავშეუკავებელი იყო თუ... ცოდვილი.

— არა. უფროსი მისტერ ებლეტი მღვდელი იყო, — დაამატა კეილიმ, — გამორიცხული არაა, რომ მღვდელს შეიძლებოდა ცოდვადაც ჩაეთვალა ის, რაშიც საერო პირი მხოლოდ თავშეუკავებლობას დაინახავდა.

— შესაძლებელია, მისტერ კეილი, — გაიღიმა ინსპექტორმა, — ისე კი, ის რომ ავსტრალიაში ყოფილიყო, უკეთესი იქნებოდა.

— გეთანხმებით.

— მარკ ებლეტი მასზე არასოდეს ლაპარაკობდა?

— თითქმის არა. მარკს მისი ერცხვინებოდა... ძალიანაც უხაროდა, ავსტრალიაში რომ იყო.

— ის თუ სწერდა მარკს?

— იშვიათად. ბოლო 5 წლის მანძილზე სამჯერ ან ოთხჯერ.

— ფულს სთხოვდა?

— მგონი, კი, ოღონდ, რამდენადაც ვიცი, მარკს მისთვის ფული არასოდეს გაუგზავნია.

— ახლა თქვენი პირადი აზრი, მისტერ კეილი. მარკი ძმის მიმართ უსამართლო იყო? ზედმეტად მკაცრად ექცეოდა?

— ბავშვობაში სულ ჩხუბობდნენ, მერე კი მათ შორის სიყვარული საერთოდ არ არსებობდა. არ ვიცი, ამაში ვინ მეტადაა დამნაშავე, თუ საერთოდ დამნაშავეა რომელიმე.

— მიუხედავად ყველაფრისა, მარკს შეეძლო, მისთვის დახმარების ხელი გაეწოდებინა, — შენიშნა ბერჩმა.

— რამდენადაც ვიცი, რობერტი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ყველას ფულს ეღრიჯებოდა.

— ასეთი ტიპები ჩემთვის ცნობილია, — თავი დააქნია ინსპექტორმა, — ახლა იმ წერილზე გადავიდეთ, მარკმა რომ მიიღო. თქვენ ის ნახეთ?

— მაშინ არა. მოგვიანებით მაჩვენა.

— მისამართი?

— არა. საკმაოდ ჭუჭყიანი ქაღალდის ფურცლის ნახევარი.

— ახლა სად არის?

— არ ვიცი. ალბათ მარკის ჯიბეში.

— ხომ არ გახსოვთ, შიგ რა ეწერა?

— დაახლოებით შემდეგი: „მარკ, შენი მოსიყვარულე ძმა ხვალ შენს სანახავად პირდაპირ ავსტრალიიდან გეწვევა. წინასწარ იმიტომ გაფრთხილებ, გაოცება რომ დაფარო, მაგრამ იმედი მაქვს, არა სიხარული. დაახლოებით სამისთვის მელოდე“.

ინსპექტორმა ყველაფერი ჩაიწერა, მერე უთხრა:

— შტამპი შენიშნეთ?

— ლონდონი.

— წერილს მარკი როგორ შეხვდა?

— წყენით, გაღიზიანებით...

— შიშითაც?

— არა, მთლად არა. უფრო სწორად, უსიამოვნო საუბრის წინათგრძნობით, მაგრამ არა საშიში შედეგით.

— ანუ ფიზიკური თავდასხმის, შანტაჟის ან სხვა მაგდაგვარის არ ეშინოდა?

— არა, არ შემიმჩნევია.

— და, როგორც თქვენ ამბობთ, სამზე მოვიდა?

— დაახლოებით.

— ვინ იყო მაშინ შინ?

— მე და მარკი, ასევე მსახურები, ოღონდ ვინ, არ ვიცი. თქვენ, ცხადია, მათაც დაკითხავთ.

— თქვენი ნებართვით, — გაიღიმა ინსპექტორმა, — სტუმრებიდან არავინ იყო?

— ისინი მთელი დღე გოლფს თამაშობდნენ, — აუხსნა კეილიმ, — აქ დარჩენა, ცხადია, აღარ სიამოვნებდათ და დღეს საღამოს ლონდონში გამგზავრებას აპირებენ. ამის წინააღმდეგი ალბათ არ იქნებით.

— არა, მაგრამ მათი გვარები და მისამართები მაინც უნდა მომაწოდოთ, რომელიმესთან გასაუბრება რომ დამჭირდეს.

— რასაკვირველია, გადმოგცემთ. ისე კი, ერთ-ერთი მათგანი აქ რჩება და შეგიძლიათ დაელაპარაკოთ.

— ახლა სამ საათს დავუბრუნდეთ. როცა რობერტი მოვიდა, სად იყავით?

კეილი მოყვა, თუ როგორ იჯდა ვესტიბიულში და წიგნს კითხულობდა, როგორ შეეკითხა ოდრი, სად არის ბატონიო და მან როგორ უპასუხა, ბოლოს ე.წ. ტაძრისკენ მიმავალი დავინახეო.

— ოდრი წავიდა, მე კი კითხვა განვაგრძე. კიბიდან ნაბიჯების ხმა მომესმა, ავიხედე და ქვევით ჩამომავალი მარკი დავინახე. ის კაბინეტში შევიდა, მე კი კითხვა გავაგრძელე. მერე სხვა წიგნისთვის ბიბლიოთეკაში შევედი და ვიდრე იქ ვიყავი, სროლის ხმა მომესმა, თუმცა მთლად გასროლას არ ჰგავდა. მერე გარეთ გამოვედი და კაბინეტს მივაშურე, მაგრამ დაკეტილი დამხვდა. შემეშინდა, კარზე ბრახუნი ავტეხე, თან „გააღე, გააღეს“ ვყვიროდი და... მისტერ ჯილინჰემიც მაშინ გამოჩნდა.

კეილიმ სული მოითქვა, მერე კი მოყვა, თუ როგორ იპოვეს გვამი.

— კარგით, — გაიღიმა ბერჩმა, — შემდეგი შეკითხვა მისტერ მარკს ეხება. თქვენ ფიქრობდით, რომ ის ტაძარში იყო. შეეძლო მას, ისე დაბრუნებულიყო უკან და თავის ოთახში ასულიყო, თქვენ რომ არ დაგენახათ?

— ალბათ შეეძლო, რადგან, ჯერ ერთი, უკანა კიბეც არსებობს და იმით ავიდოდა, თუმცა საეჭვოა, რადგან იმით თითქმის არ სარგებლობს. და კიდევ, მე ხომ ვესტიბიულში მუდმივად არ ვყოფილვარ? მარკს თავისუფლად შეეძლო წინა კიბითაც ისე ასვლა, რომ მე არ მცოდნოდა ანუ იმ დროს, როცა იქ არ ვიყავი.

— ამიტომ არც გაგკვირვებიათ, ჩამომავალი რომ დაინახეთ?

— არანაირად.

— მან თუ თქვა რამე?

— მხოლოდ ეს: „რობერტი აქაა“?

— შეეძლო, თავისი საძინებლიდან დაენახა, ძმა რომ მოვიდა?

— კი, შეეძლო.

— და?

— მაშინ მე ვთქვი: „კი“, რაზეც მხრები აიჩეჩა და ჩაილაპარაკა: „შორს არ წახვიდე, შეიძლება დამჭირდე“ და კაბინეტში შევიდა.

— თქვენი აზრით, რას გულისხმობდა?

— იცით, მარკი ბევრ რამეზე მეთათბირებოდა და რჩევასაც მეკითხებოდა ხოლმე. მე მისი მდივანიც ვარ, სახლის მმართველიც, კომპანიონიც და კონსულტანტიც.

— ეს უფრო საქმიანი შეხვედრა იყო, ვიდრე ძმების შეხვედრა?

— ცხადია, საქმიანი. ამაში დარწმუნებული ვარ.

— ვიდრე გასროლის ხმას გაიგონებდით, რა დრო გავიდა?

— სულ ცოტა, ალბათ ორი წუთი.

ინსპექტორი წერას მორჩა და კეილის მიაშტერდა:

— ახლა იქნებ რობერტის სიკვდილის თქვენეული ვერსია გაგვაცნოთ.

— მე მხოლოდ ისე შემიძლია ვილაპარაკო, როგორც არასპეციალისტმა და... მარკის მეგობარმა.

— გისმენთ.

— რობერტი აქ კარგი განზრახვით არ მოსულა. თან რევოლვერიც წამოიღო. მარკმა მისი წართმევა სცადა და ამ ხელჩართულ ბრძოლაში რევოლვერმა გაისროლა. მარკმა, რომ იტყვიან, თავი დაკარგა — ხელში რევოლვერი ეჭირა, ფეხებთან კი ძმის გვამი ეგდო. გადარჩენის ინსტინქტით შეპყრობილმა კარი ჩაკეტა, მერე კი, როცა ჩემი ყვირილი და ბრახუნი გაიგონა, ფანჯრიდან გადაძვრა.

— საკმაოდ ლოგიკურია, — შენიშნა ინსპექტორმა, — თქვენ რას იტყვით, მისტერ ჯილინჰემ?

— არა მგონია, თავის დაკარგვა ლოგიკური იყოს, — ენტონი სავარძლიდან წამოდგა.

— თქვენ გესმით, რასაც ვგულისხმობდი. ეს მომხდარს ხსნის.

— ჭეშმარიტად. სხვა ახსნა უფრო გაართულებდა მას.

— თქვენი ვერსია ხომ არ გაგაჩნიათ?

— არა. მოსმენილს ვეთანხმები.

— მაშინ... თქვენზე მიიმბეთ, აქ როგორ მოხვდით.

ენტონი მოყვა, თან დაწვრილებით.

— გასროლის ხმა გაიგონეთ?

— ზუსტად მაშინ, როცა წითელი სახლი დავინახე და მივუახლოვდი.

— გასროლის შემდეგ საპარადო კარიდან არავინ გამოსულა?

ენტონიმ თვალები დახუჭა, თითქოს ფიქრში შველისო და დაბეჯითებით თქვა:

— არავინ.

— თუ დამჭირდით, „გეორგში“ გნახავთ?

— არა, არა, — ჩაერთო კეილი, — მისტერ ჯილინჰემი გამოძიების დასრულებამდე აქ იცხოვრებს. ასე რომ...

— გასაგებია. ძალიან კარგი, — ინსპექტორი წამოდგა, — მოახლეებს როდის შევხვდე?

— თუნდაც დღესვე, ბატონო ინსპექტორო, — მიუგო კეილიმ და რატომღაც ენტონის გაუღიმა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

✓ **თარგმნა გურამ ჩხეტიანმა, ქეთი ხარატიშვილის ნახატი**

Cyan Magenta Yellow Black

თინათინ ბონი

ოცნების ძიებაში

დასაწყისი №31-38

www.facebook.com/Tinatinbonney

თავი 9

სვეტა ყვავილებს მართმევს, მე კი მობილურს ვიღებ და ზურას ვწერ: „მადლობა“. ვიცი, რომ ეგ არის. პასუხიც არ აყოვნებს: „არაფრის“. ნუთუ ვერ მიცნო?! ან მიცნო და არ ტყდება? ასე შევიცვალე? პრინციპში, გავლამაზდი. უმაგრეს ხასიათზე ვარ.

— მომიყვები, რა ხდება? — სვეტა განრისხებულია.

— გრძელი ისტორიაა.

— დაჯექი აგერ აქ და მოყევი.

— გოგო, ზურას რომ ვეძებდი, გახსოვს?

— სტეფანოვს?

— სტეფანიდს!

— მერე?

— ვიპოვე.

— როგორ? — სვეტა თვალებს პრაწავს.

— ირაკლის მობილურში იყო ნომერი.

— და ირაკლის მობილური შენ საიდან გქონდა?

— მასთან სახლში ვიყავი.

— როგორ?! — სვეტას ყბა უვარდება.

— სადილზე ვიყავი და გავიდა. მე მობილურში ჩავიჭვრიტე და ზურას ნომერი აღმოვაჩინე.

— კარგი... — ახველებს.

— რა?

— პირველი. შენ იქექებოდი კაცის მობილურში, მისი თანხმობის გარეშე.

— მე..

— მისმინე! ამოწერე სხვა კაცის ნომერი, რომელიც გგონია, ხაზს გავუსვამ, გგონია, რომ არის ის ზურა.

— რამდენი ზურა სტეფანიდი შეიძლება არსებობდეს? და თანაც ასეთი დამთხვევა.

— სულ არ მაინტერესებს. შენ წამით არ იფიქრე, ირაკლის როგორ მოექეცი? საერთოდ იცის?

— არა. ნომერი რომ ვნახე, ავდექი და წამოვედი, — აჰა, ახლა დამნაშავედ ვგრძნობ თავს.

— არ დაემშვიდობე?

— არა.

— შენ მართლა იდიოტი ყოფილხარ. ირაკლის ნახევარი თბილისი დასდევს და შენ ვაბშე... აუ, არ ვიცი.

— გეფიცები, ზურას ნომერი რომ ვნახე, ძალიან ავნერვიულდი და წამოვედი.

— მაგარი საქციელია. მაგარი!

— რა ვქნა ახლა, გვიანია.

— რა უნდა ქნა? ირაკლის ის მაინც უნდა უთხრა, რომ არ იყავი კარგად. და ამ ზურას ემესიჯები თუ რას აკეთებ?

— ვემესიჯები.

— იცის, ვინ ხარ?

— მე არც სახელი მითქვამს, მაგრამ ხომ ხედავ, მომაგნო.

— სხვა ზურაა ეგ.

— რატომ ამბობ მასე? — არ მინდა ამის მოსმენა.

— ის ზურა რომ იყოს, ყვავილების გზავნას არ დაგიწყებდა. მოვარდებოდა და ჩაგეხუტებოდა.

— ისევ პატარა ბიჭი კი არაა. ისე იქცევა, როგორც ასაკს შეეფერება.

— კარგი. მაზიანი გინდა? — სვეტა აშკარად დარწმუნებულია.

— არა.

— გეშინია?

მართალია. მეშინია, რომ ჩემი ოცნება დაიმსხვრევა. არ ვარ ჯერ ამისთვის მზად.

— არ მინდა და შემეშვი.

ყვავილებს ვყნოსავ და ვცდილობ, გავიღიმო. არ არსებობს, რომ ეს ჩემი ზურა არ იყოს!

❖ ❖ ❖

ზურა მანქანას აჩერებს და სარკეს ასწორებს. არეულია. რას აკეთებს საერთოდ? ვის დასდევს? ან რად უნდა ეს ყველაფერი? ურჩევნია, ცოლთან მიხოხდეს და ბოდიშებით ფეხები დაუკოცნოს, მაგრამ ზურა ამას არ გააკეთებს. არასდროს. ფანჯარაზე უკაკუნებენ. ზურა მანქანიდან გადმოდის. ჯონი ხელს ართმევს.

— შეგაგვიანდა. ხომ მშვიდობა გაქვს?

— კი. რა ხდება?

— კანცელარიის ტიპია მოსული.

— ვინ? — წამით ფიქრობს, — ხო, მაგრამ ეგ ხვალ არ უნდა მოსულიყო?

— დღეს. შენს კაბინეტში ზის.

— რა ჰქვია, გამახსენე.

— ივერი.

— კარგი. ავალ ახლავე.

— ოფშორის თემა დაალაგე?

— კი.

— კარგი, მე შენ გელოდები და წავალ მაშინ, შეხვედრაზე დავაგვიანე ისედაც.

— კარგი. მადლობა.

ზურა კაბინეტის კარს აღებს. ივერი სავარძელში ზის. ზურას დანახვაზე დგება და ხელს ართმევს.

— მაპატიეთ დაგვიანებისთვის.

— რას ლაპარაკობთ, არანაირი პრობლემა არ არის.

— მიირთმევთ რამეს?

— უკვე მივირთვი. გმადლობთ.

ზურა ივერის პირდაპირ ჯდება.

— გისმენთ.

— იპოთეკური სესხი მჭირდება.

— კი, მაგრამ ამისთვის მე არ გჭირდებით.

— არა, ცოტა რთული საკითხია. დიდი თანხაა ძალიან და ქონებრივი უზრუნველყოფის პრობლემა დგას.

— აჰა, — ზურას შუშის თვალები უხდება. ეტყობა, რომ გონებაში რაღაცას ითვლის.

— მე ბევრი მსმენია თქვენ შესახებ და ვიფიქრე, იქნებ მოვრიგდეთ რამენაირად.

— თქვენ, რამდენადაც მახსოვს, განათლების სამინისტროს კურატორი ბრძანდებით.

— გახლავართ.

— მასწავლებლებისთვის ბარათები ჩვენ გაგვაკეთებინეთ. 30 000-მდე მასწავლებელი. მინიმუმი 2 წლიანი ხელშეკრულებები.

— ძალიან რთულია.

— და ჩვენ დაგეხმარებით ცენტრში 200 კვადრატის შეძენაში.

— ჩემი ხელფასი ვერ გასწვდება ამხელა შენაძენს.

— ეს ჩვენი საჩუქარი იქნება.

— ეს ქრთამია, დიდი ქრთამი... რომ გაგვიგონ...

— რას ლაპარაკობთ. არანაირი ქრთამი! სესხს მოგცემთ, რაღაც პერიოდში აღარ გადაიხდით და პრობლემურში გადავა. ჩამოვწერთ.

— და ქონება?

— ქონებას შიდა გირავნობით გავაკეთებთ და სასამართლოს ვერ მოგიგებთ.

— და შავი სია?

— მე უნდა მივწერო განაცხადი, მანდ რომ მოხვდეთ. მოვაგვარებ.

— სერიოზული შეთავაზებაა. უნდა დავფიქრდე, — ივერი ფეხზე დგება.

— თქვენი ნებაა, — ზურაც დგება.

— რაც კი თქვენზე მსმენია, სიმართლე ყოფილა, — ივერი ხელს უწვდის.

— ყველაფერს ნუ დაუჯერებთ, — ზურა ღიმილით ართმევს ხელს.

ივერი მიდის. ზურა კარადას აღებს, ჭიქაში კონიაკს ისხამს და ფანჯარასთან მიდის. ქუჩაში პატარა ადამიანები დადიან. ნეტა როგორ ცხოვრობენ ასე უბრალოდ?

❖ ❖ ❖

ადგილს ვერ ვპოულობ. როგორ გავიგო, ეს ზურა ვინ ზურაა? მივადგე სახლში? ან დავპატიჟო სადმე? და მართლაც სხვა რომ იყოს, როგორ ავუხსნა, მე ვინ ვარ და რა სირი მინდა? გაღიზიანებული ვარ. სულ სვეტას ბრალია. მომშხამა და მშვიდად წავიდა სახლში. ან ასე უსაქმოდ როდემდე უნდა ვიყო? ოლიმპოს მთიდან გამოძევებულივით ვარ. ახლა გივი რომ მომცა, არ ვიცი, რას ვუზამდი. ვერ გადამირჩებოდა. ყველაზე ნაღდია, ირაკლის დავურეკო, დავპატიჟო სადმე, ბოდიშიც მოვუხადო და „ტონკად“ ვკითხო, საიდან იცნობს ზურას. არა, ვახსენო ზურა და რეაქციას დაველოდო. ასე მოვიქცევი.

❖ ❖ ❖

ირაკლი დედამისს ეხვევა და მამამისის საძინებელში შედის. უფროს მეტრეველს ფერი არ ადევს. დედას კი თვალები სულ ამოღამებული აქვს. ირაკლი მამამისის საწოლის გვერდით მდგარ სკამზე ჯდება.

— როგორ ხარ, შვილო? — უფროსი მეტრეველი ცდილობს, რომ გაუღიმოს.

— კარგად, მამა. შენ? კარგად გამოიყურები.

— ძალიან. დედაშენი კიდევ კარგად მიძღებს.

ირაკლი ჩუმადაა. დედამისი მართლაც კარგად უძღებდა მთელი ცხოვრება.

— ბიზნესი როგორ მიდის?

— ისევ ისე, როგორც შენს დროს. ხომ იცი, ყველაფერს ვაკეთებ.

— ვიცი. არ გეგონოს, რომ ვცდილობ, გაკონტროლო. ისე მაინტერესებს. როგორც ხედავ, დიდად ვეღარ ვერთობი.

ირაკლი იძაბება და ცდილობს, სიმშვიდე შეინარჩუნოს. რასაც ერთობოდა მამამისი, ისიც ეყოფა.

— კიდევ მოასწრებ, — ამბობს ხელოვნური ღიმილით.

— ახლა მე სასაფლაოზე თუ გავერთობი.

ირაკლის მობილური რეკავს და ირაკლი დახედვის გარეშე პასუხობს: „გისმენთ“.უცებ ფეხზე დგება და ოთახიდან გადის.

❖ ❖ ❖

ირაკლი დაძაბული მპასუხობს. ალბათ ნაწყენია, მაგრამ არა უშავს. ვეცდები, მოვთაფლო.

— ირაკლი, ალექსანდრა ვარ.

— ხო. გისმენ.

— მაპატიე, იმ დღეს რომ ასე გავქრი. არ ვიყავი კარგად. იმდენი პრობლემა დამეყარა თავზე.

— მესმის.

— მინდოდა, მეკითხა, სადმე ხომ არ ვისადილოთ დღეს?

— სიამოვნებით.

— მაშინ, 8-ზე გამომიარე.

— კარგი.

ვთიშავ. ვერ გავიგე, ნაწყენია თუ არა. ძალიან ცარიელი ხმა ჰქონდა. ახლა გადავივლებ, მერე თმას დავიხვევ, მერე კაბას ამოვარჩევ და გამოვეწყობი. რაღაც ავცუნ-

Cyan Magenta Yellow Black

ცრუკდი. სერიოზული ურთიერთობა რომ მინდოდეს, ირაკლი გადასარევი კანდიდატია. შევცდი, რომ ვიფიქრე, ერთი ღამის მამაკაცად გამოდგებოდა. ირაკლი მასეთი არ არის. ნეტა, მე როდის გავხდი მასეთი? მადლობა შენ, გივი!

მიხდება ეს მწვანე და რა ვქნა. თმაც კარგად დგას. მაკიაჟი ზომიერი. წუთი წუთზე უნდა მოვიდეს. კარზე ზარია. ვაღებ. ირაკლის შავი პერანგი და რუხი შარვალი აცვია. რაღაცნაირად მოწყენილია.

— სალამი, — ვამბობ კეკლუცად.

— გამარჯობა, — ლოყაზე მკოცნის.

კარს ვკეტავ და მანქანისკენ მივდივართ. კარს მიღებს და ვჯდები. თვითონაც ჯდება და ადგილიდან ვიძვრით.

ვსხედვართ და მენიუს შევცქერით. რაღაც უხერხულად ვართ. მოწყენილიც კი ძალიან საყვარელია. ძლივს ვუკვეთავთ საჭმელს და უხერხულ სიჩუმეს ვუბრუნდებით. უნდა დავიწყო რამეზე ლაპარაკი.

— რატომ ხარ მოწყენილი?

— რა ვიცი, მძიმე დღე იყო.

— მაპატიე, იმ დღეს ასე რომ გავიქეცი.

— რატომ წახვედი?

— რაღაც არ ვიყავი კარგად.

— რა გაწუხებდა?

— საკვერცხე ამტკივდა, — რა სისულელე ვთქვი ახლა.

ირაკლის ეღიმება. აი, ის მშვენიერი ღიმილიც.

— ანუ არ მეტყვი. კარგი. არც გკითხავ მაშინ.

— შენკენ რა ხდება?

— სამსახური-სახლი, სამსახური-სახლი. ამერიკაში მინდა.

— მე — არა.

— არა? — უკვირს ირაკლის.

— აღარ. იქ აღარაფერი მაქვს. სახლიც კი გავყიდე.

— ყოჩაღ შენ. აქ აპირებ, დაფუძნდე?

— კი, მაგრამ რას გავაკეთებ, ჯერ არ ვიცი.

— მთავარია, გადაწყვიტე და გამოჩნდება რამე.

ოფიციანტს შეკვეთა მოაქვს და მაგიდაზე ალაგებს.

— მომშიებია, — ამბობს ირაკლი და ჩანგალს იღებს.

რაღაცნაირი კარგია, კეთილი და საყვარელი, მაგრამ მე ხომ ნაგვები მიზიდავს ძირითადად, როგორც, მაგალითად, გივი. ზურაც ეგეთივე იქნება და მომიღებს ბოლოს. მივირთმევთ საჭმელს, ვაყოლებთ ღვინოს. ირაკლის ხასიათი ნორმაში დგება და ტინგიცს იწყებს. უაზროდ ვიცინით. თუ ასე გაგრძელდა, სხვა თუ არაფერი, კარგი მეგობრები ნამდვილად გამოვა ჩვენგან.

— გეუბნები, რა, ვერ ვისწავლე ეს ცურვა სიბერემდე. სულ მეყლაპებოდა წყალი, — ირაკლი სიგარეტს უკიდებს.

— ტყვანპალებდი ალბათ საყვარლად, — მეცინება.

— წარმოიდგინე, რა უხერხულია. გოგოებთან გინდა, იტიპო და ნაპირთან რომ ცურავ განზე.

ნაფაზს არტყამს.

— ბავშვობის ისტორიებზე გამახსენდა. ბანაკში ვიყავი ყმაწვილქალობაში და იქ მყავდა ახლო მეგობარი, ზურა. ვაიმე, რა გვარი იყო... სტეფანიდი.

— ზურა სტეფანიდი?

— ხო. ძაან მხიარული იყო და...

— მე მეგონა, ზურა სტეფანიდი მხოლოდ ერთი იყო თბილისში.

— რა, იცნობ?

— არა, მაგას არ ვიცნობ, მაგრამ ერთს ვიცნობ.

— იქნებ ეგაა, — ვცდილობ, ემოციები მოვთოკო.

— რომელ წლებში იყო ეგ ბანაკი?

— ნუ... არ მახსოვს ზუსტად.

— ნებისმიერ შემთხვევაში, ჩემი სიძე საქართველოში ჩამოვიდა სადღაც ათი წლის წინ. ან ნაკლები.

ნერწყვი მცდება და ხველა მივარდება. სიძეო?! ჩემი სიძეო?!

— ხო მშვიდობით ხარ? — ირაკლი წყალს მაწვდის.

— კი. გადამცდა.

— რაღაც ამბავს ყვებოდი.

— აღარ მახსოვს. დესერტი არ გინდა? — თუ ეს ის ზურა არაა, თან ირაკლის სიძეა და თან იცის, მე ვინ ვარ და მერე ერთად რომ გვნახოს...

ნერვიულობისგან აშკარად წნევა მიწევს.

— მე ტირამისუს შევჭამ. შენ? — მეკითხება ზურა.

— მეც. ახლავე მოვალ.

ვდგები ფეხზე და ტუალეტში მივდივარ. ვუშვებ წყალს და სახეზე ვისხამ.

— რეეს აკეთებ, ალექსანდრა? — ვეუბნები ჩემს გამოსახულებას სარკეში. ვკეტავ წყალს, ვიმშრალებ სახეს და გავდივარ. ირაკლი ტირამისუს კენკავს. ვჯდები ჩემს ადგილას.

— რაღაც დამცხა, — ვამბობ და ვიღებ კოვზს.

— მართლა? არ ცხელა თითქოს.

— მე მცხელა.

ვჭამთ ტირამისუს. ჩუმად ვაპარებ ირაკლისკენ თვალს. ამჩნევს ჩემს მზერას და მიღიმის.

— იცი, წინაზე სემ ფეიგის ფოტო ვნახე და მე რომ მკითხო, საერთოდ არ ჰგავხარ.

— არა? ამერიკის კლუბებში თვლიდნენ, რომ ვგავარ.

— იქ, ეტყობა, ბნელა, — ვამბობ სიცილით.

— ანუ მასეთი კარგი ბიჭი არ ვარ?

— დამშვიდდი, უკეთესი ხარ.

კმაყოფილი იღიმის. საყვარელია. ბევრი შვილი რომ უნდა გაუჩინო, ისეთი საყვარელია. არადა, რომ გავიცანი, სულ სხვანაირი მეგონა.

გავდივარ და მანქანაში ვსხდებით. ირაკლი ავტომობილს ქოქავს. ახლა თუ შემომთავაზებს მასთან წასვლას, წავალ. მახსოვს, რომ არაჩვეულებრივი ღამე გავატარეთ ერთად და დღევანდელი სადილის მერე უფრო მომწონს.

— სახლში წაგიყვანო? — მეკითხება ისე, რომ არ მიყურებს.

კარგი, რა! მე შემიძლია, რომ ახლა ვუთხრა, შენთან წამიყვანე-მეთქი, მაგრამ არ მინდა. ამ კაცებს ეს ნახევრად ინიციატივა რატომ სჭირთ?

— კი, სახლში.

ჩუმად მივდივართ. ვიცი, ვგრძნობ, რომ უნდა მითხრას რამე, მაგრამ ვერ ამბობს. ალბათ ეშინია, რომ დავფრთხები. მე კი არ მინდა მასთან თამაში. ის უფრო მეტს იმსახურებს. ვჩერდებით ჩემს სახლთან.

— ძალიან სასიამოვნო საღამო იყო, — მეუბნება ღიმილით.

— ნამდვილად, — ლოყაზე ვკოცნი.

წამები ველოდები, რომ ტუჩებში მაკოცებს, მაგრამ ამას არ აკეთებს. გადავდივარ მანქანიდან, შევდივარ სახლში და ვკეტავ კარს. სიწყნარეა. ვსვამ წყალს და ლეპტოპთან ვჯდები. რამდენიმე უაზრო მეილია და მხოლოდ ერთი მაიძულებს, რომ შევიგინო. ისევ გივი. ვხსნი ფოსტას. ტექსტი: „ეს ფოტო ხომ არ დამებეჭდა ჩემს საქორწინო მოსაწვევებზე?“ ამან სულ გააფრინა. ვხსნი მიმაგრებულ ფაილს და ვხედავ ჩემს შიშველ ფოტოს. ბევრი წლის წინ თვითონ გადამიღო. პრინციპში მხოლოდ მკერდი მიჩანს, ზეწარი მაქვს მიფარებული. გული მერევა! მის საქციელზე, მის ადამიანობაზე, იმაზე, რომ მე ამდენი წელიწადი შევალიე ამ ბოროტ ადამიანს! ვკეტავ ლეპტოპს და სახლიდან გავდივარ.

ვდგავარ პეროვსკაიაზე. რომელ ბარში დავჯდე? შევდივარ ერთ-ერთში და ბარის მაგიდასთან ვჯდები. ვუკვეთავ კონიაკს და ერთი მოყუდებით ვცლი. ვუკვეთავ მეორეს. ბარის მაგიდის მეორე ბოლოში ძალიან სიმპათიური მამაკაცი ზის. ასეთი გარეგნობის კაცი მე საქართველოში ჯერ არ მინახავს. ამერიკაში ერთი მოდელი მყავს ნანახი და იმას ჰგავს. კომიკოსის სახელი ჰქვია იმ მოდელს. მისტერ ბინი? არა, რა ბინი! ჰილი! ბენი ჰილი. აი, ვის ჰგავს. თუმცა იმასაც კი სჯობია. თანაც ძალიან სევდიანია. ვეუბნები ბარმენს, რომ, რასაც სვამს, ის სასმელი გაუგზავნოს ჩემგან. ბარმენი დავალებას ასრულებს. უცნობი მამაკაცი თავს წევს და მიყურებს. ურუანტელი მივლის. საოცნებო მამაკაცია! ასეთებს ამერიკაში ხშირად ეძახიან „ბოი თოი“-ს. ადგილიდან დგება და მიახლოვდება. ახლოდან საერთოდ უსიმპათიურესია. ჩემ გვერდით ჯდება და ჭიქას მაგიდაზე დგამს. ვატყობ, რომ მუშტები აქვს გადატყავებული. მოკრივე არ იქნება. ესე იგი ძალიან გამწარებულია.

— გმადლობთ სასმელისთვის, — ამბობს და თვალებში ისე მიყურებს, რომ თავბრუ მეხვევა.

— არაფრის, — ვეუბნები ხმის კანკალით.

— შეიძლება ვიკითხო, რას აკეთებს თქვენნაირი სრულყოფილი ქალი მარტო ბარში, თანაც ასე გვიან?

— ცდილობს, ალკოჰოლით ჩაახშოს დაშვებული შეცდომების ტკივილი.

— თქვენ ნებისმიერი შეცდომა უნდა გეპატიებოდეთ!

— თქვენ არ გაჰყოლილხართ ცოლად ბოროტ ადამიანს, რომელიც განქორწინების შემდგომაც განადგურებთ.

— ნამდვილად, თუმცა საყვარელი ქალი ცხვირწინ გამითხოვდა.

— მაშინ ვიცნობდეთ ერთმანეთს. ალექსანდრა ჯიბუტი, — ხელს ვუწვდი.

მართმევს ხელს, ნაზად მკოცნის და აყოლებს:

— ვიცნობდეთ. ალესანდრო მარანძანა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

Cyan Magenta Yellow Black

ლელა ცუცქირიძე

საიდუმლო

დათომ რომ დამირეკა, უკვე სახლიდან გავდიოდი.

თავდაპირველად ვერ ვიცანი. ასე ადვილია იცნო ადამიანი, რომლის ხმაც წლებია არ გაგიგონია?

მერეც, როცა მითხრა, დათო ვარო, ძლივს მივხვდი, ვინც იყო. მივხვდი და ძალიან გამიხარდა.

— როგორ ხარ? საიდან რეკავ? რას შვრები?.. — მივაყარე კითხვები.

ერთ დროს ძალიან კარგი მეგობრები ვიყავით, ოღონდ ნამდვილი მეგობრები, ყოველგვარი სასიყვარულო წახნაგების გარეშე. მე სხვა მიყვარდა, დათოს — სხვა, უფრო სწორად, ქეთი, ჩემი მეგობარი. ჩემი პაემნების პარალელურად სიხარულით დავქროდი მათ შორის თუ მათთან ერთად და ინტრიგებს კი არა, სულ ოქროს სირმა-ძაფებს ვხლართავდი. მინდოდა, კარგად დამთავრებულიყო მათი ამბავი, მაგრამ უფრო ცუდად დამთავრდა, ვიდრე კარგად. ერთ მშვენიერ დღეს ადგა დათო და მოულოდნელად, ისე, რომ არაფერი ვიცოდით ამის შესახებ, ქალაქიდან წავიდა.

— რატომ წავიდა? რა მოუვიდა? რა მოხდა? — ერთმანეთს ვეკითხებოდით მე და ქეთი, პასუხი კი არც ერთს არ გვქონდა.

— არ არსებობს, შენთვის რამე არ ეთქვა, — ვეუბნებოდი მეგობარს.

— არა, არ უთქვამს, — ზლუქუნებდა ქეთი, — წარმოდგენაც არ მაქვს, რა მოხდა. და საერთოდ, მაგის სახელიც აღარ მიხსენო!

ძალიან იყო გაბრაზებული დათოზე, თავს დამცირებულად და შეურაცხყოფილად გრძნობდა. როგორია, ბიჭი გიყვარს, ისე ჩანს, რომ იმასაც უყვარხარ, გეგმებს აწყობ, თავი უკვე მისი ცოლი გგონია და ბაც! სად არის ბიჭი? არ არის ბიჭი!

ჰოდა, ქეთიც ადგა და დათოს ჯიბრზე გათხოვდა.

ჩემთვის ეს ისეთივე მოულოდნელობა იყო, როგორიც დათოს წასვლა. ნეტავ, ვის ეჯიბრებოდა. დათო აქ არ იყო და ალბათ აღარც დაინტერესდებოდა ამით. რადგან წავიდა, ესე იგი მისთვის უკვე სულ ერთი იყო, გათხოვდებოდა თუ არა ქეთი. ისედაც იშვიათად თუ დაეკონტაქტებოდა ვინმეს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ გარშემო. რატომ წავიდა, ეს კი მაინც ვერ გავიგე. ან რაღა აზრი ჰქონდა? წავიდა და წავიდა. ახლა კი მოულოდნელად დამირეკა და ჩემს კითხვებზე მოკლე პასუხი გამცა:

— რა ვი, ვარ რა.

— რამე მოხდა? — ვკითხე, რაღაცნაირი ხმა ჰქონდა, დაძაბული, — ხომ მშვიდობაა, ხომ კარგად ხარ? რამ გაგახსენა ჩემი თავი? — ისევ მივაყარე კითხვები, თითქოს სათითაოდ ვერ დავუსვამდი.

— კარგად ვარ, კარგად, შენ რას შვრები? — კითხვა შემომიბრუნა.

— რა ვიცი, მეც ეგრე. ვაიმე, ძალიან გამახარე, აღარც ვიცი, რა გკითხო, მოკლედ, ყველაფერი მაინტერესებს შენ შესახებ, — ისევ მივაყარე.

— ბავშვი როგორაა? — მკითხა დიტოზე, — გაიზარდა, არა?

— ოჰ, როცა ნახავ, ბავშვიო, არ წამოგცდეს, ხომ იცი, რთული ასაკი აქვს, მამლაყინწობს ბიჭი, — როგორც კი შვილზე ვინმე რამეს მკითხავდა, სიამაყით ვივსებოდი.

— მაგას შემოვევლე, კაცია უკვე, არა? — მითხრა და დავინახე კიდეც, როგორ თბილად გაეღიმა.

— კი, კაცია, — გავიბადრე, — მოიცა, ახლა მითხარი, შენ როგორ ხარ, რამ გაგახსენა ჩემი თავი?

— რა ვიცი, აბა, აი, ჩამოვედი და ყველა გამახსენდით. პრინციპში, სულ მახსოვდით.

— რა მაგარიაა! — მე ისევ მიხაროდა, — დათო, რამდენი რამე გამახსენდა, რომ იცოდე. დალი დეიდა როგორაა?

— დედაჩემი? — ხმა უფრო მეტად დაუმძიმდა, — დედაჩემი გარდაიცვალა.

— რას ამბობ! — ძალიან შევწუხდი, ვეღარაფერი ვთქვი.

— ჰო.

— მართლა ძალიან ვწუხვარ, ძალიან, — ვუთხარი გულწრფელად.

— ჰო, მჯერა. ორი კვირაა, დაკრძალეს, მე კი ახლა ჩამოვედი. გამოდით ჩემთან დღეს. ძალიან გთხოვთ, ისევ მალე მომიწევს წასვლა. მინდა, გნახოთ.

საათს დავხედე. საქმეები მქონდა, მაგრამ ასეთ დროს...

— აუცილებლად გამოვალ, — შევპირდი.

— ძალიან გამახარე. გელოდებით, მოკლედ, სხვებს მე დავურეკავ... ქეთისაც უთხარი, თუ სურვილი ექნება, რა თქმა უნდა და თუ შეძლებს... — შორიდან მოუარა.

— კი, დათო, აუცილებლად ვეტყვი. მოკლედ, საღამოს გნახავთ, — ვუთხარი და მობილური გავთიშე.

ძალიან კარგი დედა ჰყავდა, დათოსთან ერთად ცხოვრობდა. ხომ არის, აი, სახლში უფროსები არიან, შენ კი გიქრის თავში და სახლში უფროსის ყოფნა გძაბავს. დათოს დედასთან კი არასდროს ვყოფილვართ ასე. პირიქით, ხშირად მხოლოდ მასთან მივდიოდით გოგოები საჭორაოდ. ათას ამბავს გვიყვებოდა. ყველაზე საკითხზე საინტერესოდ საუბრობდა, არაფერი სჯობდა მის მოსმენას, ამას გასაოცარი იუმორიც ემატებოდა და...

მაშინ კი, როცა ფეხმძიმედ დავრჩი და ყველამ, მათ შორის ჩემმა ოჯახმა და იმანაც, ვინც მიყვარდა, კარი ცხვირწინ მომიხურა, სწორედ დალი დეიდა იყო ის, ვინც შემიფარა, გამამხნევა. ჩემი შვილი რომ გაჩნდა, დიდწილად მისი დამსახურება იყო.

„მე კი ამდენი წელია არც შევხმიანებივარ“, — გავიფიქრე გულში და საკუთარი უმადურობის შემრცხვა. ისე გარდაიცვალა, არც გამიგია. არადა განა რა იყო ჩემგან ერთი მისვლა, ერთი დარეკვა...

გამახსენდა ყველაფერი, როგორ მივლიდა, მეფერებოდა, როგორ იკლებდა თავად ლუკმას, ის კი არა, დათოსაც აკლებდა. ერთხელ ყური მოვკარი, დათოს ეუბნებოდა, ახლა ამას ჩვენზე მეტად სჭირდება ყველაფერიო. დათოც, აბა რაო, ეთანხმებოდა. მე კი...

„განა ბევრი გვხვდება ასეთი ჩვენი ცხოვრების მანძილზე? განა ბევრია ასეთი, უშურველად რომ დგას გზის პირას და გზააბნეულს თავისი სიკეთით უნათებს გზას? უხმოდ, ყოველგვარი რეკლამის და ხმაურის გარეშე, თითქოს ეს მისი მოვალეობა იყოს“, — გავიფიქრე და კიდევ ერთხელ შემრცხვა საკუთარი თავის.

დიტო რომ გავაჩინე, მაშინაც მათთან მივედი სამშობიაროდან, მერე ცოტა გონზე მოვედი, ბინის დაქირავებაც შევძელი და ცალკე გადავედი. ხშირად მივდიოდი და თავადაც ხშირად მოდიოდა ჩემთან. ბავშვს ასეირნებდა, ეფერებოდა, ზრუნავდა მასზეც და ჩემზეც.

მერე სხვა ბინაში გადავედი, მათგან შორს. ისე ხშირად მოსვლას ვეღარ ახერხებდა, მერე სულ ვეღარ ახერხებდა, მერე მეც ვეღარ ვახერხებდი მასთან მისვლას, მერე — ვეღარც დარეკვას და ა.შ. ათასში ერთხელ თუ მოვიკითხავდი. ახლა კი ძალიან შემრცხვა ჩემი უყურადღებობის და უმადურობის გამო.

ქეთის დავურეკე, დათოს ჩამოსვლის ამბავი ვუთხარი.

— დიდი ვინმეც ჩამოსულა, — ეს კი თქვა, მაგრამ მაშინვე მკითხა, — არ მომიკითხა? ნეტავ ისევ ისეთია?

— მოგიკითხა, როგორ არა, — დავამშვიდე, — დალი გარდაცვლილა, დედამისი. მთხოვა, გამოდითო. იქნებ შეძლო და წამოხვიდე. თან შენი თვალით ნახავ, ისევ ისეთია თუ არა.

— რას ამბობ, წამოვალ, აბა რა, — შეწუხდა ქეთიც, — მართალია, დათოზე ახლაც გაბრაზებული ვარ, მაგრამ ასეთ დროს როგორ არ უნდა წამოვიდე. საწყალი დალი...

— დალის ამბავი არ მითხრა. თავს ვერ ვპატიობ, ამდენი ხანი რომ არ მომიკითხავს.

— ისე, რა იყო, რა მოუვიდა ამ ბიჭს, ეგ მაინც გაეგებინებინა ჩვენთვის, — საყვედური წამოსცდა ქეთის.

— ეგ მართალია, მაგრამ როგორ შეიძლებოდა, მაგალითად, მე დალი არ მომეკითხა? აი, მითხარი, რა ჰქვია ჩემს საქციელს? ყველაზე ძალიან როცა მიჭირდა, მაშინ გვერდით დედაზე მეტად დამიდგა და... გეუბნები, ამას ვერ ვაპატიებ საკუთარ თავს ვერასოდეს, — საშინლად მაწუხებდა სინდისი.

— შენ ხანდახან მაინც მოიკითხავდი ხოლმე და მე რომ საერთოდ არ გამიხედავს მისკენ? ხომ იცი, აღარც მაგის დანახვა მინდოდა დათოს მერე, — მითხრა ქეთიმ, — სიმართლე გითხრა, დღემდე ვერ მომინელებია ის, რაც დათომ გამიკეთა. ის ცალკე თემაა, მაგის გამო მე რა გავუკეთე მერე ჩემს თავს... მაინც რამ მომიარა, რომ დავკარი ფეხი და იმ იდიოტს გავყევი ცოლად? კიდევ კარგი, დროზე მოვედი გონს და, როგორც გავყევი, ისე გავშორდი.

— და მადლობა თქვი, ადვილად რომ დაგთმო.

— დამთმობდა, გენაცვალე, აბა რა იქნებოდა? თურმე ცოლების კოლექციას აგროვებდა. ჩემს მერე ერთი ხუთჯერ

Cyan Magenta Yellow Black

დაქორწინდა, ეს — რაც ვიცი, — უდარდელად თქვა ქეთიმ.

— მოკლედ, საღამოს გამოგიცლი და დათოსთან ავიდეთ.

საღამოს დათოსთან მივედით. ამდენი წლის მერეც მის სახლში ყველაფერი ისევ ისე იდგა და იყო, როგორც მაშინ, როცა აქ ვიკრიბებოდით ხოლმე.

— ვაა, რაც ჩვენ აქ დრო გვიტარებია, — თქვა ილომ, ჩვენმა საერთო მეგობარმა, დათოს მიუტრიალდა, — ბიჭო, როგორ არ გაგვაგებინე დალის ამბავი, ან მოხმარება არ უნდოდათ, ან რამე? რა იყო, ასე როგორ მოგვიშორე?

— არ თქვა, რა, — აჰყვა კახაც, — და საერთოდ, სად დაიკარგე, სად გადაიხვეწე ასეთ ადგილას, რომ ან ტელეფონი არ გქონდა, ან ინტერნეტი? რა გეწყინა ასეთი ჩვენგან?

— რა უნდა მწყენოდა, თქვენ ხომ არ გაგიჟდით, — გაეცინა დათოს, — ჰო, ვიცი, ცუდად გამომივიდა.

— ამათი არ ვიცი, მაგრამ მეც ცუდად გამომივიდა, — ვუთხარი და ბიჭებს გადავხედე, — კარგი, ეს წავიდა, წავიდა, მაგრამ დალი ხომ აქ იყო. ამდენი წელია, არავის გაგვახსენებია. მე, ყოველ შემთხვევაში, არ გამხსენებია. უფრო სწორად, მახსენდებოდა, მაგრამ სულ სახვალიოდ ვდებდი ყველაფერს. არადა რა უნდოდა ადამიანთან დარეკვას და მოკითხვას, აქ მოსვლაზე რომ აღარაფერი ვთქვა.

— არაფერი, — ამყვა ქეთი.

ასე იყო თუ ისე, ბიჭებმა ჭიქა ასწიეს, მიცვალებულის შესანდობარი თქვეს, გაიხსენეს ათასი რამ, მოყვნენ ახალ ამბებს... მე და ქეთიმ კი ამასობაში დივანზე გადავინაცვლეთ და ალბომის თვალიერება დავიწყეთ. რამდენი რამ გაგვახსენა ამ ალბომმა...

— მაგრა მიტყდება ის, რომ ჩემ უნახავად გარდაიცვალა. შემეძლო ჩამოსვლა და არ ჩამოვედი, — ჩვენ გვერდით ჩამოჯდა დათო, — ახლა ხომ ჩამოვედი, მაშინაც ჩამოვსულიყავი.

— კარგი რა, — უთხრა ქეთიმ, — დარწმუნებული ვარ, ასე არაა.

— ჰო, თავს იდანაშაულებ, — ავყევი ქეთის და დათოს გავუღიმე.

— შენ ალბათ ყველაზე მეტად გაუგებდი დედაჩემს, — მითხრა უცებ დათომ, — აი, მე კი ვერ გავუგე და საერთოდ, რაღაცეები ვერ ვაპატიე. არადა რას ვერჩოდი, რა მინდოდა...

— რას ამბობ? — გაოცებით შეხედა ქეთიმ.

— რა ვიცი, აბა, — ხელი ჩაიქნია, — ვამბობ, რა...

მერე წამოდგა და ოთახიდან გავიდა.

— რა შეცვლილია, არა? — გადმომიჩურჩულა ქეთიმ.

— ჰო, მაგრამ თუ გგონია, ჩვენ არ ვართ შეცვლილი, ძალიან შემცდარხარ. რამდენი წელი გავიდა, რაც არ გვინახავს? კარგად მახსოვს. დიტო ორი წლის გახდა, დალი რომ მოვიდა და მითხრა, დათო წავიდაო. საწყალს არც უნდოდა შეემჩნია, რომ ნერვიულობისგან ჭკუაზე აღარ იყო. დიტო ართობდა. დიტო ახლა თოთხმეტი წლისაა, ესე იგი თორმეტი წელი გამოდის, არა?

— ამდენ ანგარიშს გეკითხა და პირდაპირ გეტყოდი, როდის წავიდა, — მითხრა ქეთიმ, — მაგ დღეებს რა დამავიწყებს.

— ვერ ივიწყებ, არა?

— ვერა. იცი რა, ადამიანებს უყვართ თავიანთი შეცდომების სხვაზე გადაბრალება, მეც — მათ შორის. სისულელე მე გავაკეთე, ვაღიარებ და დათოს კი ვადანაშაულებდი: მაგას რომ მოვეყვანე, მაგას რომ ვყვარებოდი, ეგ რომ არ წასულიყო... წავიდა და წავიდეს, რა პრობლემაა, ვისკენ არ მომხდარა ასე. ამისთვის ცხოვრება უნდა დაიმახინჯო? არა, მისმინე, აი, გეკითხები, მაინც რამ გამაყოლა იმ იდიოტს? — ისევ ძველ ამბავს დაუბრუნდა.

— შენც მნახე რა, ჭკუადამჯდარი... — გამეცინა, — გოგო, შენ გაჰყევი მაინც და მე საერთოდ რა გავაკეთე. თუმცა ახლა არ ვნანობ დიტოს გამო. ეს რომ არ მყოლოდა, წარმოგიდგენია? ან აბორტი რომ გამეკეთებინა? ბრრრ!.. ხშირად მიფიქრია ამაზე, ღამეები მითენებია, მაგრამ ყოველთვის ერთ დასკვნამდე მივდიოდი: უნდა გამეჩინა. აი, ყველაფერმა ჩაიარა, ყველაფერი დალაგდა, ჩემებიც მოვიდნენ გონს, ახლა ისე უყვართ დიტო, ჭკუას კარგავენ. მე არ მითქვამს და არც არასდროს ვეტყვი ბავშვს, როგორ არ უნდოდათ მისი დაბადება, მაგრამ იცი რა? გულში ეს ყოველთვის მაქვს და მექნება... ერთადერთი დალი იყო, ვინც მაშინ გვერდით დამიდგა უფროსებიდან და მე კი... — ხელი ჩავიქნიე, — ხომ ხედავ, ელემენტარული ყურადღებაც ვერ მივაქციე.

— მესმის შენი, — მითხრა ქეთიმ და გამიღიმა.

— კარგი, გვეყოფა. შენ ის მითხარი, ახლა რომ დათომ რაღაც ძალიან სერიოზულად გითხრას, რას იზამ? — ვკითხე გამომცდელად.

— გოგო, არ ვიცი, — გაეცინა ქეთის, — რასაც გული მიკარნახებს, იმას ვიზამ. ქმარი მე აღარ მყავს და... გაბრაზებული კი ვარ, მაგრამ, მე მგონი, უარს არ ვიტყოდი...

დათო მოგვიახლოვდა.

— ეს მინდა, რომ წაიკითხო, — და ფურცლები მომცა.

გავშალე, ხელნაწერი იყო.

— ეს რა არის? — ვკითხე დათოს.

— წაიკითხე და მიხვდები, — მითხრა და ისევ გაგვშორდა.

— რა არის? — ახლა ქეთიმ იკითხა და ფურცლებს ცნობისმოყვარედ დააჩერდა.

„ჩვენს სახლში ახალი სიცოცხლე შემოვიდა — პატარა, ქუნქულა ბიჭი, დიტო. სახლი ხელმეორედ განათდა და გაბდღვიალდა. ღამეები არ მძინავს, მივდივარ და ჩუმად დავყურებ ხოლმე, ხომ სუნთქავს, ხომ მშვიდადაა, ხომ არაფერი სტკივა...“

— დალის ნაწერია, ჩემს დიტოზე წერს, — მივხვდი და ცრემლები მომადგა.

„ისე ვეფერები, როგორც ჩემს დათუნას ვეფერებოდი, ისე განვიცდი მის წამოტირებას, როგორც ჩემი დათუნას წამოტირებას განვიცდიდი... ვცდილობ, მაიკოს დავეხმარო, გავამხნევო, მე ხომ ყველაზე კარგად ვიცი, რას განიცდის ახლა, რამხელა სევდაა სიხარულთან ერთად მის თვალებში... თავადაც ხომ მარტო აღმოვჩნდი ადრე, ძალიან ადრე, ყველასგან მიტოვებული, თოთო ბავშვით ხელში, თუმცა ეს იმ ცოდვისთვის, რაც ჩავიდინე...“

— რაო?! — თვალები გაუფართოვდა ქეთის, — რას გულისხმობს?

პასუხი არ გამიცია, სულმოუთქმელად გავაგრძელე კითხვა:

„ღმერთო, რა საშინელების გადატანა მომიხდა, როგორ გამწირა ყველამ, თითქოს ფეხმძიმე კი არა, კეთროვანი ვიყავი. ყველა ჩემკენ იშვერდა ხელს, ყველა მლანძღავდა. უცებ დავკარგე ოჯახის წევრებიც, ნათესავებიც... წასასვლელი აღარსად მქონდა, გამხეცებული ჩემების შიშით მეგობრებიც კი აღარ მომეკარნენ. მახსოვს, როგორ წამოვედი ჩემი სოფლიდან, კი არ წამოვედი, გამოვიქეცი. ბრბოდ გადაქცეულ ადამიანებს გამოვექეცი, მამაჩემს, ბიძას, ჩემს ძმას, დედაჩემსაც კი...

— თვალით აღარ დამენახო და არც ეგ ნაბიჭვარი დამანახო მერე! — ყვიროდა მამაჩემი და სხვებიც ჰყვებოდნენ.

— ვინ არის ამ ნაბიჭვრის მამა, ვინ არის? — ყვიროდა დედაჩემი.

რას ვიტყოდი, როგორ ვიტყოდი, რომ დათუნას მამა ჩემი უახლოესი მეგობრის ქმარი იყო?!

როგორ, როგორ ვუღალატე ნინოს?! ჩვენ ხომ სულ ერთად ვიყავით, ერთ კურსზე, ერთ ჯგუფში, ერთად

→70

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

დავდიოდით, ერთად ვმეცადინეობდით. ნინო მეორე ბავშვზე იყო ფეხმძიმედ და ისე ხშირად ვეღარ ახერხებდა ლექციებზე სიარულს. კონსპექტებს მისთვისაც ვწერდი სახლში, მარტო ვცხოვრობდი, ნაქირავებში. მერე ქმარს აგზავნიდა წასაღებად... არ ვიცი, რა შემიჩნდა, რატომ შევხედე ნინოს ქმარს სხვა თვალით. ფაქტია, რომ მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო...

გონს რომ მოვედი, უკვე ფეხმძიმედ ვიყავი. მაშინ მივხვდი, რა გავაკეთე. ყველაფერი მივატოვე და სოფელში წავედი. ნინოსკენ აღარ გამიხედავს, ვეღარ შევხედავდი თვალებში. თავიდან ეცადა, გაერკვია, რა მოხდა, რატომ მოხდა, რომ ერთ დღესაც ავდექი და უკანმოუხედავად დავტოვე ქალაქი, ინსტიტუტი, მეგობარი, თანაც ისე, რომ არც მის წერილებს ვპასუხობდი, არც მის ამბავს ვკითხულობდი. პასუხი ვერ მიიღო და მერე თავი დამანება. ასე გავქრი მათი ცხოვრებიდან.

მე კი მუცელი მეზრდებოდა. ვიცოდი, რაც მოჰყვებოდა ამ ამბავს, მაგრამ რამდენჯერაც წავედი აბორტის გასაკეთებლად, იმდენჯერ უკან გამოვიქეცი. მერე კი გაიგეს ჩემებმა და მაშინ იყო, სოფლიდან ისევ თბილისში რომ დავბრუნდი, სხვა გზა არ მქონდა. ბავშვის მამაზე კი არასდროს არავისთან მითქვამს არაფერი, მწარე საიდუმლოდ შევინახე, დღემდე ასე ვინახავ. დათოსთვის კი ზღაპრები მოვიგონე.

ამაში ვერა დამეხმარა, თუმცა არც მისთვის მითქვამს ჩემი შეცდომის შესახებ. არც უკითხავს, ძალიან შეგნებული ქალი იყო. ერთადერთი შვილი ახალი გარდაცვლილი ჰყავდა. ადგა და ყველას უთხრა, რომ მე მისი შვილის საცოლე ვიყავი, მისი გარდაცვალების მერე კი მომძებნა და სახლში მომიყვანა. მადლობას ვწირავ უფალს, რომ არ გამწირა და ამ ადამიანს შემახვედრა, მისმა სიკეთემ ყველაფერი გადაწონა: შიში, ტკივილი...

რა მოხდებოდა, ვერას ჩემთან ერთად რომ არ ემგზავრა თბილისში წამოსვლის დროს მატარებლით? ან სხვა ვაგონში ყოფილიყო? ან როგორ მომიყვანა სახლში სრულიად უცხო ადამიანი, როგორ შემიფარა, როგორ მივლიდა. როგორ გაიხარა დათუნას დაბადებით, შვილის გვარიც მისცა, არაფრით გამომაყვანინა სამშობიაროდან ჩემს გვარზე, მომავალში გაუჭირდებაო. დათუნამ რომ ბაბუშკა დაუძახა, ხომ სულ გაგიჟდა სიხარულით. მართლა ვერა იყო დათოს ბებია. ის უვლიდა, ასეირნებდა, ასწავლიდა, ბაღში მიჰყავდა, მერე სკოლაში... ეს ბინაც ვერამ დაუტოვა დათუნას, როგორც კანონიერ შვილიშვილს.

დღემდე მაწუხებს ის, რომ დათუნას ვატყუებ, სულ სხვა კაცი ჰგონია მამა, მის საფლავზე დადის, მისი ხსოვნის სადღეგრძელოს სვამს, მის გვარს ატარებს. ამ დროს კი ვინ იცის, იქნებ მისი ნამდვილი მამა ცოცხალია. ან მისი შვილები, ერთი — ცოტათი უფროსი, მეორე — თითქმის დათუნას ტოლი... სადმე რომ შეხვდნენ ერთმანეთს, ცუდად რომ გადაიკვეთოს მათი გზები...“

— კიდევ კარგი, დედაჩემს ნინო არ ჰქვია, — წამოიძახა უცებ ქეთომ და ღრმად ამოისუნთქა.

პასუხი არ გამიცია. თავში ათასი კითხვა მიტრიალებდა, გაიგო თუ არა დათომ, ვინ იყო სინამდვილეში მამამისი, მოძებნა თუ არა დალის მეგობრის ოჯახი... რატომ მომცა ეს წერილი წასაკითხად...

— ეტყობა, დათომ ეს წერილი შემთხვევით ნახა და იმიტომ წავიდა. კი, ასე იქნებოდა, დარწმუნებული ვარ ამაში, — ვთქვი გადაჭრით.

— ჰო, — მიპასუხა ამ დროს დათომ, ისე დაგვდგომოდა თავზე, რომ ვერც გავიგეთ, — ასე მოხდა, რომ სრულიად შემთხვევით ვნახე წერილი. დალისთვის არც მითქვამს. ისე წავიდა ამქვეყნიდან, ვერც მიხვდა, რატომ გავერიდე აქაურობას, თუმცა მაინც მგონია, რომ ხვდებოდა და თავს არ უტყდებოდა, — მერე ქეთის მიუბრუნდა, — იმ მომენტში ისე ვიყავი, აქ გაჩერება აღარ შემეძლო. არც დალის დანახვა მინდოდა, არც არავისი, ყველა და ყველაფერი მძულდა...

— მესმის, — ჩაიბუტბუტა ქეთიმ, — ახლა მესმის ყველაფერი.

— საფიქრალად ბევრი დრო მქონდა, — ახლა მე მომიტრიალდა დათო, — რა თქმა უნდა, ვიცი, რომ ზღაპარი (სინამდვილეში კი გაუმართლებელი ტყუილი) დალის შეცდომის დასაფარად და ჩემი გულისთვისაც შეიქმნა, მაგრამ მე რატომ არავინ მკითხა, რა მერჩივნა, ტყუილში ცხოვრება თუ მწარე სიმართლეში? დიდხანს ვერ ვაპატიე დალის, მხოლოდ მაშინ, როცა გარდაიცვალა... მოკლედ, — ხელი ჩაიქნია და მე მომიტრიალდა, — არასდროს დაუმალო დიტოს სიმართლე, არასდროს. ძნელია, მაგრამ უნდა იცოდეს, ვისი შვილია.

— იცის, დათო, — ვუთხარი ჩუმად, — მე არც არასდროს დამიმალავს.

— იქნებ დალისაც არ დაემალა, მაგრამ თავის შეცდომას ვერსად გაექცა, ვერ გადააბიჯა. როგორ მეტყოდა, ჩემი მეგობრის ქმარია მამაშენიო...

დათოსგან გვიან წამოვედით. ჩუმად მოვდიოდით მე და ქეთი, ბოლოს ქეთიმ დაარღვია სიჩუმე:

— კარგი, ის გავიგე, რატომ წავიდა აქედან ასე და მესმის, ბატონო, მაგრამ წერილი მე და შენ რატომ გვაჩვენა, აი, ვერაფრით ვხვდები. ეს საიდუმლო ჩვენ ორს რატომ გაგვიმჟღავნა?

— მე დიტოს გამო წამაკითხა, — ვუთხარი ქეთის, — ალბათ ფიქრობდა, რომ დიტოს რამე ზღაპარს მეც გამოვუგონებდი მამამისზე და ამისთვის ვერ გაიმეტა. გამაფრთხილასავით. შენ კი გაგრძნობინა, რომ მისთვის იმდენად ახლობელი ხარ დღემდე, მზადაა, თავისი ყველაზე დიდი საიდუმლოც კი გაგანდოს.

— მართლა? — სახე გაუნათდა ქეთის, — იცი, მაიკო, არ ვამბობდი, მაგრამ ამ წლების მანძილზე სულ მიყვარდა დათო, სულ მიყვარდა.

— და შენ გგონია, მე ამას ვერ ვხვდებოდი? — გამომცდელად შევხედე.

— მართლა? — გაოცდა ქეთი, — მეტყობოდა?

— აბა, რა, — გამეღიმა, — ისე, მე შენს ადგილზე უკან, დათოსთან ავბრუნდებოდი.

— ხმამაღლა ვერ ვამბობდი, თორემ სწორედ მაგის გაკეთება მინდოდა ახლა, — წამოიძახა ქეთიმ, უცებ გადამკოცნა და ღამის გაიქცა უკან, დათოს სახლისკენ.

„რა კარგია, რომ დათო დაბრუნდა“, — გავიფიქრე და ჩემს მეგობარს, ჩქარი ნაბიჯით რომ მიკაკუნობდა, ღიმილით გავაყოლე თვალი.

ეს იცოდით?

❖ ელვის პრესლის ჰყავდა ტყუპისცალი ძმა, რომელიც მასზე 35 წუთით ადრე მკვდარი დაიბადა.

❖ ლუი არმსტრონგი საკუთარ დაბადების დღეზე გარდაიცვალა.

❖ მსახიობმა მეთიუ პერიმ კარში ხელის მოყოლის შემდეგ მარჯვენა ხელის შუა თითის ნაწილი დაკარგა.

❖ სანამ ნაომი უოტსი მსახიობი გახდებოდა, ასისტენტად მუშაობდა მოდურ ჟურნალში, სახელწოდებით „ფოლოუ მი“.

❖ გენიალური მხატვარი პაბლო პიკასო ახალგაზრდობაში სიღარიბის გამო თავის ნახატებს წვავდა და ისე თბებოდა.

❖ ინგლისელმა მწერალმა ვირჯინია ვულფმა ყველა ნაწარმოები ფეხზე მდგომმა დაწერა.

❖ მერაია ქერის მირაჟს ეძახდნენ, რადგან სკოლაში არასოდეს დადიოდა.

❖ ლეგენდარული მუსიკოსი ბობ დილანი საზოგადოების წინაშე პირველად 1965 წლის 25 ივლისს ნიუ იორკში, ფოლკფესტივალზე წარდგა. როგორი გასაკვირიც უნდა იყოს, მისი შემოქმედება დამსწრე საზოგადოებამ არ მიიღო და სცენიდან სტვენით გააცილა.

❖ სტალინის პირადი არქივი მისი გარდაცვალების შემდეგ, 1953 წელს, მთლიანად გაანადგურეს.

❖ ერაყის დიქტატორ სადამ ჰუსეინს 1990 წლის შემდეგ თავისი ქვეყნის საზღვრები არასოდეს დაუტოვებია.

❖ ამერიკელი მილიარდერი სტივ პოლ ჯობსი გარდაცვალების შემდეგ გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა, როგორც ყველაზე მცირე ხელფასის მქონე დირექტორი. ოფიციალური დოკუმენტების თანახმად, მისი წლიური ხელფასი მხოლოდ ერთ დოლარს შეადგენდა.

❖ პირველი მოკრივე, რომელმაც ორთაბრძოლაში დიდი მაიკ ტაისონი დაამარცხა, ამერიკელი პროფესიონალი მოკრივე ჯეიმს დუგლასი გახლდათ. მან ტაისონს 1990 წელს იაპონიაში მოუგო.

❖ 1972 წელს იღბლიანების რეკორდი მოხსნა იუგოსლავიელმა სტიუარდესამ ვესნე ვულოჩმა, რომელიც ცეცხლწაკიდებული თვითმფრინავიდან გადახტა, 9 900 მეტრი იფრინა, თოვლში ჩავარდა და გადარჩა.

❖ მსოფლიოში ყოველდღიურად 4,5 მილიარდი ლიტრი ბენზინი გამოიყენება.

❖ სტატისტიკის მიხედვით, გერმანელები ყველაზე მაღლები არიან.

❖ ხორვატიის ქალაქი ჰუმი მსოფლიოში ყველაზე პატარაა 17 მცხოვრებით.

❖ ყველაზე დაუსახლებელი ქვეყანა მონღოლეთია.

❖ ცნობილია, რომ სიტყვა „ჯინსი“ იტალიის პორტ ჯენოას სახელწოდებიდან მომდინარეობს. ამ პორტით შემოედინებოდა ნედლეული, რომლითაც აღნიშნული სამოსი იკერებოდა.

❖ პირველი შუქნიშანი 1926 წლის 3 აგვისტოს ლონდონში ამოქმედდა.

Cyan Magenta Yellow Black

გავიცნობ, ვეძებ

გავიცნობ ქალს შეხვედრებისთვის

1. ვარ 35 წლის, უკომპლექსო, ვნებიანი მამაკაცი, გავიცნობ უკომპლექსო, 30 წლამდე ქალს. 555723643
2. შეხვედრებისთვის გავიცნობ ქალს. ვარ 31 წლის, დასაქმებული. 599074845. ბექა
3. ვარ 187/25/90, ქერა, ათლეტური აღნაგობის, სიმპათიური მამაკაცი, გავიცნობ თბილისში ან ქუთაისში მარტო მცხოვრებ 25-დან 40 წლამდე, ლამაზ, სერიოზულ ქალს. 598405598. დიმა
4. გავიცნობ ქალს, რომელსაც ნამდვილად სურს და აქვს სურვილი, ჰყავდეს გვერდით ნამდვილი მამაკაცი. 551990025. ლუკა
5. გავიცნობ 24-37 წლამდე ქალს სასიამოვნო ურთიერთობისთვის. ვარ ქუთაისელი. 551126761. კაკი
6.გავიცნობ 35 წლამდე ქალს შეხვედრებისთვის, სასურველია ფულით უზრუნველყოფილი. 557680016
7. გავიცნობ სასიამოვნო გარეგნობის და კარგი პიროვნული თვისების მქონე ქალს მეგობრული ურთიერთობისთვის. ვარ 24 წლის, ათლეტური აღნაგობის მამაკაცი. 558112025. ხვიჩა
8. ვარ ყოფილი სპორტსმენი, 29 წლის მამაკაცი, შეხვედრებისთვის გავიცნობ თბილისელ, სასიამოვნო გარეგნობის ქალს. 557599258. ვახო
9. შეხვედრებისთვის გავიცნობ თბილისში ან რუსთავში მცხოვრებ 27 წლამდე გოგოს, ვარ 26 წლის, კარგი პიროვნება. 577474753. ლევანი
10. გავიცნობ 30 წლამდე გოგოს. ვარ დასაქმებული, სპორტსმენი. 558787177. აკაკი
11. გავიცნობ 45 წლამდე თბილისელ ქალს. ვარ 30 წლის სიმპათიური მამაკაცი. 592100123
12. გავიცნობ ფინანსურად ძლიერ ქალს, მესაჭიროება ფინანსურად და ადამიანურად გვერდში დგომა. ვარ 33 წლის თბილისელი, წესიერი მამაკაცი. 558600892
13. შეხვედრებისთვის გავიცნობ გოგოს თუნდაც პუტკუნას. ვარ 29 წლის, თბილისელი ბიჭი, ვმუშაობ კონტრაქტზე. 557760643. რუსლანი
14. საინტეროესო შეხვედრებისთვის გავიცნობ გოგს ან ქალს. 596100906
15. სამეგობროდ გავიცნობ ბათუმელ ქალს. 598693594. ირაკლი
16. გავიცნობ 35 წლამდე ქალს შეხვედრებისთვის. 558551968. ლეო
17. ვარ 28 წლის, ვცხოვრობ თბილისში, შეხვედრებისთვის გავიცნობ თბილისში მცხოვრებ, განათხოვარ ქალს. 555004073. ზურა
18. გავიცნობ ქალს სამეგობროდ. ვარ 40 წლის სიმპათიური მამაკაცი. 593201211
19. სამეგობროდ ან ოჯახის შესაქმნელად გავიცნობ თბილისელ ქალს. ვარ 58 წლის. 593341453
20. გავიცნობ ორ სტუდენტ გოგონას, მარტო მცხოვრებს სამეგობროდ. ვარ 35 წლის, თბილისელი. 555532394
21. გავიცნობ 30-40 წლამდე გოგოს შეხვედრებისთვის. 558191596
23. გავიცნობ 30-დან 40 წლამდე კარგი გარეგნობის ქალს სასიამოვნო შეხვედრებისთვის. 557677718. გიო
24. ვარ 29 წლის, მანქანიანი, დასაქმებული, თბილისელი მამაკაცი. გავიცნობ თავისუფალ ქალს. 555285639. ზაზა
25. შეხვედრებისთვის გავიცნობ თბილისელ 25-35 წლამდე გოგოს. ვარ 38 წლის, მაღალი, სპორტული აღნაგობის. 555162802. გია
26. ვარ 42/170/80, გავიცნობ სერიოზული ურთიერთობისთვის ქალს ქვრივს ან ქმარს გაშორებულს, თბილისში მცხოვრებს ან რაიონიდან. 558282018. ლადო
27. შეხვედრებისთვის გავიცნობ ასაკის და წონის შეუზღუდავად, თბილისელ ქალს. 558685392
28. სამეგობროდ გავიცნობ იმერეთში მცხოვრებ 37 წლამდე ქალს. 514248998. ბექა
29. გავიცნობ 24-37 წლამდე გოგოს მეგობრული ურთიერთობისთვის. ვარ 33 წლის, ქუთაისელი. 551126761. კაკი
30. ვარ 27 წლის მამაკაცი, სამეგობროდ გავიცნობ 50 წლამდე სერიოზულ თბილისელ ქალს. 598688243. დათო
31. ვარ 23/183/73 თბილისელი, სიმპათიური ბიჭი, შეხვედრებისთვის გავიცნობ მარტოხელა, პუტკუნა და დიდმკერდიან 45 წლამდე ქალს. 555529387. გიო
32. სამეგობროდ გავიცნობ თბილისელ, თავისუფალ გოგოს, შესაძლებელია განათხოვარიც. ვარ 26 წლის, ვცხოვრობ თბილისში. 555005224
33. შეხვედრებისთვის გავიცნობ ბათუმელ ან ქობულეთელ, მხოლოდ ქვრივ, სერიოზულ, 36 წლამდე ქალს. ვარ 38 წლის მამაკაცი წყალტუბოდან. 593145836. ირაკლი
34. შეხვედრებისთვის გავიცნობ 40 წლამდე ქალს. ვარ თბილი და მოსიყვარულე მამაკაცი. 574070310
35. ვარ 45 წლის, ხაშურელი მამაკაცი, გავიცნობ ქალს ხანგრძლივი შეხვედრებისთვის. 551524721. გიო
36. გავიცნობ 35 წლამდე განათხოვარ ან მსუქან ქალს შეხვედრებისთვის. ვარ პუტკუნა, მაქვს სამსახური. 591220023. გაგი

sms-ები გამოაგზავნეთ ოხშაბათიდან. sms-ის გამოგზავნის ბოლო ვადაა შაბათი, 28 სექტემბერი, 17 საათი.

2017

37. ვარ 40 წლის, თბილისელი მამაკაცი, ხანგრძლივი ურთიერთობისთვის გავიცნობ 30-დან 45 წლამდე, თბილისში მცხოვრებ ქალს, თუნდაც გათხოვილს. ვარ ბუნებით მშვილი, მყავს მანქანა და შეხვედრის ადგილი. 557302912
38. ვარ ცოლიანი, 33 წლის მამაკაცი, გავიცნობ 40 წლამდე თბილისელ ქალს, მარტოხელას შეხვედრებისთვის. 557544027
39. გავიცნობ მიმზიდველ, საისამოვნო გარეგნობის თბილისელ ან ბორჯომელ გოგოს შეხვედრებისთვის. ვარ 28 წლის, სანდო და ყურადღებიანი. 551617777. დათო
40. ვარ მაღალი, სპორტული აღნაგობის მამაკაცი, გავიცნობ 35 წლამდე თბილისელ, გათხოვილ ქალს, დავეხმარები მატერიალურად. 593050806
41. გავიცნობ ლამაზ და სუფთა წარსულის მქონე 25 წლამდე გოგოს. 551577725
42. გავიცნობ სულიერად ლამაზ, მდიდარ, მშვიდ და თბილ ქალს. 555675264. ნიკა
43. ფარული შეხვედრებისთვის გავიცნობ 40 წლამდე ქალს. 557581696
44. ვარ 43 წლის, სიმპათიური მამაკაცი, სამეგობროდ გავიცნობ ქალს. 598912169
45. გავიცნობ თბილისელ, რუსთაველ მარტოხელა ქალს. ვარ უკომპლექსო მამაკაცი. 555125317
46. ვარ 26 წლის მამაკაცი, სამეგობროდ გავიცნობ 35 წლამდე გოგოს. 555109884
47. გავიცნობ 35 წლამდე ქალს სამეგობროდ. ვარ თბილისელი 30 წლის. 557229258. რომა

გავიცნობ ქალს ოჯახის შესაქმნელად

1. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 37 წლამდე, განათხოვარ მშვიდ, ფინანსურად უზრუნველყოფილ გოგოს. ვარ 38 წლის. 558300836
2. ვარ 39 წლის მამაკაცი, ვცხოვრობ მარტო, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 27-დან 33 წლამდე გოგონას, მარტო მცხოვრებს, მიმზიდველს და სიმპათიურს. 557320311. გელა
3. გავიცნობ თბილისელ, შეძლებულ ქალს ოჯახის შექმნის მიზნით, თუნდაც განათხოვარს. ვარ 35 წლის. 598272303. გიგა
4. ვარ 28 წლის, სოფლელი ბიჭი, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ წესიერ ლამაზ გოგოს. 555154253
5. ვარ თბილისელი, მაქვს ჩემი ბიზნესი, რის გამოც დამაგვიანდა დაოჯახება, გავიცნობ თბილისთან ახლო მცხოვრებ 33 წლის ქალიშვილს, სერიოზულს, განათლებულს, გამხდარს. 558215498
6. ვარ 185/82/38, დასაქმებული მამაკაცი, ვცხოვრობ სამტრედიაში. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 33 წლამდე ქალიშვილ გოგოს, საშუალოზე მაღალს. 555639894. დათო
7. დაოჯახების მიზნით ან სამეგობროდ გავიცნობ თბილისელ ქალს. ვარ 58 წლის მამაკაცი. 593341453
8. ვარ ქვრივი, 70 წლის, მარტოხელა, ვცხოვრობ მანავში, ვეძებ ქალს, რომელსაც უნდა ოჯახი ჰქონდეს. 558661705. ოთარა
9. ვარ 43 წლის, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 32 წლამდე გოგოს. 555954868
10. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ წესიერ, პატიოსან და არამატყუარა 20 წლამდე გოგოს. 555478364
11. ახალგაზრდა, სიმპათიური, მარტოხელა თბილისელი მამაკაცი ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 25-დან 35 წლამდე თბილისში მცხოვრებ ქალს. 558270100
12. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სერიოზულ, უბრალო, სიმპათიურ, 27 წლამდე ქალს. სასურველია თბილისელი. ვარ 30 წლის სიმპათიური ბიჭი. 555971343
13. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 45-48 წლამდე ქალს, რომელსაც ნამდვილად უნდა თბილი, მოსიყვარულე, დასაქმებული მეუღლე. ვარ 51 წლის, მყავს კარგი ავტომობილი. 599521805
14. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 25-30 წლამდე ქალიშვილ გოგოს. 595726053. ხურა
15. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ პატიოსან, ოჯახის გოგოს 30-35 წლამდე, ვარ 39 წლის. 599060494

გავიცნობ მამაკაცს ოჯახს შესაქმნელად

1. მყავს 52 წლის გასათხოვარი ბიძაშვილი, მშვიდი, სტუმართმოყარე, მეოჯახე, ეკლესიური. შეგვეხმიანოს ღირსეული მამაკაცი. 557701130
2. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სერიოზულ, 50 წლამდე მამაკაცს. 555354360

გავიცნობ მამაკაცს შეხვედრებისთვის

1. გავიცნობ შეძლებულ მამაკაცს, ვინც დამიდგება გვერდში მარტოხელა ქალს. იმედია, მატყუარები არ შემეხმიანებიან, ვარ 34 წლის. 555613568. ნანა

თუ გსურთ, ახლობელს მიეღოცოთ ჰაიმე ან გაუმხიღოთ თქვენი გრძნობები ჟურნალ „სარკის" მეშვეობით, აკრიფეთ ასო „M", შემდეგ — ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 2017 ჯეოსელის და 93887 მაგთის აბონენტებმა. გაცნობის განცხადებებში მიუთითეთ თქვენი ტელეფონის ნომერი. თქვენი ტექსტი დაიბეჭდება „სარკის" უახლოეს ნომერში. sms უნდა გამოგზავნოთ 28 სექტემბრის 17 საათამდე.
ერთი sms-ის ღირებულებაა 1 ლარი. ნერილი, რომელიც 3-ზე მეტ სმს-ში იქნება მოთავსებული, არ დაიბეჭდება!
ერთი აბონენტისადმი მინერილი ორ ბარათზე მეტი არ დაიბეჭდება

Cyan Magenta Yellow Black

ვინც ეძებს, რომ მიაგნოს ჭეშმარიტებას, აუცილებლად იპოვის, რადენ რთულიც არ უნდა ჩანდეს

ცხოვრება ღირსისა მამის ჩვენისა ნეტარისა ავგუსტინესი იპონიის ეპისკოპოსისა

ახლა მოგითხრობთ წმინდანზე, რომელმაც საკუთარი კვალი დატოვა ეკლესიის ისტორიაში. მის ხსენებას ეკლესია დღესასწაულობს ახალი სტილით 15 ივნისს. ეს გახლავთ წმინდა ნეტარი ავგუსტინე იპონიის ეპისკოპოსი, რომელიც დაიბადა 254 წელს, სავარაუდოდ იპონიის ერთ-ერთ სოფელში, სახელად პოლიხნიში. მამას ერქვა პატრიკიოსი. თავდაპირველად ავრილიოსის, ეს არის წმინდა ავგუსტინეს ნათლობამდელი სახელი, მამა წარმართი იყო, დედა კი დაბადებიდანვე ქრისტიანი გახლდათ, სახელად მონიკი და მან განაპირობა მეუღლის და შემდგომ ვაჟის გაქრისტიანება.

თავდაპირველად ნეტარი ავგუსტინე ცრუ მოძღვრების მანიქეველთა გავლენის ქვეშ მოექცა, რასაც ძალიან განიცდიდა დედა. მან ადგილობრივ ეპისკოპოსს შესჩივლა თავისი შვილის ასეთი მდგომარეობა. ეპისკოპოსმაც მოისმინა დედის წუხილი და მიუგო: „ჩვენ რაც შეგვიძლია, ეს არის, მოთმინებით შევავედროთ ყოვლადმოწყალე უფალს, დანარჩენი ყოველივე თვით უფლის ხელთაა და მას მივანდოთ“.

ბუნებრივია, ეს სიტყვები დედისთვის ნუგეში იყო, ოღონდ არა გამოსავალი საკუთარი შვილისთვის. ღვთის განგებით ნეტარი ავგუსტინე წმინდა ამბროსი მედიოლანელს შეხვდა, რომელიც მედიოლანის საეკლესიო ტახტს მართავდა. ახალგაზრდა ავგუსტინეზე უდიდესი გავლენა მოახდინა მამა ამბროსის ქადაგებებმა, მაგრამ მაინც ჯიუტად იცავდა თავის ცრუ მოძღვრებას, რომელზეც მოგვიანებით მოგვითხრობს უკვე წმინდა მამა საკუთარ აღსარებაში.

წმინდა ამბროსის მოსმენის შემდგომ, რაც მეტს იგებდა ჭეშმარიტების შესახებ, მით მეტად უჭირდა იმის აღიარება, რომ თვითონ ცდებოდა. თუმცა წმინდა მამასთან ურთიერთობა მისთვის ერთგვარი აზარტი იყო და უფრო და უფრო საინტერესო ხდებოდა. მოგვიანებით აღწერს ნეტარი ავგუსტინე თავის მოგონებებში საკუთარ სულიერ მდგომარეობას, იმ ღრუბლის შესახებ, რომელიც ცრუ სწავლების შედეგად აწვა მის სულს, წმინდა ამბროსისთან სიახლოვე კი მალამოსავით ეფინებოდა მის შინაგან სამყაროს. თუმცა, როგორც კი მარტო რჩებოდა, ეს სიმშვიდე და სიამოვნება სადღაც ქრებოდა.

მამა ამბროსისთან მისი განშორების შემდგომ ცხოვრება ისევ ძველებურად გაგრძელდა, მაგრამ ნეტარი ავგუსტინე ყოველდღე ფიქრობდა წმინდა ამბროსისთან გატარებულ დღეებზე. ერთხელაც თავის მეგობართან ალიპიოსთან ყოფნის დროს მოისმინა მისგან პავლე მოციქულის სიტყვები, რომაელთა მიმართ მიწერილი წერილიდან: „აწვე არს ჟამი განღვიძებად ჩუენდა ძილისაგან, ღამე იგი განგუეშორა და დღე შემოგუეახლა, და ვითარცა დღესა შინა, შუენიერად ვიდოდით, შეიმოსეთ უფალი იესო ქრისტე და ხორცთა ზრახვასა ნუ ჰყოფთ გულის სათქუმელ“ (რომ. 13.11-14).

ამ სიტყვების მოსმენისთანავე მოხდა წმინდანის სულიერი გარდატეხა. მიაკითხა წმინდა ამბროსის და მოახსენა მომხდარის შესახებ. არც წმინდა ამბროსის გამორჩენია მისი სულიერი ფერისცვალება და თუ ამდენ ხანს ქრისტეს მდევნელი ახლა ერთადერთ ღმერთად, სამყაროს შემოქმედად თვით იესოს აღიარებდა, ეს მხოლოდ მისასალმებელი იყო და ყველა ბედნიერი იყო ამით.

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული ახლოვდებოდა, 32 წლის ნეტარი ავგუსტინე სწორედ აღდგომის წინა დღეს მოინათლა. მოგვიანებით დაბრუნდა თავის საგამზრდელოში იმ იმედით, რომ აღარასდროს დატოვებდა იქაურობას. დედა უზომოდ ბედნიერი შეხვდა შვილის გადაწყვეტილებას, მანიქეველთა ცრუ სწავლების დატევების შესახებ როცა შეიტყო. მას დიდხანს აღარ უცოცხლია შვილის დაბრუნების შემდგომ, თუმცა ეს ყოველივე მეორეხარისხოვანი იყო, რადგან შვილის სასიხარულო ამბის შეტყობით ბედნიერმა მიაბარა სული თვისი უფალს.

უზომოდ დამწუხრდა თვით წმინდა ავგუსტრინე დედის გარდაცვალების გამო, რაც მოგვიანებით თავის მეგობარს ალიპიოსს მისწერა კიდეც. ალიპიოსმა კი ასე გადმოსცა ამ წერილის შინაარსი: „საკუთარი გრძნობის მსხვრევას გრძნობდა ორმაგად, როცა იხსენებდა დედას სიცოცხლეში და მასზე წარსულში საუბრისას“.

იმ დღიდან მოყოლებული, რაც მოინათლა, აღარც წირვა-ლოცვას აცდენდა და საკუთარი მონდომებით მადლმოსილებითაც წარემატებოდა. ეს ყოველივე შეუმჩნეველი არ დარჩენილა ადგილობრივი ეპისკოპოსის, ვალერიუსისთვის და შესთავაზა, ეკლესიის ორგანიზებაში დახმარებოდა, იქნებ სასულიერო პირი გამხდარიყო. მორწმუნე საზოგადოების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ნეტარი ავგუსტინეს ქადაგებებს უსმენდა. გეგონებოდათ, რძე და თაფლი გადმოდის მისი პირიდანო, როცა საღვთო წერილზე საუბრობდა. ბრწყინვალედ იცოდა არა მარტო ბერძნული, არამედ ლათინურიც, რომლითაც ესაუბრებოდა ადგილობრივ ქრისტიანებს. ვისთვისაც ლათინური ენა არ იყო მშობლიური, მათაც ესმოდათ წმინდანის საუბარი საღვთო წერილზე და მამათა გადმოცემებზე.

წმინდა მამის საუბარზე ლეგენდები დადიოდა, ქვასაც კი მოალბობდა მისი სიტყვა, იმდენად სასიამოვნოდ მოსასმენი ყოფილა — ასე იხსენებენ თანამედროვენი. ერთი მაგალითი არის მოყვანილი ნეტარის ცხოვრებაში ასეთი, როდესაც წელიწადში ერთხელ ქალაქ კესარიის განაპირას ტრიალ მინდორზე იკრიბებოდნენ ადამიანები, შვილები მამათა წინააღმდეგ, ძმები ძმათა და ა.შ. ერთმანეთს ქვებს ესროდნენ და ხშირად სავალალო შედეგით სრულდებოდა ეს ეგრეთ წოდებული გასართობი თამაში, მსხვერპლის გარეშე არასოდეს ჩაუვლია.

ნეტარმა მამამ გადაწყვიტა, ღვთის დახმარებით ბოლო მოეღო ამ საშინელი გართობისთვის. მივიდა იმ ადგილზე, სადაც ეს საშინელება უნდა გამართულიყო, ესაუბრა შეკრებილებს აღნიშნულის უკანონობაზე და არა ღვთივსათნოებრიობაზე. იმდენად სასიამოვნო იყო მისი საუბარი მსმენელებისთვის, რომ ყველას გასაკვირად აღარ გაიმართა ეს ავბედითი და საშინელი გასართობი ღონისძიება, რომელსაც მსხვერპლი და უბედურება მოჰქონდა.

ხშირად მოდიოდნენ წმინდა მამასთან წარმართები, სხვადასხვა რჯულის მიმდევარნი. მისგან კი ისე მშვიდად ბრუნდებოდნენ, რომ უმრავლესობას მართლმადიდებლობის მიღების სურვილიც კი უჩნდებოდა და ინათლებოდნენ. ასეთი ადამიანების რიცხვი უთვალავი იყო ნეტარი მამის ცხოვრებაში.

ყოველივე ამის შემხედვარე იპონიის ეპისკოპოსმა უალერიოსმა იმის შიშით, რომ სხვა რომელიმე ეპარქიაში არ წაეყვანათ მამა ავგუსტინე, გადაწყვიტა, საკუთარ მემკვიდრედ გამოერჩია და 395 წელს ხელდასხმულ იქნა იპონიის ეპისკოპოსად. ზოგადად ბევრს არ შეუძლია ამგვარი ნაბიჯის გადადგმა, რომ ძალაუფლება ასე ყოველგვარი ჩარევის ან დაძალების გარეშე, ნებაყოფლობით გადასცეს ახალგაზრდა, ენერგიულ მომავალ თაობას, როგორც ეს გააკეთა ღირსმა უალერიოსმა.

უამრავი ვალდებულება აიღო ახალგაზრდა ავგუსტინემ საკუთარ თავზე და ღვთის შეწევნით ბრწყინვალედაც ართმევდა თავს ისე, რომ მთავარს, ხალხისთვის ღვთის სიტყვა ეხარებინა და ჰომილიები მოემზადებინა, მისთვის ხელი სულაც არ შეუშლია. ტომები არსებობენ წმინდა მამის მიერ გამოცემული, რომლებიც მართლმადიდებელი ეკლესიის წიგნსაცავებშია დაცული. ეს ნაშრომები მხოლოდ თეოლოგიური როდია, არამედ ფილოსოფიური, რიტორიკული, თარგმანები ძველი ლათინურიდან და ძველი ბერძნულიდან თანამედროვე ენებზე.

წმინდა მამის ნაშრომები ერთნაირად საინტერესოა როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანებისთვის, აგრეთვე სხვა აღმსარებლობის მორწმუნეთათვისაც. ნეტარი ავგუსტინესთვის აღმსარებლობას როდი ჰქონდა მნიშვნელობა. თუ მასთან რომელიმე სხვა აღმსარებლობის ადამიანი მივიდოდა ან რჩევისთვის, ან დახმარებისთვის, ნეტარი მამა დღენიადაგ მზად იყო გაჭირვებულთა დასახმარებლად.

ასეთი ცხოვრებით იცხოვრა ნეტარმა ავგუსტინემ და ამიტომაც მიანიჭა მას ეკლესიამ ნეტარის გვირგვინი. 76 წლის იყო, როდესაც უწია ქრისტიანობითმა აღსასრულმა წმინდანს და 430 წელს მიაბარა სული თავისივე შემოქმედს. ნეტარი ავგუსტინეს მსახურებისთვის ტროპარ-კონდაკები, სადიდებლები, დაუჯდომელიც შეადგინა და გადმოგვცა მამა გერასიმემ, წმინდა ანნას მცირე სკიტელმა. საუკუნოდ იყოს ხსენება ნეტარისა ავგუსტინესი, რომელსაც შვენის ქება და დიდება აწ და მარადის და უკუნისამდე, ამინ!

ქრისტესმიერი სიყვარულით პროტოდიაკონი მირიანი. ამინ!

Cyan Magenta Yellow Black

„ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲛᲝᲥᲪᲔᲣᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲨᲔᲘᲜᲧᲐᲚᲔᲑᲡ ᲣᲤᲐᲚᲘ“

■ ᲛᲐᲛᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ

„სექტა“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს გამოყოფას, განცალკევებას. იგი დიდი რელიგიური გაერთიანებიდან რაღაც საფუძველზე გამოყოფილი მცირერიცხოვანი ჯგუფის აღსანიშნავად გამოიყენება. სექტანტი, შესაბამისად, სექტის მიმდევარს ნიშნავს. ქრისტიანული სარწმუნოების კვალდაკვალ დროთა განმავლობაში მრავალი სექტა შეიქმნა, რაშიც ეკლესია რწმენის გზაზე შემდგარი ადამიანისთვის დიდ დაბრკოლებასა და საფრთხეს ხედავს. იოანე ღვთისმეტყველის სახელობს ტაძრის დეკანოზი, მამა გიორგი (სხირტლაძე) გვესაუბრება, თუ როგორ უნდა გამოვიცნოთ სექტანტი და დავიცვათ თავი მისგან.

— მამაო, არის გარკვეული დამახასიათებელი ნიშანი, რითიც სექტანტი, ვთქვათ, მართლმადიდებლისგან გამოირჩევა?

— სექტანტების ამოცნობა ეკლესიის მრევლისთვის ადვილია. მორწმუნეები მათ საუბრის სტილით ცნობენ. ახალი მრევლისა და არაეკლესიურთათვის კი ეს მარტივი არ არის. ბევრი მალავს თავის სექტანტობას და რომ ამოვიცნოთ, მართლმადიდებელია თუ არა, უნდა ვკითხოთ, ვინ არის მისი სულიერი მოძღვარი, რომელი ეკლესიის მრევლია და აღიარებს თუ არა წმინდა მამათა სწავლებებს. მაგალითად, თუ ეჭვი გაგვიჩნდა, რომ მქადაგებელი იეჰოვას მოწმეა, უნდა ვკითხოთ, აღიარებს თუ არა წმინდა სამებას ან ატარებს თუ არა ჯვარს და რატომ არ ატარებს. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში ნათელი ხდება, რომ არ არის მართლმადიდებელი, მაგრამ არიან ევანგელისტები, ბაპტისტები, სტაროვერები, კოფტები, რომლებიც ატარებენ ჯვარს, მაგრამ მართლმადიდებლები არ არიან.

უნდა ვიცოდეთ, რომ არ არსებობს რამდენიმე ჭეშმარიტი სარწმუნოება. ჭეშმარიტია მხოლოდ მართლმადიდებლური სარწმუნოება — ქრისტეს მოციქულების მიერ დაფუძნებული.

— რატომ იქმნება სექტები?

— ბოროტი ძალების ჩარევით ათასობით სექტა და ორგანიზაცია შეიქმნა, რომ დედაეკლესიას თავისი საყვარელი შვილები მოსტაცონ. ღმერთი აერთებს, ეშმაკი თიშავს. როგორც მოგეხსენებათ, სატანა ადრე კეთილი ანგელოზი იყო და მას ტექნიკისა და სინათლის შექმნის ძალაუფლება ჰქონდა მიცემული. იგი ამპარტავნებაში ჩავარდა და თავისი მომხრე ანგელოზებითურთ ღვთის წინააღმდეგ წავიდა. ამისთვის ისინი უფალმა დაწყევლა და ეშმაკებად იქცნენ, ადამიანთა მოდგმას გადაემტერნენ. შურის გამო სურთ, ყველა ჯოჯოხეთში წაიყოლონ. ეშმაკის დახმარებით იქმნება სხვადასხვა სექტა და ორგანიზაცია. მათი ამოცნობისა და უფრო ფართო შესწავლისათვის სემინარია-აკადემიაში ისწავლება საგანი სექტოლოგია.

— სექტანტებს რომ მოვუსმინოთ, ისინიც ღმერთის სიყვარულს, სიკეთეს ქადაგებენ...

— უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანის ამქვეყნად მოსვლის უმთავრესი მიზანი ცხონებაა. ადამისა და ევას ცოდვები ქრისტემ ჯვარზე გაკვრით გამოისყიდა. დაგვრჩა პირადი ცოდვები, რომლებიც შეგვიძლია გამოვისყიდოთ სინანულით, აღსარებით, ზიარებითა და სიკეთის კეთებით. მხოლოდ მოძღვარზეა მიცემული ძალაუფლება ქრისტესგან მიტევებისა და არმიტევების. იესო ქრისტე სახარებაში ეუბნება მოციქულებს: „რასაც დედამიწაზე შეკრავთ, ზეცაშიც შეკრული იქნება. ხოლო რასაც გახსნით დედამიწაზე, გახსნილი იქნება ზეცაშიც“. ანუ ვისაც მიუტევებთ ცოდვებს, მიეტევება აქაც და ზეცაშიც; ხოლო ვისაც დაწყევლით, დაწყევლილი იქნება აქაც და ზეცაშიცო. ადამიანისთვის ამქვეყნად მოსვლის მთავარი მიზანი უნდა იყოს სასუფევლისთვის მზადება. არ აქვს მნიშვნელობა, მოხუცი იქნება თუ ახალგაზრდა, სიცოცხლის ბოლოს მოქცეულებსაც შეიწყალებს უფალი მოძღვართან სინანულით, აღსარებით, ზიარებითა და საკუთარ თავთან ბრძოლის, ლოცვისა და მარხვის შემდეგ. ჭეშმარიტი სარწმუნოების ძიებითაა შესაძლებელი სექტანტებისგან თავის დაღწევა.

უფალმა დალოცოს და მოაქციოს ყველა ადამიანი, რამეთუ ყველანი ადამისა და ევას შვილები ვართ და ღმერთს ყველა უყვარს. აი, რას ამბობს არქიეპისკოპოსი იოანე (შახოვსკოი) სექტანტების შესახებ:

„მცდარი აზრია, რომ ყველა მართლმადიდებელი ნამდვილად არაა სექტანტი, ყველა სექტანტი — არამართლმადიდებელი. ყოველი მართლმადიდებელი არ არის სულიერად ასეთი და არც ყოველი სექტანტად წოდებულია სულით სექტანტი. და დღევანდელ დღეს შეიძლება შევხვდეთ „მართლმადიდებელს“, ნამდვილ სექტანტს თავისი სულიერი მისწრაფებით: ფანატიკოსს, მკაცრად რომ განსჯის ადამიანს თავისი ცდომილი სიმართლის მწვერვალიდან, რომელიც გარეგნულად, დოგმატურად სწორია, მაგრამ სულში შობის არმქონეა და პირიქით, შეიძლება შევხვდეთ სექტანტს, რომელსაც აშკარად არ ესმის ღმრთისადმი სულითა და ჭეშმარიტებით მართლმადიდებლური მსახურების არსი, არ აღიარებს ეკლესიური ჭეშმარიტების ამა თუ იმ გამოხატულებას, მაგრამ სინამდვილეში ფარულადაა მასში ბევრი რამ ჭეშმარიტად ღვთიური, ჭეშმარიტად ქრისტესმიერი სიყვარულის მოჭარბება, ჭეშმარიტად ძმური დამოკიდებულება ადამიანებისადმი.

ასეთი აღრევის არსებობა ქრისტიანულ საზოგადოებებში არ გვაძლევს უფლებას, ზედაპირულად მივუდგეთ აღმსარებლობით დამოკიდებულებათა საკითხს. სექტანტები სცოდავენ მართლმადიდებლობის ვერ გაგებით, ხოლო ჩვენც, მართლმადიდებლები, არ მივსდევთ ჩვენს მართლმადიდებლობას, არ გვესმის რა მათი — სექტანტებისა, ზოგჯერ საოცრად მგზნებარედ და სიწმინდით რომ ესწრაფვიან უფლისკენ, ესწრაფვიან მასთან ერთობას. ჩვენ, მართლმადიდებლები, რწმენით, სულიერად ვხედავთ, რომ ვფლობთ ადამიანურად გამოხატული ჭეშმარიტების სისავსეს, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ უკვე მივყვებით ჭეშმარიტების ამ სისავსეს და რომ ეს სისავსე აღგვავსებს ჩვენ. ხშირად ჩვენ იგი მხოლოდ ენაზე გვადგას, ანდა ვფიქრობთ, რომ მან უნდა შეგვიცვალოს თვალში დირე ჩვენი სულიერი სიზარმაცისა, მაგრამ ეს ყველაფერი სრულიადაც არაა ასე. ჭეშმარიტება გვაქვს და, ამასთან, სრული, მაგრამ მასში ცხოვრება არ გვსურს ან არ შეგვიძლია და უბრალოდ, ხშირად არც ვისწრაფვით მასში ცხოვრებისაკენ, რამეთუ ის ძალზე სამარცხვინოა ჩვენი გაცვეთილი ადამიანურობისთვის. ხოლო ქადილს, განდიდებას ჩვენი მართლმადიდებლობით არ ვეშვებით.

ამავე დროს სხვაგვარად მადიდებელ ქრისტიანთა შორის მრავლად არიან მართლმადიდებლობის ჭეშმარიტებაში მცხოვრებნი თავიანთი სულიერი მდგომარეობით. არიან სექტანტები, რომლებიც უფრო მეტად იწვიან სულითა და სიყვარულით ღვთისადმი და მოყვასისადმი, ვიდრე სხვა მართლმადიდებლები და სწორედ ამგვარი სულიერი წვა ღმრთისა და ადამიანისადმი გახლავთ ნიშანი ჭეშმარიტი ცხოვრებისეული მართლმადიდებლობისა. ვისაც იგი არ გააჩნია მართლმადიდებელთა შორის, ის არაა ჭეშმარიტი მართლმადიდებელი და ვისაც იგი არ აქვს არამართლმადიდებელთა შორის, არც ისაა ჭეშმარიტად მადიდებელი.

„ᲑᲝᲠᲝᲢᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲠᲔᲕᲘᲗ ᲐᲗᲐᲡᲝᲑᲘᲗ ᲡᲔᲥᲢᲐ ᲓᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ, ᲘᲛᲝ ᲓᲔᲓᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲛᲝᲡᲢᲐᲪᲝᲜ. ᲦᲛᲔᲗᲘᲗᲘ ᲐᲔᲠᲗᲔᲑᲡ, ᲔᲨᲛᲐᲙᲘ ᲗᲘᲗᲐᲕᲡ.“

ადამიანურად ის ცდება, ვერ იგებს ამას თუ იმას, ვერ ხედავს ამა თუ იმ ფერს სამყაროს ბუნებაში (სულიერი დალტონიზმი; ვერ ხედავს, მაგალითად, ხატების აზრს, ურთიერთობას წმინდანებთან), მაგრამ სულით ის წრფელი და ნამდვილი, არაპირმოთნე სიყვარულით თავდადებულია განხორციელებული ღმერთისადმი, უფალ იესო ქრისტესადმი სიკვდილამდე. არც პაექრობით, არც კამათით, არც კინკლაობით, არც უხეში მხილებით არ შეიძლება ჩვენება საღმრთო სულის იმ კეთილისმყოფელი ძალისა, რომელიც ცოცხლობს მართლმადიდებლობაში, რომელიც თვითაა მართლმადიდებლობა. ეს სული მხოლოდ თავისი გონივრული უფლებისაგან ადამიანური თვალსაზრისით უგუნურ უარყოფაში და მსჯავრის სულისადმი გადაცემაში შეიძლება გამოიხატოს.

მართლმადიდებლურ აპოლოგეტიკაში, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ყურადღება გამახვილდეს ნათლად და მტკიცედ მოძღვრების არსის განმარტებაზე და ცხოვრებაში ამ მოძღვრების გატარებაზე. ნათლად უნდა შევიგრძნოთ, რომ მართლმადიდებლობა საშინელი ცეცხლია, როგორც წმინდა საიდუმლოებანი. ვინც იღებს მართლმადიდებლობის სისავსეს, ეს ცეცხლი ან გარდაქმნის მას, ან დაწვავს. სექტანტობა მართლმადიდებლობის გზების არამართლმადიდებლური ძიებაა. ადამიანის უძლურების გამო ის სიღრმეში კი არ აღესრულება, არამედ მის სიახლოვეს, ასე ვთქვათ, არა დოგმატში, არამედ დოგმატის გვერდით.

დოგმატური (წმინდა) ცხოვრება დოგმატის მიღმა, რა თქმა უნდა, უფრო მეტ მართლმადიდებლობას წარმოადგენს, ვიდრე არადოგმატური (გზასაცდენილი) ცხოვრება დოგმატში. უნდა გავიგოთ ეს მთელი სიცხადით, ღვთის სიტყვის მთელი გარკვეულობით, პირდაპირ რომ გვიჩვენებს თუნდაც იგავში ორი ძმის შესახებ, რომელთაგან ერთმა თქვა, რომ არ შეასრულებს მამის ნებას და შეასრულა, ხოლო მეორემ თქვა, რომ შეასრულებს და არ შეასრულა.

მართლმადიდებლური მრწამსის აღმსარებლობა სახარების ასახვაა. მრწამსი უნდა აღესრულოს ცხოვრებაში და იქცეს რეალობად. ზოგიერთთან იგი სრულიად არ აისახება ცხოვრებაში, მიუხედავად იმისა, რომ ეს ადამიანი ყოველდღიურად წარმოთქვამს მას ლოცვისას; მეორესთან რწმენა გამოიხატება ცხოვრებისეულად მის სიყვარულში უფალ იესო ქრისტესადმი, ზეციური მამისადმი და სულიწმინდისადმი და აისახება მის სახეზე, სიტყვებსა და ყველანაირ ქცევაში. ვინ უფრო ახლოა ღვთის სასუფეველთან? პასუხი ნათელია. რა თქმა უნდა, მეორე, არამართლმადიდებელი სახელით, მაგრამ სულითა და ჭეშმარიტებით მართლმადიდებელი, განსწავლული თვით სულიწმინდის მიერ. თვითაღიარებულმა და თვითდამკვიდრებულმა მართლმადიდებლებმა დროა გავიგოთ, რომ მართლმადიდებლობა სულაც არ გახლავთ პრივილეგია და არც საბაბი სხვისი განკითხვის და არც სიამაყისა. მართლმადიდებლობა პირიქით, თავმდაბლობაა, აღიარებაა ჭეშმარიტების სისავსისა, როგორც სიმართლის, ისე სიყვარულისა.

მართლმადიდებლობამ თავისი ბრწყინვალებით უნდა გაიმარჯვოს, ისევე, როგორც თვით უფალმა და არა ქვემეხებით — სულერთია, იქნება ეს ფოლადის თუ სიტყვიერი“.

✓ ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲜᲝᲓᲘᲐ

Cyan Magenta Yellow Black

კვიპროსზე ხუთ ტაძარში ქართული ლოცვა და გალობა ისმის

მამა ზაქარია: „უცხო მიწაზე ცხოვრებას უფალი მიადვილებს“

დეკანოზი ზაქარია ფერაძე 14 წელია, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, კვიპროსის კუნძულზე მსახურობს და იქ საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენელია. ქართველ ემიგრანტებს კუნძულზე სათვისტომო აქვთ ჩამოყალიბებული, არსებობს საკვირაო სკოლები და, რაც მთავარია, 5 ქართული ეკლესია მოქმედებს. ამ ყველაფერში მამა ზაქარია აქტიურად არის ჩართული და წლებთან ერთად მისი მრევლიც იზრდებოდა, ბოლო პერიოდში კი მრევლმა იკლო და ამას სასიხარულო მიზეზი აქვს — მისი უწმინდესობის კურთხევის თანახმად, ბევრი ქართველი მშობლიურ მიწაზე დაბრუნდა. რაც შეეხება მამა ზაქარიას, ის სამშობლოში მხოლოდ ერთი თვით ჩამოვიდა. „სარკე“ სწორედ ამ პერიოდში შეხვდა მას და ესაუბრა იმაზე, თუ როგორ გაიარა 14-მა წელმა კვიპროსზე, რა ძალა უმსუბუქებს უცხო ქვეყანაში ცხოვრებას ქართველ მოძღვარს და სხვა საინტერესო თემებზე.

— მამა ზაქარია, რა ხდება ამჟამად კვიპროსის ქართულ სათვისტომოში?

— კვიპროსში, ღვთის იმედითა და მადლით, ყველაფერი ნორმალურად არის. იქ 5 ქართული მოქმედი ტაძარია, თუმცა ამ ბოლო დროს მრევლის ნაკლებობას ვუჩივით. უწმინდესისა და უნეტარესის კურთხევით, ქართველები ეტაპობრივად უბრუნდებიან სამშობლოს. რა თქმა უნდა, ყველა ერთბაშად ვერ ჩამოვა, მაგრამ ემიგრანტთა დიდმა ნაწილმა კვიპროსი უკვე დატოვა, ამიტომაც იქაურ ქართულ ეკლესიებში მრევლი ცოტა დარჩა. გვყავდა დიდი მგალობელთა გუნდი, რომელიც 60 კაცისგან შედგებოდა. კვიპროსზე უფრო მეტი ქართველი ცხოვრობს, მაგრამ ყველა არ დადის ეკლესიაში. იმედი გვაქვს, რომ ისინიც მოიქცევიან რწმენისკენ. სანამ კვიპროსიდან წამოვიდოდი, ათამდე ემიგრანტმა გამოთქვა აღმსარებლობის სურვილი. უკან როგორც კი დავბრუნდები, ალბათ ის ადამიანებიც შემომიერთდებიან. ჩვენ, კვიპროსზე მოღვაწე ქართველი მამები, ყველანაირად ვცდილობთ, წირვა-ლოცვები არ შევწყვიტოთ და უფრო მეტი ადამიანი მოვიყვანოთ ეკლესიის წიაღში.

ემიგრანტებს განსაკუთრებით სჭირდებათ რწმენაში გაძლიერება, რადგან ისინი სამშობლოდან შორს ცხოვრობენ და ბევრი რამის დანაკლისი აქვთ. ერთი თვეა, რაც საქართველოში ვიმყოფები და ამ პერიოდში კვიპროსიდან 15-მდე ოჯახი დაბრუნდა. კიდევ ბევრი აპირებს ჩამოსვლას. ეს, რა თქმა უნდა, სასიხარულოა.

— თქვენ რომელ ტაძარში მსახურობთ ამ ხუთიდან?

— ხუთივეში ვმსახურობ. დედაქალაქ ნიკოზიაში არის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია; აგრეთვე ქართულ ეკლესიას ეკუთვნის ლარნაკის ხარების ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ეკლესია; ლიმასოლის წმინდა მამა ანტეს ტაძარი; პაფოსის წმინდა გიორგის ეკლესია და ღალიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მონასტერი.

კვიპროსში ჩემთან ერთად კიდევ ორი ქართველი მოძღვარია — მამა ანდრია სხილაძე და მამა დავით მაღლაფერიძე. ისინი ძალიან მეხმარებიან და ერთად ვწირავთ ქართულ ტაძრებში. ამავდროულად ისინი კვიპროსულ ეკლესიასაც ემსახურებიან.

ღალიის უძველესი სამონასტრო კომპლექსი ჩემთვის გამორჩეულია. ბოლო პერიოდში არქეოლოგიურად შეისწავლეს და აღადგინეს. ახლა ბოლო ეტაპზე ვართ, მონასტრის გადახურვა მიმდინარეობს, რომელიც ერთ თვეში დასრულდება. მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევით, ხონისა და სამტრედიის მიტროპოლიტ მეუფე საბას დაევალა, რომ იქ მონასტერი გააკეთოს, ანუ ღალიის ძველი მონასტრის აღდგენა მოხდეს.

ქართულ მხარეს იმ ტერიტორიაზე ახალი ეკლესიის აშენებაც უნდა, კვიპროსული მხარისგან თანხმობა გვაქვს და ახლა სხვა ტექნიკური საკითხებია მოსაგვარებელი. აგრეთვე, პატრიარქის კურთხევით, მეუფე საბამ თბილისში ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი შეაქმნევინა. ეს ხატი გასული წლის 6 ოქტომბერს მეუფე საბამ და მეუფე თეოდორემ კვიპროსში ჩამოაბრძანეს.

— საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი მამები ხშირად აღნიშნავენ, რომ უცხო ქვეყანაში მსახურება რთულია. თქვენც გრძნობთ ამ სირთულეს?

— ძალიან რთულია უცხო ქვეყანაში ცხოვრება და, მით უმეტეს, საეკლესიო მსახურება. უკვე 14 წელია კვიპროსში ვარ, მაგრამ იქაურობას მაინც ვერ შევეჩვიე, თუმცა მთელი ამ ხნის განმავლობაში უფლის მფარველობას ვგრძნობდი, რაც იქ ცხოვრებას უფრო მიადვილებდა. სხვათა შორის, ადგილობრივი ეკლესიისა და მოსახლეობისგან დიდი მხარდაჭერა გვაქვს.

„ისც მჭირდებოდა, ღვთისგან ყველაფერი მომეცა. ღმერთი ყველა ჩვენგანის მამაა. მას ჩვენი თხოვნა ისც სჭირდება, თავადაც იცის, ის გვინდა. თუკი ჩვენს ეკლესიურ ცხოვრებას სნოხად ნახვმასთავთ, მაშინ ღვთისგან ყველაფერი მოგვეცემა“.

თავიანთ ტაძრებში წირვა-ლოცვებზე ხშირად გვპატიჟებენ ჩვენს მგალობლებთან ერთად. სხვა ქვეყნებიდან დიდი რანგის სასულიერო პირები როცა ჩამოდიან, ჩვენც გვიწვევენ, რადგან ქართული გალობა ძალიან მოსწონთ. კვიპროსელებს ქართველებისადმი თბილი დამოკიდებულება აქვთ.

— კვიპროსზე თქვენი ოჯახიც ცხოვრობს?

— ჩემი მეუღლე, ქეთევან მოდებაძეც იქ არის. ის საკვირაო სკოლაში მუშაობს და სხვადასხვა ღონისძიებებს აწყობს. სკოლები თითქმის ყველა ქალაქში გვქონდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ქართველთა რაოდენობა შემცირდა, მხოლოდ დედაქალაქში დაგვრჩა. ბავშვები იქ ბევრ საინტერესო საგანს სწავლობენ.

ბუნებრივია, ჩემი მეუღლე აქტიურად არის ჩართული საეკლესიო ცხოვრებაში და ყველანაირად გვერდით მიდგას. საკუთარი შვილი არ გვყავს, მაგრამ ჩვენს ხელში ბევრი გაიზარდა. მამა დავითი და მამა ანდრიაც ჩვენი გაზრდილები არიან. უკვე დიდები იყვნენ, როდესაც ჩვენთან მოვიდნენ, მაგრამ მათზე მაინც მშობლიური ამაგი გვაქვს. ახლა მათი შვილების სასულიერო და საერო სწავლა-განათლებაზე ვზრუნავთ. ეს ბავშვები ჩემთვის შვილიშვილებივით არიან. ჩემი მეუღლე ყველა ჩვენთან მოსული ბავშვის გაზრდაში ძალიან მეხმარება და მათ ნამდვილ დედობას უწევს.

— გაიხსენეთ, თავდაპირველად როგორ დაუკავშირდით ეკლესიას.

— პატარაობიდანვე მქონდა სურვილი, რომ ეკლესიურად მეცხოვრა, თუმცა, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ვბრკოლდებოდი. პატარა ვიყავი, როდესაც ტაძარში შესვლა გადავწყვიტე. დიდი მოწიწებით შევდგი ფეხი. არ ვიცოდი, როგორ დავმდგარიყავი და ხელები უკან წავიღე. იქვე ერთი

„40 დღის განმავლობაში ყოველ ღამე მამა მესიზმრებოდა და ლოცვებს მასწავლიდა“.

რუსი „ბაბულია“ იდგა, რომელმაც მიყვირა, რანაირად დგახარო და თან მაგრად დამარტყა. ის სიმწარე ახლაც მახსოვს, რადგან მას მერე კარგა ხანი ტაძარში მისვლის მეშინოდა. ხომ იცით, ბავშვის ფსიქიკა როგორია. იმას ვფიქრობდი, იქ რომ მივიდე, კიდევ ვინმემ არ მცემოს-მეთქი.

სხვათა შორის, დიდი მნიშვნელობა აქვს, ტაძარში ახალმისულს იქ მყოფი მრევლი თუ სასულიერო პირი როგორ დახვდება. პირველი შთაბეჭდილება ისეთი უნდა იყოს, რომ იქ მისვლა მეორედაც მოგინდეს. მოძღვარმა დიდი სიფაქიზე უნდა გამოიჩინოს ყველა იმ ადამიანის მიმართ, რომელიც ეკლესიისკენ პირველად დგამს ნაბიჯებს, ზედმეტი სიმკაცრით არ უნდა დააფრთხოს. სახარებაშიც ხომ წერია, რომ რწმენაში ერთ ადამიანს მაინც თუ დააბრკოლებ, ეს დიდი ცოდვაა.

— როგორც აღნიშნეთ, ბავშვობიდან გქონდათ ეკლესიური ცხოვრების სურვილი. ვის დაგაახლოებთ ეკლესიასთან, რწმენა ვინ ჩაგინერგავთ?

— ისეთ ეპოქაში გავიზარდე, როდესაც რწმენაზე ხმამაღლა არავინ ლაპარაკობდა. არ არსებობდა საეკლესიო სწავლება. მიუხედავად ამისა, სურვილი სულ მქონდა, რომ ამ სფეროს უფრო კარგად გავცნობოდი. ეს მამაჩემის დამსახურებაც იყო. მან რელიგიის შესახებ ბევრი რამ მასწავლა. მორწმუნე გახლდათ და კომუნისტურ დროში, როგორც შესაძლებელი იყო, ისე ახერხებდა, შვილებში ღვთის სიყვარული ჩაენერგა. მან მასწავლა პირჯვრის გადაწერა, სანთლის ანთება, პირველად ჩამომკიდა გულზე ჯვარი და ა.შ. მამაჩემი ყველა მნიშვნელოვან საეკლესიო დღესასწაულზე სახლში პატარა სუფრას აკეთებდა და ამ დღეს აღვნიშნავდით ხოლმე.

ჩემი რწმენის განმტკიცებაში ასევე დიდი როლი შეასრულა საინფორმაციო საშუალებებმა. გამუდმებით ვუსმენდი რადიო „თავისუფლებას“, სადაც რელიგიაზე საუბრობდნენ, ათონის მთის მონასტრის ზარებს გვასმენინებდნენ და ა.შ. ამ რადიოს წყალობით, დისიდენტად ჩამოვყალიბდი. ამ გადა-

Cyan Magenta Yellow Black

ცემების მოსმენით ჩემთვის ბევრი რამ გახდა ცნობილი და იმდროინდელი ათეისტური განწყობის მიმართ აგრესია გამიჩნდა.

ეს ყველაფერი ჩემში ხდებოდა, ეკლესიის აღმსარებელი კი ცოტა მოგვიანებით, 24-25 წლის ასაკში გავხდი. მამა რომ გარდაიცვალა, ჩემში გარდაქმნა მოხდა. მეგონა, მისი გარდაცვალებით ჩემი ცხოვრებაც დამთავრდა. დასაფლავების დღეს მამაჩემის სულს ვთხოვე, იქიდან ესწავლებინა ჩემთვის, თუ რა არის ჭეშმარიტება. მართლაც, ძალიან მალე ეკლესიური გავხდი. საოცარია, მაგრამ 40 დღის განმავლობაში ყოველ ღამე მამაჩემი მესიზმრებოდა და ლოცვებს მასწავლიდა. ასევე ესიზმრებოდა ჩემს დასაც. შემდეგ ჩვენს სახლთან ახლოს ტაძარი გაიხსნა. იქ სიარული და ქადაგებების მოსმენა დავიწყე. მაშინ გადავწყვიტე, ეკლესიის წიაღში უნდა დავრჩენილიყავი.

ერთ დროს ძალიან მინდოდა თეატრალურ ინსტიტუტში ჩაბარება, მაგრამ ღვთის ნება არ იყო, ამ გზით წავსულიყავი. თეატრალურში ერთ-ერთ გასაუბრებაზე მკითხეს, რა იყო ჩემი ცხოვრების მიზანი. ვუპასუხე, საქართველოს დამოუკიდებლობა-მეთქი. ამ-

„კვიპროსზე რომ ჩავედი, ეთნი ქალაქაც არ მქონდა და მოკლე დროში უცებ გავქალაქავდი. სამშობლოსგან შორს, ფაქტობრივად სრულიად მარტო ვიყავი და ყველაფერი თავიდან უნდა დამეწყო...".

ის გაგონებაზე კომისიის წევრებს სახეები შეეცვალათ და უარით გამომისტუმრეს. შემდეგ სიონის საკათედრო ტაძარში დავიწყე სიარული. იქ გავიცანი ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა. ასე ჩავერთე ეროვნულ მოძრაობაში. შემდეგ უკვე ავლაბარში, პეტრე-პავლეს სახელობის ტაძარში დავდიოდი მამა არჩილ მინდიაშვილთან. სტიქაროსანი და მგალობელი ვიყავი.

ერთხელ მე და ჩემი ორი მეგობარი ტაძარში შევედით. მამა არჩილი ნათლობას ატარებდა და ჩვენ თვითონ გადავწყვიტეთ, რომ გვეგალობა. ნათლობის დასრულების შემდეგ მოძღვარი ჩვენთან მოვიდა და გვითხრა, მართალია, ჩემი ნებართვის გარეშე დაიწყეთ გალობა, მაგრამ არ გიბრაზდებით, უფალს სულ ვთხოვდი, ვაუთა გუნდი მყოლოდა და მინდა, ჩემი მგალობლები გახდეთო. ამის შემდეგ სულ ვგალობდი, სანამ დიაკვანი გავხდებოდი.

— კვიპროსზე წასვლამდე საქართველოს რომელ ტაძარში მსახურობდით?

— დიაკვნად 1991 წლის 21 სექტემბერს მაკურთხეს. იმავე წლის 24 ნოემბერს კი მღვდლად დამასხეს ხელი. წარმოშობით ზესტაფონიდან ვარ. თავიდან ხარაგაულის რაიონში ვმსახურობდი. შემდეგ ვიყავი ხულოში, იქაურ სასულიერო სასწავლებელს ვხელმძღვანელობდი. აგრეთვე ვიყავი ქობულეთის ბერძნულ სოფლებში, სადაც მრევლის შექმნა დამევალა. ღვთის შეწევნით, მრევლიც შეიქმნა და ტაძარიც აშენდა. ამის მერე ბათუმში ვმსახურობდი. ბათუმის სასულიერო სემინარიის რექტორი ვიყავი. სწორედ მაშინ ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის მიტროპოლიტის, მეუფე დიმიტრის რეკომენდაციით, მისმა უწმინდესობამ კვიპროსში გამაგზავნა. ეს 2000 წელს მოხდა. ერთ დროს ვოცნებობდი, რომ ამ ქვეყანაში მემსახურა. ეს მაშინ, როცა ხარაგაულში ყოფნისას ერთ-ერთ წიგნში ღალიის მონასტრის ნანგრევების შესახებ წავიკითხე და ფოტოებიც ვნახე.

■ ღალიის უძველესი სამონასტრო კომპლექსი

ძალიან დავინტერესდი და სურვილი დამებადა, ამ კომპლექსის აღდგენაში ჩემი მოკრძალებული წვლილი შემეტანა. ამ ამბიდან 8 წელი გავიდა, აჭარის სასულიერო ცხოვრებაში უკვე აქტიურად ვიყავი ჩართული და მრევლის მიტოვების და სხვაგან წასვლის სურვილი აღარ მქონდა, მაგრამ, რადგანაც გაკურთხებენ, ამაზე უარის თქმა არ შეიძლება. სადაც არის კურთხევა, უფალიც იქ არის, ამიტომაც გავემგზავრე კვიპროსზე და შევუდექი მსახურებას.

— პირველ პერიოდში რა სიძნელეებს წააწყდით უცხო მაწაზე?

— პირველ თვეებში მართლაც განსაკუთრებით გამიჭირდა. კვიპროსზე რომ ჩავედი, ერთი ჭაღარაც არ მქონდა და მოკლე დროში უცებ გავჭაღარავდი. სამშობლოსგან შორს, ფაქტობრივად სრულიად მარტო ვიყავი და ყველაფერი თავიდან უნდა დამეწყო. უფალს მივენდე და ძალიან მალე ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. რაც მჭირდებოდა, ღვთისგან ყველაფერი მომეცა. ღმერთი ყველა ჩვენგანის მამაა. მას ჩვენი თხოვნა არც სჭირდება, თავადაც იცის, რა გვინდა. თუ ჩვენს ეკლესიურ ცხოვრებას სწორად წარვმართავთ, ღვთისგან ყველაფერი მოგვეცემა. ამქვეყნად ყველაზე დიდი სიყვარული უფალია და ყოველთვის გვეხმარება, როდესაც ხედავს, რომ მოყვასისა და ღვთის მიმართ სიყვარული გვაქვს.

კვიპროსი დაკავშირებულია დედა ღვთისმშობელთან, რომელიც, გადმოცემის თანხმად, იქ იმყოფებოდა. აგრეთვე წმინდა ლაზარესთან, რომელიც უფალმა მკვდრეთით აღადგინა. ჩვენს ქვეყანასა და კვიპროსს შორის ბევრი კავშირია, თუნდაც ის, რომ ერთი სარწმუნოება გვაქვს. იქ არის კიკოსის უძველესი მონასტერი, სადაც სასწაულმოქმედი ხატია დაბრძანებული. იმ ხატთან მე და ჩემი მეუღლე ხშირად მივდივართ და მის მადლს ვგრძნობთ ხოლმე. იქ ხშირად ჩამოდიან ქართველი მეუფეები, გვპატრონობენ და ამ მხრივაც მიმსუბუქდება სხვა ქვეყანაში ყოფნის სიმძიმე.

— უწმინდესი გესტუმრათ კვიპროსზე?

— ჩემი ჩასვლიდან ერთ წელში გვესტუმრა. ეს ჩემი და იქაური მრევლის სურვილი იყო. კვიპროსელ ეპისკოპოსს მივმართეთ, მისი უწმინდესობა მოეწვია და დიდი სიხარულით დაგვთანხმდა. კვიპროსში ჩამოსულ პატრიარქს საოცარი დახვედრა მოუწყვეს როგორც იქაურმა ქართველებმა, აგრეთვე ადგილობრივებმა. ეს იყო ძალიან დასამახსოვრებელი, ქრისტიანული მიღება. მის უწმინდესობას გზაზე ყვავილებს უფენდნენ და ხელში პალმის ტოტები ეჭირათ. მის დასახვედრად ყველა ფენისა და სფეროს წარმომადგენელი იყო მოსული. იდგნენ ბავშვები, სამხედროები, ბერ-მონაზვნები... ჩვენი კათოლიკოს-პატრიარქი იქიდან მადლიერი დაბრუნდა. რამდენიმე ხნის მერე საქართველოში ყოფნისას ვკითხე მას, თუ როგორ მოეწონა კვიპროსული დახვედრა. მიპასუხა, თავი საკუთარ სახლში მეგონაო.

— ერთი თვეა, რაც საქართველოში იმყოფებით, ალბათ უწმინდესი მოინახულეთ.

— რა თქმა უნდა, მოვინახულე და თან ერთი ქართველი მივუყვანე, რომელიც კვიპროსიდან სამშობლოში დაბრუნდა. მის უწმინდესობას ძალიან გაუხარდა და ის პიროვნება დალოცა.

თავიდან, როცა კვიპროსზე პირველად მივდიოდი, პატრიარქმა დამლოცა, მაკურთხა და რჩევებიც მომცა. საერთოდ მან ძალიან ბრძნული რჩევების მოცემა იცის. ვცდილობ, ყველა მისი ქადაგება, სწავლება გავითავისო და კარგი იქნება, თუ ყველა ქართველი გაითვალისწინებს ამას. ამ ბოლო დროს ის განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ უმთავრესია ღმერთი, სამშობლო და ადამიანი. დღევანდელი საზოგადოება ამ პრინციპებს რატომღაც ასცდა. არ უნდა

„დიდი მნიშვნელობა აქვს, ტაძარში ახალმისელს იქ მყოფი მრევლი თუ სასულიერო პირი როგორ დახვდება. პირველი შთაბეჭდილება ისეთი უნდა იყოს, რომ იქ მისვლა მეორედაც მოგინდეს. მოძღვარმა დიდი სიფაქიზე უნდა გამოიჩინოს ყველა იმ ადამიანის მიმართ, რომელიც ეკლესიისკენ პირველად დგამს ნაბიჯებს, ზედმეტი სიმკაცრით არ უნდა დაეფრთხოს".

დავივიწყოთ, რომ უფალი ადამიანებისთვის განკაცდა და არა — შენობებისთვის, ცხოველებისთვის, ხეებისთვის და ა.შ. მან მიწიერი ცხოვრების ყველა სატანჯველი თავის თავზე იწვნია, ამიტომაც არ უნდა დავივიწყოთ უმთავრესი ღირებულებები. ერთმანეთის მიმართ მოწყალენი ვიყოთ და ყველამ ჩვენს ცოდვებზე ვაგოთ პასუხი.

ღმერთი და სამშობლო თავისთავად ადამიანების სიყვარულისკენ გვიბიძგებს. რაც უფრო მეტად მივუახლოვდებით უფალს, მით უფრო აგვისრულებს სურვილებს. ქვეყანა მაშინ გამთლიანდება, როცა ყველა ჩვენგანი მიუახლოვდება ღმერთს. მას უნდა, რომ ერთმანეთის მიმართ შემწყნარებლები ვიყოთ. როგორებიც ვიქნებით მოყვასთან, ისეთივე დამოკიდებულება გვექნება უფალთანაც. დღეს ამ მხრივ ცოტა კრიზისული მდგომარეობაა. სამწუხაროდ, ხალხი ერთმანეთს არ ინდობს, ამიტომაც სასულიერო პირებს უფრო მეტი ლოცვა გვმართებს, რომ ეს აღმოვფხვრათ. საჭიროა განათლების დონის ამაღლებაც, რადგან ღვთის შესახებ ცოდნა განათლებიდან მოდის. მოკლედ, ერში ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი, რომ სწორ გზას დავადგეთ და, როგორც პატრიარქი ბრძანებს, სამშვიდობოზე გავიდეთ. თუ ღვთის გზით ვივლით, ვერაფერი დაგვაბრკოლებს.

აქამდე ჩვენი ქვეყანა რწმენამ მოიყვანა, თორემ ამის გარეშე გადარჩენა შეუძლებელი იქნებოდა. გარშემო ამდენი მტერი გვყავს და ეს პატარა ქვეყანა მაინც არ დაცემულა. იგივე შეიძლება ითქვას კვიპროსზეც, რომელიც ასევე მტრებით იყო გარშემორტყმული და მაინც გადარჩა. ჩვენც და მათაც შევძელით, რომ წირვა-ლოცვა ჩვენს ენებზე მიმდინარეობდეს.

მოყვასისა და უფლის სიყვარული კიდევ ერთხელ გადაგვარჩენს. ღმერთმა დაგლოცოთ და გაკურთხოთ!

✓ თეონა კენჭიაშვილი

Cyan Magenta Yellow Black

იპოვეთ 10 განსხვავება

გააფერადეთ



Cyan Magenta Yellow Black

პომიდორი ანდალუზიურად

მასალა:
პომიდორი — 70 გ
ზეთი — 25 გ
ძმარი — 10 გ
ხახვი — 20 გ
მწვანე წიწაკა— 40 გ
ბრინჯი — 20 გ
სალათის ფოთლები, მარილი, პილპილი — გემოვნებით

მომზადება: პომიდორს თავი მოაჭერით და შიგთავსი გამოფხიკეთ. მარინადის მოსამზადებლად ერთმანეთს შეურიეთ ზეთი, ძმარი, მარილი და პილპილი. მარინადი ჩაასხით პომიდვრის ღრუში და 1 საათის გაჩერეთ. შემდეგ მარინადი გადაღვარეთ, პომიდორს დაასხით მდუღარე, ხარშეთ 3-5 წუთი, გადაწურეთ და გააცივეთ. დაკეპილი ხახვი და წიწაკა (თესლის გარეშე) ზეთში მოშუშეთ. ბრინჯი მარილწყალში მოხარშეთ, შეურიეთ ხახვი, წიწაკა. გააცივეთ და ამ მასით ამოავსეთ პომიდვრები. დაალაგეთ სალათის ფოთლებზე და მორთეთ წიწაკის თხელი ღერებით.

ქათამი ფარშით

მასალა:
ქათამი — 1,5 კგ
პომიდორი — 1 კგ
ოხრახუში — 2 კონა
ნიახური — 2 კონა
ლიმონი — 1 ცალი
კარაქი — 2 ს.კ.
ცხარე წითელი წიწაკა (დაფქული) — 1 დესერტის კოვზი
პილპილი — 1 დესერტის კოვზი
ლიმონის დამარილებული ქერქი, კვლიავი, მარილი — გემოვნებით

მომზადება: ოხრახუში, ნიახური, დამარილებული ლიმონის ქერქი, ლიმონის რბილობი და პომიდორი წვრილად დაჭერით. მოათავსეთ ჯამში, დააყარეთ მარილი, წიწაკა და პილპილი. გასუფთავებული ქათამი ამ მასით ამოავსეთ, დაუმატეთ კარაქი.

ქვაბში 3-4 ლიტრი წყალი აადუღეთ. ქვაბის თავზე საწური შემოდგით, ჩადეთ შიგ ქათამი და თავზე სველი ტილო გადააფარეთ. ქათამი ორთქლზე მანამ გააჩერეთ, სანამ არ მოიხარშება.

შემწვარი ბულგარული წიწაკის სალათა

მასალა:
ბულგარული წიწაკა — 500 გ
კვლიავი — 1 დესერტის კოვზი
აჯიკა— 1 დესერტის კოვზი
ლიმონის წვენი— 3 ს.კ.
ზეითუნის ზეთი — 2 ს.კ.
მცენარეული ზეთი — 1 ს.კ.
ოხრახუში — 1 კონა
მარილი— გემოვნებით

მომზადება: ღუმელში წიწაკები შეწვით, შემდეგ კანი გააცალეთ და დაჭერით წვრილ ნაჭრებად. მოაყარეთ მარილი, დაუმატეთ კვლიავი, ლიმონის წვენი, ზეითუნის ზეთი, მცენარეული ზეთი, წვრილად დაჭრილი ოხრახუში და აჯიკა. ყველაფერი კარგად აურიეთ და მაგიდასთან ცივი მიიტანეთ.

ცხვრის ხორცი კარტოფილით

მასალა:
ცხვრის ხორცი — 2 კგ
კარტოფილი— 12 ცალი
დაფქული კვლიავი, პილპილი, მარილი — გემოვნებით

მომზადება: კარტოფილი გათალეთ და გარეცხეთ. დაჭრილ ცხვრის ხორცს მოაყარეთ მარილი, პილპილი, ჩააწყვეთ კარტოფილთან ერთად საწურში და გადააფარეთ სველი ტილო.

ქვაბში 2/3-ზე წყალი ჩაასხით, ზემოდან დაადგით საწური, დაახურეთ თავსახური (თავსახურს სიმძიმე დაადეთ, რომ დუღილის დროს არ აიწიოს) და წყალი აადუღეთ. ხორცი და კარტოფილი ორთქლზე 2 საათის განმავლობაში ხარშეთ.

სუფრასთან ცხელი მიიტანეთ. სუფრაზე ცალკე მიიტანეთ პატარა ჯამით დაჭრილი კვლიავისა და მარილის ნარევი, ხორცის ნაჭრების ამოსავლებად.

ხრაშუნა ნამცხვარი „ბესკინტო“

მასალა:
ფქვილი — 400 გ
კვერცხი — 4 ცალი
შაქარი — 1 ჭიქა
ზეთი — 150 გ
სახამებელი — 3 ს.კ.
ლიმონის ცედრა — 2 ცალის
საფუარი (ან სოდა), კვერცხის გული ნამცხვარზე წასასმელად

მომზადება: ჯამში კვერცხი ჩაახალეთ, დაუმატეთ შაქარი და ათქვიფეთ გათეთრებამდე. დაუმატეთ ზეთი და 5 წუთი თქვიფეთ ერთგვაროვანი მასის მიღებამდე. შემდეგ დაუმატეთ სახამებელი, ლიმონის ცედრა და საფუარი. დიდხანს ურიეთ ხის კოვზით, შემდეგ თანდათან დაუმატეთ ფქვილი და ურიეთ, სანამ მასა ერთგვაროვანი არ გახდება. ცომს ოდნავ სველი ტილო გადააფარეთ და 15 წუთით გააჩერეთ.

სამზარეულოს მაგიდაზე ფქვილი დაყარეთ, დადეთ ცომი და გაყავით ნაწილებად. თითოეული 4 მმ სისქის ფენად გააბრტყელეთ. თხელი ჭიქით ცომი ამოჭერით, ზემოდან ათქვეფილი კვერცხის გული წაუსვით, დააწყვეთ ზეთწასმულ ტაფაზე, შედგით 180 გრადუსამდე გაცხელებულ ღუმელში და 20 წუთი აცხვეთ.

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

ხელსაქმე

ქაღალდის ზარდახშა

თუ ჩვეულებრივი მუყაოს კოლოფი გაქვთ, გირჩევთ, არ გადააგდოთ. მისგან მშვენიერი ზარდახშის გაკეთება შეიძლება. დამატებით კი დაგჭირდებათ მხოლოდ წებო „ПВА“ და ფერადი ჟურნალის ფურცლები.

კოლოფის სახურავზე დავხაზოთ დიაგონალური, ერთმანეთის მკვეთი ორი ხაზი. წვრილად დავახვიოთ ჟურნალის ფურცლები და ამ „ჩხირების“ დაწებებას შევუდგეთ ისე, როგორც მე-3-4 ფოტოებზეა ნაჩვენები. ასე, ფურცლის ჩხირებით დავფაროთ მთლიანი სახურავი და შემდეგ მაკრატლით შემოვასწოროთ. იმავე პრინციპით შეგვიძლია კოლოფის გვერდებზეც დავაწებოთ ფურცლის ჩხირები, ოღონდ ამ შემთხვევაში — გადაუკეცავი. ან შემოვაკრათ კოლოფს სასურველი და შესაფერისი ფერის ქაღალდი.

სულ ესაა.

გისურვებთ წარმატებას!

✓ ლელა ცუცქირიძე





წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

№ 1

8	1	5	3	4	7	2	9	6
6	3	4	8	9	2	7	5	1
2	9	7	5	6	1	8	3	4
4	6	8	1	2	5	9	7	3
5	2	9	6	7	3	4	1	8
3	7	1	4	8	9	6	2	5
9	4	3	7	5	8	1	6	2
1	8	2	9	3	6	5	4	7
7	5	6	2	1	4	3	8	9

№ 2

1	7	3	4	2	6	8	9	5
9	4	8	7	5	3	1	6	2
5	6	2	8	1	9	7	4	3
4	5	1	6	9	7	3	2	8
2	3	9	5	8	1	4	7	6
6	8	7	2	3	4	5	1	9
8	9	4	1	6	5	2	3	7
3	1	5	9	7	2	6	8	4
7	2	6	3	4	8	9	5	1

ეს იცოდით?

❖ პეკინესის ჯიშის ძაღლი ჩინეთის საიმპერატორო სასახლის ძაღლად იყო ცნობილი და მას საკუთარი მედდა და პირადი მცველი ემსახურებოდა.

❖ ჩინეთში ქრისტიანული რელიგია მე-7 საუკუნეში შევიდა.

❖ მსოფლიოში არსებული დიალექტებიდან ჩინურ დიალექტ მანდარინზე ყველაზე მეტი ადამიანი ლაპარაკობს.

❖ მე-16 საუკუნეში ჩინეთში თვითმკვლელობის ყველაზე მიღებულ ფორმად მარილის უზომოდ ჭამა მიიჩნეოდა.

❖ თანამედროვე მსოფლიოში ყველაზე გავრცელებულ ენად მიჩნეულია ჩინური, რომელზეც ჩვენი პლანეტის ყოველი მეოთხე მოსახლე საუბრობს.

❖ მსოფლიოში ყველაზე გავრცელებულ გვარად მიჩნეულია ჩინური გვარი ჩანგი. ამ გვარს დედამიწაზე 104 მილიონი ადამიანი ატარებს.

❖ სამედიცინო ისტორიაში პირველად ტერმინი „ფსიქიატრიული საავადმყოფო“ დიდმა გერმანელმა მედიკოსმა და ფილოსოფოსმა იოჰან კრისტიან რეილიმ შემოიღო.

❖ ხორვატიული სალიტერატურო ენის ფუძემდებლად მიჩნეულია დიდი ხორვატი პოეტი და ლინგვისტი ლუდვიგ გაი (1809-1872 წ.წ).

❖ თანამედროვე პოსტერის ფუძემდებელი გახლავთ ფრანგი მხატვარი და გრაფიკოსი ჟიულ შერე (1836-1932 წ.წ.).

❖ ყველაზე მაღალ საცხოვრებელ სახლად მიჩნეულია პრინცესას კოშკი. იგი 2012 წელს ქალაქ დუბაიში აიგო და 413,4 მეტრი სიმაღლისაა.

❖ ვაშინგტონში აკრძალულია ჯორჯ ვაშინგტონის მონუმენტზე უფრო მაღალი შენობის აგება.

❖ ამერიკაში ყველაზე მრავალრიცხოვანი კალიფორნიის შტატია, სადაც 37 მლნ ადამიანი ცხოვრობს.

❖ 1896 წელს ბანგლადეშის ქალაქ გოპალგანჯში მოვიდა საშინელი სეტყვა, რომელმაც 92 ადამიანი შეიწირა. სეტყვის ზოგიერთი მარცვლის წონა ერთ კილოგრამსაც აღწევდა.

❖ არ არსებობს ორი ერთნაირი ფიფქი.

❖ ადამიანის დნმ დაახლოებით 80 ათას გენს ინახავს.

❖ ფენომენს, როდესაც ძლიერი სინათლის დროს ადამიანი კარგავს მხედველობის უნარს, თოვლის სიბრმავე ეწოდება.

❖ ყველაზე მაღალი მოდელი ქალი, ამერიკელი ფოტომოდელი ერიკა ირვინი, 2,5 მეტრი სიმაღლისაა.

❖ ვეტერინართა მტკიცებით, შინაურ კატებს შორის ყველაზე დიდი აგრესიით სიამის კატები გამოირჩევიან.

❖ მწერების 80 პროცენტი მცენარეებით იკვებება, 15 პროცენტი მტაცებელია, ხოლო დარჩენილი 5 პროცენტი სისხლისმწოველია.

❖ კოლუმბიაში აღმოჩენილი ზურმუხტი დღემდე ყველაზე დიდად ითვლება. იგი 2,27 კილოს იწონის, რაც 15 000 კარატს უდრის.

Cyan Magenta Yellow Black

„ემი“-ს ცერემონიალის ბრწყინვალება და სკანდალები

■ მაიკლ დუგლასი

■ ჰაიდი კლუმი

■ ჯესიკა ლენგი

ლოს ანჯელესში სატელევიზიო ოსკარები დარიგდა. „ემი“-ს 65-ე დაჯილდოების ცერემონიალის წითელ ხალიჩაზე კინოსა და ტელევიზიის ვარსკვლავები ბრწყინავდნენ. საღამოს წამყვანი მსახიობი ნილ პატრიკ ჰარისი იყო. წითელ ხალიჩაზე კი ყველაზე მეტი ყურადღება ჰაიდი კლუმმა, სოფია ვერგარამ და კელი ოსბორნმა მიიქციეს.

ჰაიდი კლუმი, პირდაპირი გაგებით, წითელ ხალიჩაზე ბრწყინავდა, მისი მდიდრული კაბა ღვინისფერ ტონალობებში იყო გადაწყვეტილი. რატომღაც ისე ხდებოდა, რომ წლების განმავლობაში ჰაიდის ჩაცმულობას ყოველ ცერემონიალზე აკრიტიკებდნენ, წელს კი მან ეს შეცდომა გამოასწორა.

■ ალიკ და აილენდ ბოლდუინები

მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა კელი ოსბორნის გემოვნებაშიც. ის პირველად გამოჩნდა ელეგანტურად და ქალურად, როგორც ჩანს, მის ცხოვრებაში ქაოსური პერიოდი დასრულდა. მან ამ საღამოსათვის კეიტ მიდლტონის საყვარელი დიზაინერის, ჯენი პაკმეინის კლასიკური კაბა აირჩია, რომელიც შიფონისგან იყო შეკერილი.

სოფია ვერგარამ თავის სექსუალურ ფორმებს მაქსიმალურად გაუსვა ხაზი და საღამოსათვის ვერა ვონგის კაბა აირჩია. 41 წლის მსახიობი თვლის, რომ მისთვის სექსუალური ქალების რეიტინგში მოხვედრა უფრო დიდი სტიმულია, ვიდრე სხვა დანარჩენი ცხოვრებაში.

დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ცერემონიალზე ალ პაჩინოს გამოჩენამ. მსახიობს და რეჟისორს ახალგაზრდა მეგობარი ქალი ახლდა. სულ ახლახან გახდა ცნობილი, რომ ალ პაჩინოს რომანი აქვს არგენტინელ მსახიობ ლუსილა სოლასთან. ასაკში 40 წლიანი სხვაობა შეყვარებულებს ხელს არ უშლით. 73 წლის ალ პაჩინომ თავისი ახალგაზრდა შეყვარებული პირველად წარუდგინა საზოგადოებას. წყვილი საოცრად ბრწყინავდა, ხოლო ალ პაჩინო ამ სიყვარულის გამო უფრო ახალგაზრდულადაც გამოიყურებოდა. აქვე აღვნიშნავთ, რომ ჰოლივუდის გულთამპყრობელი ცოლიანი არასოდეს ყოფილა. წითელ ხალიჩაზე ალ პაჩინომ აღნიშნა, რომ ის ძალიან ბედნიერია ახალი სიყვარულით და უნდა, საყვარელი ქალი მთელ მსოფლიოს აჩვენოს.

■ კლერ დეინსი

■ ალ პაჩინო და ლუსილა სოლა

„ემი“-ს დაჯილდოების წლევანდელი ტრიუმფატორები მაიკლ დუგლასი და კლერ დეინსი აღმოჩნდნენ, რომლებმაც ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული როლები ითამაშეს. 68 წლის მაიკლ დუგლასი ცერემონიალზე მარტო მივიდა, მან მიიღო პრიზი მამაკაცის საუკეთესო როლისათვის სტივენ სოდერბერგის სატელევიზიო ფილმში, რომელიც ცნობილი პიანისტის და კონფერანსიეს, ვლადი ვალენტინო ლიბერაჩეს ცხოვრებაზეა. პიანისტის როლს მაიკლ დუგლასი თამაშობს, ხოლო მისი საყვარლის როლს — მეტ დეიმონი. „მე და მეტ დეიმონმა გადავწყვიტეთ, სასიყვარულო სცენების რეპეტიცია არ გაგვევლო. როგორც კი პირველი კოცნა გადავიღეთ, მერე ყველაფერი კარგად წავიდა, მეტმა მშვენიერი კოცნა იცის“, — აცხადებს მაიკლ დუგლასი.

■ კელი ოსბორნი

■ კერი ვაშინგტონი

საუკეთესო მსახიობი ქალის ნომინაციაში ტელეფილმების კატეგორიაში 34 წლის მსახიობი კლერ დეისი დასახელდა, რომელმაც ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს აგენტის როლი შეასრულა სერიალში „სამშობლო“.

■ ბრიტნი სპირსი

ბრიტნი სპირსი და მაილი საირუსი საზოგადოებას შოკში აგდებენ

22 სექტემბერს ლას ვეგასში მუსიკალური რადიოების ფესტივალი ჩატარდა, მაგრამ ცერემონიალმა ყურადღება სხვა კუთხით მიიქცია. „ემტივი“-ს ცერემონიალის შემდეგ არავინ ელოდა, რომ მაილი საირუსი საზოგადოებას მორიგ სკანდალს უმზადებდა. მომღერალი და მსახიობი სცენაზე გამჭვირვალე ბადით ავიდა. ბიკინების ნაცვლად კი სტიკერებით შემოიფარგლა. დასავლური პრესა წერს, რომ მაილის სკანდალურ იმიჯს უკვე ვეღარაფერი შეცვლის. მომღერლისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა, თავისი უცნაური ჩაცმულობის გამო შეყვარებულმა რომ მიატოვა, პირიქით, სცენაზე განაცხადა, რომ მისი შეცვლა შეუძლებელია და ადამიანებმა ისეთი უნდა მიიღონ, როგორიც არის.

ფესტივალის საპატიო სტუმრის, 31 წლის ბრიტნი სპირსის ჩაცმულობაც ზედმეტად სექსუალური და ზედმეტად ვულგარული იყო — შავი მაქმანებიანი ბიუსტჰალტერი, მოკლე შორტები და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები. მიუხედავად იმისა, რომ ბრიტნი საგრძნობლად გახდა, ჩაცმის ასეთი სტილი მისი სხეულის მინუსებს კარგად წარმოაჩენდა.

ერთი სიტყვით, მაილი და ბრიტნი თუნდაც ამ ჩაცმულობის გამო უკვე სერიოზულად იბრძოლებენ წლის ყველაზე უგემოვნო ვარსკვლავების ტიტულისათვის.


■ მაილი საირუსი



ბილაინი®

გაიაქტიურე «ბილაინ MIX»

და გათავისუფლდი ზედმეტი ფიქრებისგან!

MIX S	MIX M	MIX L
150 წუთი	250 წუთი	1000 წუთი
1500 მბ	2500 მბ	10 გბ
1500 სმს	2500 სმს	10000 სმს
*110*71#	*110*72#	*110*73#
10 ლარი	20 ლარი	45 ლარი

«ბილაინ MIX»-ის მოქმედების ვადა - 30 დღე
წუთები ყველა ადგილობრივ ქსელზე

11 01 01

www.beeline.ge